

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფილოლოგია (შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობა (ლიტერატურული  
კომპარატივისტიკა))

ირაკლი ხვედელიძე

ავტობიოგრაფიული ჟანრის ნარატოლოგიური საფუძვლები (აკაკი  
წერეთლისა და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიული  
ტექსტების მიხედვით)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხემძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული  
პროფესორი, ირმა რატიანი

თბილისი

2019

## აბსტრატი

სადისერტაციო კვლევით შესწავლილია მე-19 საუკუნის ორი ფაქტუალური ავტობიოგრაფია. ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია ფორმირებულია კოგნიტური მეცნიერებების ცოდნის გათვალისწინებით (იკინი 2008, ლოშნიგი 2006). ქართული ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად აღნიშნული მიდგომები კვლევის ჩატარებამდე არ იყო გათვალისწინებული. კვლევის დაგეგმვისას დეზიდერანტს ქმნიდა ისიც, რომ პერსონაჟის ცნობიერების განსახოვნების ნარატოლოგიური სტრატეგიები სრულად არ იყო ინტეგრირებული ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიაში.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენდა, გამოვლენილიყო ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ფუნქციონირების კოგნიტური საფუძვლები; უნდა დადგენილიყო, ავტობიოგრაფიულ ნარატივში როგორ ხორციელდება ავტობიოგრაფის ბიოგრაფიული მონაცემების სემანტიზება. კვლევის თანაბარი მნიშვნელობის მიზანს წარმოადგენდა საკვლევად შერჩეული ავტობიოგრაფიული ტექსტების დეტალური ანალიზის შედეგად გააზრება.

**კვლევის მეთოდოლოგია** შემუშავდა ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიისა და კოგნიტური ნარატოლოგიის სინთეზირებით. ტექსტობრივი მონაცემების შესარჩევად და მათ დასამუშავებლად გათვალისწინებულ იქნა *გახსენების* კოგნიტური საფუძვლები, ემოციის მნიშვნელობა ცნობიერების ფუნქციონირებაში; კოგნიტური ნარატოლოგიის საფუძველზე წინასწარ განისაზღვრა, რა ტიპის ტექსტობრივი მონაცემები იქნებოდა რელევანტური კვლევის მიზნების მისაღწევად.

**კვლევის შედეგად განისაზღვრა**, რომ ფაქტუალური ავტობიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია ფიქცია, ტექსტში მოცემული ბიოგრაფიული მონაცემები მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებების მიხედვითაა ორგანიზებული, ტექსტში განსახოვნებული განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილებას განგრძობითობა და კოჰერენტულობა ახასიათებს. აკაკი წერეთლის „*ჩემს თავგადასავალში*“ დადგინდა განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილების ფორმირების დინამიკა. განისაზღვრა ისიც, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციაზე დაკვირვება აღნიშნული გამოცდილების ფორმირების შესასწავლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს; მე-19 საუკუნის

ქართულ ფაქტუალურ ავტობიოგრაფიაში თითქმის არაა განსახოვნებული განმცდელი ავტობიოგრაფის ვერბალური ფიქრი. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიის ანალიზმაც დაადასტურა, რომ ფაქტუალური ავტობიოგრაფიის შექმნა მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებითაა განპირობებული, მოხუცი მარიამისათვის წერილობითი ავტობიოგრაფიის წარმოება *კოგნიტური ყავარჯნის* ფუნქციას ასრულებდა.

კვლევის შედეგები თეორიული თვალსაზრისით ღირებულია, რადგან ჩატარებული კვლევის ფარგლებში ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია განიცდო პერსონაჟის ცნობიერების შესასწავლად შემუშავებული ნარატოლოგიური კატეგორიებით, რაც ფაქტუალური ავტობიოგრაფიის საფუძვლიანად შესწავლის წინაპირობაა. კვლევის შედეგები პრაქტიკული მნიშვნელობისაგაა: ის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველეს ქმნის ქართულ ენაზე დაწერილი ავტობიოგრაფიის დიდი კორპუსის შესასწავლად.

**საკვანძო სიტყვები:** კოგნიტური ნარატოლოგია, ავტობიოგრაფიის თეორია, ცნობიერება, აკაკი წერეთელი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი.

## Abstract

**The Dissertation research studies** two factual autobiographies of the 19<sup>th</sup> century. The contemporary theory of autobiography has been formed on the basis of the knowledge of cognitive sciences (Eakin 2008, Löschnigg 2006). Prior to the given research, these attitudes had not been applied to the study of Georgian autobiographical texts. When planning the research, it was also taken into account that the narratological strategies of description of the character's consciousness were not fully integrated into the contemporary theory of autobiography.

**The purpose of the research** was to identify the cognitive basis of functioning of the factual autobiography and find out how the biographical data of the autobiographer are semanticized in the autobiographical narrative. Another significant purpose of the research was to implement detailed analysis of the selected autobiographical texts.

**Research methodology** was worked out based on the synthesis of the contemporary theory of autobiography and cognitive narratology. Selection and processing of the textual data were based on the cognitive grounds of *recollection*, as well as the importance of emotion for the functioning of consciousness. Based on cognitive narratology, the author defined the type of textual data that would be relevant for research purposes.

**As a result of the research, it was proved** that an inalienable part of factual autobiography is fiction; the biographical data given in the text are organized based on the homeostatic needs of the narrator autobiographer; the experiencing autobiographer's experience, is described in the text based on continuity and coherence. The study of Akaki Tsereteli's *My Adventure* has made it possible to identify the dynamics of formation of the experience of the experiencing autobiographer. Research has proved that observation of the emotion of the experiencing autobiographer is a precondition for the study of formation of the above-mentioned experience. Georgian factual autobiography of the 19<sup>th</sup> century hardly ever describes the verbal thoughts of the experiencing autobiographer. The analysis of Mariam Jambakur-Orbeliani's biography has also proved that creation of the factual autobiography is conditioned by the homeostatic needs of

the narrator autobiographer. For Mariam, who was old-aged at the time of writing, her written autobiography fulfilled the function of *a cognitive crutch*.

The research outcomes are of great theoretical value because, within the framework of the given research, the contemporary theory of autobiography was enhanced based on narratological categories worked out for the study of character's consciousness. This forms substantial grounds for the study of factual autobiography. Research outcomes are of practical value as well: they form significant methodological basis for the study of the vast corpus of autobiographies written in the Georgian language.

**Keywords:** cognitive narratology, theory of autobiography, consciousness, Akaki Tsereteli, Mariam Jambakur-orbeliani.

## მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელს, პროფესორ ირმა რატიანს, კვლევის პროცესში მოცემული პროფესიული რჩევების გამო; აგრეთვე, სამეცნიერო სივრცეში ჩემი ინტეგრირებისათვის გაწეული დახმარების გამოც, რომელიც, თავის მხრივ, კვლევის ხარისხიანად და სწრაფად წარმართვის საფუძველი გახდა; დაბოლოს, იმ ადამიანური სითბოს, მხარდაჭერისა და დიდი მოთმინების გამო, რომელთაც იგი დისერტაციაზე ჩემი მუშაობის პროცესში ავლენდა.

აქვე მადლიერება მინდა გამოვხატო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყველა თანამშრომლის მიმართ, რომლებმაც კოლოკვიუმებისა თუ სხვა სადისკუსიო ფორმატის ფარგლებში სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებით ღირებული უკუკავშირი მომცეს.

სადოქტორო კვლევის დაწყებასა და წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორს, შტეფან მატუშეკს, რომელიც დამეხმარა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით თეორიული ცოდნის გაფართოებაში და მომცა ღირებული რეკომენდაციები, რის გამოც გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო მას.

წინამდებარე სადისერტაციო კვლევის განხორციელება სამეცნიერო თვალსაზრისით თუ მატერიალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერა: დისერტაციის დიდი ნაწილი მომზადდა ფონდის მიერ დაფინანსებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

გულითადი მადლიერება და სიყვარული მინდა გამოვხატო ჩემი მეუღლის, ცირა კილანავას, მიმართ, რომელიც დისერტაციაზე მუშაობის დაწყებიდან დასრულებამდე როგორც კოლეგა და გულშემატკივარი გვერდით მედგა, მოთმინებით ხვდებოდა ყველა იმ სირთულეს, რომლებიც კვლევის განხორციელებას თან ახლდა. ასევე გულითადი

მადლობა მინდა გადავუხადო დედაჩემსა და მმას, რომელთა მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი.

# შინაარსი

შესავალი .....	1
I თავი. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა - თეორიული საფუძვლები.....	16
1.1. ავტობიოგრაფიის თეორიის ფორმირების პირველი ეტაპი .....	16
1.2. ავტობიოგრაფიის თეორიის ფორმირების მე-2 ეტაპი.....	17
1.3. ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია.....	21
1.4. ავტობიოგრაფიის კვლევის ნარატოლოგიური საფუძვლები.....	28
1.5. ავტობიოგრაფიის ნარატოლოგიური კონცეპტის ევალუაცია - მიღებული შედეგების ანალიზი .....	37
1.6. დეზიდერანტები ავტობიოგრაფიის კვლევაში .....	39
1.7. მენტალობის მთლიანობის კონცეპტი .....	40
1.7.1. ცნობიერების კოჰერენტულობა .....	41
1.7.2. ცნობადობა (familiarity).....	43
1.8. ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი.....	49
II თავი. აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“: ტექსტის ანალიზი .....	55
2.1. სოციალური ცნობიერების ფორმირების პროცესი-განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადება.....	55
2.1.1. განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები სოციუმის ქცევა - მიკროტექსტის ანალიზი.....	65
2.2. სასახლეში გატარებული წლები; განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური ცნობიერების ფორმირების პირველი ეტაპი.....	73
2.2.1. მიძასთან დიალოგი: ჰომეოსტაზიური საჭიროების გააქტიურება.....	73
2.2.2. სასახლეში ცხოვრების პირველი დღე - ახალი ცხოვრების დაწყების შიშით გამოწვეული ემოციის ფორმირების ეტაპები.....	75
2.2.3. სასახლეში ცხოვრების პირველი დღე - ეპიზოდის სტრუქტურა და მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა.....	78
2.3. განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური კომპეტენციის ფორმირება.....	110
2.4. გიმნაზიაში გატარებული წლები - განმცდელი ავტობიოგრაფის ინტრამენტალური სამყაროს ფორმირება და მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა.....	115
2.5. მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ტექსტში დატოვებული დაუზუსტებელი ინფორმაცია (gaps) .....	129

2.6. განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური სამყარო: სამშობლოსთან დაკავშირებული ვალდებულებები, მისწრაფებები და მიზნები.....	131
2.7. განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური მენტალობა: სტუდენტობის წლები.....	141
2.8. განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული სამყაროს ძირითადი მახასიათებლები: სტუდენტობის წლები.....	148
2.9. საქართველოში დაბრუნება - განმცდელი ავტობიოგრაფის მისწრაფებები და აქტუალური კონტექსტი .....	151
III თავი. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფია .....	156
3.1. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა.....	156
3.2. განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიცია - ოჯახური ისტორია.....	160
3.3. განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური გამოცდილება - განმცდელი ავტობიოგრაფის ავტობიოგრაფიული მეს ფუნქციონირება: პიროვნული იდენტობა vs კოლექტიური იდენტობა .....	168
3.4. ექსპერიმენტულობის ხარისხი.....	183
დასკვნა .....	186
ბიბლიოგრაფია .....	191

## შესავალი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ფაქტუალური ავტობიოგრაფიის შექმნის ნარატოლოგიური საფუძვლები მე-19 საუკუნის ორი ქართული ტექსტის მიხედვით<sup>1</sup>. საკვლევი საკითხის დასახასიათებლად, პირველ ყოვლისა, უნდა დაისვას კითხვა: ფაქტუალური ავტობიოგრაფიის კვლევისას რა არის მთავარი გამოწვევა? ავტობიოგრაფიულ ტექსტში, არსებითად, მთხრობლის *ავტობიოგრაფიული მეს/იდენტობის* ფორმირების პროცესია განსახოვნებული. *ავტობიოგრაფიული მეს* ფუნქციონირება კი რთული მენტალური პროცესია. აქედან გამომდინარე, ლიტერატურულ ტექსტში განსახოვნებული *ავტობიოგრაფიული მეს* შესწავლას მეცნიერული საფუძვლები რომ ჰქონდეს, აღნიშნული მენტალური პროცესის თავისებურება კოგნიტური მეცნიერებების (კოგნიტური ნეირომეცნიერება, ფსიქოლოგია, ფილოსოფია) პერსპექტივიდან უნდა დაზუსტდეს.

*ავტობიოგრაფიული მეს* ფუნქციონირების ფუნდამენტური მახასიათებლები ლიტერატურისმცოდნეობის მომიჯნავე დისციპლინებშია დაკონკრეტებული: კოგნიტურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ გამოვლენილია ცვლადები, რომლებიც *ავტობიოგრაფიული მეს* ფორმირებაზე გავლენას ახდენს (დამასიო 2000, შაქტერი 1997, სერლი 1992, პინკერი 1997, დენეტი 1996). სადისერტაციო ნაშრომში ინტერდისციპლინური კონტექსტის ჩვენების აუცილებლობა სხვა გარემოებითაც არის განპირობებული: ავტობიოგრაფიულ ტექსტში ავტორის მიერ სხვადასხვა ნარატოლოგიური კატეგორიის გამოყენების კანონზომიერების დადგენა მხოლოდ ცნობიერების ფუნქციონირების კოგნიტური საფუძვლების გათვალისწინებით ხერხდება (ლოშნიგი 2010).

---

<sup>1</sup> ავტობიოგრაფიული ტექსტი კვალიფიცირდება ფაქტუალურად, თუ მთხრობლის იდენტიფიკაცია ხერხდება რომელიმე ისტორიულ პიროვნებასთან. ფიქციონალურის შემთხვევაში, ავტობიოგრაფი ისტორიულ პიროვნებას არ წარმოადგენს (ლეჟონი 1994).

*ავტობიოგრაფიული მე* ადამიანის ცნობიერების ნაწილია, ცნობიერების კი სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს (დეივისი 1999). წინამდებარე კვლევაში გაზიარებულია მიდგომა, რომლის მიხედვით, ცნობიერება – ესაა ადამიანის მენტალური პროცესების ერთობლიობისაგან შემდგარი, კონსტრუირებული სისტემა, რომელსაც ადამიანის ცხოვრების უზრუნველსაყოფად კონკრეტული ფუნქცია აქვს დაკისრებული. თითოეული მენტალური პროცესი არსებობს იმისათვის, რომ ცნობიერების ფუნქციონირება უზრუნველყოს, თავად ცნობიერების გამართული ფუნქციონირება კი გარანტიაა, რომ ადამიანი გადარჩეს, ევოლუციურ გამოწვევებს გაუმკლავდეს. ადამიანის შინაგან სამყაროში თავჩენილი ნებისმიერი მენტალური პროცესი ამ ფუნქციასთან მიმართებით უნდა გაანალიზდეს (დამასიო 2000).

ცნობიერების საყრდენს, მთავარ შემადგენელ კომპონენტს *ავტობიოგრაფიული მე* წარმოადგენს, რომლის ფორმირება და პერიოდული განახლება დაუსრულებელი პროცესია. ავტობიოგრაფიულ პრაქტიკაში ჩართულია სხვადასხვა მენტალური პროცესი (ემოცია, გახსენება, სამოქმედო პროგრამების ჩამოყალიბება, მენტალური ხატების კონფიგურაცია და ა.შ.).<sup>2</sup> *ავტობიოგრაფიული მე* ადამიანის პიროვნული განვითარების საფუძველს ქმნის – იგი ადამიანის სიცოცხლის რეგულირების მექანიზმია – ინდივიდის ჰომეოსტაზიურ და ჰომეოდინამიკურ გამოწვევებთან მიმართებით კომპასის ფუნქციას ასრულებს: ადამიანს, პირველ რიგში, სოციალურ კონტექსტში ორიენტაციის საშუალებას აძლევს. (ბირკე 2008, ნილსონი 2016, დამასიო 2018)<sup>3</sup>.

---

<sup>2</sup> წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში ვერ ხერხდება მენტალური პროცესების დეტალური ანალიზი. ფუნდამენტური საკითხების დასაზუსტებლად დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, გაეცნოს თემატურ სტატიებს მიტკვის ენციკლოპედიაში (1999). მეხსიერება/გახსენების ფსიქოლოგიური ასპექტების თავისებურებების გასათვალისწინებლად რეკომენდებულია ჰარვარდის პროფესორის დანიელ შაქტერის ნაშრომების გათვალისწინება (შაქტერი 1996, 2002), იგი დღესდღეობით ყველაზე ხშირად ცირტირებად ფსიქოლოგად ითვლება. ნეირომეცნიერების პერსპექტივიდან გასათვალისწინებელია ანტონიო დამასიოს ნაშრომები (დამასიო 2000, 2018).

<sup>3</sup>დამასიოს ნაშრომები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა; შეიძლება ითქვას, ახალ პარადიგმას აყალიბებს, კულტურის, მათ შორის, ლიტერატურის, შესასწავლად. დამასიოს მიერ ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით შექმნილი ახალი ცოდნის ნარატოლოგიურ კვლევებში ინტეგრირების

*ავტობიოგრაფიული მეს* როგორც ინსტრუმენტის ფუნქციონირება ყოველთვის ავტობიოგრაფის აწმყო საჭიროებებით არის ნაკარნახები (შაქტერი 1996, რუბინი 1986, ვეტცლერი და სვინი 1986, რობინსონი 1986). *ავტობიოგრაფიული მე*, მართალია, ავტობიოგრაფის წარსული მოგონებებისაგან შედგება, მაგრამ რას და როგორ იხსენებს ავტობიოგრაფი, მთლიანად განსაზღვრულია იმ გამოწვევებით, რომლებიც მის იდენტობას აწმყოში უდგას (შაქტერი 1996).

ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ნარატოლოგიურ კვლევას შესაძლებელს ხდის ორი გარემოება: ადამიანის იდენტობას, ავტობიოგრაფიულ მეს, ბიოლოგიური რეფერენტი აქვს (ტვინში მენტალური ხატების ფორმირება); ამასთან, *ავტობიოგრაფიული მეს* ფორმირების ბიოლოგიური პროცესი, არსებითად, სემანტიკური პროცესია (შაქტერი 1996), შესაბამისად, ემპირიულად, ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადასტურებული კოგნიტური საფუძვლები აჩვენებს ავტობიოგრაფიულ ნარატივში სხვადასხვა ინფორმაცია ერთმანეთს სემანტიკურად როგორ უკავშირდება.<sup>4</sup>

თუ *ავტობიოგრაფიული მეს* ფორმირება ადამიანის ფუნდამენტურ საჭიროებას წარმოადგენს, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა მიმართება აქვს ადამიანის ჰომეოსტაზიურ საჭიროებებთან/ავტობიოგრაფიული მეს ფუნქციონირებასთან კულტურის შექმნას? როგორც უკვე აღინიშნა, ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება

---

წარმატებულ პრაქტიკას აჩვენებს ალან პალმერის ნაშრომები (პალმერი 2004, 2010). პალმერმა დამასიოს ნაშრომების საფუძველზე ჩამოაყალიბა ლიტერატურული პერსონაჟის კვლევის ისეთი თეორიული საფუძვლები, როგორებიცაა პერსონაჟის ცნობიერების განგრძობითობა, ფსიქონარაცია (ჩართული ნარატივი), არავერბალური ფიქრი, ემოციები, როგორც პერსონაჟის ცნობიერებაში (შინაგან სამყაროში) მიმდინარე პროცესების მონიტორინგის ანგარიში. უკანასკნელი ასპექტი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რადგან წლების განმავლობაში ნარატოლოგთა (ლიტერატურისმცოდნეთა) მიერ უყურადღებოდ იყო დატოვებული. დამასიოს კვლევები კი აჩვენებს, რომ ემოციას ცნობიერების ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, უფრო მეტიც, ადამიანის (პერსონაჟის) ცნობიერების (შინაგან სამყაროს) ადეკვატური ანალიზი ემოციის ფუნქციის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

<sup>4</sup> ემპირიული კვლევებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების კავშირზე იხ. ჰამბურგის პროფესორის ნაშრომი (მაისტერი 2003). მასში ჰუმანიტარული მეცნიერების პარადიგმის გააზრება კიდევ უფრო შორსაა წასული - ნაჩვენებია კომპუტაციონალური ნარატოლოგიის განვითარების პერსპექტივა.

ცნობიერების ფუნქციონირებისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ყურადღებას საჭიროებს ერთი გარემოება: კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ ადამიანები დამატებითი წერილობითი ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების აუცილებლობასაც ხედავდნენ. აქვე დასაზუსტებელია, რომ წერილობითი ავტობიოგრაფიული პრაქტიკა სხვადასხვა სფეროს მოიცავდა (ფილოსოფია, რელიგია, მხატვრული ლიტერატურა) და პიროვნული თუ კოლექტიური იდენტობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ათვისებული იყო ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრი (დღიური, მოგონებები, ავტობიოგრაფია, რომანი).<sup>5</sup>

რითი აიხსნება, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ევროპული კულტურის ფორმირების განუყოფელი ნაწილია? ადამიანი სოციალური არსებაა, მას, როგორც წესი, გარკვეულ სოციუმში უწევს ცხოვრება, სოციუმის ღირებულებები კი მუდმივად ცვალებადია, რაც ადამიანის იდენტობის სტაბილურ ფუნქციონირებას პრობლემას უქმნის. იდენტობის მოდელის ონლაინ რეჟიმში, სპონტანურად განახლება, სოციალურ პროცესებში ჩართული არაერთი ცვლადის (ფაქტორის, გარემოების) გათვალისწინებით, რთული ხდება; ამიტომ ადამიანებს უწევთ ერთგვარი კოგნიტური ინსტრუმენტის, ხელოვნების, გამოყენება, რათა იდენტობის (*ავტობიოგრაფიული მეს*) ვალიდური მოდელი შეიმუშაონ (ჰაბერმასი 2012).

---

<sup>5</sup> ანტიკურ ლიტერატურაში ავტობიოგრაფიული პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემულია რაიხელის რედაქტორობით გამოსულ სტატიათა კრებულში (რაიხელი 2005), შუა საუკუნეებში ავტობიოგრაფიული პრაქტიკა შესწავლილია ენენკელთან (ენენკელი 2008), რუსულ კულტურაში ავტობიოგრაფიული პრაქტიკა ფართო გაგებით (დღიურები, წერილები, ავტობიოგრაფიული ჟანრი) განხილულია ჰელბეკისა და ჰელერის რედაქტორობით გამოსულ სტატიათა კრებულში (2004), ევროპულ კულტურაში ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოებას ფუნდამენტური მონოგრაფია მიუძღვნა მოსერმა (მოსერი 2006). აღსარების ჟანრი, როგორც ავტობიოგრაფიული პრაქტიკის სპეციფიკური ფორმა, განხილულია ბროიერთან (ბროიერი 2000). უნდა აღინიშნოს, რომ აღსარება როგორც ჟანრი პოპულარულია ორივე – რელიგიურ და სეკულარულ – საზოგადოებაში. მითითებულ მონოგრაფიაში აღსარების ისტორია შესწავლილია ძველი აღთქმიდან მოყოლებული, გათვალისწინებულია ავგუსტინესა და რუსოს ტექსტები, დაბოლოს გაანალიზებულია თომას მანის სხვადასხვა ტექსტი, მათ შორის *ავანტურისტ ფელიქს კრულის აღსარება*. ავტობიოგრაფიის ფორმირების ისტორია სისტემურად განხილულია ჰოლდენრიდთან (2000) და ვაგნერ-ეგელჰაფთან (2005).

მიუხედავად იმისა, რომ ავტობიოგრაფიულ პრაქტიკას ლიტერატურაში ფართო გაგებითაც სწავლობენ, მემუარებისა და მოგონებების გვერდით, ლიტერატურისმცოდნენი ცალკე გამოყოფენ ავტობიოგრაფიულ ჟანრს. თავის მხრივ, ავტობიოგრაფიულ ჟანრში განასხვავებენ ფაქტუალურ და ფიქციონალურ ავტობიოგრაფიებს (ლეჟონი 1994, ლოშნიგი 2006). წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში აღნიშნული მიჯნების გავლება მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრით, რომ ისინი შეესატყვისება ავტობიოგრაფთა იმ მენტალური პროცესების არსებობას, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური გარემოებებით არის განპირობებული.

ავტობიოგრაფიის როგორც ჟანრის ფრომირება სოციალური მოვლენაა, მისი გამოყენება ახალი ტიპის იდენტობის ძიებითაა ნაკარნახები: სეკულარული ავტობიოგრაფიის ფორმირების ეტაპად ევროპულ ლიტერატურაში მე-18-მე-19 საუკუნეები მიიჩნევა (ლოშნიგი 2006). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში არა მხოლოდ ყალიბდება სეკულარული ავტობიოგრაფია, არამედ ეს ჟანრი პოპულარული ხდება: მას ევროპულ საზოგადოებაში ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ახალი მოდელი უნდა დაემკვიდრებინა. ამასთან, ავტობიოგრაფიის აქტუალიზება იმაზეც მიანიშნებს, რომ სოციალური გამოწვევები კომპლექსური გახდა, ყოველდღიური ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების პარალელურად კოგნიტური ინსტრუმენტების (წერილობითი ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების) მოშველიება გარდაუვალი იყო. მემუარებისა და დღიურებისაგან განსხვავებით, ავტობიოგრაფიული ჟანრი პიროვნებას საშუალებას აძლევდა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი პროცესების იდენტიფიკაცია სისტემურად მოეხდინა, მეორე მხრივ კი, იდენტიფიცირებული სოციალური კონტექსტის ფონზე მას საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენა აზრობრივად უნდა გაემთლიანებინა.

მე-18 - მე-19 საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში ავტობიოგრაფია და რომანი პარალელურად ვითარდებოდა, ორივე ჟანრი ცალ-ცალკე ცდილობდა, ახალ სოციალურ ვითარებაში ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირების მოდელი შეექმნა, აღნიშნული ამოცანა, პირველ რიგში, ადამიანის პიროვნული გამოცდილების ფორმირების საფუძვლების განსაზღვრას გულისხმობდა, აკუმულირებული ცოდნის საფუძველზე ეს ორი ჟანრი ერთმანეთზე სისტემატურად ახდენდა გავლენას. რომანის ჟანრთან მჭიდრო

კომუნიკაცია იმაზე მიანიშნებს, რომ ავტობიოგრაფია სოციალურ პროცესებზე რეფლექსიის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ზემოთ საკვლევო პრობლემის დასახასიათებლად ავტობიოგრაფიული პრაქტიკის კოგნიტური საფუძვლები დაზუსტდა, მომდევნო მსჯელობით კი უნდა განიმარტოს, **ნარატოლოგიური პერსპექტივიდან** რა წარმოადგენს დაკვირვების ობიექტს.

ფაქტუალური ავტობიოგრაფიული ჟანრის ტექსტში განსახოვნებულია ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირება.<sup>6</sup> აღნიშნული პროცესის შესასწავლად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს *მთხრობელი და განმცდელი* ავტობიოგრაფების პერსპექტივათა მონაცვლეობაზე დაკვირვებას; მაგრამ ამ საკითხის კვლევას ართულებს ის გარემოება, რომ მთხრობელიცა და განმცდელი ავტობიოგრაფებიც წერის პროცესში ფორმირდება (ოლნეი 1998, იკინი 2008, ლოშნიგი 2010). ავტობიოგრაფიული ტექსტის შექმნა ავტობიოგრაფის ბიოგრაფიული მოვლენების კონსტრუირებას გულისხმობს და არა – რეკონსტრუირებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი საკუთარ განვლილ ცხოვრებას კი არ აღწერს, არამედ ცდილობს, ის აზრობრივად გაამთლიანოს. ამასთან, ავტობიოგრაფის მიერ განვლილი ცხოვრების სემანტიკური გამთლიანება ინტელექტუალური მოცალეობის შედეგი არაა, მოვლენათა გახსენებას და აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებას, როგორც უკვე აღინიშნა, მთხრობელი ავტობიოგრაფის აწმყო ჰომეოსტაზიური საჭიროებები უდევს საფუძვლად.

ავტობიოგრაფიულ ტექსტში ბიოგრაფიული ფაქტების აღწერა მთხრობელი ავტობიოგრაფის მენტალურ რუკაზე მენტალური ხატების ფორმირების პროცესს

---

<sup>6</sup> იდენტობის ფორმირების განსახოვნების ნარატიული სტრატეგიები ფაქტუალურ და ფიქციონალურ ავტობიოგრაფიებში ერთნაირია. ამ თვალსაზრისით მათ შორის ზღვრის გავლებას შეიძლება მხოლოდ ჰორისტული დანიშნულება ჰქონდეს. ასე, მაგალითად, ლოშნიგი მე-18-მე-19 საუკუნეების ფიქციონალური ავტობიოგრაფიის შესწავლისას ყურადღებას ამახვილებს, რომ ეს უკანასკნელი ფაქტუალურ ავტობიოგრაფიასთან მიმართებით ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების ალტერნატიულ დისკურსს ქმნიდა, ცდილობდა, იდენტობის მოდერნიზებული მოდელი შეექმნა; ამ მიზნით ფიქციონალური ავტობიოგრაფია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტრადიციული რომანის ჟანრის ფორმირების პროცესთანაც (ლოშნიგი 2006). ფიქციონალობის შესახებ არსებული ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ქართულად იხ. ცაგარელთან (ცაგარელი 2008).

შეესატყვისება. თითოეულ მათგანს, მთხრობელი ავტობიოგრაფის აწმყო ჰომეოსტაზიური საჭიროებიდან გამომდინარე, გარკვეული ღირებულება აქვს მინიჭებული, რომელიც მომდევნო ეპიზოდებში განმცდელი ავტობიოგრაფის მოქმედების დისპოზიციას ქმნის (სერლი 1992). მემუარებისა და დღიურებისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანია, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილებას, იდენტობის ფორმირების თვალსაზრისით, განგრძობითობა ახასიათებდეს (პალმერი 2004), ამ უკანასკნელის დიაგნოსტიკებას კი მკითხველისათვის შესაძლებელს ხდის განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციებზე დაკვირვება. განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციების მონაცვლეობა აჩვენებს, რომ ქრონოლოგიურად დალაგებული ბიოგრაფიული მოვლენების უკან განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირების რთული პროცესი დგას.

როგორია დასავლეთევროპულ ლიტერატურისმცოდნეობაში საკვლევი პრობლემის **შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა?** ავტობიოგრაფიული ჟანრის კვლევას დიდი ტრადიცია აქვს, ხოლო კოგნიტური ნარატოლოგიის პერსპექტივიდან მისი შესწავლა ბოლო, აქტუალურ საფეხურს ქმნის. მანამდე კი ორი მთავარი ეტაპი გამოიყოფა - ჰერმენევტიკული და დეკონსტრუქციული. ჰერმენევტიკული მიდგომის მიხედვით, ავტობიოგრაფიული ტექსტის შინაარსს ქმნის ავტობიოგრაფის შინაგანი სამყაროს თანდაყოლილი იდუმალი სიღრმე: ნაწერში აისახება ის, რაც ავტობიოგრაფში ყოველთვის არსებობდა (დილთაი 1927, გუსდორფი 1998). დეკონსტრუქციული მიდგომა (სმითი 1995) კი გამორიცხავს ავტობიოგრაფიული პრაქტიკისათვის რეფერენტის არსებობას, ავტობიოგრაფის იდენტობა მხოლოდ და მხოლოდ ტექსტობრივ პროდუქტად მიიჩნევა. მომიჯნავე დისციპლინებში აკუმულირებული ცოდნა აჩვენებს, რომ ორივე მიდგომა არაზუსტია: ავტობიოგრაფიული ტექსტის შექმნა ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირების პროცესს აჩვენებს (სოციალურად განპირობებულია) და აირეკლავს იმ მენტალურ პროცესებს, რომლებიც წერის მომენტში მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ხდება, ის მხოლოდ ტექსტობრივი მოვლენა არაა (იკინი 2008, ლოშნიგი 2006).

მომდევნო მსჯელობით განისაზღვრება, რა განაპირობებს ჩატარებული კვლევის აქტუალობას. არგუმენტების მოძიებისას გათვალისწინებულია როგორც ფართო სამეცნიერო კონტექსტი, ისე – ვიწრო ლიტერატურისმცოდნეობითი საჭიროებები. შესავლის ამავე ნაწილში დაკონკრეტდება, შესასწავლ საგნად რატომაა აღებული მე-19 საუკუნის ქართული ავტობიოგრაფიის ორი ტექსტი.

ნარატოლოგიური კვლევების დაგეგმვისას ანგარიშგასაწევია ის მასშტაბური ტენდენცია, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დღეისთვის ჩამოყალიბდა. ლიტერატურისმცოდნეობა სულ უფრო ინტერდისციპლინარული ხდება, აღინიშნება ისიც, რომ იგი კოგნიტური მეცნიერებების ქვედისციპლინად ყალიბდება (ჰერმანი 2013). პერსონაჟის მენტალური პროცესების კვლევა ლიტერატურის შესწავლის ერთადერთ გამართლებულ მიდგომადაც კი მიიჩნევა (პალმერი 2004, ზანშაინი 2006). დავით ჰერმანი აღნიშნავს, რომ თუ დღემდე კოგნიტური ნარატოლოგია მომიჯნავე დისციპლინების გამოცდილების მხოლოდ მომხმარებელი იყო, სამომავლოდ კოგნიტური მეცნიერებების წარმომადგენელთა შორის უნდა გაჩნდეს მოლოდინი, რომ ლიტერატურისმცოდნეობა ადამიანის ცნობიერების შესახებ ახალ ცოდნას შექმნის (ჰერმანი 2013). აღნიშნული გამოწვევა ლიტერატურისმცოდნეთ ავალდებულებს, რომ მეთოდოლოგია მაქსიმალურად ზუსტი გახადონ.<sup>7</sup> მეთოდოლოგიის განახლება, თავის მხრივ, გულისხმობს იმ ცვლადების განსაზღვრას, რომლებიც პერსონაჟის ცნობიერების (შინაგანი სამყაროს) ფუნქციონირებაშია ჩართული. ამასთან, კვლევის ჩატარებამდე განმარტებული უნდა იყოს, დადგენილი ცვლადები ერთმანეთზე როგორ ზემოქმედებს, დაზუსტებას საჭიროებს, რამდენიმე ცვლადის კორელაციის შემთხვევაში, როგორ იცვლება თითოეული მათგანის ზემოქმედების ძალა. ამგვარი საჭიროების არსებობა

---

<sup>7</sup> უკანასკნელ ხანებში დასავლეთ ევროპაში დაიგეგმა რამდენიმე კონფერენცია, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის მოდერნიზების აუცილებლობის გააზრებას ეთმობოდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგულარული, ყოველწლიური კონფერენცია Digital Humanities და ნარატოლოგთა ევროპული ასოციაციის მიერ ორგანიზებული რეგულარული კონფერენციები (ENN).

წარმოაჩენს, რომ ლიტერატურისმცოდნეობითმა კვლევებმა ინტერდისციპლინარული პროფილი უნდა შეიძინოს.

ამ დრომდე დასავლურ სამეცნიერო სივრცეში ჩატარებულია არაერთი ინტერდისციპლინური კვლევა (რიანი 1991, ფლუდერნიკი 1996, ჰერმანი 2013), თუმცა პარადიგმის ცვლილებაზე საუბარი ადრეა. ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის ფუნდამენტური განახლებისათვის საჭიროა კიდევ უფრო მეტი რელევანტური კვლევის ჩატარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კოგნიტური ნარატოლოგიის პერსპექტივიდან შესწავლილ იქნეს სხვადასხვა ტიპის ტექსტი, რათა მეთოდოლოგიის უნივერსალურობა დადასტურდეს.

წინამდებარე შესავალში უკვე აღინიშნა, რომ ავტობიოგრაფიის კვლევას ლიტერატურისმცოდნეთა შორის ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა კოგნიტური ნარატოლოგიის მეთოდოლოგიით, ორიოდე გამონაკლისი თუ არ ჩაითვლება, ის, ფაქტობრივად, არაა შესწავლილი. 2010 წელს მარტინ ლოშნიგი მიანიშნებდა კვლევის ამ დეზიდერანტზე (ლოშნიგი 2010). თუ წინამდებარე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ავტობიოგრაფიული ტექსტის გაგება კოგნიტური ნარატოლოგიის მიდგომების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, ეს კიდევ ერთი დადასტურება იქნება აღნიშნული მეთოდოლოგიის ღირებულებისა.

კოლექტიური თუ ინდივიდუალური იდენტობა კვლევის საგნად ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ჯერ კიდევ ათეული წლების წინ განისაზღვრა, ამ საქმის პიონერებად მორის ჰალბვაქსი (1967), იან და ალაიდა ასმანები (ასმანი ი. 1992, ასმანი ა. 1999) ითვლებიან. საკითხისადმი ინტერესი დიდია საქართველოშიც. რამდენიმე კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (მათ შორის, ქართული ნაციონალური/კოლექტიური იდენტობის შესახებ აღსანიშნავია მ. ჩხარტიშვილის (2009), ი. რატიანის (2010), ბ. წიფურიას (2010), ო. რაისნერის (2004), ნ. დობორჯგინიძის (2010), თ. ბოლქვაძის (2010) შრომები).

ქართულ რეალობაში იდენტობის კვლევის პოპულარიზება შეიძლება იმით აიხსნას, რომ პოსტსაბჭოთა რეალობაში, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია წარსულის ობიექტურად

გააზრება და, მეორე მხრივ, კოლექტიური თუ ინდივიდუალური იდენტობის ფუნქციონირების განსაზღვრა გარდამავალ პერიოდში მყოფ ქართულ საზოგადოებას თვითდადგინებაში უნდა დაეხმაროს.

იდენტობის კვლევისადმი ქართველ მეცნიერთა აღნიშნული ინტერესიდან გამომდინარე, რელევანტური ჩანს იდენტობის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განახლებაზე ფიქრი. კოგნიტური მეცნიერების პერსპექტივიდან, *იდენტობა და ავტობიოგრაფიული მე* სინონიმებია (ბირკე 2008, 1-8; ბერნტსენი 2012, 1). შესაბამისად, *ავტობიოგრაფიული მე* ფუნქციონირების ნარატოლოგიური საფუძვლების დაზუსტება, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კოლექტიური თუ ინდივიდუალური იდენტობის კვლევას ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

ქართული ლიტერატურის ძეგლებს შორის, განსაკუთრებით მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავტობიოგრაფიულ ტექსტებს, მოგონებებსა და დღიურებს. კლასიკოსთა უმეტესობას დაწერილი აქვს ავტობიოგრაფიული ტექსტი. ამასთან, ჩანს, რომ მათთვის ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება მნიშვნელოვანი იყო. მაგ., აკაკი წერეთელი აზუსტებს, რომ *ჩემი თავგადასავალი* მისთვის განსაკუთრებული წიგნია. დავით კლდიაშვილს დაწერილი აქვს 400-გვერდიანი ავტობიოგრაფია. ტექსტის მოცულობა აჩვენებს, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ავტორის ფუნდამენტური მოთხოვნილება იყო. ფაქტუალური ავტობიოგრაფიის გვერდით, ქართულ ლიტერატურაში ფიქციონალური ავტობიოგრაფიებიცაა შექმნილი (საკვლევი დროითი არეალის ავტორთაგან შეიძლება დასახელდეს ლავრენტი არდაზიანი და ჭოლა ლომთათიძე).

ირკვევა, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში კიდევ უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე ამას ბეჭდურად გამოცემული ავტობიოგრაფიული ტექსტები აჩვენებს: უკანასკნელ ხანებში *საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ* გამოსცა რეპრესირებულ ქალთა მოგონებები - „*დაკარგული ისტორია მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ*“, კახელი გლეხის, მიხეილ ნატროშვილის, ავტობიოგრაფიული ტექსტი - „*ჩემი თავგადასავალი*“. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება გაიოზ იმედაშვილის მიერ შეგროვებული

ავტობიოგრაფიული ტექსტები: მას ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლისათვის მიუმართავს თხოვნით, დაეწერათ თავიანთი ავტობიოგრაფიები და გაეგზავნათ მისთვის. იმედაშვილის არქივში დაცული ავტობიოგრაფიული ჩანაწერების მოცულობა შთამბეჭდავია – ასობით ტექსტს მოიცავს.<sup>8</sup>

იმის მიუხედავად, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ამასახველი არაერთი ტექსტია ქართულ კულტურაში შექმნილი, საკუთრივ ჟანრობრივი საკითხების შესწავლაზე ორიენტირებული კვლევა ამ დრომდე არაა ჩატარებული. ქართველ კლასიკოსთა ავტობიოგრაფიული ტექსტებით მეცნიერები ინტერესდებოდნენ მხოლოდ ბიოგრაფიული დეტალების შეგროვების მიზნით, ამ ტექსტებში განსახოვნებული იდენტობა მათი ყურადღების მიღმა რჩებოდა. წინამდებარე კვლევა აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრასაც ემსახურება.

მასშტაბურ დეზიდერანტებთან მიმართებით ვალიდური კვლევის ჩასატარებლად საკვლევი არეალი შეიზღუდა: მრავალრიცხოვანი საკვლევი კორპუსიდან შეირჩა მე-19 საუკუნის ორი ავტობიოგრაფიული ტექსტი. საკვლევი ეპოქის შერჩევასაც ის გარემოება იქნა გათვალისწინებული, რომ სეკულარული ავტობიოგრაფია ქართულ ლიტერატურაში მე-19 საუკუნიდან ყალიბდება. ქართულ ენაზე წინარე კვლევების არარსებობის გამო დისერტაციაში თანმიმდევრულ მიდგომად მივიჩნიე ქართული ავტობიოგრაფიის ფორმირების საწყისი ეტაპის შესწავლა. რაც შეეხება საკვლევ ტექსტებს, მათი გამოყოფის საფუძველი ამგვარია: აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიაში განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტები - განგრძობითობა, სემანტიზება - კომპლექსურადაა წარმოდგენილი, რაც ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიის ვალიდურობის საჩვენებლად მდიდარ მასალას იძლევა. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ტექსტი გენდერული ნიშნითაა შერჩეული, რაც მიზანშეწონილია კვლევის მეთოდოლოგიის უნივერსალურობის საჩვენებლად. დასკვნების მეცნიერული ღირებულებისათვის უპირატესობა მიენიჭა ტექსტების დეტალურ ანალიზს, რაც გამორიცხავდა ავტობიოგრაფიის ფორმირების დიაქრონულ ჭრილში შესწავლას.

---

<sup>8</sup> მასალა ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

კვლევის დაგეგმვისას, დამატებით, კიდევ ერთი **შეზღუდვა** იყო დაწესებული: კვლევა ავტობიოგრაფიული დისკურსის ფართო გაგებით შესწავლას არ გულისხმობდა, განსაზღვრული იყო საკუთრივ ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ჟანრობრივი მახასიათებლების დადგენა. ამდენად, მემუარები, დღიურები და მოგზაურობათა ტექსტები კვლევის ჩატარებისას საგანგებო დაკვირვების საგანს არ წარმოადგენდა.

**კვლევის მთავარ მიზანს** წარმოადგენდა, დადგენილიყო, ფაქტუალურ ავტობიოგრაფიულ ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის სემანტიკურად გამთლიანების პროცესი თანხვედბა თუ არა ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირების კოგნიტურ საფუძვლებს.

აღნიშნული **მიზნის** მისაღწევად კვლევის პირველ ეტაპზე ტექსტობრივი მონაცემების მიხედვით გამოვლინდა ყველა მენტალური პროცესი, რომლებიც ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირებაშია ჩართული. ამ **ამოცანის** განსახორციელებლად, თავის მხრივ, დასადგენი იყო, ესა თუ ის ნარატოლოგიური კატეგორია (მაგ., მთხრობლის პროტოკოლი) რამდენად ინფორმაციულია ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად.<sup>9</sup>

**მეორე ეტაპზე** დაგეგმილი კვლევის **მთავარ ამოცანას** წარმოადგენდა ტექსტის კოჰერენტული ანალიზის ჩატარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დადგინდა ის ჰომეოსტაზიური საჭიროება (მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა), რომელიც ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში თავჩენილ გამცდელი ავტობიოგრაფის მენტალურ პროცესებს, ერთი მხრივ, აერთიანებს და იმავდროულად განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების დინამიკას აჩვენებს.

---

<sup>9</sup> ჯერ კიდევ კონს ჰქონდა მთხრობლის პროტიკოლის კვლევა მნიშვნელოვან დეზიდერანტად გამოყოფილი (კონი 1978). ათეული წლების შემდეგ აღან პალმერი გამოეხმაურა ამ საჭიროებას (პალმერი 2004). პალმერის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მთხრობლის პროტოკოლი მკითხველს პერსონაჟის ცნობიერების განგრძობითობის გააზრებაში მნიშვნელოვნად ეხმარება. მთხრობლის ფუნქციის შესწავლას ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა ანსგარ ნიუნინგი (ნიუნინგი 1989), თუმცა ამ კვლევაში პროტოკოლი, როგორც ინსტრუმენტი, აქცენტირებული არ იყო. წინამდებარე კვლევის ფარგლებში კი განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებდა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნარატოლოგიური კატეგორია ავტობიოგრაფიულ ტექსტთან მიმართებით ამ დრომდე შესწავლილი არ იყო.

დეტალური კვლევის ჩატარებამდე **სამუშაო ჰიპოთეზა** ასეთი იყო: ავტობიოგრაფიული ტექსტი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირების ამსახველია; შესაბამისად, მასში ქრონოლოგიურად დალაგებული მოვლენების მიღმა აზრობრივი მთლიანობა უნდა იკითხებოდეს. ჩატარებულმა კვლევამ ჰიპოთეზის მართებულობა დაადასტურა.

კვლევისთვის საკვანძო ტერმინებს წარმოადგენს ავტობიოგრაფის *ჰომეოსტაზია* და *ჰომეოდინამიკა*. გაზიარებულია აზრი, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების დინამიკას სწორედ აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილების მოთხოვნილება ქმნის.

ჰომეოსტაზია ადამიანის *იდენტობის/ავტობიოგრაფიული მეს*<sup>10</sup> **ბალანსს**, მასში უცვლელი კომპონენტების არსებობას გულისხმობს.<sup>11</sup> ამგვარი სტაბილურობის არსებობა ადამიანს სჭირდება, რათა მან ინდივიდუალურობის, უნიკალურობის განცდა არ დაკარგოს. ამასთან, *ავტობიოგრაფიული მე* პიროვნებისათვის გადაწყვეტილებათა მიღებისას ქცევათა ოპტიმიზების საფუძველს ქმნის. რაც შეეხება ჰომეოდინამიკურ საჭიროებას, იგი ცნობიერების ის კომპონენტია, რომელიც ადამიანს ადაპტაციის საშუალებას აძლევს, ინტელექტუალური ძალისხმევის შედეგად ადამიანს შეუძლია თავისი *იდენტობის/ავტობიოგრაფიული მეს* რუკაზე დატანილ მენტალურ ხატებს (დამასიო 2000), მოგონებებს ღირებულებითი იარლიყები შეუცვალოს, **განახლოს** ისინი,

---

<sup>10</sup> *იდენტობა და ავტობიოგრაფიული მე* გაიგივებულია ბირკეს მიერ (ბირკე 2008) ამ ორი ცნების მჭიდრო კავშირზე მიუთითებენ კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები: Autobiographical memory is therefore crucial for a sense of identity, continuity, and direction in ავტობიოგრაფიულ მეხსიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკუთარი იდენტობის შეგრძნებაში, გამოცდილების განგრძობითობის განცდისათვის და ცხოვრებაში საორიენტაციოდ (ბერნტსენი 2012, 1).

<sup>11</sup> წინამდებარე სადიერტაციო კვლევით შესწავლილ ტექსტებში, მაგ., აკაკი წერეთლის “ჩემს თავგადასავალში”, განმცდელი ავტობიოგრაფის უცვლელ კატეგორიებს ქმნის *სამშობლოს სიყვარული* და *იმერლობა*. განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის (ავტობიოგრაფის) ყველა დანარჩენი შემადგენელი კომპონენტი, რომლებიც მისი იდენტობის რუკაზე ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ჩნდება, ექვემდებარება ჰომეოდინამიკურ საჭიროებებს, ანუ ექვემდებარება **განახლებას**.

რათა მათი გააქტიურება აქტუალურ სოციალურ კონტექსტში ადეკვატურად ორიენტირების საშუალებას აღლევდეს.<sup>12</sup>

სადისერტაციო ნაშრომის **პირველი თავით** წარმოდგენილია ავტობიოგრაფიული ჟანრის კვლევის ისტორია. ამ თავის წერისას დაიშვა ერთი შეზღუდვა: დასავლურ სამეცნიერო სივრცეში ავტობიოგრაფიის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა თითოეული მათგანი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობის არ ყოფილა. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას გათვალისწინებულია მხოლოდ ფუნდამენტური კვლევები, რათა მკითხველმა ავტობიოგრაფიის კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების დინამიკა მარტივად წარმოიდგინოს. აღნიშნულ თავში, ავტობიოგრაფიული კვლევების გარდა, განხილულია ის სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც, ზოგადად, ლიტერატურაში პერსონაჟის ცნობიერების განსახოვნების ნარატოლოგიურ საფუძვლებს აზუსტებს. სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის ბოლოს დაზუსტებულია, როგორ შეიძლება ამ კვლევების შედეგების გამოყენება ავტობიოგრაფიის შესასწავლად.

**მეორე თავი** აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ ანალიზს ეთმობა. ტექსტში გამოყოფილია განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების ოთხი ეტაპი, ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების დინამიკის ვიზუალიზებისათვის მსეჯლობაში ჩართულია მცირე კოგნიტური სქემები და დიაგრამები. დისერტაციის **მომდევნო ნაწილი** მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიული ტექსტის ანალიზს წარმოადგენს. შესწავლილია განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიციის ფომირება, გამოვლენილია განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური გამოცდილების ფორმირების ეტაპები

---

<sup>12</sup> „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით, სავანიდან სასახლეში გადმოსული განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური რეგულატორი განგაშის სიგნალით რეაგირებდა იმ მოვლენებზე, რომლებიც განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებას საფრთხეს არ უქმნიდა; პირიქით, ხელსაყრელიც კი იყო. ეს ფაქტი მინიშნებდა, რომ იდენტობის ის მოდელი (იდენტობის რუკაზე დატანილი მოგონებების ღირებულებითი იარლიყები), რომელიც მას ჰქონდა, არაადეკვატური იყო, იმ გარემოში საორიენტაციოდ არ გამოდგებოდა, რომელშიც განმცდელი ავტობიოგრაფი აღმოჩნდა. სწორედ ასეთი კრიზისიდან თავის დასაღწევად აქვს ადამიანის ცნობიერებას ჰომეოდინამიკა მინიჭებული.

და შესწავლილია განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა მონაცვლეობის კანონზომიერება.

# I თავი. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა - თეორიული საფუძვლები

## 1.1. ავტობიოგრაფიის თეორიის ფორმირების პირველი ეტაპი

ავტობიოგრაფიის თეორიის ფორმირების პირველი ეტაპი მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო და მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში შემუშავებულ კონცეფციებში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭებოდა ავტობიოგრაფიული ტექსტების რეფერენციულობას – მიიჩნეოდა, რომ ავტობიოგრაფიული ტექსტი ისტორიული პიროვნების ავტენტურ რეპროდუქციას წარმოადგენს. ავტობიოგრაფიის პირველი თეორიის ჩამოყალიბება ვილჰელმ დილთაის სახელს უკავშირდება. იგი *სიცოცხლის ფილოსოფიის სკოლის* წარმომადგენელი იყო. დილთაის ავტობიოგრაფიული ტექსტები ფილოსოფიური თვალსაზრისით აინტერესებდა. დილთაისა და მისი ჰერმენევტიკული კონცეფციის<sup>13</sup> გამზიარებელი მკვლევრებისათვის (მიში 1949, გუსდორფი 1998) ავტობიოგრაფია ისტორიოგრაფიის სუბიექტურ ვარიანტს წარმოადგენდა. ჰერმენევტიკული კონცეფციის შესამუშავებლად ავტობიოგრაფიული ტექსტები ოპტიმალურ ინფორმაციას იძლეოდა: მასში ავტობიოგრაფის ცხოვრების წარსული ფაქტებია აღწერილი; ამასთან, ავტობიოგრაფიული ტექსტი *ჰერმენევტიკული წრის* არსებობას ადასტურებს.

ავტობიოგრაფიულ ტექსტებში წარსული ფაქტების აღწერა შემდეგი გარემოების გამო იყო მნიშვნელოვანი: ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიაში საკვანძო სიტყვებს წარმოადგენდა *შემეცნება, აზრი, მნიშვნელობა, კოჰერენტულობა*. აღნიშნული კატეგორიები ისტორიული მოვლენების იმანენტურ ნაწილად მიიჩნეოდა, მოვლენათა ინტერპრეტაცია ისტორიული მოვლენის მნიშვნელობის ინტუიციურ ამოკითხვას გულისხმობდა. აღნიშნულ კონცეფციასთან არათავსებადი იყო იმის წარმოდგენა, რომ

---

<sup>13</sup> ტერმინ *ჰერმენევტიკის* მნიშვნელობის დასაზუსტებლად და ჰერმენევტიკის როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების მეთოდოლოგიური საფუძვლის ფორმირების ისტორიის გასათვალისწინებლად იხ. რატიანი (2006).

ბიოგრაფიულ მოვლენებს შორის აზრობრივი კავშირი ინტერპრეტაციის პროცესში ყალიბდება. ავტობიოგრაფიის ჰერმენევტიკული კონცეპტის მიხედვით, ავტობიოგრაფის განვლილ ცხოვრებას აზრობრივი მთლიანობა ახასიათებს ტექსტისაგან დამოუკიდებლად.

ჰერმენევტიკულ კონცეფციას არაპრაგმატული საფუძვლები ჰქონდა; შესაბამისად, მის ფუნდამენტურ განმარტებებს ავტობიოგრაფიული პრაქტიკის არაერთი მახასიათებელი ეწინააღმდეგებოდა. ამას თავად ჰერმენევტიკული კონცეპტის ავტორებიც ხვდებოდნენ. დილთაის რიგ განმარტებებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ მას მეხსიერების ნაკლოვანება გააზრებული ჰქონდა. იგი ფიქრობდა, რომ დროთა განმავლობაში ადამიანს ისევე უხუნდება ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ხსოვნა, როგორც მხედველობის არეალიდან შორს მყოფი საგნები უჩინარდება ხოლმე (შდრ. დილთაი 1927). აღნიშნულის მიუხედავად, მას *გახსენების* აქტთან დაკავშირებით მაინც იდეალისტური წარმოდგენა ჰქონდა. დილთაი მიიჩნევდა, რომ წარსული მოვლენების გახსენებისას ადამიანი პასიურია და არ მიმართავს მოვლენათა ინტერპრეტაციას<sup>14</sup>: ავტობიოგრაფიული პრაქტიკის გააზრებისას ფუნდამენტურ შეცდომას წარმოადგენდა ის, რომ იდენტობის ფორმირებაში ნარაციის როლი არ იყო გათვალისწინებული.

## **1.2. ავტობიოგრაფიის თეორიის ფორმირების მე-2 ეტაპი**

კოგნიტური მეცნიერებების თანამედროვე პერსპექტივიდან ავტობიოგრაფიის ჰერმენევტიკული კონცეპტი პიროვნულობის მიამიტურ გაგებას ეფუძნება. იდენტობის

---

<sup>14</sup> მეხსიერების თანამედროვე მკვლევრების მიხედვით, გახსენების აქტი არასაიმედოა. გახსენება ნებისმიერ შემთხვევაში მოვლენათა კონსტრუირებას გულისხმობს, გახსენებისას არასდროს არ ხდება მოვლენათა დუბლირება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. შაქტერი (2002), რუბინის რედაქტორობით გამოსული კრებულიდან ვეტცლერისა და სვინის სტატიები (1986), ლინტონი (1986) გახსენების კონსტრუქციულ ბუნებას პირველად ყურადღება მიაქცია ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა, ბართლემემა (1932).

ფენომენის ჰერმენევტიკული გააზრება აბსოლუტურად არათავსებადია იმ დასკვნებთან, რომლებიც დღეს ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირების შესახებ კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და კოგნიტურ ნეირომეცნიერებას აქვს - არ შეიძლება პიროვნების იდენტობა უცვლელი იყოს წლების განმავლობაში, ასევე უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ ავტობიოგრაფის იდენტობა ბიოგრაფიული მოვლენების ნაწილია (იკინი 2008). კოგნიტური მეცნიერებებისა და ავტობიოგრაფიული ჟანრის კვლევის ერთმანეთთან დაკავშირებამდე, რომელიც ავტობიოგრაფიის თეორიის ბოლო წერტილს ქმნის, გამოიყოფა კიდევ ერთი საფეხური - ავტობიოგრაფიის დეკონსტრუქციული თეორიის ფორმირება.

დეკონსტრუქციული თეორიის შემუშავებამ ავტობიოგრაფიული ჟანრის კვლევის ახალი ეტაპი შექმნა, მისი წარმომადგენელნი პიროვნების ცნების გააზრებისას ჰერმენევტიკულ მოსაზრებებთან მიმართებით მეორე უკიდურეს პოზიციას იკავებდნენ - ისინი პიროვნულობის ცნებას უგულვებელყოფდნენ.

ავტობიოგრაფიის დეკონსტრუქციული თეორიის ფორმირებას საფუძველი მოუშადა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში 60-იანი წლებიდან განხორციელებულმა ე.წ. ლინგვისტურმა გარდატეხამ. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ენა არსებულ რეალობას კი არ აფიქსირებს, არამედ თავად ქმნის მას; შესაბამისად, ყურადღების ცენტრში მოექცა თავად ენობრივი ქმნადობის პროცესი. ლინგვისტიკაში თავჩენილმა პროცესმა ლიტერატურისმცოდნეობაზეც იქონია გავლენა, გაჩნდა ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ახლებურად გააზრების აუცილებლობაც.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ ავტობიოგრაფიის თეორიის განვითარება ვიწრო ლიტერატურისმცოდნეობით ინტერესთან არასდროს ყოფილა დაკავშირებული. იმთავითვე იგი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მიმდინარე მნიშვნელოვან ძვრებს აირეკლავდა: ჰერმენევტიკისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, ფილოსოფიური შეხედულებების საილუსტრაციოდ ოპტიმალურ ინფორმაციას იძლეოდა; დეკონსტრუქციის ფარგლებში კი, მაგალითად, დერიდასთვის, ავტობიოგრაფიულ პრაქტიკაზე ფიქრი სუბიექტურობის ცნების გააზრების საშუალებას წარმოადგენდა. წინარე ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ტრადიციასთან მიმართებით დერიდას შეხედულებათა ფორმირების ეტაპები საფუძვლიანად

ავტობიოგრაფიის თეორიის ფორმირების თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობის იყო ბარტის ნაშრომი - „ავტორის სიკვდილი“ (2000). მის მიერ ავტორის ფენომენის დეკონსტრუქციულმა გააზრებამ ავტომატურად ავტობიოგრაფიის თეორიული საფუძვლებიც შეცვალა. ლინგვისტური თვალსაზრისით, ბარტისათვის არსებობდა „სუბიექტი“, „პიროვნება“ კი აზრს მოკლებული იყო.<sup>16</sup> ავტორის პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ პერფორმანსული აქტის შედეგად ყალიბდება. თავის მხრივ, აღნიშნული პერფორმანსის გასახორციელებლად ავტორს ევალება „მრავალგანზომილებიანი“ სივრცის შექმნა, რომელიც ციტატების ქსოვილს ჰგავს და წერის სხვადასხვა სახეობისაგან შედგება (ხარბედია 2006, 151).

პოლ დე მანი ნაშრომში „ავტობიოგრაფია როგორც ნიღბებით თამაში“ (1984) შეეცადა, ეჩვენებინა, რომ ავტობიოგრაფია და გამონაგონი ერთმანეთისაგან განუყოფელია. მისი აზრით, ავტობიოგრაფიულ ტექსტს არ მოეპოვება რეფერენციის ობიექტი, იგი მხოლოდ რეფერენციის ილუზიას ქმნის. რეფერენციულობის შთაბეჭდილებას, როგორც წესი, პარატექსტური ინფორმაცია ტოვებს. კონვენციური აზრის თანახმად, მიიჩნეოდა, რომ ავტობიოგრაფიული ტექსტი ავტობიოგრაფის ცხოვრების სისავსისაგან იქმნება (წერის დაწყებამდე ავტობიოგრაფის პიროვნების არსებობას მოიაზრებს). პოლ დე მანი ამ თვალსაზრისს დაუპირისპირდა. იგი აღნიშნავდა, რომ ავტობიოგრაფის პიროვნული ისტორია სწორედ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის შედეგად იქმნება:

Wir nehmen an, das Leben würde die Autobiographie **hervorbringen** wie eine Handlung ihre Folgen, aber können wir nicht mit gleicher Berechtigung davon ausgehen, das autobiographische Vorhaben würde seinerseits das Leben hervorbringen und bestimmen? Wird nicht alles, was der Autor einer Autobiographie **tut**, lezlich von den technischen Anforderungen der “Selberlebensbeschreibung” beherrscht und daher in jeder Hinsicht von den Möglichkeiten seines Medium bestimmt?

---

წარმოდგენილია სმიტთან (1995.) ავტობიოგრაფიის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიაც კოგნიტურ მეცნიერებებთანაა დაკავშირებული.

<sup>16</sup> დეკონსტრუქციული თეორიის ანალიზის შესახებ ქართულად ინფორმაცია იხ. ხარბედია (2006)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტობიოგრაფია ადამიანის განვლილი ცხოვრების ნაყოფია, ისევე როგორც ყოველ ქმედებას შედეგი მოჰყვება, მაგრამ იმავე პრინციპით განა არ შეგვიძლია, ამგვარი აზრიც დავუშვათ: ავტობიოგრაფიული ჩანაფიქრი ადამიანის განვლილ ცხოვრებას შინაარსს უცვლის? ყველაფერი, რასაც ავტობიოგრაფი აკეთებს, განა წერის ტექნიკურ პარამეტრებს არ ექვემდებარება და ამდენად განა ავტობიოგრაფიის შინაარსი მედიის შესაძლებლობებით არაა განსაზღვრული? (დე მანი 19, 132-133).

დე მანი ავტობიოგრაფიის ფიქციონალურობასთან დაკავშირებით წარმართულ დისკუსიას სასარგებლოდ მიიჩნევდა, თუმცა ავტობიოგრაფიის ჟანრობრივი საზღვრების დადგენა მისთვის არარელევანტური იყო. მისი აზრით, ავტობიოგრაფიული პრაქტიკა შეიძლება ნებისმიერ ტექსტში იყოს მოცემული: „Autobiographie ist damit keine Gattung oder Textorte, sondern eine Lese- oder Verstehenfigur, die in gewissem Maße in allen texten auftritt.“ „ავტობიოგრაფია ჟანრი არაა, ის კითხვისა და გაგების ფიგურაა, რომელიც ნებისმიერ ტექსტში შეიძლება შეგხვდეს“ (იქვე, 134).

ავტობიოგრაფიული პრაქტიკის (წერის) პერფორმანსულობას იზიარებდა დერიდაც. ლეჟონისაგან განსხვავებით, იგი ფიქრობდა, რომ ავტობიოგრაფიული კონტრაქტი იდება არა ავტორსა და მკითხველს შორის, არამედ მსგავს შეთანხმებას ავტორი საკუთარ თავთან აფორმებს; თანაც, მისი აზრით, ამ შეთანხმებას პერიოდული რატიფიცირება სჭირდება<sup>17</sup>. ავტობიოგრაფიასთან მიმართებით ძირითადი შეხედულებები დერიდამ ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში „ავტობიოგრაფიები“. ოტო ბერძნული წარმომავლობისაა და ყურს აღნიშნავს. ამგვარი ტერმინოლოგიური ცვლილების საფუძველზე დერიდა მიანიშნებდა, რომ ავტობიოგრაფიულ პრაქტიკაში მნიშვნელოვანია თავად პროცესი, რომლის ფარგლებშიც ავტობიოგრაფი საკუთარ თავს საკუთარ ისტორიას უყვება და იდენტობას სისტემატურად აახლებს. ავტობიოგრაფიული პრაქტიკისას ავტობიოგრაფი

---

<sup>17</sup> ლეჟონის მიერ ფაქტუალური და ფიქციონალური ავტობიოგრაფიების ერთმანეთისაგან გასამიჯნად შემუშავებული კრიტერიუმი სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა (ლეჟონი 1995).

თავის თავს უსმენს; ამდენად, ეს პროცესი უნდა განისაზღვროს, როგორც ოტობიოგრაფია და არა - ავტობიოგრაფია.<sup>18</sup>

### *1.3. ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია*

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ახლებური გააზრება. აღნიშნულ პროცესს ბიძგი მისცა პოლ რიკიორის ფენომენოლოგიურმა ჰერმენევტიკამ და კოგნიტური ნარატოლოგიის განვითარებამ. გარდა ამისა, მომიჯნავე დისციპლინების ფარგლებში დაგროვებული ცოდნის გათვალისწინებით (ნეირობიოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, ფილოსოფია) აშკარა გახდა, რომ პიროვნების დეკონსტრუქციული თეორია არასწორი იყო. ავტობიოგრაფიის ახალი თეორიის ფუძემდებლებად ითვლებიან პოლ იკინი და ჯეიმს ოლნეი. კოგნიტური ნარატოლოგიისა და ავტობიოგრაფიის ახალი თეორიის სინთეზი კი მარტინ ლოშნიგის სახელს უკავშირდება.<sup>19</sup>

პოლ იკინი წიგნში „*ცხოვრება ავტობიოგრაფიულად*“ (2008) ავტობიოგრაფიის თეორიისათვის ფუნდამენტურ საკითხებს ნეირობიოლოგიის ცოდნის გათვალისწინებით აყალიბებს. მთავარი განსახილველი საკითხებია პიროვნების/ცნობიერების ფენომენი და იდენტობის ფორმირებაში ნარაციის როლი. იკინისათვის ავტობიოგრაფიული ტექსტის რეფერენტად გვევლინება ავტობიოგრაფის პიროვნება (განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები); მისი აზრით,

---

<sup>18</sup> ავტობიოგრაფიის დერიდასეული გააზრება დეტალურად იხ. სმითთან (1995).

<sup>19</sup> იკინს ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებით ოთხი მონოგრაფია აქვს დაწერილი (1985, 1992, 1999, , 2008). მათგან უკანასკნელი წინარე ნაშრომების ევალუაციას წარმოადგენს. მეთოდოლოგიური საფუძვლები ინტერდისციპლინური კვლევების მიხედვითაა განახლებული, ამიტომ წინამდებარე დისერტაციაში მეცნიერის შეხედულებები სწორედ უკანასკნელ მონოგრაფიაზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი.

პიროვნება ენობრივი პროდუქტი არაა. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველს მას ნეირომეცნიერ ანტონიო დამასიოს კვლევის შედეგები აძლევს (დამასიო 2000). თავად იკინის შეხედულებებმა ავტობიოგრაფიულ ტექსტთან დაკავშირებით ევალუაცია განიცადა; მეთოდოლოგიური საფუძვლების განახლებას ბიძგი მომიჯნავე დისციპლინებში (კოგნიტურ მეცნიერებებში) დაგროვებულმა ცოდნამ მისცა.

მომდევნო მსჯელობით მოკლედ განიმარტება, ერთი მხრივ, ავტობიოგრაფის წინარე თეორიებს რა თვალსაზრისით გაემიჯნა იკინი და, მეორე მხრივ, ნაჩვენები იქნება, კოგნიტური მეცნიერებების გამოცდილების გათვალისწინებამ რა მეთოდოლოგიური ლაფსუსებისაგან დააზღვია იგი.

იკინმა ავტობიოგრაფიულ თეორიაზე მუშაობა ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე მისი საანალიზო მონოგრაფია *ავტობიოგრაფიულად ცხოვრება* (2008) გამოიცემოდა. მანამდე შექმნილ ნაშრომში *ფიქცია ავტობიოგრაფიაში* (1985) იგი მიიჩნევდა, რომ ფიქცია (გამონაგონი) ავტობიოგრაფიული პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია: „the self that is the center of all autobiographical narrative is necessarily a fictive structure,“ „მეს, რომელიც ნებისმიერი ავტობიოგრაფიული ნარატივის ბირთვს წარმოადგენს, აუცილებლად ფიქციური სტრუქტურა აქვს“ (იკინი 1985,3).

მიუხედავად იმისა, რომ იკინი ფიქციის, როგორც ინსტრუმენტის, გამოყენებას ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირებისათვის აუცილებლად თვლიდა, იგი ჯერ კიდევ ამ ეტაპზე ემიჯნებოდა პოსტსტრუქტურალისტურ შეხედულებებს: იკინი არ ფიქრობდა, რომ ავტობიოგრაფი ფიქტიურ პიროვნებას ქმნის. მისთვის ფაქტუალურ და ფიქციონალურ ავტობიოგრაფიებს შორის ზღვარი მხოლოდ იმის გამო იშლებოდა, რომ ავტობიოგრაფი საკუთარი ცხოვრების რეტროსპექტული გააზრებისას იმავე ნარატიულ სტრატეგიებს იყენებს, რომლებიც, ზოგადად, მხატვრული ლიტერატურისათვის არის დამახასიათებელი. იკინი თვლიდა, რომ ავტობიოგრაფიულ ნარატივს რეფერენტი ყავს. იკინის მიერ იდენტობის ფორმირების ახლებურმა გააზრებამ ავტობიოგრაფიის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ორიენტირი შექმნა, თუმცა ნეირობიოლოგიის

თანამედროვე გადასახედიდან გარკვეულ უზუსტობებს შეიცავდა, რაც თავად იკინისათვის მოგვიანებით გახდა ცხადი.

თავდაპირველად იკინი მიიჩნევდა, რომ პიროვნების (იდენტობის) ფორმირება, არსებითად, ენობრივი მოვლენაა: „My own earliest view of self was [...] language centered“ „მეს გააზრებისას ადრე ენაზე ვიყავი ორიენტირებული [...]“ (2008, 65). მსგავსი თეორიული პოსტულატი ავტობიოგრაფიული ტექსტების ადეკვატური ანალიზის საშუალებას არ იძლევა<sup>20</sup>. იკინმა საკუთარი ავტობიოგრაფიული თეორია განავითარა უკანასკნელი კვლევის შედეგად (2008). ანტონიო დამასიოს ნაშრომზე დაყრდნობით, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ იდენტობის<sup>21</sup> ფორმირებაში აპრიორი ენა არ არის ჩართული, იდენტობის ფუნქციონირებას დიდწილად ბიოლოგიური საფუძვლები აქვს, კერძოდ, ამ პროცესში ადამიანის ტვინი და სხეული მონაწილეობს:<sup>22</sup> “In the light of research in developmental psychology and neurobiology, however, I now see good reasons to pursue the origins of self before and beneath language [...] self is plural, and that some modes of self-

---

<sup>20</sup> ცნობიერების ფუნქციონირების უმეტესი ნაწილი არავერბალურად წარიმართება (აქვე გასათვალისწინებელია, რომ ავტობიოგრაფიული მე/იდენტობა ცნობიერების უმთავრესი კომპონენტია), შესაბამისად, მის შესახებ ადეკვატური წარმოდგენის შექმნა წარმოუდგენელია, თუ მკვლევარი მხოლოდ პერსონაჟის ვერბალიზებული ფიქრის პროცესს დააკვირდება.

<sup>21</sup> ის, რასაც იკინი ტერმინით *პიროვნება* (self) მოიაზრებს, იდენტობის სინონიმია. თავის მხრივ, ანტონიო დამასიო მას ავტობიოგრაფიულ მეს უწოდებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, კულტუროლოგიურ კვლევებში გამოყენებული ტერმინი *იდენტობა* სინონიმია ტერმინისა *ავტობიოგრაფიული მე*. შესაბამისად, ავტობიოგრაფიული პრაქტიკის შესასწავლად შემუშავებული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენება შესაძლებელია პერსონაჟთა იდენტობის, მათ შორის, ტრავმული ცნობიერების, შესასწავლადაც. მხატვრულ ლიტერატურაში განსახილველი მეხსიერების შესახებ იხ. შემდეგი ნაშრომები: ნოიმანი 2005, ბირკე 2008, ნალბანტიანი 2003, 2010.

<sup>22</sup> ეკონომიის მიზნით, ანტონიო დამასიოს მოსაზრებებს იკინის ავტობიოგრაფიული თეორიის კონტექსტში განვიხილავთ, დამასიოს ნაშრომი დამოწმებული იქნება როგორც იკინის არგუმენტები. შესაბამისად, ციტატებიც წარმოდგენილი იქნება იკინის ნაშრომიდან. მიუხედავად იმისა, რომ დამასიოს ნაშრომებმა წინამდებარე დისერტაციის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებაზე დიდი გავლენა იქონია, ვფიქრობ, მათი დეტალური ანალიზი ლიტერატურის მიმოხილვის ფოკუსს დაარღვევს, ამიტომ მის ანალიზზე შეგნებულადაა უარი ნათქვამი.

experience are prelinguistic.” “განვითარების ფსიქოლოგიისა და ნეირობიოლოგიის პერსპექტივიდან საფუძვლიანი მგონია ის, რომ მეს ფორმირება არაენობრივ მოვლენად მივიჩნით [...] მე მრავლწახნაგოვანია და მეს გაცნობიერების ზოგიერთი ფორმა პრელინგვისტურია” (Eakin 2008, 66).

იკინს თავისი პოზიციის გასამყარებლად იქვე მოჰყავს ციტატა ანტონიო დამასიოს ნაშრომიდან:

If language operates for the self and for consciousness in the same way that it operates for everything else, that is, by symbolizing in words and sentences what exists first in a nonverbal knowing for which the word “I” or “me” or the phrase “I know” are the appropriate translations... The idea that self and consciousness would emerge after language, and would be a direct construction of language, is not likely to be correct.

სიტყვები და წინადადებები სიმბოლურად აღნიშნავს იმას, რაც მანამდე არავერბალური ცოდნის სახით არსებობდა. თუ ენა მესა და ცნობიერებასთან მიმართებითაც ასევე ფუნქციონირებს, მაშინ „მე“ ან ფრაზა „მე ვიცი“ მათ ადეკვატურ თავმანს წარმოადგენს ... აზრი იმის შესახებ, რომ მე და ცნობიერება ენობრივი კონტრუქტებია, არასწორია (იკინი 2008, 67).

დამასიოს დამოწმებულ მოსაზრებების გათვალისწინებით, იკინი მიიჩნევს, რომ ბარტი და მასთან ერთად მთლიანად დეკონსტრუქტივისტთა შეხედულებები მცდარი იყო, კერძოდ, ნეირობიოლოგიის ცოდნის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ პიროვნებას ბიოლოგიური რეფერენტი ჰყავს, ბარტი კი ამის საპირისპიროდ წერდა: „in the field of the subject there is no referent“. „სუბიექტს რეფერენტი არ ჰყავს” (იკინი 2008, 65).

ადამიანის ტვინში პიროვნულობის განცდის ფორმირება არ ნიშნავს, რომ წერის პროცესში ავტობიოგრაფს საკუთარი იდენტობა უკვე ჩამოყალიბებული აქვს, რომელიც შემდეგ ტექსტში გადააქვს. აღნიშნული წინააღმდეგობის მოსახსნელად იკინი ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირების ბიოლოგიურ საფუძველებს კიდევ უფრო სიღრმისეულად აანალიზებს. ცნობიერების ფუნქციონირების ბიოლოგიური საფუძველების გათვალისწინება გასაგებს ხდის, რატომ მიმართავენ ადამიანები წერილობით ავტობიოგრაფიულ პრაქტიკას: ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წერილობით ვარიანტზე საგანგებოდ ფიქრის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ ადამიანი ავტობიოგრაფიულ

პრაქტიკას ყოველდღიურად ეწევა, ამის გარეშე ის დაიღუპება, ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ადამიანისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა<sup>23</sup>, თუმცა დასადგენია, ყოველდღიური პრაქტიკის პარალელურად, რატომ სჭირდება მას საკუთარი ჰომეოსტაზიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად განსაკუთრებული ინტელექტუალური ძალისხმევის გამოვლენა - წერილობითი ავტობიოგრაფიის შექმნა. ავტობიოგრაფიული თეორიის შემუშავებისას უნდა დაზუსტდეს, რა სხვაობაა ავტობიოგრაფიული პრაქტიკის აღნიშნულ ორ ვარიანტს შორის.

ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ორივე სახეობა - ყოველდღიური და წერილობითი - ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: ეს მენტალური პროცესები ადამიანს გადარჩენაში, საკუთარი სიცოცხლის რეგულაციაში<sup>24</sup> უნდა დაეხმაროს, ანუ მისი ჰომეოსტაზიური და ჰომეოდინამიკური საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გადარჩენა, ამ შემთხვევაში, ფართო მნიშვნელობით გამოიყენება: იგი პიროვნების ისეთ მიზნებსაც კი მოიცავს, როგორებიცაა კარიერის გაკეთება, ახლობელთა ნდობის მოპოვება, სოციუმში ადაპტაცია და ა.შ. სწორედ იმის გამო, რომ ადამიანის ჰომეოსტაზიური და ჰომეოდინამიკური საჭიროების უმეტესობა სოციუმს უკავშირდება, წერილობითი ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების საჭიროება ჩნდება. ყოველდღიურ ავტობიოგრაფიულ პრაქტიკასთან შედარებით, წერილობითი ვარიანტი ავტობიოგრაფისათვის საკუთარი იდენტობის მოდერნიზების/ოპტიმიზების მეტ ინტელექტუალურ შესაძლებლობას ქმნის. იკინი დამასიოს ნაშრომების ანალიზისას ყურადღებას აქცევს იმას, რომ მათში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტერმინ ჰომეოსტაზიას. ეს ის მექანიზმია, რომელიც ადამიანს ევოლუციური საჭიროებებიდან გამომდინარე, გადარჩენის საშუალებას აძლევს. ჰომეოსტაზიური მექანიზმის ნაწილად განიხილავს დამასიო ცნობიერებასაც. თავის მხრივ, მისი აზრით, ცნობიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პიროვნულობის განცდა (self), რომლის მესამე საფეხური ავტობიოგრაფიული მე (autobiographical self), ადამიანს ყველა დანარჩენი ქმნილებისაგან განასხვავებს. მისი

---

<sup>23</sup> ფუნდამენტურია ყველა ის მენტალური პროცესი, რომლებიც ცხოვრების რეგულაციისათვის, ჰომეოსტაზიისათვის აუცილებელია.

<sup>24</sup> ტერმინები: ჰომეოსტაზია და ჰომეოდინამიკა ეკუთვნის ანტონიო დამასიოს.

დანიშნულება, წინა სამისაგან განსხვავებით (protoself and coreself), სოციალური ადაპტაციაა. რადგან იდენტობა ჰომეოსტაზიური მექანიზმის ნაწილია, მის ფუნქციონირებას დამასიო ფუნდამენტურად მიიჩნევს, მის გარეშე ადამიანი დაილუპება. დამასიო ავტობიოგრაფიული მეს (იდენტობის) ფუნქციონირებას ბიოლოგიურ საფუძვლებს უძებნის. მისი აზრით, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება მეცნიერთაგან უყურადღებოდ დატოვებულ ემოციის ფაქტორს<sup>25</sup>. ემოციები ის სიგნალებია, რომლებიც ტვინს ატყობინებს, როგორ მდგომარეობაშია სხეული. დამასიოს აზრით, ნებისმიერ არსებას და არა მხოლოდ ადამიანს, აქვს სამოქმედო პროგრამები, რომელთა მიხედვით *მიღებული ემოციური სიგნალის პასუხად დაუფიქრებლად, მექანიკურად შეუძლია* იმოქმედოს. ადამიანს თანდაყოლილი სამოქმედო პროგრამების განახლების, მოდერნიზების საშუალება აქვს, აღნიშნული პროცესის პლათფორმას კი ტვინის სტრუქტურა წარმოადგენს. ადამიანის ტვინი ქმნის ნეიროხატების რუკას, რომელიც ადამიანის თავს გადამხდარ მოვლენებზე რეაგირების ოპტიმიზებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ხატების გამოყენებით ადამიანს, ყველა სხვა არსებისაგან განსხვავებით, განუზომლად დიდი ცნობის (იდენტიფიკაციის) რესურსი აქვს. ადამიანი საკუთარი იდენტობის მონიტორინგს სისტემატურად ახორციელებს, განახლების პარალელურად მასში იდენტობის ბირთვის უცვლელს ტოვებს, ამ თვალსაზრისით დამასიო ჰომეოსტაზიის გვერდით ჰომეოდინამიკასაც იყენებს. იდენტობის ბიოლოგიური საფუძვლების გააზრება ადასტურებს, რომ *ავტობიოგრაფიული მეს* ფუნქციონირებაში ერთდროულად სამი დრო მონაწილეობს: წარსული, აწმყო და მომავალი:

We could say that autobiography's tracking of identity states across time serves a homeostatic goals. In this sense, the adaptive purpose of selfnarrative, whether neurobiological or literary, would be the maintenance of stability in the human individual through the creation of a sense of identity. As self-naration maps and monitors the succession of body or identity states, it engenders "the notion of a bounded, single individual that changes ever so gently across time but, somehow, seems to stay the same." [...] this homeostatic, regulatory perspective can sensitize us to the fact that autobiographical memory and autobiographical

---

<sup>25</sup> შემეცნების (კოგნიციის), ემოციისა და ცნობიერების ფუნქციონირების თავისებურება ლიტერატურულ ტექსტებში შესწავლილია პალმერთან (2004), ჰერმანთან (2007 a) და ჰოგანთან (2003).

narrative are oriented to the future. Thinking about autobiography as an expression of homeostatic regulatory activity has given me new sense of the interplay between past, present, and future in the autobiographical act.

შეიძლება ითქვას, ავტობიოგრაფიული პრაქტიკისას იდენტობის სტატუსის დროითი მონიტორინგი ჰომეოსტაზიურ მიზნებს ემსახურება. ამ თვალსაზრისით, ავტობიოგრაფიული ნარატივის ადაპტაციურ მიზანს წარმოადგენს, იდენტობის განცდის ფორმირებით ადამიანურ ინდივიდში სტაბილურობის გარანტია შექმნას. რამდენადაც ავტობიოგრაფიული ნარაცია სხეულისა და იდენტობის მდგომარეობათა დინამიკის კარტოგრაფირებასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს, ადამიანი უნდა მოვიზიაროთ ინდივიდად, რომელიც დროთა განმავლობაში მსუბუქად იცვლება, თუმცა, როგორც, იდენტური რჩება.“ [...] საკითხის ჰომეოსტაზური და რეგულატორული პერსპექტივიდან გააზრება ცხადს ხდის, რომ ავტობიოგრაფიული მეხსიერება და ავტობიოგრაფიული ნარაცია მომავალზეა ორიენტირებული. ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ჰომეოსტაზიური რეგულატორის მოქმედების გამოვლინებად მიჩნევა საფუძველს იძლევა ავტობიოგრაფიულ აქტში ახლებურად იქნას გააზრებული წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთმიმართება (იკინი 2008, 155).

დამოწმებული ციტატა აჩვენებს, იკინმა დამასიოს შეხედულებებები რა თვალსაზრისით გამოიყენა ავტობიოგრაფიის თეორიის განსავითარებლად: იკინისთვის ავტობიოგრაფიული თხრობა ერთდროულად იდენტობის ფორმირებისა (მენტალური ხატების კარტოგრაფირებისა) და მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ყოველთვის ავტობიოგრაფის აწმყო ჰომეოსტაზიური/ჰომეოდინამიკური საჭიროებებით არის განპირობებული. ამასთან, კიდევ ერთხელ წარმოჩენილია, რომ ავტობიოგრაფიულ პრაქტიკას ავტობიოგრაფის იდენტობის ბიოლოგიური რეფერენტი მოეპოვება. იკინის მიერ ავტობიოგრაფიის თეორიის ინტერდისციპლინური ცოდნის საფუძველზე გადამუშავება ავტობიოგრაფიული ტექსტების სრულიად ახლებურად წაკითხვის საფუძველს იძლევა.

#### 1.4. ავტობიოგრაფიის კვლევის ნარატოლოგიური საფუძვლები

მიუხედავად იმისა, რომ ავტობიოგრაფიის ახალი თეორიის შემუშავებით ავტობიოგრაფიული პრაქტიკის გააზრებას მყარი სამეცნიერო ნიადაგი შეექმნა, დღემდე ავტობიოგრაფიული კვლევების დაგეგმვისას უმნიშვნელოვანეს ხარვეზად რჩება ნარატოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებლობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიულად ევროპულ ლიტერატურაში ფაქტუალური ავტობიოგრაფია რომანის პარალელურად ვითარდებოდა, ეს ორი ჟანრი ერთმანეთზე ახდენდა გავლენას. შესაბამისად, ავტობიოგრაფიის მკვლევართაგან ნარატოლოგიური ცოდნის გამოყენებლობა კიდევ უფრო უცნაური ჩანს. ამ პარადოქსზე ჯერ კიდევ 2006 წელს მიუთითებდა მარტინ ლოშნიგი:

„Auch historisch betrachtet ist die Beziehung zwischen Autobiographie und Roman von besonderen Interesse, erscheint doch die Entwicklung der Autobiographie als eines modernen, säkularen Genres seit dem achtzehnten Jahrhundert eng mit der Geschichte des Romans verknüpft [...]“ (ლოშნიგი 2006, 7). „In diesem Zusammenhang erstaunt es, daß die Erkenntnisse gerade jener Disziplin der Literaturwissenschaft, die auf Grund ihrer Beschäftigung mit den grundlegenden Merkmalen von (fiktionalen) Erzähltexten in besonderer Weise geeignet scheint, einen Beitrag zur Theorie und Geschichte des autobiographischen Diskurses zu leisten, nämlich die Erkenntnisse der literaturwissenschaftlichen Erzähltheorie, in die Diskussion zur Autobiographie bisher kaum Eingang gefunden haben“ (ლოშნიგი 2006, 70).

„ავტობიოგრაფიისა და რომანის ურთიერთმიმართება ისტორიული თვალსაზრისითაც საყურადღებოა, ავტობიოგრაფიის როგორც მოდერნული, სეკულარული ჟანრის განვითარება მე-18 საუკუნიდან მოყოლებული რომანის ისტორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული“ (ლოშნიგი 2006, 7). „აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაოცარია, რომ ნარატოლოგიის ცოდნა, რომელიც (ფიქციონალური) ნარატიული ტექსტების ძირითადი მახასიათებლების შესწავლის შედეგადაა მიღებული და შესაბამისად, ავტობიოგრაფიის თეორიის და ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებით საყურადღებოა, ამ დრომდე არაა გათვალისწინებული ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებით წარმართულ დისკუსიაში“ (ლოშნიგი 2006, 70).

აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო თავად ლოშნიგმა 2006 წელს გამოცემული მონოგრაფიით. მის ნაშრომში განხილულია ავტობიოგრაფიული ჟანრის შესასწავლად

ისეთი ფუნდამენტური ნარატოლოგიური კატეგორიები, როგორებიცაა: ფოკალიზება, ნარატიულობა/ექსპერიმენტულობა, არასაიმედო თხრობა და ჰომოდიეგეტური თხრობა. ფუნდამენტურ ნაშრომში ნაჩვენებია ფაქტუალური და ფიქციონალური ავტობიოგრაფიის ურთერთკავშირი. 2010 წელს მონიკა ფლუდერნიკისა და იან ალბერის რედაქტორობით გამოვიდა სტატიათა კრებული, რომელშიც პოსტკლასიკური ნარატოლოგიის აქტუალურ საკითხებს ცნობილი ნარატოლოგები განიხილავენ, მათ შორისაა მარტინ ლოშნიცი. მისი სტატია კვლევის შედეგებს არ წარმოადგენს, მასში კვლავ კვლევის ხარვეზებია ნაჩვენები და მათი აღმოფხვრა სამომავლო პერსპექტივადაა დასახული. ამ ეტაპზე იგი ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად კოგნიტური სკრიპტებისა და სქემების გამოყენებას მიიჩნევს აუცილებლად. გარდა იმისა, რომ ამ სტატიაში წარმოდგენილი დეზიდერანტები დღემდე ლიტერატურისმცოდნეობაში აღმოუფხვრელი რჩება, ჩემი აზრით, ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად დამატებით მნიშვნელოვანია სხვა ნარატოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებაც, რომლებიც ლოშნიცთან არა აღნიშნული. მაგალითად, ავტობიოგრაფიული ტექსტის სემანტიკური ანალიზისათვის გამოსაყენებელია პერსონაჟის დახასიათების თანამედროვე ნარატიული სტრატეგიები, ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი, ემოციის რეპრეზენტაციის ნარატიული სტრატეგიები, ნარატიული ტექსტების დიაგრამირება.

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი იქნება მარტინ ლოშნიცის მიერ ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად ინსტრუმენტალიზებული კატეგორიები. მომდევნო ქვეთავებით კი მოკლედ განიხილება ის ნარატოლოგიური კატეგორიები, რომელთა გამოყენებაც, ჩემი აზრით, ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად დამატებით აუცილებელია.

რამდენადაც ავტობიოგრაფიის ახალი თეორიის ავტორების მიერ (იკინი 2008, ოლნი 1972) ნარაცია ავტობიოგრაფიული იდენტობის ფორმირების აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული, ლოშნიცი განმარტავს, რა იგულისხმება ტერმინ ნარატიულობაში (*narrativity*). მას მიაჩნია, რომ ავტობიოგრაფიული ჟანრის თავისებურების დასადგენად

რელევანტურია მონიკა ფლუდერნიკის მიერ შემუშავებული *ნატურალური ნარატოლოგიის* კონცეპტის გამოყენება.

ავტობიოგრაფიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით მარტინ ლოშნიგის მოსაზრებათა გასაანალიზებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ფაქტუალურ და ფიქციონალურ ავტობიოგრაფიებს შორის ფუნდამენტურ სხვაობას ვერ ხედავს. იგი იზიარებს იმ ნარატოლოგთა აზრს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ფიქციონალურობის დასადგენად ტექსტობრივი მახასიათებლების მოძიება შეუძლებელია: „Die neuere Erzähltheorie tendiert dazu, die Signifikanz der Unterscheidung zwischen faktuellem und fiktionalem Erzählen überhaupt zu negieren“ „თანამედროვე ნარატოლოგიაც იქითკენ იხრება, რომ ფაქტუალურ და ფიქციონალურ თხრობას შორის სხვაობა გაუქმდეს“ (2006, 62). ფაქტუალური და ფიქციონალური ავტობიოგრაფიების ერთმანეთისაგან გამიჯვნას მხოლოდ ჰიორისტიკული დანიშნულება აქვს, იგი ლიტერატურული პროცესების (განსაკუთრებით, მე-18-მე-19 საუკუნეების) ადეკვატურად შესწავლისათვისაა აუცილებელი. წერილობითი ავტობიოგრაფიული პრაქტიკის ორი ფორმა ისტორიულად პარალელურად მიმდინარეობდა და ერთმანეთზე გავლენას ახდენდა. ინგლისური ფიქციონალური ავტობიოგრაფიის განვითარების თავისებურების დასადგენად ლოშნიგმა ამგვარი მიდგომა შეიმუშავა:

Die vorliegende Arbeit [...] vertritt mit Cohn und Genette die Auffassung, dass eine narratologische Analyse zwar keine prinzipielle Unterscheidung zwischen faktualer Autobiographie und quasi-autobiographischem Roman oder gar eine konsistente theoretische Begründung der Faktualität bzw. Fiktionalität beider Gattungen bieten kann, geht aber von der Annahme aus, dass eine solche Analyse dennoch wichtige Anhaltspunkte für eine diachrone und vergleichende Darstellung faktualen und fiktionalen autobiographischen Erzählens geben kann.

წინამდებარე ნაშრომში [...] კონთან და ჟენეტთან ერთად გაზიარებულია შემდეგი აზრი: ნარატოლოგიური ანალიზისას ფაქტუალურ ავტობიოგრაფიასა და კვაზიავტობიოგრაფიულ რომანს შორის მიჯნა არ არსებობს, ამ ჟანრების ფაქტუალურობისა და ფიქციონალურობის მყარი თეორიული საფუძვლების განსაზღვრაც ჭირს. ამის მიუხედავად, ამ კატეგორიების შენარჩუნება

შესაძლებელს ხდის, ფაქტუალური და ფიქციონალური ავტობიოგრაფიების დიაქრონული და შედარებითი ანალიზი განხორციელდეს (ლოშნიგი 2006, 13).

ავტობიოგრაფიული ტექსტების შესწავლისას თუ კვლევის მიზანი არაა ფაქტუალური და ფიქციონალური ავტობიოგრაფიების მიმართების დადგენა, მაშინ მათ შორის სხვაობა ფიქციონალურობის ნიშნით უნდა მოიხსნას. აღნიშნულ მიდგომას პრაგმატული ფუნქცია აქვს: იგი ფაქტუალურ ავტობიოგრაფიებში ქრონოლოგიურად დალაგებული ბიოგრაფიული ფაქტების უკან ისტორიული პიროვნების (მათ შორის, ლიტერატურის კლასიკოსების) იდენტობის ფორმირების კომპლექსური პროცესის ამოკითხვის შესაძლებლობას იძლევა; ფიქცია ჟანრობრივი მახასიათებელი კი არაა, იგი, ზოგადად, ნარატიული იდენტობის ფორმირების საფუძველია:

In autobiographical theory in particular, the distinction between fact and fiction no longer seems to be the overriding concern that it was until relatively recently. This relaxation of the borders between truth and fiction is due not so much to the undermining of “facticity” in life-writing caused by the general post-structuralist mistrust of “truth” and “authenticity”. Rather, the noted shift in perspective seems to correlate with an emphasis on narrativity, as a vital factor in the construction of identity, i.e. a view that autobiography, in narrative terms, stages the drama of creating the autobiographer’s identity. In this drama [...] fiction plays an important role.

ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიაში ფაქტისა და ფიქციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა აღარ ითვლება მნიშვნელოვნად, როგორც ეს მანამდე იყო. საზღვრის მოშლა სიმართლესა და ფიქციას შორის არ არის იმდენად განპირობებული ავტობიოგრაფიაში „ფაქტუალობის“ პოსტსტრუქტურალისტური გაგებით, რომელიც „სიმართლეს“ და „ავტენტურობას“ სკეპტიკურად განიხილავს, რამდენადაც აღნიშნული გადაადგილება ნარატიულობის, როგორც იდენტობის კონსტრუირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, ხაზგასმას უკავშირდება. ასე მაგალითად, ავტობიოგრაფია, ნარატიული თვალსაზრისით, აჩვენებს ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირების დრამას. ამ დრამაში [...] ფიქცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს (ლოშნიგი 2010, 256).

წლების განმავლობაში ავტობიოგრაფიულ ტექსტებთან მიმართებით მთავარი განსასაზღვრე საკითხი იყო, რა როლს თამაშობს ფიქცია ავტობიოგრაფიულ პრაქტიკაში.

ამ კრიტერიუმის გაუქმების შემდეგ დღის წესრიგში დადგა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ასპექტის გამოყოფა, რომელიც ავტობიოგრაფიული ტექსტისთვის იქნებოდა დამახასიათებელი. მაგ., . ლიტერატურისმცოდნეობითი თვალსაზრისით საჭირო გახდა იმის დადგენა, თუ რა აქცევს პირველი პირის თხრობას ავტობიოგრაფიულად.

გარდა საკუთრივ ლიტერატურისმცოდნეობითი საკითხისა, ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, აუცილებელი იყო ისეთი კრიტერიუმის შემუშავება, რომელიც სეკულარულ და რელიგიურ ავტობიოგრაფიებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა. აღნიშნული მიზნებისათვის ავტობიოგრაფის თეორია მარტინ ლოშნიგმა მონიკა ფლუდერნიკის მიერ შემუშავებულ ნატურალური ნარატოლოგიის კონცეპტს დაუკავშირა.<sup>26</sup>

მონიკა ფლუდერნიკისათვის ნარატიულობის მთავარი კრიტერიუმია ექპერიმენტულობა, რომელიც ინდივიდუალური გამოცდილების პიროვნების ცნობიერებებში არეკვლის პროცესს გულისხმობს (ფლუდერნიკი 1996). მარტინ ლოშნიგის აზრით, ნარატიულობის ფლუდერნიკისეული გაგება ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზის მეთოდოლოგიურ საფუძველ ქმნის, რადგან მასში ცნობიერების ფენომენს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს კონცეპტი ნათელს ხდის, რომ ავტობიოგრაფიულ ტექსტში განსახოვნებულ მოვლენებს შინაარსობრივად ერთმანეთთან ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესები აკავშირებს:

The concept of experientiality is basic to Fludernik's understanding of narrative. Roughly speaking, experientiality refers to an individualized rendering of experience as reflected in human consciousness [...] Because of its emphasis on the "consciousness factor", Fludernik's model appears to be more suitable to the description of autobiographical narrative; it is able to reflect to the focus on the inner life of the subject typical of most autobiographies better than are traditional, event-centered concepts of narrativity. It is not only this foregrounding of consciousness, however, that makes fludernik's model an idial descriptor of autobiographies, but also the fact that autobiographies frequently focus on the specificity of represented experience, which, according to Fludernik, is another criterion in definig narrativity.

---

<sup>26</sup> აღნიშნული კონცეპტი ფლუდერნიკს წარმოადგენილი აქვს საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომში (1996)

ნარატიულობის ფლუდერნიკისეულ კონცეპტში ექსპერიმენტულობას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. მოკლედ რომ ითქვას, ექსპერიმენტულობა ადამიანის ცნობიერებაში წარმართულ გამოცდილების პროცესს აღნიშნავს [...] რამდენადაც ფლუდერნიკი განსაკუთრებულ აქცენტს „ცნობერების ფაქტორზე“ აკეთებს, მისი მოდელი რელევანტური ჩანს ავტობიოგრაფიული ნარატივის გასაანალიზებლად; ნარატიულობის ტრადიციული კონცეპტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ტექსტში განსახოვნებულ მოვლენაზე იყო ორიენტირებული, იგი საშუალებას იძლევა, საგანგებო შესწავლის საგანი გახდეს უმეტესი ავტობიოგრაფიებისათვის ტიპური მახასიათებელი - შინაგანი ცხოვრება. ცნობიერების განსახოვნების მნიშვნელობის დასაბუთების გარდა, ფლუდერნიკის მოდელს ავტობიოგრაფიის შესასწავლად ისიც ხდის იდეალურს, რომ ავტობიოგრაფიები ხშირად ორიენტირებულია უნიკალური გამოცდილების განსახოვნებაზე, ფლუდერნიკისათვის კი გამოცდილების უნიკალურობა ნარატიულობის კიდევ ერთი დამატებითი კრიტერიუმია (ლოშნიგი 2010, 260).

ნარაციისა და იდენტობის ერთმანეთთან დაკავშირება, თავის მხრივ, ნარაციის განუყოფელ ნაწილად ფიქციის მიჩნევა, მეთოდოლოგიურად არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სირთულები განსაკუთრებით ტექსტების ანალიზისას იჩენს თავს. ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიის ავტორთა აზრით (მათ შორის ლოშნიგის), ფაქტუალურ და ფიქციურ ავტობიოგრაფიებში იდენტობის ფორმირების ერთნაირი ნარატიული სტრატეგიები გამოიყენება. ავტობიოგრაფიული ტექსტის გაგება (ფიქციურისა თუ ფაქტუალურის) ავტობიოგრაფის ექსპერიმენტული პრაქტიკის რეკონსტრუირებას გულისხმობს.

ავტობიოგრაფის ექსპერიმენტული პრაქტიკის რეკონსტრუირება შემოქმედებითი და რთული პროცესია. წინამდებარე *ლიტერატურის მიმოხილვის* დარჩენილი ნაწილი მთლიანად ამ საკითხის დაზუსტებას დაეთმობა.

უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტური ასპექტი უნდა გამოიყოს: ავტობიოგრაფიულ ტექსტში მკითხველს ერთდროულად ხვდება განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფები. ამ ასპექტს ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ სტრუქტურალისტური ნარატოლოგიის წარმომადგენლებმა. ისინი ფიქრობდნენ, სუბიექტი იყო მთხრობელი ავტობიოგრაფი, შესწავლის ობიექტს კი წარმოადგენდა განმცდელი ავტობიოგრაფი.

შესაბამისად, სტრუქტურალისტური ნარატოლოგიის პერსპექტივიდან, განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფები ორ სხვადასხვა პიროვნებას წარმოადგენდნენ. მარტინ ლოშნიგი მიიჩნევს, რომ ამგვარი მიდგომა ავტობიოგრაფიული ტექსტების ადეკვატური ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა (ლოშნიგი 2010).

კოგნიტური მეცნიერებებისა და ნეირობიოლოგიის ცოდნის გათვალისწინებით ფორმირებული ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია განსხვავებულ მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის: ავტობიოგრაფის პიროვნება ნარაციის, ავტობიოგრაფიული პრაქტიკის პროცესში ყალიბდება, რაც დუალისტურ მიდგომას გამორიცხავს – ორივე ავტობიოგრაფიული პრაქტიკის პროდუქტია:

I want to argue that, if one conceives of autobiography as a psychological activity which creates, rather than merely depicts, identity, retrospection and the double aspect of the self involve the construction not only of the experiencing, but also of the narrating self. These should therefore be viewed not in terms of the dichotomy sometimes suggested by structuralist accounts, but within larger frames of rendering the experiential.

მსურს დავასაბუთო, რომ, თუ ავტობიოგრაფია აღიქმება როგორც ფსიქოლოგიური აქტივობა, რომელიც ქმნის და არა მხოლოდ განასახივებს იდენტობას, მაშინ რეტროსპექცია და მეს დუალურობა გულისხმობს არა მხოლოდ განმცდელი ავტობიოგრაფის კონსტრუირებას, არამედ მთხრობელი ავტობიოგრაფისასაც. აქედან გამომდინარე, განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფები დიქოტომიურ წყვილს კი არ უნდა ქმნიდნენ, როგორც ამას სტრუქტურალიტები თვლიდნენ, არამედ მათ გასააზრებლად გასათვალისწინებელია გამოცდილების განსახივების ფართო ჩარჩო (ლოშნიგი 2010, 257).

ნარაციის პროცესში მთხრობელი ავტობიოგრაფის ფორმირება იმას გულისხმობს, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ავტობიოგრაფის აწმყო ჰომეოსტაზიური საჭიროებებიდან გამომდინარეობს: „[...] identity-construction is decisively shaped by present motivations, desires and anxieties“ „იდენტობის კონსტრუირებას, არსებითად, განაპირობებს აწმყო მოტივაცია, სურვილები და საჭიროებები“ (იქვე 259). შეიძლება ითქვას, ტერმინი *მთხრობელი ავტობიოგრაფი*, არსობრივად, არასწორია; ის რეალურად, აწმყოში განმცდელი ავტობიოგრაფია. აღნიშნული შინაარსობრივი უზუსტობის მიუხედავად,

ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას ტერმინი *მთხრობელი ავტობიოგრაფის* გამოყენება მაინც გამართლებულია, *განმცდელი* და *მთხრობელი* ავტობიოგრაფების შეპირისპირება ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფუნქციონირების თავისებურებას შეესაბამება, მთხრობელი და განმცდელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა მონაცვლეობაზე დასაკვირვებლად ტერმინი *მთხრობელი ავტობიოგრაფი* შენარჩუნებულია.

ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას დამატებით დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი დებულება: მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობა ნარაციის პროცესში ყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ წარსულში მომხდარ მოვლენებს მთხრობელი ავტობიოგრაფი ხელახლა განიცდის „it might be [...] appropriate to regard the autobiographical act as [...] a re-living of experience rather than as an attempt by a detached subject to interpret itself as object.“ „მართებული იქნება [...] თუ ავტობიოგრაფიული აქტი განიხილება [...] როგორც გამოცდილების გაცოცხლება, ვიდრე სუბიექტის მიერ საკუთარი თავის, როგორც ობიექტის, ინტერპრეტირება“ (ლოშნიგი 2010, 259).

აღნიშნული დებულება პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ვერ ასახავს ავტობიოგრაფიული მეხსიერების სტრუქტურას - ავტობიოგრაფიულ ტექსტში ქრონოლოგიურად წარმოდგენილ მოვლენებს შორის შინაარსობრივი მიმართება სწორხაზოვანი არაა, უფრო ზუსტად, ავტობიოგრაფის აწმყო საჭიროებებთან მიმართებით გახსენებულ მოვლენებს ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს: ერთი შეიძლება მთავარი იყოს, მეორე კი - დაქვემდებარებული. თავის მხრივ, დაქვემდებარების დონეებიც შეიძლება უსაზღვროდ დაშრევდეს, ავტობიოგრაფიულ ტექსტში განსახოვნებული მოვლენები ერთმანეთში ჩალაგებულ ყალიბებს ჰგავს (Nested structure, ნაიზერი 1986).

ავტობიოგრაფიული ტექსტის ანალიზისას საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს იმის დადგენა, ამ ერთმანეთში ჩადგმული ყალიბებიდან რომელია ყველაზე მთავარი საინტერპრეტაციო კონტექსტი. ეს მახასიათებელი ტექსტების ანალიზისას განსაკუთრებულ მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის: განსახოვნებულ მოვლენებში

მთავარი ჩარჩოთხრობის დადგენა დიამეტრალურად ცვლის ტექსტის სტრუქტურის შესახებ წარმოდგენას.

ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფუნქციონირების მექანიზმის დასადგენად ლოშნიგი ცდილობს კოგნიტური მეცნიერებების გამოცდილება გამოიყენოს “[...] the specific conditions of memory and their importance for the constitution of identity have become one of the central fields of cognitive and especially of narrative psychology“ „[...] მეხსიერების მახასიათებლები და მათი მნიშვნელობა იდენტობის ფორმირებისათვის მთავარ შესასწავლ საგნად იქცა კოგნიტური, განსაკუთრებით, ნარატიული ფსიქოლოგიისათვის“ (ლოშნიგი 2010, 263).<sup>27</sup> იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი წარსული აწმყო საჭიროებებთან მიმართებით გაიხსენოს, იგი იყენებს ცნობიერებაში აქტიურ პიროვნული გამოცდილების ფორმირების მოდელთა რეპერტუარს - ე.წ. სქემებსა და შაბლონებს.<sup>28</sup> როგორც ნაიზერი აღნიშნავდა, ავტობიოგრაფიული მეხსიერების სტრუქტურა ერთმანეთში ჩალაგებულ ყუთებს ჰგავს (1986). ამ სტრუქტურის ასაგებად ავტობიოგრაფს სჭირდება მარტივი/მიკრო (ერთი ეპიზოდის ფარგლებში მოქმედი) და რთული/მაკრო (სხვადასხვა ეპიზოდის ერთმანეთთან დამაკავშირებელი) სკრიპტები და

---

<sup>27</sup> დევიდ ჰერმანი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარატოლოგი, რომელიც კოგნიტური მეცნიერების და ნარატოლოგიის სინთეზირების პიონერად ითვლება, მიიჩნევს, რომ ნარატოლოგია კოგნიტური მეცნიერებების ერთ-ერთ ქვედისციპლინად უნდა კვალიფიცირდეს. ნარატოლოგიისა და კოგნიტური მეცნიერებების მიმართებაზე იხილეთ ჰერმანი 1997, 2007 (b), იანი 1997, ასევე მარგოლინი 2003.

<sup>28</sup> სკრიპტები და შაბლონები ადამიანის მენტალური თეორიის ნაწილია, რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს ახსნა მოუძებნოს და იწინასწარმეტყველოს მოვლენების სავარაუდო განვითარება (ადამიანის მენტალური თეორიის შესახებ იხ. ზანშაინი 2006). აღნიშნული ტერმინების განსამარტებლად მნიშვნელოვანია ისეთი ზედსართავების გამოყენება, როგორებიცაა *შაბლონური*, *ტიპური*. სკრიპტი მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარს განსაზღვრავს, რომლის მენტალური ხატიც ადამიანს აქვს, სქემა კი მოვლენის ტიპური საფუძვლების მენტალურ ხატს გულისხმობს. სწორედ ამ მენტალური ხატების საშუალებით შეუძლია ადამიანს მოვლენების ამოცნობა, მათი ინტერპრეტირება და სამომავლო ქმედებების განჭვრეტა, ამგვარი გამოცდილების დიდი ნაწილი ადამიანს ყოველდღიურ ყოფაში უყალიბდება (ჰერმანი 2002, ბრევერი 1999).

სქემები:<sup>29</sup> „In order to cope with present experience, memory thus references a considerable number of experiential repertoires. It engenders dynamic “scripts” as well as static “schemata, to use well-known terms from cognitive psychology.“ „აწმყო გამოცდილების ფომირებისათვის მეხსიერება ააქტიურებს წინარე გამოცდილების რეპერტუარს. კოგნიტური ფსიქოლოგიის კარგად ნაცნობი ტერმინები რომ გამოვიყენოთ, აქტიურდება დინამიკური „სკრიპტები“ და სტატიკური „სქემები“ “ (ლოშნიგი 2010, 264).

### **1.5. ავტობიოგრაფიის ნარატოლოგიური კონცეპტის ევალუაცია - მიღებული შედეგების ანალიზი**

ოლნისა და იკინის გვერდით, მარტინ ლოშნიგის ნაშრომებმა მნიშვნელოვნად დააზუსტა ავტობიოგრაფიის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. მისი წვლილი ამ საქმეში, ძირითადად, იკინისა და ოლნის მიერ შემუშავებული ავტობიოგრაფიის ახალი თეორიისა და კოგნიტური ნარატოლოგიის კატეგორიების სინთეზირებას უკავშირდება. თავის უკანასკნელ ნაშრომში, რომლის დიდი ნაწილი 2006 წელს გამოცემული მონოგრაფიის თეორიულ საფუძვლებს იმეორებს, ის ამ მიზნას ამგვარად განსაზღვრავს:

The aim of my essay is [...] not to add to the already vast body narrative theory (including the theory of autobiography), but to bring to focus some recent theoretical developments wich bear on autobiographical narrative(s). In particular, I shall [...] demonstrate how an analysis of autobiographical discourse may benefit from the sunthesis of thes disciplins.

სტატიის მიზანი არაა ნარატივის თეორიის (მათ შორის ავტობიოგრაფიის თეორიის) შემცველი სამეცნიერო ლიტერატურის ისედაც მრავალრიცხოვანი კორპუსის კიდევ უფრო გაზრდა, ამის ნაცვლად ყურადღება გამახვილდება რამდენიმე თეორიულ ტენდენციაზე, რომლებიც ავტობიოგრაფილი ნარატივის გააზრებას ემსახურება. უფრო კონკრეტულად, ვაჩვენებ

---

<sup>29</sup> მაკრო და მიკრო მოდელების ანალიზი იხ. მარტინესთან (2016, 169-173), ავტობიოგრაფიული მეხსიერების სქემატური სტრუქტურის შესახებ იხ. ბარკლაი 1986, ეგანი 1984.

ავტობიოგრაფიული დისკურსის ანალიზი როგორ შეიძლება დაიხვეწოს დისციპლინათა სინთეზის შედეგად (ლოშნიგი, 256).

კოგნიტური მეცნიერებების გამოცდილებათა საფუძველზე ლოშნიგმა აჩვენა, როგორ შეიძლება გაანალიზდეს *ფოკალიზების* საკითხი ავტობიოგრაფიულ ტექსტში. წლების განმავლობაში ნარატოლოგთა შორის ფოკალიზების თავისებურება ავტობიოგრაფიულ დისკურსში პრობლემურად მიიჩნეოდა<sup>30</sup>. აღნიშნული წინააღმდეგობის მოსახსნელად მნიშვნელოვანი იყო ლოშნიგის მიერ იმის დასაბუთება, რომ ავტობიოგრაფიულ ტექსტში განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფის დიქტომიური აღქმა არასწორია. თავის მხრივ, განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მიმართების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ კოგნიტური მეცნიერებების იმ მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც კოგნიტური სქემებისა და სკრიპტების ფუნქციონირებას სწავლობს. ავტობიოგრაფიული ტექსტების დიაქრონულ ჭრილში შესასწავლად მნიშვნელოვანია, რომ ლოშნიგმა მონიკა ფლუდერნიკის მიერ შემუშავებული ნარატიულობის კონცეპტი მოარგო ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზს. ეს კონცეპტი ორ მთავარ კატეგორიას ეფუძნება: ექპერიმენტულობა და ინდივიდუალურობა. ამ კატეგორიების მიხედვით, ლოშნიგი შეეცადა ეჩვენებინა სეკულარული ავტობიოგრაფიის ფორმირების პროცესი, რომელიც რელიგიური შაბლონებისაგან გათავისუფლებას და ექპერიმენტულობის მაღალი ხარისხის ჩვენებას უდრიდა (ლოშნიგი 2006).

კოგნიტური ნარატოლოგიის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტალიზების გარდა, ავტობიოგრაფიის მკვლევრებისათვის მნიშვნელოვანია იმ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, რომელიც ფიქციონალურობის საკითხს ეხება. აღნიშნული ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ნარატოლოგიის თანამედროვე მდგომარეობით, ფიქციურობა ჟანრობრივი ფენომენი არაა, იგი ნარატიული პრაქტიკის ნაწილია. ავტობიოგრაფიის ახალი თეორიის ავტორთა (იკინი 2008) მიერ ფიქციურობა

---

<sup>30</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ დოლეჟიცი 1967, ლანსერი 1981, ბალი 1983, ედმისტონი 1989, ჟენეტი 1992, ნირაგდენი 1996, იანი 1999, ფლუდერნიკი 2001.

ავტობიოგრაფიული პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. ავტობიოგრაფიის თეორიის ზოგადნარატოლოგიურ კონტექსტში დამაჯერებლად ჩასმა ლომინგის დიდი დამსახურებაა.<sup>31</sup>

## 1.6. დეზიდერანტები ავტობიოგრაფიის კვლევაში

ლომინგი ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად ფლუდერნიკის ნარატიულობის კონცეპტს მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან მასში ექპერიმენტულობა ფუნდამენტურ კატეგორიადაა გამოყოფილი. თავის მხრივ, ექპერიმენტულობა ინდივიდუალური გამოცდილების ცნობიერებაში არეკვლის პროცესადაა განსაზღვრული. აღნიშნული მიდგომის გაზიარებისას მთავარ პრობლემას ქმნის ის, რომ ცნობიერება ვერბალურ ფიქრთან ასოცირდება. კოგნიტური მეცნიერების ცოდნა კი აჩვენებს, რომ ცნობიერება კომპლექსური მოვლენა, ვერბალური ფიქრი ცნობიერების ფუნქციონირების მხოლოდ ნაწილია (ვილსონი 2002). ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ მე-19 საუკუნის როგორც ქართულ, ისე დასავლეთევროპულ ავტობიოგრაფიულ ტექსტებში ვერბალური ფიქრი თითქმის არაა წარმოდგენილი, რაც ამ ტექსტებში ავტობიოგრაფის პიროვნული ფორმირების შესწავლას ართულებს. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის საშუალებას იძლევა ალან პალმერის კვლევის შედეგების გათვალისწინება (პალმერი 2004). ეს კვლევა ავტობიოგრაფიულ პრაქტიკას არ უკავშირდება, იგი მხატვრული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებს აზუსტებს, თუმცა ადვილად ხერხდება მისი მორგება ავტობიოგრაფიულ თეორიაზე. სწორედ ამ მიზნით წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილდება ალან პალმერის ნაშრომის მიხედვით *მენტალობის მთლიანობის* კონცეპტის განსაზღვრაზე.

---

<sup>31</sup> ავტობიოგრაფიულ დისკურსში ფიქციის მნიშვნელობის გასააზრებლად დამატებით იხ. იკინი 1985, ბრევერი 1989, ბრუინი 1995, ლომინგი 1999.

## 1.7. მენტალობის მთლიანობის კონცეპტი

ალან პალმერი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარატოლოგი, წიგნში „ფიქციონალური ცნობიერება“ ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან ცდილობს ლიტერატურისმცოდნეთათვის დამაჯერებელი გახადოს შემდეგი აზრი: ლიტერატურული პერსონაჟების ანალიზი, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის გააზრება სრულყოფილად შეუძლებელია, თუ მკვლევარი მხოლოდ პერსონაჟის ვერბალიზებულ ფიქრს აირჩევს შესასწავლად. პალმერი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კოგნიტური მეცნიერებების წარმომადგენელთა მიერ შედგენილ ცნობიერების ტაქსონომიებში (პინკერი 1997, დენეტი 1996, სერლი 1980) ლინგვისტურ კომპონენტს უმნიშვნელო ადგილი უკავია: “In the taxonomies of consciousness, notice how little attention is given to the linguistic elements“ „საგულისხმოა, ცნობიერების ტაქსონომიაში ლინგვისტურ ელემენტებს რამდენად უმნიშვნელო ყურადღება ექცევა” (პალმერი 2004, 98). განსახილველი საკითხის სერიოზულობის საჩვენებლად პალმერი კოგნიტური ლინგვისტიკის ცნობილი წარმომადგენლის, სტივენ პინკერის, მოსაზრებას ვრცლად იმოწმებს:<sup>32</sup>

---

<sup>32</sup> კოგნიტური მეცნიერებების აღნიშნული წარმომადგენლები ენის მნიშვნელობას მენტალურ პროცესებში არ აკნიებენ; ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანი ენობრივი არსებაა, მისთვის ენა მთავრი საკომუნიკაციო საშუალებაა, თუმცა ცნობიერება, მათ შორის, ფიქრი, ენობრივი მოვლენა არაა, ენა მენტალური პროცესების სათარგმნი ინსტრუმენტია: „Language is a translation of something else, a conversion from nonlinguistic images which stand for entities, relationships, and inferences ... there must be a nonverbal self and nonverbal knowing for which the word “I” or “me” or the phrase “I know” are the appropriate translations, in any language.“ „ენა გულისხმობს თარგმნას, სხვადასხვა საგნის, ურთიერთობების, განსაზღვრებების არალინგვისტური ხატების გარდაქმნას... უნდა არსებობდეს არავერბალური „მე“ და არავერბალური ცოდნა, რომელთა თარგმანს ნებისმიერ ენაზე წარმოადგენს სიტყვა „მე“ ან ფრაზა „მე ვიცი“ “ (Damasio 2000, 107-108). ნარატოლოგიური თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შემდეგ მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის: ლიტერატურულ ტექსტში უმეტესწილად განსახილველია პერსონაჟის ინტერმენტალური ფიქრი, ხშირად ინტერმენტალური ფიქრიც ვერბალური ფორმითაა წარმოდგენილი, შესაბამისად, იმის დასადგენად, თუ რა პროცესები მიმდინარეობს პერსონაჟის შინაგან სამყაროში, უმნიშვნელოვანესია მისი

The idea that thought is the same thing as language is an example of what can be called a conventional absurdity [...]. We have all had the experience of uttering or writing a sentence, then stopping and realizing that it wasn't exactly what we meant to say. To have that feeling, there has to be a "what we meant to say" that is different from what we said. [...] When we hear or read, we usually remember the gist, not the exact words, so there has to be such a thing as a gist that is not the same as a bunch of words. And if thoughts depended on words, [...] How could translation from one language to another be possible?

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფიქრი ენის ეკვივალენტურია, კონვენციური აბსურდია [...]. ჩვენ ყველას გვაქვს ამგვარი გამოცდილება: წარმოვთქვამთ ან ვწერთ წინადადებას, შემდეგ ვჩერდებით და ვაცნობიერებთ, რომ რასაც ვფიქრობდით, ვერ გამოვთქვით. როცა ჩვენ ვისმენთ ან ვკითხულობთ, როგორც წესი, ზოგად შინაარსს ვიმახსოვრებთ და არა - სიტყვასიტყვით, ამდენად ზოგადი შინაარსი სიტყვათა ჯამს არ უნდა უდრიდეს. თუ ფიქრი სიტყვებზეა დამოკიდებული, როგორ იქნებოდა შესაძლებელი ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა? (პალმერი 2004, 94-95).

ალან პალმერი ცნობიერების სტრუქტურის გასაანალიზებლად დეტალურად განიხილავს ჯონ სერლის თორმეტკომპონენტულ ტაქსონომიას. ტაქსონომიის თითოეული ერთეულის კოგნიტური საფუძვლების დადგენის შემდეგ მოკლედ აყალიბებს წარმოდგენილი ცოდნის მნიშვნელობას ნარატოლოგიური კვლევებისათვის. წინამდებარე დისერტაციის საჭიროებებს ცნობიერების თორმეტივე მახასიათებელი თანაბრად არ უკავშირდება, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე განიხილება.

### 1.7.1. ცნობიერების კოჰერენტულობა

ცნობიერების კოჰერენტულობით სერლი ცნობიერების ფუნქციონირების იმ თავისებურებას აღნიშნავს, რომელიც ავტობიოგრაფიული პრაქტიკის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია - ეს ტერმინი სინონიმია *ექსპერიმენტულობისა*. სერლის აზრით, თუ ცნობიერებას არ ექნება კოჰერენტულობა, ადამიანი დაკარგავს პიროვნული გამოცდილების ქონის განცდას (პალმერი 2004, 100). კოჰერენტულობის შესაქმნელად

---

ენობრივი პრაქტიკის შესწავლა. ნარატოლოგიური კვლევა ნაკლოვანი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა პერსონაჟის ვერბალური ფიქრი ერთადერთ შესასწავლ ობიექტად მიიჩნევა.

მენტალური პროცესები ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით წარიმართება. მენტალური პროცესების ვერტიკალურ ხაზს ქმნის პიროვნების წინარე გამოცდილება, ჰორიზონტალური მენტალური პროცესები კი ცნობიერებაში საიდენტიფიკაციო მოვლენის მახასიათებლების მენტალური იმიჯების შექმნას გულისხმობს. თუ გათვალისწინებული იქნება, რომ ცნობიერების ფუნქციონირება პიროვნების ჰომეოსტაზიურ საჭიროებებთანაა დაკავშირებული, მაშინ ცნობიერების ორი ვექტორის (ჰორიზონტალურისა და ვერტიკალურის) დანიშნულება შეიძლება ამგვარად განისაზღვროს: ვერტიკალური პიროვნებას საშუალებას აძლევს, გაშიფროს, აქტუალური ექსპერიმენტული კონტექსტის იდენტიფიკაცია მოახდინოს, ჰორიზონტალური მიმართულება კი ჰომეოსტაზიასთან ერთად ჰომეოდინამიკის საფუძველია: ახალი გამოცდილება უნდა შედარდეს პიროვნების მოქმედ იდენტობის მოდელს. პიროვნება იდენტობის განახლებას იწყებს იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიცირებული სოციუმი მისთვის ღირებულია, მაგრამ იდენტობის ძველი მოდელი მასში ინტეგრაციის საშუალებას არ იძლევა:<sup>33</sup>

The next feature is unity [...] conscious state come to us as part of a unified sequence. Without a sense of unity, we could not make sense of our experiences [...] Vertical unity is the binding of disparate elements into a unified column: I have simultaneous experiences of various separate things as part of one and the same conscious event. Horizontal unity is the remembered present, the organization of conscious experiences through short stretches of time: I am aware of the beginning of the sentence that I am now finishing.

შემდეგი მახასიათებელი კოჰერენტულობაა [...] ცნობიერი მდგომარეობა იქმნება როგორც ნაწილი კოჰერენტული თანმიმდევრობისა. კოჰერენტულობის განცდის გარეშე გამოცდილების განცდა დაიკარგება [...] ვერტიკალური კოჰერენტულობა ცალკეულ ელემენტს კოჰერენტულ სვეტად აქცევს: სხვადასხვა საგანს ერთდროულად ერთი და იმავე ცნობიერი მოვლენის ნაწილად

---

<sup>33</sup> ალან პალმერის ნაშრომში სერლის ვრცელი მსჯელობა გამარტივებულია. შესაბამისად, მისი ტექსტის დამოწმება წინამდებარე დისერტაციისათვის მოსახერხებელია. პალმერს ის კომპონენტები აქვს სირლეს მსჯელობიდან აღებული, რომლებიც უშუალოდ მხატვრული ტექსტების ნარტოლოგიური ანალიზისათვისაა რელევანტური. სერლის დეტალური ანალიზის გასაცნობად იხ. (სერლი, 1992).

განვიცდი. ჰორიზონტალური კოჰერენტულობა დამახსოვრებული აწმყო, რაც ცნობიერი გამოცდილების მოკლე დროითი შუალედებით ორგანიზებას გულისხმობს: მე მახსოვს იმ წინადადების დასაწყისი, რომელსაც ახლა ვამთავრებ (პალმერი 2004, 100-101).

ცნობიერების მთლიანობის პრინციპი ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას მკვლევარს მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ ორიენტირს უქმნის: განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედების მოტივი მხოლოდ აქტუალურ სიტუაციაში არ უნდა ეძებოს. ამის ნაცვლად, ავტობიოგრაფის კონკრეტული მოქედება ისევე უნდა გააანალიზოს, როგორც ეს ცოცხალი ადამიანის ცნობიერების შესწავლისას ხდება: ავტობიოგრაფის განვითარების დრამატიზებას სწორედ აქტუალური სიტუაციის იდენტიფიცირების პროცესში წინარე ნარატივის გააქტიურება იწვევს.

### 1.7.2. ცნობადობა (*familiarity*)

შედარებითი კვლევის შედეგების საფუძველზე ლოშნიგი (2006) მიიჩნევს, რომ ავტობიოგრაფიული ჟანრის სეკულარიზების პროცესის შესასწავლად ამა თუ იმ ნაციონალურ ლიტერატურაში უნდა დადგინდეს, როდიდან იწყება ავტობიოგრაფიულ ტექსტებში პიროვნული გამოცდილების ფორმირების განსახოვნება. აღნიშნული მიზნის დასახვისას გასათვალისწინებელია, რომ პიროვნების ფორმირება გამოცდილებათა ერთ დიდ მეხსიერების ყუთში დაგროვებას არ გულისხმობს. პიროვნების ფორმირება დინამიკური პროცესია, მეხსიერება კი, როგორც ჰომეოდინამიკური გამოწვევების წინაშე მდგარი ცნობიერების დიდი მექანიზმის ნაწილი, მუდმივად მოდიფიცირდება (პალმერი 2004, 101). კოგნიტური ნარტოლოგიის ამ ცოდნის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ ლოშნიგი ინდივიდუალური გამოცდილების საანალიზოდ მხოლოდ იმას აკვირდებოდა, ცალკეული მოვლენა რამდენად იქცეოდა პერსონაჟის ვერბალური ფიქრის საგნად. ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ანალიზისას მსგავსი მიდგომა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის უყურადღებოდ დატოვების საფრთხეს შეიცავს, არამედ ტექსტის არასწორად ინტერპრეტაციის მიზეზიც კი ხდება; ვერბალიზებული ფიქრის იზოლირებულად ანალიზი ავტობიოგრაფის ცნობიერების შესახებ არაადეკვატურ

ინფორმაციას იძლევა. დამატებით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვერბალური ფიქრი ფაქტუალურ ავტობიოგრაფიაში ხშირად საერთოდ არ გვხვდება. სერლის ტაქსონომიის საანალიზო კომპონენტი – ცნობადობა – აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა: ახალ გარემოში განმცდელი ავტობიოგრაფის ქცევის/მოქმედების მიხედვით, მკითხველს შეუძლია, განსაზღვროს, მისი ცნობიერება რა სახის ტრანსფორმაციას განიცდიდა.<sup>34</sup>

ადამიანის ცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ის, რომ მას შეუძლია მოვლენათა იდენტიფიცირება. ამ მახასიათებლის მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ იგი დამახსოვრების ტოლფარდი არ არის. კომპიუტერს მეხსიერების ძალიან დიდი მოცულობა აქვს, თუმცა მისი ცნობადობის ინდექსი ბევრად დაბალია. სერლი კოჰერენტულობასა და ცნობადობას ცალ-ცალკე განიხილავს, თუმცა რადგან ისინი ერთი ტაქსონომიის ნაწილებს წარმოადგენს, იგულისხმება, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირია: ცნობადობის მაჩვენებლის გაზრდაზე დიდ გავლენას ახდენს კოჰერენტულობის ვერტიკალური ვექტორი. ცნობიერების ამგვარი მოქნილობის გამო მოვლენათა ნებისმიერი გარეგნული ცვალებადობა ჰომეოსტაზიის მექანიზმისათვის საგანგაშო სიგნალების წარმოშობის საფუძველი არ ხდება<sup>35</sup>:

One of the most pervasive features of ordinary conscious awareness is the aspect of familiarity. [...] the prior possession of an apparatus that is sufficient to generate organized consciousness automatically guarantees that the aspectual features of conscious experience will be more or less familiar. When I walk down the street, objects are familiar to me as trees, houses, and so on. Perhaps most important of all, I have an inner sense of what feels like to be me, a feeling of myself. This aspect of familiarity makes possible much of the organization and order of my conscious experience. Consciousness involves categorization, but the categories have to exist prior to the experience because they are the conditions of possibility of having

---

<sup>34</sup> პერსონაჟის მოქმედების ანალიზის ნარატოლოგიურ საფუძველთან დაკავშირებით იხ. მარგოლინი 1986, მაისტერი 2003.

<sup>35</sup> ემოცია მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს, ტვინს ატყობინებს, როგორ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი, რათა ავტომატურ რეჟიმში ტვინში გააქტიურდეს სამოქმედო პროგრამები და ადამიანმა ადეკვატურად იმოქმედოს (დამასიო 2000).

the experience. They enable us, to varying degrees, to assimilate our experiences, however novel, to the familiar.

ცნობიერების ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი ცნობადობაა [...], მექანიზმის ქონა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზებული ცნობიერების ფომირებას, გარანტიაა, რომ ცნობიერი გამოცდილების ცალკეული მახასიათებლები მეტ-ნაკლებად გასაგები იყოს. როდესაც ქუჩაში მივდივარ, ხეები, სახლები და ა.შ. ჩემთვის ნაცნობია. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარი მეს შეგრძნებაა. ცნობადობის ეს ასპექტი ცნობიერი გამოცდილების ორგანიზებას შესაძლებელს ხდის. ცნობიერების ნაწილია კატეგორიზება, მაგრამ კატეგორიები გამოცდილებას უნდა უძღოდეს, რადგან მათი არსებობა გამოცდილების შექმნის წინაპირობაა (პალმერი 2004, 101).

ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას **ცნობადობის** ფაქტორის ფუნქციონირებაზე დაკვირვება განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედებათა მოტივაციის დადგენის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს განსაზღვრავს. კვლევის ღირებულებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ დადგინდეს განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური მექანიზმის ფუნქციონირების ნიუანსები. განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ფიზიკური კონტექსტის ცვლილება ავტომატურად იდენტობის კრიზისის დაწყებას არ ნიშნავს. ტექსტში პირველ ეტაპზე განსახოვნებულია ხოლმე განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ ახალი კონტექსტის იდენტიფიცირების პროცესი. ასეთ დროს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების მცდელობა ძველ და ახალ გამოცდილებას შორის თვისებრივი მსგავსების დადგენას უკავშირდება. როცა ეს მსგავსება ვერ დგინდება, ჰომეოდინამიკური პროცესები წამოიწევს ხოლმე წინა პლანზე, შესაბამისად, ტექსტის ამ მონაკვეთში უკვე განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედებათა საფუძველს, მოტივს ჰომეოდინამიკურ გამომწვევებთან გამკლავება წარმოადგენს, განმცდელი ავტობიოგრაფი ცდილობს, ახალ გარემოში ადაპტაცია მოახერხოს.

მსჯელობის ბოლოს, ვფიქრობ, პერსონაჟის ცნობიერების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით სერლის ერთი შეხედულება კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს. ამ დეტალის დაზუსტებას, ჩემი აზრით, ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

სერლი ტაქსონომიის ერთ-ერთ კომპონენტად ცნობიერების მოქმედების მოტივირებულობას/ინდიფერენტულობას მიიჩნევს:

Searle then discusses the technical, philosophical concept of **intentionality**. In this context, intentionality means that a conscious state is directed at, or is about, something or other. Most consciousness is intentional, but not all. If I am depressed about something, this is an intentional state. If I am depressed, but not about anything on particular, then this state is not intentional [...] He says that every intentional state has what he calls an aspectual shape. This means that my conscious experience are always from a particular point of view, are always perspectival. Seeing an object from a point of view consists of seeing it under certain aspect and not others.

შემდეგ სერლი განიხილავს ინტენციონალურობის ტექნიკურ და ფილოსოფიურ კონცეპტს. ამ კონტექსტში, ინტენციონალურობა გულისხმობს, რომ ცნობიერი მდგომარეობა რაღაც კონკრეტულზეა ორიენტირებული. ცნობიერება უმეტესად ინტენციონალურია, მაგრამ არა ყოველთვის. თუ რაღაცის გამო დათრგუნული ვარ, ეს ინტენციონალური მდგომარეობაა. მაგრამ თუ კონკრეტული რამის გამო არ ვარ დათრგუნული, ეს არაა ინტენციონალური მდგომარეობა [...] იგი აღნიშნავს, რომ ყოველ ინტენციონალურ მდგომარეობას ასპექტური ფორმა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცნობიერი გამოცდილება ყოველთვის გარკვეული პერსპექტივიდანა ფორმირებული. ობიექტის დანახვა გარკვეული პერსპექტივიდან იმას გულისხმობს, რომ მასთან მიმართებით რაღაც გარკვეული ასპექტია აღქმული (პალმერი 2004, 100).

ინტენციონალურობის ცნების შემოტანით სერლი ცდილობს განმარტოს, რომ ცნობიერების მოქმედება გარკვეულ გამაღიზიანებლებზე რეაქციას წარმოადგენს, თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ცნობიერების მოქმედება არამოტივირებული იყოს, კონკრეტული მიზეზი მისი მოქმედების არ არსებობდეს. ნეირომეცნიერ ანტონიო დამასიოს ნაშრომების მიხედვით, სერლის ფილოსოფიური შეხედულებები ცნობიერების ფუნქციონირების ბიოლოგიურ საფუძვლებს ეწინააღმდეგება. მთავარ ხარვეზს კი ის წარმოადგენს, რომ სერლი ცნობიერების მოქმედებას ადამიანის ჰომეოსტაზიური საჭიროებებისგან განცალკევებულად მოიაზრებს. მოცემულ შემთხვევაში ცნობიერების მოქმედება ემოციების წარმოშობას გულისხმობს, ემოცია კი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. როგორც ანტონიო დამასიო განმარტავს, ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირებისას ემოციური მექანიზმი მონიტორინგის როლს ასრულებს, იგი ტვინს აწვდის

ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაშია ადამიანი. თავის მხრივ, მიღებული სიგნალის პასუხად ტვინი ააქტიურებს სამოქმედო პროგრამებს, რომლებიც ადამიანს საშუალებას აძლევს ჰომეოსტაზიური საჭიროებიდან გამომდინარე, მეყსეულად, ფიქრის გარეშე იმოქმედოს. ის, რასაც სერლი ცნობიერების არამოტივირებულ ქმედებას უწოდებს, გარკვეული ფორმით, მეტ-ნაკლები ხარისხის იდენტობის კრიზისზე მიანიშნებს. შეიძლება, ერთი შეხედვით, ადამიანისათვის სიხარულის თუ მწუხარების მიზეზი მის გარშემო არ არსებობდეს, თუმცა იმის გამო, რომ ცნობიერებას მოვლენათა იდენტიფიცირების არასწორხაზოვანი მექანიზმი აქვს, შეიძლება ახალაქმული ინფორმაცია ასოციაციურად პიროვნების ცნობიერებაში დალექილ იმ მენტალურ ხატს დაუკავშირდეს, რომელსაც მენტალურ რუკაზე არასასურველის სტატუსი აქვს. თავის მხრივ, ემოციური მექანიზმი აღნიშნულ მენტალურ პროცესზე რეაგირებს, ტვინს აწვდის ინფორმაციას, რომ რაღაც კარგად არაა, ადამიანი თავს დამწუხრებულად გრძნობს. სანამ ადამიანი თავის მენტალურ რუკაზე განხორციელებულ ასოციაციურ ბმას არ გაიაზრებს, მან შეიძლება იფიქროს, რომ მისი მწუხარება უსაფუძვლოა, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგიურად ადამიანის ნებისმიერ ემოციას ყოველთვის კონკრეტული საფუძველი აქვს: ის მენტალურ რუკაზე დატანილ რომელიმე ხატს უკავშირდება.

აღან პალმერი სერლის ფილოსოფიურ მოსაზრებებს მნიშვნელოვანად მიიჩნევს ნარატოლოგიური ანალიზის წარსამართავად. აღნიშნული მეთოდოლოგიური საფუძველიც, ვფიქრობ, კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს:

The narratological implications of this analysis are fascinating. Intentional states of consciousness would tend to relate to events and situations that have already been established in the story. These events and situations would form reasons, causes, and motives for the resulting states of mind and would therefore have an obvious teleological value. For example, a character may be depressed because of a reversal in fortunes. Non-intentional states would work in a different way because they would not have external causes but could themselves function as causes of future events. For example, because the character was depressed for no reasons, he went on a journey that made him feel better.

წარმოდგენილ ანალიზს გასაოცარი მნიშვნელობა აქვს ნარატოლოგიისათვის. ცნობიერების ინტენციონალური მდგომარეობა მიმართებას აჩვენებს ტექსტში განსახიზვებულ წინარე მოვლენებსა და სიტუაციებთან. ეს მოვლენები ცნობიერების ფუნქციონირების მიზეზსა და მოტივაციას ქმნის; ამდენად, აშკარად ტელეოლოგიური ღირებულება ექნება. მაგალითად, პერსონაჟი შეიძლება დათრგუნული იყოს ბედის რადიკალური ცვლილებით. არაინტენციონალური მდგომარეობები სხვაგვარად იფუნქციონირებს, მათ წარმოშობას გარეგნული საბაზი არ ექნება, მაგრამ მომავალი მოქმედებების საფუძველი შეიძლება გახდეს. მაგალითად, რადგან პერსონაჟი უმიზეზოდ იყო დათრგუნული, ის სამოგზაუროდ გაემართა, რამაც კარგ განწყობაზე დააყენა (პალმერი 2004, 100-101).

წარმოდგენილ მსჯელობაში რა საჭიროებს დამატებით ყურადღებას? ადამიანის პიროვნული განვითარება, რომელიც ცნობიერების ფუნქციონირების საფუძველზე მიმდინარეობს, კომპლექსური და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, განგრძობითია. ლიტერატურულ ტექსტში პერსონაჟის პიროვნული განვითარების დრამის განსაზღვრა სწორედ იდენტობის ერთი მდგომარეობიდან მეორემდე განვლილ გზაზე დაკვირვებას უკავშირდება. პალმერის მიერ წარმოდგენილი ბოლო მოსაზრებებია მეთოდოლოგიურად საპირისპირო მიმართულებას ქმნის: იგი საფუძველს იძლევა იმისას, რომ პერსონაჟის მენტალური პროცესები გარკვეულ ბლოკებად დავყოთ, რომელთა შორისაც შეიძლება არანაირი ბმა არ არსებობდეს. მსგავსი მიდგომა განსაკუთრებულ პრობლემებს წარმოშობს მაშინ, როცა ავტობიოგრაფიული ტექსტები კოჰერენტულად უნდა გაანალიზდეს. ავტობიოგრაფიულ ტექსტში აღწერილი განმცდელი ავტობიოგრაფის ნებისმიერი ქმედება გააზრებულ უნდა იქნეს, როგორც მის მენტალურ რუკაზე ფორმირებულ იმიჯი, რომელთანაც შეიძლება ტექსტის სხვადასხვა ეპიზოდმა აჩვენოს ბმა: ავტობიოგრაფიული ტექსტის სწორედ ამგვარი სტრუქტურის გამო სწორხაზოვანი დიაგრამით შეუძლებელია ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების პროცესის ჩვენება (რიანი 2005)<sup>36</sup>. აღან პალმერის *მენტალობის მთლიანობის* კონცეპტის ძირითადი ნაწილი სწორედ ამგვარ

---

<sup>36</sup> განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების არასწორხაზოვანების საილუსტრაციოდ იხ. დისერტაციის პრაქტიკულ ნაწილში წარმოდგენილი დიაგრამები.

მიდგომას ეფუძნება, პალმერის მიერ ინტენციონალურობასთან დაკავშირებით სირლეს უკნასკნელი მოსაზრების გააზრება კი მცირე უზუსტობას უნდა წარმოადგენდეს.

### **1.8. ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი**

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი ანალიტიკური ფილოსოფიის ფარგლებში მოდალური (მიზეზშედეგობრივი) ლოგიკის საფუძვლების დასაზუსტებლად შეიქმნა. მოგვიანებით ეს იდეა ნარატოლოგებმა ტექსტების საანალიზო კონცეპტად აქციეს.<sup>37</sup> ალტერნატიული სამყაროს ნარატიულ კონცეპტს მნიშვნელოვან კვლევით ინსტრუმენტად აქცევს ის გარემოება, რომ ნარატიული უნივერსუმი ტექსტის გარერეალობისაგან დამოუკიდებელად მიიჩნევა, მას საკუთარი სემანტიკური მოდალობა აქვს (პაველი 1986, დოლუჟიცი 1988, რიანი 1991): ტექსტში წარმოდგენილი ცალკეული ინფორმაციის მოდალობა ამავე ტექსტის სხვა ინფორმაციასთან მიმართებით განისაზღვრება.

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტის მიხედვით, ნარატიული უნივერსუმის ცენტრში მდებარეობს აქტუალური სამყარო, ხოლო მას გარს აკრავს ალტერნატიული სამყაროები. აქტუალურ სამყაროს აბსოლუტური სტატუსი აქვს, მას შეესაბამება სიტყვა ფიზიკურად არსებული/ობიექტური. მისგან განსხვავებით, ალტერნატიულ სამყაროებს პერსონჟთა მენტალური პროცესები ქმნის (რიანი 1991).

ნარატიული დისკურსის ფორმირებისათვის მოვლენებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების შექმნა მნიშვნელოვნად მიიჩნევა (ფორსტერი 1990). ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი საშუალებას იძლევა, ამ კავშირების ტიპები

---

<sup>37</sup> ალტერნატიული სამყაროების თეორიის განვითარება ფილოსოფიაში და მისი ლიტერატურისმცოდნეობაში დანერგვის პირველ კრიტიკული ანალიზი მოცემულია რონენთან (2004), აღნიშნული კონცეპტის გამოყენებით მიღებული პროგრესი და სამომავლო პერსპექტივები შეჯამებულია ახლახანს ბელისა და რიანის რედაქტორობით გამოსულ საეტაპო მნიშვნელობის კრებულში (2019).

განივრცოს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ნარატიულ ტექსტში წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ცვლილებაზე თანაბარი გავლენა აქვს ფიზიკურსა და ვირტუალურ მოვლენებს (პერსონაჟთა მენტალურ აქტივობებს). პერსონაჟის მენტალური ქმედებების სპექტრი მრავალფეროვანია. ისინი კლასიფიცირდება შემდეგ მოდალურ ოპერატორებად:

- a. პერსონაჟის ცოდნა, მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია;
- b. პერსონაჟის ვალდებულებები;
- c. პერსონაჟის მისწრაფებები;
- d. ნამდვილი<sup>38</sup> ალტერნატიული სამყარო, რომელსაც პერსონაჟი წარმოსახვით ქმნის.

ალტერნატიული სამყაროების კონცეპტზე მსჯელობისას უნდა დაზუსტდეს, რომ პერსონაჟის ნებისმიერი მენტალური ქმედება ალტერნატიულ სამყაროს არ ქმნის. განსაკუთრებით ეს ითქმის ემოციების შესახებ. მენტალური პროცესები ალტერნატიულ სამყაროდ მხოლოდ მაშინ განისაზღვრება, როცა ის პერსონაჟის დისპოზიციის ნაწილია. ასეთ შემთხვევაში, პერსონაჟის მენტალური ქმედება მკითხველის მიერ კანონზომიერად აღიქმება. ერთჯერადი მენტალური პროცესი, რომელიც ტექსტის სხვა მონაცემებს არ თანხვდება, გასათვალისწინებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამავე პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის შესახებ ინფორმაციას იძლევა.

აქტუალური (ფაქტობრივი) სამყარო ტექსტის ფარგლებში აბსოლუტურად არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აღქმის შესაძლებლობა ამ სამყაროს თითოეულ წარმომადგენელს აქვს. აქტუალური სამყაროს საპირისპიროდ, პერსონაჟის ინდივიდუალური სამყარო, მენტალური პროცესები, ყველასთვის თვალმისაწვდომი არაა. აქტუალური სამყაროს იმანენტური ბუნების დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, ტექსტში მკითხველს რომელი მთხრობელი ინსტანცია აძლევს გარანტიას, რომ ფაქტობრივი რეალობის სახელით წარმოდგენილი მოვლენები მთხრობლის სუბიექტური აღქმისაგან თავისუფალია. არაპერსონალური მთხრობლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საიმედოობა აბსოლუტურია. რაც შეეხება პერსონალურ მთხრობელს, ის დიეგეზისის

---

<sup>38</sup> რიანთან ტერმინ ალტერნატიულ სამყაროებს მეტაფორული მნიშვნელობა აქვს.

ნაწილია და შესაბამისად, მკითხველს მის მიერ სუბიექტურად აღქმული ინფორმაცია მიეწოდება. ასეთ შემთხვევაში, აქტუალური (ფაქტობრივი) სამყაროს განსასაზღვრავად მკითხველმა მთხრობლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნაწილებად უნდა დაახარისხოს (რიანი 1991, 113).

ტექსტის ნარატიული სემანტიკის დასადგენად გასათვალისწინებელია **აქტუალურ სამყაროში მოქმედი კანონზომიერების** თავისებურებაც. გამოიყოფა ორი ტიპი: ა) მთლიან ტექსტში აქტუალურ სამყაროს ერთი ზოგადი კანონზომიერება აქვს ბ) ნარატიული ტექსტების ნაწილში აქტუალური სამყაროს კანონზომიერება ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში იცვლება. ამ გარემოების გათვალისწინებით, რიანი უნირეგიონალურ და პოლირეგიონალურ ნარატიულ უნივერსუმებს გამოყოფს (რიანი 1991).

ნარატიული დისკურსი, როგორც უკვე აღინიშნა, ფორმირდება სხვადასხვა **მოვლენისა და მდგომარეობის** მონაცვლეობით. ამ პროცესის პროგნოზირება შესაძლებელია აქტუალურ სამყაროში მოქმედი ზოგადი კანონზომიერების მიხედვით. ამდენად, ტექსტის ანალიზისას გასათვალისწინებელია *აქტუალიზებადი მოვლენებიც*. აქტუალიზებადი მოვლენა ფაქტიურს (უკვე მომხდარს) უპირისპირდება და ამდენად, ერთ-ერთ ალტერნატიულ სამყაროს ქმნის, თუმცა ალტერნატიული სამყაროს ეს ვარიანტი აბსოლუტურია, ანუ აქტუალური სამყაროს ზოგად კანონზომიერებას ექვემდებარება. ამის საპირისპიროდ, პერსონაჟის მენტალური ქმედებები აბსოლუტურობას მოკლებულია. უფრო მეტიც, ნარატიულ სემანტიკას შეიძლება, სწორედ ზოგადი და ინდივიდუალური მოდალური ოპერატორების თანაარსებობა განაპირობებდეს (რიანი 1991, 109-124).

**პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია:** პერსონაჟის ეპისტემოლოგიურ კომპეტენციაზეა დამოკიდებული, ინდივიდუალური და აქტუალური სამყაროები ერთმანეთს რამდენად შეეთავსება. პერსონაჟის ცოდნა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი, მოიცავდეს მხოლოდ აქტუალური სამყაროს შესახებ ინფორმაციას ან ითვალისწინებდეს სხვა პერსონაჟთა მენტალურ გამოცდილებასაც. ტექსტში კონფლიქტს უმეტესად პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის ნაკლოვანება იწვევს, თუმცა

ანალიზისას დაკვირვებას საჭიროებს კონფლიქტის წარმოშობის ის შემთხვევაც, როცა პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულყოფილია, კონფლიქტი კი მაინც წარმოიშობა. ასეთ შემთხვევაში, პერსონაჟის გადაწყვეტილება გააზრებულია, დისპოზიციას არ ეფუძნება და ის შესაბამისი ფორმით უნდა ინტეგრირდეს ამავე პერსონაჟის სხვა ნარატივთა შორის.

პერსონაჟის ცოდნა, როგორც უკვე აღინიშნა, სხვა პერსონაჟთა პირად სამყაროსაც მოიცავს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიურად გამართლებულია ნარატიულ ტექსტში პერსონაჟის მენტალური პროცესების განგრძობითობაზე დაკვირვება (პალმერი 2004). თავის მხრივ, რაკი დასაშვებია მენტალური პროცესების განგრძობითობა, ანალიზისას არგუმენტებად ჩართული ნარატივის (Embedded Narratives)<sup>39</sup> დეტალებიც უნდა იქნეს გამოყენებული. ჩართული ნარატივი კი უნდა მოიცავდეს როგორც საანალიზო პერსონაჟის წინარე ნარატივს, ისე - სხვა დანარჩენი პერსონაჟებისას.<sup>40</sup>

---

<sup>39</sup> აღნიშნული ტერმინი პერსონაჟის ინტრამენტალური პროცესების დასახასიათებლად ალან პალმერმა გამოიყენა 2004 წელს გამოსულ წიგნში „ფიქციონალური ცნობიერება“. 2010 წელს მან აღნიშნული კვლევა განავრცო და ფუნდამენტურად შეისწავლა პერსონაჟის სოციალური ცნობიერება. უკანასკნელ კვლევაში პალმერმა *ჩართული ნარატივი* შეცვალა *კოგნიტური ნარატივით*. აღნიშნული ცვლილების საფუძველი პირველი ტერმინის არაერთგვაროვანი შინაარსი იყო. პალმერი ამ დასკვნამდე კოლეგებისაგან მიღებულმა რეკომენდაციებმა მიიყვანა.

<sup>40</sup> ნარატოლოგების მიერ დიდი ხანია, შემჩნეულია, რომ მხატვრულ ტექსტში პერსონაჟის შესახებ მოცემული ინფორმაცია მკითხველმა უნდა გააერთიანოს; პერსონაჟის მენტალურ გამოცდილებებს შორის ბმები, როგორც წესი, ტექსტში ექსპლიციტურად არაა მოცემული, ისინი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მკითხველმა უნდა შექმნას. შეიძლება ითქვას, ტექსტის სტრუქტურა მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიის მიხედვით კი არ განისაზღვრება, არამედ – პერსონაჟის ცნობიერების ფუნქციონირების სპეციფიკით (ჰერმანი 1999). პერსონაჟის ცნობიერების კოპერენტული მოდელის შესაქმნელად მკითხველის როლზე იხ. იზერი 1978, ეკო 1981, კატერინა ემოტი 1997.

პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის დანიშნულებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ იგი, როგორც წესი, საფუძვლად ედება პერსონაჟის მიზნებისა და გეგმების ფორმირებას. როგორც უკვე აღინიშნა, აქტუალურ სამყაროს საკუთარი კანონზომიერებები ახასიათებს, ლოკალური კანონზომიერებები აქვს პერსონაჟის ინდივიდუალურ (ალტერნატიულ) სამყაროსაც. ეს კანონზომიერებები ხშირად სწორედ პერსონაჟის ეპისტემოლოგიური კომპეტენციიდან გამომდინარეობს: ჩემი ცოდნის მიხედვით ვიცი, რომ a-ს მოჰყვება b. თუ ასე არ მოხდა, მაშინ სავარაუდებელია c ვარიანტის გამოყენება (რიანი 1991, 116).

ნარატიულ ტექსტში კონფლიქტის წარმოშობის საკითხის შესასწავლად დაკვირვებას საჭიროებს ალტერნატიული სამყაროს კიდევ ერთო მოდალური ოპერატორი - **მოვალეობები**. ეს ოპერატორი შეიძლება ფორმირდეს საზოგადოებაში მოქმედი წესების ან პერსონაჟის ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე. მოვალეობები, არსობრივად, კონფლიქტის წარმოშობის რისკფაქტორია: ერთი სოციუმის/ადამიანის წინაშე აღებული ვალდებულება პერსონაჟს მეორე სოციუმთან/ადამიანთან კომუნიკაციაში უშლის ხელს.

**მისწრაფებათა** მოდალური ოპერატორი პერსონაჟის ღირებულებათა, შეხედულებათა სისტემას უკავშირდება. პერსონაჟისათვის აღნიშნული მოდალური ოპერატორი განსაზღვრავს, რა იყოს სასურველი და რა – ნაკლებად მისაღები. ვალდებულებების მსგავსად, მისწრაფებებიც ტექსტის ფარგლებში შეიძლება შეიცვალოს (რიანი 1991, 116-118).

რა სამეცნიერო ღირებულება აქვს ალტერნატიული სამყაროების კონცეპტის გამოყენებას ავტობიოგრაფიული ტექსტების კვლევისას? ავტობიოგრაფიული დისკურსის ფორმირებისა და განვითარების შესასწავლად მნიშვნელოვანია ტექსტში განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მონაცვლეობაზე დაკვირვება, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების პროცესს აჩვენებს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პიროვნების მენტალობა, არსებითად, სოციალური ხასიათისაა, მისი

ფუნქციონირება სხვა ადამიანებთან ინტერაქციის შედეგია.<sup>41</sup> თავის მხრივ, პერსონაჟის მიერ გარერეალობის აღქმა ყოველთვის ცალმხრივია. შესაბამისად, სწორი მენტალური თეორიის შემუშავება აუცილებელი წინაპირობაა საიმისოდ, რომ იგი სოციუმში ინტეგრირდეს. პერსონაჟის მიერ მენტალური თეორიის შემუშავების, მისი მოდიფიკაციის შესასწავლად ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური თეორიის ფორმირებაზე დაკვირვება ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების თავისებურების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

---

<sup>41</sup> მხატვრულ ტექსტში განსახილველი სოციალური ცნობიერების თავისებურების შესახებ იხ. პალმერი 2010.

## II თავი. აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“: ტექსტის ანალიზი

### 2.1. სოციალური ცნობიერების ფორმირების პროცესი-განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადება

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“<sup>42</sup> პირველი ეპიზოდი განმცდელი ავტობიოგრაფის ცხოვრების იმ პერიოდს მოიცავს, რომელიც მისი მეხსიერების ნაწილი არ ყოფილა: „საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც [...] აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მეხსიერება“ (წერეთელი 2015, 13). დამოწმებული ტექსტი ადასტურებს, რომ მთხრობელ ავტობიოგრაფს განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადებით გამოწვეული საზოგადოებრივი

---

<sup>42</sup> ქართულ სამეცნიერო სივრცეში აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება მრავალმხრივია შესწავლილი (რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია იხ. <https://www.litinstiuti.ge/akaki-biblio-01.pdf>, თუმცა, „ჩემს თავგადასავალს“ მკვლევრები, ძირითადად, მწერლის ბიოგრაფიული დეტალებისა და რუსული საგანმანათლებლო სისტემის ასახვის თვალსაზრისით აქცევენ ყურადღებას; გარდა ამისა, აკაკის ავტობიოგრაფიული ტექსტი საბავშვო ლიტერატურის ნიმუშადაა მიჩნეული: საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ის საპროგრამო ნაწარმოებია დაწყებით საფეხურზე. თავად ავტორი კი „ჩემს თავგადასავალს“ გამორჩეულად აფასებდა. აღსანიშნავია, რომ ზრდასრულის პერსპექტივიდანაა ნაჩვენები განმცდელი ავტობიოგრაფიის ბავშვობა. „ჩემი თავგადასავლის“ შესასწავლად კოგნიტური ნარატოლოგიის ცოდნა და ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია პირველადაა გამოყენებული, სადისერტაციო ნაშრომში .ერთი მხრივ, დაზუსტებულია თეორიული საფუძვლები, მეორე მხრივ, კი აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული ტექსტის დეტალური ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია კოგნიტური ნარატოლოგიის პერსპექტივიდან რომელი ტექსტობრივი მონაცემებია საყურადღებო, ასევე განმარტებულია კოგნიტური მეცნიერებების ცოდნის საფუძველზე როგორ შეიძლება ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ტექსტობრივი მონაცემების განალიზება/დამუშავება. „ჩემი თავგადასავლის“ შესახებ ქართულ სამეცნიერო სივრცეში წარმოდგენილი მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზზე შეგნებულადაა უარი ნათქვამი, ამ ეტაპზე სადისერტაციო კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა თეორიული ცოდნის მობილიზება და მისი მორგება ქართულ ფაქტუალურ ავტობიოგრაფიულ ტექსტებზე. ყველა დამატებითი მიზნების განსაზღვრა, საკვლევ აქცენტებს გააბუნდოვნებდა, ფოკუსს დაარჩევდა.

რეაქციის შესახებ გარშემო მყოფი ადამიანებისაგან უნდა შეეცყო (“აი, როგორ მოჰყვებოდა ხოლმე ამ ამბავს გაზეპირებულ „მამაო ჩვენო“-სავით ცხონებული გადიაჩემი” (იქვე, 11)).

წარმოდგენილი ინფორმაციის წარმომავლობაზე ყურადღების გამახვილება საჭიროა იმდენად, რამდენადაც იგი განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალურ პროცესებში ერთ-ერთ კოგნიტურ (ჩართულ) ნარატივს ექნის. შესაბამისად, მას მთხრობელი ავტობიოგრაფის მენტალურ რუკაზე უნდა მიენიჭოს შესატყვისი ფუნქციური იარლიყი, რათა განმცდელი ავტობიოგრაფის ექპერიმენტულობის ანალიზში მკითხველმა მისი ინტეგრირება ადეკვატურად შეძლოს.

საანალიზო ნარატივი თხრობის დასაწყისში რომაა მოცემული, იმას არ ნიშნავს, რომ ფუნქციური თვალსაზრისით, იგი უპირობოდ მომდევნო ეპიზოდს უკავშირდება. გასათვალისწინებელია, რომ ავტობიოგრაფიაში, ქრონოლოგიურ დროსთან შედარებით, კოპერენტული შინაარსის შესაქმნელად უპირატესობა ენიჭება *ცნობიერების დროს* (პერიი 1979). საყურადღებოა ისიც, რომ მეხსიერება ინფორმაციის კონსტრუირებას გულისხმობს და არა - რეკონსტრუირებას (შაქტერი 1996). განმცდელი ავტობიოგრაფის წარსულიდან გახსენებული მოვლენები ყოველთვის მთხრობელი ავტობიოგრაფის აწმყოსთანაა დაკავშირებული (იკინი 2008). სწორედ ამ მეთოდოლოგიური საფუძვლის მიხედვით უნდა დაზუსტდეს საანალიზო ნარატივის ფუნქცია.

ავტობიოგრაფიული ტექსტის ინტერპრეტაციისას არსებობს ერთი მთავარი საფრთხე: იგი შეიძლება მკითხველმა, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექსტად მიიჩნიოს. ასეთ შემთხვევაში, ავტობიოგრაფია ბიოგრაფიული დეტალების საცავად წარმოდგება. აღნიშნული მიდგომის გასაბათილებლად, მსჯელობის პირველ ეტაპზე, ერთი მხრივ, უნდა დაზუსტდეს ავტობიოგრაფიული ტექსტის სტატუსის შეცვლა (მნატვრულის ნაცვლად, საინფორმაციო ტექსტად მიჩნევა) რამდენად ცვლის ტექსტის ინტერპრეტაციას, მეორე მხრივ კი უნდა განიმარტოს, წინამდებარე დისერტაციის თეორიულ ნაწილში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, რატომაა პრინციპულად მიუღებელი ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ამგვარი წაკითხვა.

ფაქტუალური ავტობიოგრაფია მხატვრულ ტექსტად უნდა იქნეს განხილული, მასში ფიქციონალური სტრატეგიები გამოყენებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუქციონირების განსასახივებლად. აღნიშნული თეორიული მიდგომის გაუთვალისწინებლად განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები მოვლენების აღწერის ფუნქცია სწორად ვერ განისაზღვრება. მეტი თვალსაჩინოებისათვის მომდევნო მსჯელობით პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ეპიზოდის როგორი ინტერპრეტაციაა მიუღებელი? შესაძლებელია ორი ასეთი ვარიანტის დაშვება:<sup>43</sup>

მთხრობელ ავტობიოგრაფს სურს, მკითხველის ყურადღების ცენტრში მოაქციოს საზოგადოებრივი კონტექსტი, რომელშიც ის დაიბადა და გაიზარდა, მთავარია არა განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების უნიკალურობა, არამედ მისი დაბადების სოციალური მნიშვნელობა. წინამდებარე სადისერტაციო კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ განსახილველ ტექსტში მთხრობელი ავტობიოგრაფის ფუნდამენტური ჰომეოსტაზიური საჭიროებაა განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების რეკონსტრუირება. მთხრობელი ავტობიოგრაფი სინანულს განიცდის იმის გამო, რომ მას საკუთარი ნიჭის განვითარების საშუალება არ მიეცა, **სოციალური კონტექსტი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა** (იხ. შემდეგი ქვეთავი). დასაზუსტებელია ისიც, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის სინანულის განცდა ძლიერია.<sup>44</sup> შესაბამისად, გაუმართლებელი ჩანს, „ჩემი თავგადასავლის“ დასაწყისში წარმოდგენილი სოციალური მოვლენების აღწერა იმით აიხსნას, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი საზოგადოების ინფორმირებას ცდილობდა. ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთს ბევრად სერიოზული

---

<sup>43</sup> მთხრობლის ფუნქციების დეტალური ანალიზი და ბავშვობის პერიოდის განსახივების ნარატოლოგიური სტრატეგიების შესახებ ნიუნინგი (1989).

<sup>44</sup> ორივე საანალიზო ტექსტში (აკაკისთან და მარიამთან) მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის მნიშვნელოვან მისწრაფებას წარმოადგენს, მოახერხოს შემოქმედებითი განვითარება. აკაკისათვის ამ თვალსაზრისით მთავარი სამოღვაწეო ასპარეზი სამშობლოსადმი მსახურებაა, მარიამისთვის კი – პიროვნული ურთიერთობები.

ფუნქცია აქვს - იგი მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის სტაბილურობის (კომეოსტაზის) უზრუნველყოფას ემსახურება.

როგორია არასწორი ინტერპრეტაციის **მეორე ვარიანტი**? მთხრობელ ავტობიოგრაფს ტექსტის კომპოზიცია განსაზღვრული არ აქვს, მის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის მეხსიერების მიღმა არსებული მოვლენის აღწერაც არაგეგმაზომიერია. მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის ბავშვობასთან დაკავშირებით აღწერს ყველაფერს, რაც სმენია სხვებისგან თუ თავად აღუქვამს. ამგვარ ასოციაციათა შორის უნდა იქნეს განხილული განმცდელი ავტობიოგრაფის შობის თანმხლები საზოგადოებრივი მოვლენებიც.

წინამდებარე დისერტაციის თეორიულ ნაწილში აღინიშნა, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ავტობიოგრაფის მენტალური ხატების (წარსული გამოცდილების) მოწესრიგებას/სემანტიზებას გულისხმობს; ამასთან ის, თუ როგორ დალაგდება აღნიშნული მენტალური ხატები, დამოკიდებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის აწმყო საჭიროებებზე (იკინი 2008, დამასიო 2000). ამდენად, დაუშვებელია, მთხრობელი ავტობიოგრაფი ქაოტურად, უფუნქციოდ იხსენებდეს მოვლენებს; ეს გახსენების აქტის, იდენტობის ფუნქციონირების ფუნაქციონირებულ საფუძვლებს ეწინააღმდეგება.

ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიის მიხედვით, ფაქტუალური თუ ფიქციონალური ავტობიოგრაფიები იდენტობის ფუნქციონირების განსასახოვნებლად ერთნაირ ფიქციონალურ სტრატეგიებს იყენებს. ამდენად, „ჩემი თავგადასავლის“ ანალიზი მეთოდოლოგიურად გამართული რომ იყოს, უნდა გამოვლინდეს ავტობიოგრაფის მიერ გამოყენებული ნარატიული სტრატეგიები და იმავდროულად იდენტობის ფუნქციონირებასთან მიმართებით უნდა განისაზღვროს მათი ფუნქცია.

მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის მიხედვით, რა **დანიშნულება** უნდა ჰქონდეს საანალიზო ეპიზოდს? ტექსტის დასაწყისში აღწერილი სოციუმის ქმედება აჩვენებს განვითარების მომდევნო ეტაპზე განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების დრამატიზების საფუძველს. ეპიზოდის განსახოვნების ფორმად კი ავტობიოგრაფს არჩეული აქვს **არასაიმედო თხრობა**: მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნული

მოვლენების გახსენების რეალურ მიზეზს ნიღბავს. იგი მკითხველის ცნობიერებაში ფაქტუალური ავტობიოგრაფიის სკრიპტს ააქტიურებს, რათა ინფორმაციას სუბიექტური აღქმის კვალი მოაცილოს.<sup>45</sup> არასაიმედო თხრობა, როგორც წესი, მთხრობელში მიმდინარე

---

<sup>45</sup> ტერმინი არასაიმედო მთხრობელი პირველად ვაინე ბუსმა გამოიყენა ნაშრომში „ფიქციის რიტორიკა“. აღნიშნული ტერმინი საბოლოოდ დამკვიდრდა ნარატოლოგიაში. რაც შეეხება მის მნიშვნელობას, ის მუდვი დისკუსიის საგანია. ბუსისათვის არასაიმედო თხრობის საიდენტიფიკაციო საფუძველს იპლიციტური ავტორის ღირებულებები ქმნის. მისთვის არასაიმედო თხრობა მორალური კატეგორიაა. მთხრობელი არასაიმედოდ უნდა დახასიათდეს, თუ მისი შეხედულებები იპლიციტური ავტორის ღირებულებათა სიტემას არ შეესაბამება. არასაიმედო თხრობის შესწავლის ისტორიის სისტემური ანალიზი იხ. მენჰარდთან (2009).

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ავტობიოგრაფიული ტექსტების გასაანალიზებლად ვეყრდნობი ანსგარ ნიუნინგის კონცეფციას (ნიუნინგი 1998). იგი მიიჩნევს, რომ მთხრობლის საიმედოობის დასადგენად ტექსტობრივ მონაცემებთან ერთად გასათვალისწინებელია მკითხველის ფენომენიც. ის, თუ ვის მიჩნევს მკითხველი არასაიმედო მთხრობლად, დიდწილად დამოკიდებულია წარმოდგენებზე, შაბლონებზე, რომლებიც მენტალური პროცესების საიდენტიფიკაციოდ, ამოსაცნობად და სემანტიკური თვალსაზრისით მათ გასაერთიანებლად მკითხველის ცნობიერებაში არსებობს. ფაქტუალურ ავტობიოგრაფიაში მთხრობლის მიერ მოწოდებულ ბიოგრაფიულ ინფორმაციას შორის ბმები, როგორც წესი, ექსპლიციტურად არაა მოცემული, ამიტომ წარმოდგენილი ინფორმაციის თავსებადობას/საიმედოობას განსაზღვრავს ის კოგნიტური სკრიპტები, შაბლონები, რომლებსაც თხრობის კოჰერენტულობის უზრუნველსაყოფად მკითხველი გამოიყენებს.

აღნიშნული მიდგომა წინამდებარე სადისერტაციო კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შემდეგი გარემოების გამო: მთხრობელი ავტობიოგრაფის საიმედოობის დასადგენად მკითხველის პოზიციაში დგას მკვლევარი, რომელიც იყენებს არა ყოველდღიურ გამოცდილებას, არამედ კოგნიტური მცენიერებების კომპლექსურ ცოდნას გახსენების და ზოგადად ცნობიერების თავისებურების შესახებ. ასეთ შემთხვევაში გამადიდებელი შუშის ქვეშ ექცევა მთხრობლის ნარაცია. პირველი პირის თხრობა, როგორც შტანცელი აღნიშნავდა, განსაკუთრებით მიდრეკილია არასაიმედოობისაკენ (შტანცელი 2001), საკუარი თავის თუ სხვათა შესახებ ფორმირებული წარმოდგენები სუბიექტურია. ამიტომ ნარატოლოგიური პერსპექტივიდან თხრობის საიმედოობაზე დაკვირვება სამეცნიერო ღირებულების რომ გახდეს, გასაზიარებელია რიმონ-კენანის პოზიცია (რიმონ-კენანი 2001). მის აზრით, არსებობს არასაიმედოობის სხვადასხვა საფეხური. შესაბამისად, *ავტობიოგრაფიული მეს* რაგვარობის შესაწავლად მთხრობელი ავტობიოგრაფის არასაიმედოობის დადგენასთან ერთად, აუცილებელია, არასაიმედოობის

უკონტროლო მენტალურ პროცესებზე მიაწინებს ხოლმე, თუმცა არსებობს არასაიმედო თხრობის მეორე ვარიანტიც, რომელსაც მთხრობელი გააზრებულად იყენებს - მკითხველი შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში.<sup>46</sup> საანალიზო ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები მოვლენების განსახოვნებისას გამოყენებულია არასაიმედო თხრობის მეორე ვარიანტი. მთხრობელი ავტობიოგრაფი მკითხველს ნეიტრალურ მთხრობლად წარმოუდგება. რეალურად კი განსახოვნებული სოციალური მოვლენა მისთვის პიროვნულად ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

---

ხარისხიც განისაზღვროს; აღნიშნული ხარისხის მიხედვით უნდა დაზუსტდეს, თავის მხრივ, მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური და ჰომეოდინამიკური საჭიროებები.

წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში არასაიმედო თხრობასთან დაკავშირებით სამეცნიერო დისკუსიიდან კიდევ ერთი მოსაზრებაა ინსტრუმენტალიზებული: გრეტა ოლსონი მიიჩნევს, რომ არსებობს არასაიმედო თხრობის ორი ვარიანტი: გააზრებული და გაუაზრებელი. პირველ შემთხვევაში არასაიმედო თხრობა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფის ქვეცნობიერი მენტალური პროცესი, მის არსებობა მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის შეუმჩნეველი ხდება. მეორე შემთხვევაში კი მთხრობელს მკითხველი შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში. უკანასკნელ სტრატეგიას შეიძლება სხვადასხვა მიზანდასახულობა ჰქონდეს, რაც კონკრეტული საანალიზო ტექსტის მიხედვით უნდა დადგინდეს (ოლსონი 2003).

<sup>46</sup> “ჩემს თავგადასავალში” არასაიმედო თხრობის მეორე ვარიანტიც არის მოცემული, იმავე სავანეში გატარებული წლების გახსნებისას, მთხრობელი პოლემიკას იწყებს, ხისტ პოზიციას იკავებს სოფლელი და ქალაქელი ბავშვების შედარებისას. მისი მსჯელობა აირეკლავს იმ ტრავმას, რომელიც მან გიმნაზიაში სწავლისას მიიღო. არასაიმედო თხრობად აღნიშნული ეპიზოდის კლასიფიცირებისათვის კიდევ რამდენიმე გარემოების გამოყოფა შეიძლება: სხვადასხვა ტექსტობრივი მონაცემების არათავსებადობა - ტექსტის მომდევნო ეპიზოდში (სასახლეში დედის მეთვალყურეობის ქვეშ რომ იზრდებოდა) მთხრობელი ბავშვის აღზრდისას რეგულაციების დაწესებას დადებით მოვლენად წარმოაჩენს, როცა საანალიზო ეპიზოდში იმავე მიდგომას მიუღებლად მიიჩნევს. მთხრობლის ცნობიერებაში უკონტროლო მენტალური პროცესების გააქტიურებაზე მიმანიშნებელია სავანეში გატარებული წლების განსახოვნების სტრატეგიის შეცვლაც, ეპიზოდს არ აცოცხლებს, არ აღწერს, ბურთაობა როგორ განმცდელი ავტობიოგრაფის მონაწილეობით როგორ წარიმართებოდა ხოლმე, მხოლოდ წარმოსახვით მოწინააღმდეგეს ეკამათება და უმტკიცებს სოფლად ყოფნის უპირატესობას ქალაქელი ბავშვის ყოფასთან შედარებით.

რას ნიშნავს ფაქტუალური ავტობიოგრაფიის სკრიპტის გააქტიურება და როგორ უზრუნველყოფს ეს ნარატიული სტრატეგია მთხრობლის რეალური განზრახვის შენიღბვას? სკრიპტი თავისთავად გარკვეული მოვლენისადმი მკითხველის ტრადიციულ დამოკიდებულებას გულისხმობს. ფაქტუალური ავტობიოგრაფიიდან მკითხველი ავთენტური ინფორმაციის მიღებას ელოდება, გამორიცხავს მოვლენებისადმი მთხრობლის სუბიექტურ დამოკიდებულებას; იგი არ ელოდება, რომ მთხრობელი ბიოგრაფიული მონაცემებით იმანიპულირებს. მთხრობელი მხოლოდ ინფორმაციის შემგროვებელთან ასოცირდება. საანალიზო ეპიზოდში ამგვარ წარმოდგენას 1-ლი თურმეობითის ფორმათა და სხვათა სიტყვის ნაწილაკის, ო-ს, გამოყენება ქმნის. აღნიშნული გრამატიკული კატეგორიები მკითხველს მიანიშნებს, რომ ინფორმაციის გასაზრებლად ფაქტუალური ავტობიოგრაფიის სკრიპტით უნდა იხელმძღვანელოს: *დავბადებულვარ, შეურიგებია, სხვანაირი იყო, სულ იცინოდაო*” (წერეთელი 2015, 11). იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთხრობელს მხოლოდ შეუგროვებია ინფორმაცია და ინტერპრეტაციის გარეშე წარუდგენია მკითხველისათვის.

საანალიზო ეპიზოდში მკითხველს ინფორმაციის ავთენტურობის შთაბეჭდილებას თხრობის კიდევ ერთი სტრატეგია უქმნის: კონფლიქტის მონაწილეთა მიამიტური ქცევა **დისტანციურად** და უარყოფითი **შეფასების** გარეშეა წარმოდგენილი. მკითხველს მთხრობელი ავტობიოგრაფის სოციალური კრიტიკა კიდევ ერთი გარემოების გამო არ ხვდება თვალში: ტექსტის მომდევნო მონაკვეთი განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ სავანეში გატარებული წლების აღწერას ეთმობა. სავანეში ყოფნისას განმცდელი ავტობიოგრაფი სოციალურად აქტიური არ იყო. შესაბამისად, მკითხველისათვის პირველ ეპიზოდში ნაჩვენები უფროსების მიამიტობა სოფლური იდილიის ნაწილად აღიქმება. რაც მთავარია, აღნიშნული სკრიპტის ფარგლებში სოციუმის მიამიტობის ჩვენება დადებით კონოტაციას იძენს.

**როგორია მთხრობელი ავტობიოგრაფის რეალური ინტენცია?** ჩემს *თავგადასავალში* განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების ორი მთავარი საფეხური გამოიყოფა: პირველ ეტაპზე ყურადღება მახვილდება დისპოზიციის ფორმირებაზე (მოიცავს ბავშვობას - სავანესა და სასახლეში გატარებულ წლებს), მეორეზე კი ამ

დისპოზიციის ვალიდურობაა ნაჩვენები. „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით, დისპოზიციის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს **სოციალური ქცევის წესების ათვისება**, ისინი განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში სამოქმედო პროგრამებად ყალიბდება, რომლებმაც განმცდელი ავტობიოგრაფის ქცევის ოპტიმიზება უნდა უზრუნველყოს.

საანალიზო ეპიზოდში ასახულია სწორედ ის სოციუმი, რომლის ფარგლებშიც განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიცია ფორმირდა. ეს სამოქმედო პროგრამები მას უნდა დახმარებოდა, ახალ სოციალურ რეალობაში (საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ დაწყებული სოციალური პროცესები) საკუთარი ადგილი ეპოვა<sup>47</sup>. როგორც ამას „ჩემი თავგადასავლის“ მომდევნო ქვეთავების ანალიზი აჩვენებს, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის რთული აღმოჩნდა სოციალურ გამოწვევებთან გამკლავება, პირველ რიგში, ხელი შეუშალა არასრულყოფილმა **სოციალურმა კომპეტენციამ**.

მთხრობელი ავტობიოგრაფის აღნიშნული პერსპექტივის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები მოვლენების აღწერას ამგვარი ახსნა ეძებნება: დარღვეულ სოციუმზე, სოციუმის წევრთა მიამიტურ ქცევაზე მთხრობელი იმიტომ ამახვილებს ყურადღებას, რომ მის ცნობიერებაში დიდწილად ამ სოციუმს უკავშირდება განმცდელი ავტობიოგრაფის არაერთი მარცხის მიზეზები.

თუ მთხრობელს ტექსტის დასაწყისში განსახოვნებული სოციუმისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, რატომ არ გამოხატავდა ამას ცხადად? რეალური ინტენციის შენიღბვას რამე კავშირი ხომ არ აქვს მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობასთან?

აღსანიშნავია, რომ ტექსტში მთხრობელი ავტობიოგრაფი არსად ცხადად არ აკრიტიკებს იმ სოციუმს, რომელშიც ის გაიზარდა, თუმცა ჩანს ისიც, რომ აკაკი წერეთელი ამ

---

<sup>47</sup> ანტონიო დამასიოს აზრით, ადამიანს აქვს სამოქმედო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს გამოწვევებზე დაუფიქრებლად რეაგირებას (დამასიო 2000).

სოციუმში მოქმედი წესების პრობლემურობას/არაადეკვატურობას აცნობიერებს.<sup>48</sup> ამგვარი ამბივალენტური დამოკიდებულება იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეს კონტექსტი თავისი ნაკლოვანებებით მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის სიცოცხლის ბოლომდე იდენტობის ნაწილად რჩება<sup>49</sup>. „ჩემს თავგადასავლს“ ორი ადრესატი ჰყავს: მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოება და თავად – მთხრობელი ავტობიოგრაფი. პირველი ადრესატისადმი განსაკუთრებული პატივისცემა დომინანტური განწყობაა, ამ დამოკიდებულების შენარჩუნება ტექსტში მთხრობელი ავტობიოგრაფის პიროვნული ტრაგიზმის დამალვის ხარჯზე ხდება:

მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი იყო, საკუთარ წარსულში მიზეზშედეგობრივი მიმართებები ცხადად განესაზღვრა. ამ თვალსაზრისით, მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ გამოტანილი ერთ-ერთი საკვანძო დასკვნა კი ასეთი იყო: განმცდელი ავტობიოგრაფის გეგმებისა და მისწრაფებების განუხორციელებლობის მთავარი მიზეზი მისი სოციალური კომპეტენციის არარელევანტურობა იყო. საანალიზო ეპიზოდში მთხრობელი ავტობიოგრაფი საკუთარ გულისტკივილს ნიღბავს და სოციუმის ნაკლოვანებას ნეიტრალური ინფორმაციის სახით წარმოადგენს, რადგან მას უყვარდა ეს სოციუმი და არ სურდა მისი წევრებისათვის ტკივილი მიეყენებინა.

მსჯელობის დამაჯერებლობისათვის, **მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის დასაზუსტებლად** უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკუთარი წარსულისადმი ამგვარ დუალისტურ დამოკიდებულებას ტექსტის სხვა მონაკვეთშიც ავლენს. ეს მდგომარეობა მხოლოდ ტექსტის დასაწყისში არა ნაჩვენები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნული **კოგნიტური ნარატივი** მისი იდენტობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია.

---

<sup>48</sup> სოციუმში ქცევის წესების რღვევა თემატიზებულია *ჩემი თავგადასავლის* კიდევ ერთ ეპიზოდში – განმცდელი ავტობიოგრაფის მისაღებად გამართული სადილობის ეპიზოდში (იხ.სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო თავი).

<sup>49</sup> რუსეთში სასწავლებლად წასული განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის მთავარ მახასიათებლად მთხრობელი ავტობიოგრაფი იმერლობას გამოყოფს.

მშობლიური სოციუმის ირიბი კრიტიკა ექპლიციტურად მოცემულია იმ ეპიზოდში, რომელშიც ვორონცოვის ქვრივთან განმცდელი ავტობიოგრაფის ვიზიტია აღწერილი.

ტექსტის დასახელებულ ნაწილში განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის ნაწილად ქცეული სოციალური ქცევის წესები რელატივირებულია **ჰიპოთეტური ფოკალიზაციის** (ჰერმანი 1994) საშუალებით. ჰიპოთეტური ფოკალიზება ამ შემთხვევაშიც სოციალური კრიტიკის შერბილების ფუნქციას ასრულებს.<sup>50</sup> ამასთან, მომდევნო ეპიზოდების ფარგლებში მთხრობელი ავტობიოგრაფი ცდილობს, ხაზი გაუსვას საკუთარ გამოუცდელობას. ვორონცოვის ქვრივთან გამართული დისკუსია კი, განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გაცემული პასუხები აჩვენებს, რომ მას გარკვეული ტიპის სოციალური გამოცდილება ჰქონდა, ის იცნობდა ქართული სოციუმის ქცევის წესებს. აღნიშნულის მიუხედავად, მთხრობელი ავტობიოგრაფის პროტოკოლით დაზუსტებულია, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი გამოუცდელი იყო. როგორ უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა? მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის გამოუცდელობის ხაზგასმა იმაზე მიმანიშნებელია, რომ მას სოციალური კომპეტენცია ჰქონდა, თუმცა ეს გამოცდილება ახალი კონტექსტისათვის შეუსაბამო იყო.

განსახილველი ეპიზოდის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა ასეთია: განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები მოვლენების აღწერისას მთხრობელი ავტობიოგრაფი თავისი აწმყო ჰომეოსტაზიური საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს: მოხუც ავტობიოგრაფს სურს, განვლილ ცხოვრებას აზრობრივი მთლიანობა მოუძებნოს, აღწერილ მოვლენებში თემატიზებულმა სოციალურმა ფაქტორებმა დიდწილად განაპირობა განმცდელი ავტობიოგრაფის შემდგომი ცხოვრება.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრა განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები მოვლენების ინტერპრეტაციის ჩარჩო - მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა,

---

<sup>50</sup> მთხრობელი ავტობიოგრაფი სოციუმის რადიკალურ გაკრიტიკებას მოსალოდენლი სასჯელის გამო არ ერიდება. იგი უფროთხილდება იმ სოციუმს, რომელშიც ის გაიზარდა, რადგან ეს უკანასკნელი მისი იდენტობის ნაწილია. განმცდელი ავტობიოგრაფი ტექსტის ბოლომდე იმერლად რჩება - „შემრჩა როგორც იმერელს“.

მომდევნო ქვეთავით წარმოდგენილი იქნება ტექსტის დეტალური ანალიზი, რომელიც აჩვენებს, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფისაგან თემატიზებულია სოციუმის რღვევა და მისი წევრების მიამიტური ქცევა.

**2.1.1. განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები სოციუმის ქცევა - მიკროტექსტის ანალიზი**

საანალიზო ეპიზოდში მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ნაჩვენებია სოციუმის წევრთა უუნარობა, ადეკვატურად განსაზღვრონ შექმნილი გარემოების გამომწვევი მიზეზები. თავის მხრივ, ხაზგასმულია ისიც, რომ საიდენტიფიკაციო მოვლენა ძალიან მარტივი და ბანალურია. ამგვარი კონტრასტის შექმნა მკითხველის მიერ ამ სოციუმის ირიბ კრიტიკად უნდა იქნას აღქმული. დამატებით აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: მთხრობელი ავტობიოგრაფი სოციუმს ემოციურად არ აკრიტიკებს, მთხრობლის კრიტიკული კომენტარები თითქმის არაა მოცემული, ნაჩვენებია მხოლოდ სოციუმის წევრთა მიამიტური ქცევა. თუკი ამ ეპიზოდს მკითხველი დანარჩენი ტექსტისაგან იზოლირებულად განიხილავს, მაშინ სოციუმის მიამიტური ქცევა დადებით კონოტაციას შეიძენს; როგორც უკვე აღინიშნა, ასეთ შემთხვევაში, მომდევნო ეპიზოდში განსახოვნებული სოფლური იდილიის ნაწილად განიხილება. განსახოვნებული მიამიტობა უარყოფითი კონოტაციით იტვირთება იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიამიტურმა გამოცდილებამ განმცდელ ავტობიოგრაფს ახალ კონტექსტში ფუნდამენტური პრობლემები შეუქმნა.

საანალიზო ეპიზოდში აღწერილი სოციალური მოვლენა განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების გარშემო ვითარდება. განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდული აღქმის პერსპექტივა განვრცობილია მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარებით, რომლებიც ახალშობილის რეაქციათა საყოველთაოდ ცნობილ, ბანალურ საფუძვლებს აზუსტებს. ამ

კომენტარების ფონზე ნაჩვენებია სოციუმის წევრთა უუნარობა, ახალშობილის ქმედებებს მარტივი ახსნა მოუძებნონ<sup>51</sup>.

მარტივი ემპირიული მოვლენის ასახსნელად სოციუმის წევრები ეგზისტენციალურ, მისტიკურ გამოცდილებას ააქტიურებდნენ, რის გამოც მათი დასკვნები არასწორია. შეფასებისას კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკური მახასიათებლების გაუთვალისწინებლობა მიანიშნებდა იმ პრობლემებზე, რომლებიც საზოგადოებას ახალ, შეცვლილ რეალობაში ადაპტირებისას შეექმნებოდა<sup>52</sup>. ამგვარი საფრთხის განცდას ქმნის განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილება, რომელიც ტექსტის მომდევნო ნაწილშია განსახოვნებული (რუსეთში სასწავლებლად გამგზავრება).

სოციუმის ნაკლზე სხვა გარემოებაც მიანიშნებს: არ არსებობს ქცევის გაზიარებული წესები, რომლებიც საზოგადოებას გააერთიანებდა.<sup>53</sup> ქცევის მოქმედი წესების წინააღმდეგობრიობაზე მიუთითებს ის, რომ წარმართული და ქრისტიანული შაბლონები ერთდროულად ცირკულირებს. მოსალოდენლი საფრთხის გარდა, საანალიზო ეპიზოდში წარმოშობილი კონფლიქტების ინტენსივობა ამ სოციუმის არაჯანსაღ მდგომარეობაზე მეტყველებს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სტერეოტიპული აზროვნება, რომელიც კოლექტიური ცნობიერების გადმონაშთად შეიძლება მიიჩნიოს მკითხველმა, პრობლემური ხდება იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად, ერთიანი

---

<sup>51</sup> მთხრობლის სხვადასხვა ფუნქციის ანალიზი იხ. ნიუნინგი 1989.

<sup>52</sup> ქართული საზოგადოების მიაშიტურ ქცევასთან დაკავშირებით მოგონებებში შემოფოთებას გამოთქვამდა ალექსანდრე ორბელიანი, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენელი. მისი თქმით, ახალ რეალობაში საჭირო იყო პრაგმატული ფიქრი. როგორც ჩანს, დროის ცვლილების შეგრძნება, ახალი იდენტობის ძიების საჭიროება საერთო განცდა უნდა ყოფილიყო მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებისათვის.

<sup>53</sup> ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც განმცდელმა ავტობიოგრაფმა სოციალური კომპეტენცია ვერ განივითარა, ის იყო, რომ სოციუმი, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა. ძველი სოციალური წყობა მორღვეული იყო, დღედღეზე ოფიციალურადაც უნდა გაუქმებულიყო, ახალი კი ფორმირებული არ იყო. ადამიანებს შორის იერარქიული მიმართებები ფორმალურ ხასიათს ატარებდა და სოციალური ცხოვრების საფეხურეობრიობას არ აირეკლავდა. სოციუმის ეს ნაკლოვანებები საანალიზო ავტობიოგრაფიის სხვა მონაკვეთშიც არის განსახოვნებული (იხ. წინამდებარე დისერტაციის მომდევნო ქვეთავი).

კოლექტივი არ არსებობს. ცალკეულ სტერეოტიპთან დაკავშირებით სოციუმის წევრებს განსხვავებული ინდივიდუალური გამოცდილება აქვთ: სოციუმის წევრთა შორის კონფლიქტის საფუძველი ხდება ის, რომ სააზროვნო/სამოქმედო შაბლონების რეპერტუარი საერთოა, თუმცა მათთან დაკავშირებული ინდივიდუალური გამოცდილება - განსხვავებული.

პირველი სერიოზული სოციალური კონფლიქტის საფუძველი გახდა განმცდელი ავტობიოგრაფის დომინანტური ქცევა - მუდმივად იცინოდა:

*ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლის გამდელი და, მომცინარი რომ ვუნახივარ, თქვამს: „ვუიმე! ჩემი გაზრდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვარ!... ჩემს გამდელს სწყენია ეს და უპასუხნია: „როგორ თუ სულელიო?! ანგელოზია და ანგელოზებს შესცინისო!... იმათ ეთამაშებაო. [...] ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვითა და მუქარით და არა საქმით). ამ ამბავს მიუწევია ვაჟბატონებამდეც და ჩამოავარდნილა ორ ოჯახს შორის დიდი უსიამოვნება (წერეთელი 2015, 11)*

დამოწმებულ ციტატაში ნაჩვენებია დაპირისპირება საანალიზო სოციუმში ტიპურ შემთხვევად უნდა იქნეს განხილული. განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადება ერთ-ერთი რიგითი მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა სოციალური ქცევის წესების გასააქტიურებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოციუმში მოქმედებს ქცევის ოფიციალური და არაოფიციალური წესები. ერთი შეხედვით, ეს გარემოება პრობლემა არ უნდა იყოს: ოფიციალური ქცევის წესების პარალელურად არაოფიციალური, დაუწერელი ქცევის წესები ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს<sup>54</sup>. საანალიზო ეპიზოდში ქცევის წესების ორივე ვარიანტთან მიმართებით პრობლემას ის ქმნის, რომ ისინი არაადეკვატურია: საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანებს შორის ურთიერთობის ძველი რეგულაციები (რელიგიური, სოციალურ-იერაქიული: ბატონყმობა) ფორმალური გამხდარა; შესაბამისად, თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს, სოციალურ ცხოვრებაში ბალანსს ვეღარ ქმნის.

---

<sup>54</sup> ლიტერატურულ ტექსტში პერსონაჟის სოციალური ცნობიერების განსახოვნების ნარატიული საფუძვლების ანალიზი იხ. პალმერთან (2010).

ტექსტის საანალიზო ეპიზოდის მიხედვით, აღიარებული წესები სოციუმის წევრთა ქცევის შეფასებას არეგულირებს. ამ რეგულაციის მიხედვით, სოციუმის წევრები მოვლენათა იდენტიფიცირებისათვის საზოგადოებაში გავრცელებულ შაბლონებს იყენებდნენ: ორივე გამზრდელი განმცდელი ავტობიოგრაფის ქცევის საფუძვლების განსაზღვრისას ამგვარი სტერეოტიპებით ხელმძღვანელობს. სტუმრად მისული გამზრდელის სიტყვაში შეფასების შაბლონის გააქტიურებაზე, ტიპური შემთხვევის იდენტიფიცირებაზე მიანიშნებს სიტყვა *სწორედ*. აღნიშნული ლექსიკური ერთეულით გამოხატული თავდაჯერება შეფასების სუბიექტური კრიტერიუმების გამოყენებისას არაადეკვატური იქნებოდა. გასათვალისწინებელია, რომ უარყოფითი შეფასება სხვის აღსაზრდელს, კონკურენტი ოჯახის წარმომადგენელს, უკავშირდება. ამგვარ კადნიერებას დასაშვებს ხდის ერთადერთი საზოგადოებაში ლეგიტიმიზებული სტერეოტიპით ხელმძღვანელობა. ამავე ციტატაში მოცემული ალტერნატიული შეფასებაც სტერეოტიპულია - *ანგელოზია და ანგელოზებს შესცინისო*. ბავშვის ანგელოზთან გაიგივებას დასავლურ კულტურაში ხანგრძლივი ისტორია აქვს, ამიტომ ამგვარი იდენტიფიცირების სტერეოტიპულობა დამატებით დასაბუთებას არ საჭიროებს.

საანალიზო ეპიზოდში ორი ურთიერთგამომრიცხავი შეფასების (სულელია, ანგელოზია) შაბლონის გააქტიურება განპირობებულია სოციუმში მოქმედი არაოფიციალური ქცევის წესით - შურით. ტექსტში ამგვარი დასკვნის გამამყარებელი არაერთი არგუმენტი დასტურდება: ა) გასათვალისწინებელია მთხრობელი ავტობიოგრაფის შეფასება: ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (”რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვით და მუქარით და არა საქმით. (წერეთელი 2015,11)). შესაფასება - რასაკვირველია - ტექსტში წარმოდგენილ სოციალურ კონტექსტს მიემართება, მისითაა ფოკალიზებული, ეს სიტყვა მთხრობელი ავტობიოგრაფის მრწამსსა და შეხედულებებს არ აჩვენებს. როგორც ჩანს, ოჯახებს შორის მსგავსი დაპირისპირება იმ დროისათვის ხშირია; ამ მოვლენაში ფუნდამენტურ საფრთხეს არ ხედავენ, შესაბამისად, საქმით ჩარევასაც არ თვლიან აუცილებლად. სოციუმის წევრებს ფსიქოლოგიურ სტაბილურობას სძენს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი კონფლიქტების საფუძველი გამიფრულია. ყველამ იცის, რომ საზოგადოებაში მოქმედი არაოფიციალური ქცევის წესი შურია. გარდა იმისა, რომ

ეგზისტენციალურ საფრთხეს არ წარმოადგენს, აღნიშნულ კონფლიქტს არც იმის ძალა აქვს, კონფლიქტის მონაწილეთა შინაგანი სამყარო<sup>55</sup> თუნდაც ელემენტარულად შეცვალოს. ის სოციალურ ბალანსს არ არღვევს; შესაბამისად, არსებითად კონფლიქტს არც წარმოადგენს - შურისა და თავმოწონების საფუძველზე სოციალურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება სოციალური ცხოვრების ნაწილია.

საზოგადოების წევრთა მიერ არაოფიციალური ქცევის წესის ცოდნას ადასტურებს ტექსტში აღწერილი გამცდელი ავტობიოგრაფის მამის გადაწყვეტილებაც: მას შემდეგ, რაც ოქროპირ მღვდელმა ერთმანეთზე გადამტერებული ოჯახები თევდორობის კვირაში, ზიარების წინ, შეარიგა, როსტომ წერეთელმა გადაწყვიტა, თავისი მცირეწლოვანი შვილი სავანიდან სასახლეში გამოეხმო: „მაშინაც კიდევ მამაჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შეუთვლია ძიძისათვის: „აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ და მტრებს თვალი დაუწყენო“. (წერეთელი 2015, 12) ამ ეტაპამდე ოჯახებს შორის დაპირისპირება ისე მიმდინარეობს, რომ სიტყვა *შური* არაა ნახსენები. აღნიშნულის მიუხედავად, როსტომ წერეთლის სიტყვები აჩვენებს, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს გაცნობიერებული აქვთ, რა არის მათ შორის დაპირისპირების საფუძველი: ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთმანეთის შურთ. ბოლოს დამოწმებული ციტატა იმაზეც მიანიშნებს, რომ ამ არაოფიციალურ ქცევით წესს (შურს) საზოგადოების წევრებზე დიდი გავლენა აქვს: ორ ოჯახს შორის, მართალია, დაპირისპირება დასრულებულია (ოქროპირ მღვდელმა ისინი შეარიგა), თუმცა როსტომ წერეთელი დარწმუნებულია, შური, როგორც სოციუმის წევრთა მთავარი მამოძრავებელი ძალა, კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება. ამიტომაც ის მომავალი „ბრძოლისათვის“ თადარიგს იჭერს - მეზობელთა გასაღიზიანებლად *ხითხითა ბიჭს* სასახლეში იხმობს.

პერსონაჟთა მოქმედების მარეგულირებელი წესის განსაზღვრის შემდეგ სოციალურ ნაკლოვანებათა წარმოსაჩენად მეზობლის ნეგატიურ შეფასებაში კიდევ ერთ დეტალს

---

<sup>55</sup> წინამდებარე ნაშრომში ტერმინი *შინაგან სამყარო* ფართო მნიშვნელობითაა გამოყენებული. ეს ტერმინი მოიცავს პერსონაჟის ოცნებებს, ვალდებულებებს, ეპისტემოლოგიურ კომპეტენციას, დისპოზიციას, ემოციურ ინტელექტს და ა.შ.

უნდა მიექცეს ყურადღება: საანალიზო ეპიზოდში ნაჩვენებ სოციუმს სოციალური ერთობის უზრუნველყოფელი ღირებულებითი საყრდენი დაკარგული აქვს; შეიძლება ითქვას, სოციუმის წევრთა შინაგან სამყაროში სოციალური ვალდებულება არ ფიგურირებს. ამ დებულებას, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სოციუმის წევრთა მეტყველება შეფასებისას სტერეოტიპებს ეფუძნება. სტერეოტიპებით ხელმძღვანელობა თავისი არსით ავტორიტეტზე ორიენტირებულ აზროვნებას ქმნის, რაც პიროვნულ აღქმას გამორიცხავს.

როგორ შეიძლება საანალიზო ტექსტში ეს წინააღმდეგობა დაიძლიოს? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ნორმებით მანიპულირება ფორმალურია, მას სოციუმის წევრები ქმედების რეალური მოტივაციის შესანიღბავად იყენებენ. ეპიზოდის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება კი აჩვენებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედების შეფასებისას სტუმარი გულწრფელი არაა, მიუხედავად იმისა, რომ ამის დემონსტრირებას ცდილობს („უიმე, გაზრდილი ნუ მომიკვდება“ (წერეთელი 2015, 11)). სოციალურ ნორმებს ორი მთავარი ფუნქცია დაკარგული აქვს: ის სოციუმის წევრებს შორის კომუნიკაციას ვერ უზრუნველყოფს; ამასთან, ეს ნორმები ვერც კოგნიტური არტეფაქტის (ალან პალმერი) ფუნქციას ასრულებს; სხვაგვარად, გაზიარებული ცოდნა ადამიანთა იდენტობის ნაწილი არაა, პიროვნების შიგნით მიმდინარე მენტალურ პროცესებს არ აბალანსებს. **სოციალური პროცესები მაკროდონზე გაუქმებულია**, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახებში, მიკროდონზე, ფუნქციონირებს აღნიშნული სისტემა.<sup>56</sup> დასახელებული გარემოების გამო ტექსტში წარმოდგენილი ადამიანთა სოციალური კომპეტენცია დაბალია.<sup>57</sup>

---

<sup>56</sup> ოჯახი, როგორც ქეენის, დიდი კოლექტივის, ალტერნატივა, მარიმ ჯამბაკურ-ორბელიანთანაც თვალსაჩინოა. ოჯახის, როგორც ფენომენის, გააქტიურება ალექსანდრე ორბელიანთანაც გხვდება. ის დიდ ყურადღებას უთმობს მასთან დაკავშირებული მოგონებების აღწერას. ორბელიანი 2009.

<sup>57</sup> მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანთან ოჯახის ფასეულობები ქმნის ავტობიოგრაფის კოლექტიურ მეხსიერებას, მის ავტობიოგრაფიაში ზოგადეროვნული და ისტორიული ასპექტები არ ჩანს. ეს გარემოება სოციო-პოლიტიკური პროცესებს უნდა აირეკლავდეს. ოჯახური ფენომენის ანალიზი წინამდებარე

სოციალური კომპეტენციის განსავითარებლად საჭიროა გარკვეული სახის საზოგადოების ფორმირება. ფეოდალური წყობა რომ რეალურად მოირღვა, ყველა ხედავს, თუმცა საზოგადოებრივი მოწყობის ახალი მოდელი ჯერ არ ჩანს, ერთგვარად, ამორფულ მდგომარეობაში იმყოფებიან.<sup>58</sup>

სოციალური ერთობის მარეგულირებელი ღირებულებითი საყრდენების რღვევაზე მიანიშნებს წინა საუკუნეებში ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცოდნისადმი სოციუმის წევრების ფორმალური დამოკიდებულებაც: ისინი აღიარებენ ქრისტიანული სწავლების მართებულობას, ამიტომაც ზიარების წინ თევდორე მღვდლის რჩევით დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ურიგდებიან. ამ სწავლებისადმი ერთგულების მიუხედავად, მათი ქმედებები აჩვენებს, რომ შინაგანად არ სჯერათ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობით სოციალური ერთობის აღდგენისა, ამიტომ როსტომ წერეთელი ცდილობს, პრაგმატულად შეხედოს საკითხს და თადარიგი დაიჭიროს საკუთარი ოჯახის ღირსების გადასარჩენად.<sup>59</sup>

საანალიზო ეპიზოდით განსახოგნებული სოციალური ქცევისადმი მთხრობელი ავტობიოგრაფის დამოკიდებულების განსასაზღვრავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თხრობის იმ ნაწილს, რომელშიც მთხრობლის კომენტარებია მოცემული:

„წარმოიდგინეთ ყველას **გაკვირება**, რომ „ხითხითა ბიქს“ ჩვეულების წინააღმდეგ, ერთი ღიმილიც არ მომსვლია, ისე თურმე ვყოფილვარ გაბრუებულსავით. აქ **ცხადია**, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშვს სასახლეში ყოლიფერი მეუცხოვებოდა და გაშტერებული ვიქნებოდი, მაგრამ **ასე არ გაუგიათ** [...] იმათ უფიქრიათ: სწორედ შურისა და სიხარბის საქმეა, თვალი ჰკრეს, გაღალესო და ისევ საჩქაროდ დავუბრუნებივართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვიღაც

---

დისერტაციის ფარგლებს სცდება. აღნიშნული საკითხის თეორიული საფუძვლები მოცემულია ლანსერთან (1992).

<sup>58</sup> საზოგადოებრივი მოწყობის ხარვეზებზე *ჩემი თავაგადასავლის* სხვა მონაკვეთშიცაა ყურადღება გამახვილებული (იხილეთ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის შემდეგი ქვეთავი - პირველი დღე სასახლეში).

<sup>59</sup> ალექსანდრე ორბელიანი მოგონებებში აკრიტიკებს ქართველების მიაბტურობას. იგი ფიქრობს, მიმაბტურობის მთავარი საფუძველი ქართველთა რელიგიური ცნობიერებაა.

მკითხავთან გაუვლია, გამოულოცვინებია ... შეუბამთ ჩეთვის ყელზე ღინჭილა, მწარე ბალი და მივუყვანივართ სოფელში - შინ. იქ, **რასაკვირველია**, მომბრუნებია გული და ისევ დამიწყია სიცილი. ჩემი ძიძა **დარწმუნებულა**, რომ სწორედ გასჭრა შელოცვამ, [...] და მახარობელიც უფრენია (წერეთელი 2015, 12).

დამოწმებულ ტექსტში სიტყვები *გაკვირვება/ასე არ გაუგიათ/დარწმუნებულა* სოციუმის წევრთა მიერ მოვლენათა მცდარად იდენტიფიცირების შემთხვევებზე მიანიშნებს. მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარები *ცხადია/რასაკვირველია კი* მოვლენის მარტივ ემპირიულ საფუძვლებს აზუსტებს. სწორედ ამ კონტრასტის ფონზე იძენს ირონიულ შინაარსს მოვლენათა განვითარების წინარე საფეხურები: ერთი მხრივ, საზოგადოების წევრები გრძელვადიან გეგმებს ადგენენ, ფიქრობენ საგვარეულო ღირსების დაცვაზე, მეორე მხრივ, კი მათ არ შესწევთ ძალა, ელემენტარული ემპირიული მოცემულობა დაინახონ. მომავლის შექმნაზე ორიენტირებული საზოგადოების არარაციონალური ქმედების ირონიული შინაარსი კიდევ უფრო მძაფრდება განმცდელი ავტობიოგრაფის სამომავლო გამოცდილების ფონზე.

როგორც სადისრეტაციო ნაშრომის სათანადო ქვეთავშია განხილული, ჰიპოთეტური ფოკალიზატორების მიერ (ვორონცოვის ქვრივი, პეტრე ბაგრატიონი) საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ისტორიულ მოვლენათა განვითარება ადამიანების არჩევანზეა დამოკიდებული. მათი მსჯელობის მიხედვით, ქვეყნისა თუ ადამიანის წარმატება გადაწყვეტილების მიმღებთა სოციალურ კომპეტენციასა და რაციონალურობაზეა დამოკიდებული.

## 2.2. სასახლეში გატარებული წლები; განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური ცნობიერების ფორმირების პირველი ეტაპი<sup>60</sup>

### 2.2.1. ძიძასთან დიალოგი: ჰომეოსტაზიური საჭიროების გააქტიურება

სასახლეში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით მთხრობელი ავტობიოგრაფი წერს: “სამუდამოდ გამომათხოვეს სოფელს და წამომიყვანეს სასახლეში, სადაც **სულ ახალი ცხოვრება** უნდა დამეწყოს” (წერეთელი 2015, 18). ხაზგასმული სიტყვები მომდევნო ეპიზოდის სტრუქტურულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ტექსტის ამ მონაკვეთში არასაიმედო თხრობა არაა მოცემული, შესაბამისად, მკითხველს შეუძლია, მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარები ინსტრუქციებად გამოიყენოს. ამ მითითებების მიხედვით, მკითხველმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს, აღწერილ მოვლენებს რა მნიშვნელობა აქვს მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის. დამოწმებული ფრაზით მინიშნებულია, რომ ტექსტის მომდევნო მონაკვეთიც (სასახლეში გატარებული წლები) სტანდარტულად, როგორც ეს ავტობიოგრაფიულ ჟანრს ახასიათებს, ფოკალიზებული იქნება ერთდროულად განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მიერ - ზედსართავი სახელი **ახალი** ორივე ფოკალიზატორს მიემართება.

სასახლეში გატარებულ წლებს განმცდელი ავტობიოგრაფის თვისებრივად განსხვავებული გამოცდილება რომ უკავშირდება, ტექსტის დამოწმებული მონაკვეთის დასაწყისში მოცემული მთხრობელი ავტობიოგრაფის კიდევ ერთი კომენტარი მიაჩნებოდა: „სასახლეში ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გამომიყვანეს, მაინც ბევრი რამ **მეუცხოვა**“ (წერეთელი 2015, 19). მთხრობელი ავტობიოგრაფის ეს კომენტარი იმას არ გულისხმობს, რომ სასახლის ცხოვრება მას შეცვლილი დახვდა. მთხრობელი ავტობიოგრაფის **პროტოკოლით** განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მომხდარ ცვლილებაზეა მინიშნებული. სწორედ ამ ცვლილების გამო აღიქვამს განმცდელი ავტობიოგრაფი სასახლის სიტუაციას უჩვეულოდ. მის წინაშე მდგარი სოციალური გამოწვევები თანაბრად შეეხო განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი

---

<sup>60</sup>სავანეში გატარებული წლები პეტერბურგში სწავლისას განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ მიღებული გამოცდილების კონტექსტშია გაანალიზებული, მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ეს უკანასკნელი ქმნის საინტერპრეტაციო ჩარჩოს.

სამყაროს ყველა კომპონენტს: ვალდებულებებს, ეპისტემოლოგიურ კომპეტენციასა და მისწრაფებებს<sup>61</sup>. ვალდებულების თვალსაზრისით, სოციალური ქცევის ახალი წესების ათვისების აუცილებლობა გაჩნდა. თავის მხრივ, ახალი ვალდებულებების გაცნობიერება განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიურ კომპეტენციას ეჭვქვეშ აყენებს: მას არ აქვს სათანადო გამოცდილება. ახალი მისწრაფებების ფორმირება (სწავლაში თავის გამოჩენა, სოციუმისაგან მისი ვაჟკაცობის აღიარება) განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური დაძაბულობის ფონზე წარიმართება.

როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, განმცდელი ავტობიოგრაფი სასახლეში მანამდეც ბევრჯერ ყოფილა, თუმცა მკითხველმა უნდა ივარაუდოს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი თავისი ემოციური გამოცდილების გამო (სილაღე, სოციალური რეგულაციებისაგან დისტანცირების სურვილი) სასახლის სოციალური ქცევის წესებს ყურადღებას არ აქცევს.<sup>62</sup> მისი იდენტობის სტაბილურობის მარეგულირებელი ემოციური მექანიზმი მარტივია: უარყოფით ემოციას იწვევს მხოლოდ ის, რაც ბავშვურ თავისუფლებას ზღუდავს, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებას არ იძლევა. თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ დისკომფორტის განცდას ეფუძნება განმცდელი ავტობიოგრაფის მომავალი ინტენცია - როგორც კი საშუალება მიეცემა, არასასურველ კონტექსტს უნდა გაეცალოს. ამასთან, გამოცდილების ნაწილია ისიც, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას არასდროს არაფერი უშლის ხელს. უკმაყოფილების განმაპირობებელ სხვა სოციალურ ფაქტორს განმცდელი ავტობიოგრაფი არ იცნობს, ისინი იდენტობის სტაბილურობისათვის გამოწვევად არ აღიქმება; შესაბამისად, მისი ყურადღების მიღმა რჩება. სასახლესა და ყანაში მომუშავე გლეხებთან დიდხანს დარჩენა

---

<sup>61</sup> პერსონაჟის შინაგანი სამყაროს აღნიშნული მახასიათებლების თავისებურებასთან დაკავშირებით იხ. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ნაწილი - ალტერნატიული სამყაროების კონცეპტი.

<sup>62</sup>გამოთქმული ვარაუდის საფუძველს თანამედროვე ნეირომეცნიერების ცოდნა ქმნის: ემოციების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, მონიტორინგი გაუწიოს ადამიანის მდგომარეობას (ბიოლოგიური იქნება ეს თუ ფსიქოლოგიური). ამ მონიტორინგის შედეგად უნდა გაირკვეს, ის, რაც ადამიანის თავს ხდება, ნორმალურია თუ - არა. ემოციები ჰომეოსტაზის ფუნქციონირების გარანტიაა (დამასიო 2010).

განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ამ ეტაპზე ერთი ტიპის დაბრკოლებად კვალიფიცირდება.

სასახლის ცხოვრებისადმი დამოკიდებულება განმცდელ ავტობიოგრაფს შეეცვლებოდა მაშინ, როცა ის გააცნობიერებდა, რომ სასახლეში დარჩენა ხანგრძლივად მოუწევდა. ტექსტში არაა დაზუსტებული, კონკრეტულად რით დაუსაბუთეს მას სასახლეში სახოვრებლად გადასვლის აუცილებლობა. მხოლოდ მინიშნებეულია, რომ ამ შინაარსის საუბარი განმცდელ ავტობიოგრაფსა და უფროსებს შორის შედგა: „მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოდ გამომათხოვეს სოფელს და წამიყვანეს სასახლეში“ (წერეთელი 2015, 18). სიტყვების **სამუდამოდ გამომათხოვეს** შინაარსი ასეთია: მითხრეს, რომ სავანე სამუდამოდ უნდა დამეტოვებინა. განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სასახლეში მიღებული გადაწყვეტილება გაუცვნიათ. სასახლიდან განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მიტანილი გზავნილი მხოლოდ ამ შინაარსის ვერ იქნებოდა: განმცდელ ავტობიოგრაფს სასახლეში საგანგებო დახვედრას უმზადებდნენ, შესაბამისად, მას წინასწარ ამ სამზადისის საფუძვლის შესახებაც ეტყოდნენ - მას თავადიშვილისათვის შესატყვი ცხოვრება უნდა დაეწყო (შდრ. სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო). ეს ახალი ვალდებულება მისთვის უცხო და შესაბამისად, დაძაბულობის შემქმნელი იქნებოდა.

მთხრობელი ავტობიოგრაფის მთავარი ინსტრუქცია, რომლითაც მკითხველმა საანალიზო მონაკვეთში განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების ანალიზისას უნდა იხელმძღვანელოს, ასეთია: განმცდელ ავტობიოგრაფს თვისებრივად ახალი გამოცდილების შექმნა უწევს, მისი ქმედებების მონიტორინგისას ემოციური რეგულატორი მაქსიმალურად მობილიზებულია.

*2.2.2. სასახლეში ცხოვრების პირველი დღე - ახალი ცხოვრების დაწყების შიშით გამოწვეული ემოციის ფორმირების ეტაპები*

როგორც წინამდებარე თავის შესავალში აღინიშნა, მთხრობელი ავტობიოგრაფი მინიშნებას იძლევა, რომ სასახლეში საცხოვრებლად გადასვლას განმცდელი

ავტობიოგრაფის განსაკუთრებული ემოციური დამაბულობა ახლავს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ „ჩემს თავგადასავალში“ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალურ პროცესებს თვალსაჩინო დინამიკა ახასიათებს. სასახლეში საცხოვრებლად გადასვლის თანმხლები ემოციაც ეტაპობრივად ყალიბდება (ცვლილება ემოციის ხარისხს შეეხება). მოდევნო მსჯელობით განმცდელი ავტობიოგრაფის დამაბულობის ფორმირების ეტაპები იქნება წარმოჩენილი.

განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში სასახლეში გადასვლა საფრთხესთან გაიგივდა იმ ინტერპრეტაციის გამო, რომელიც მოსალოდნელ ცვლილებას გამზრდელმა გაუკეთა: „[...] ხვალ ჩემს წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორღა გასძლოს კრუხმა უიმისობით? ეს სთქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმად მიმიკრა გულზე“ (წერეთელი 2015, 18). გამზრდელი ამ სიტყვებით საკუთარ ტრაგედიაზე ლაპარაკობს; ის არ აღნიშნავს, რომ საფრთხე განმცდელ ავტობიოგრაფსაც ემუქრებდა, თუმცა გამზრდელის შეფასება განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სხვაგვარად აღიქმება: მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის რა მეთქი, და დავიწყე ტირილი ... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში (იქვე). დამოწმებულ ციტატაში მთხრობლის პროტოკოლი - არა მესმოდა - იმაზე მიანიშნებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი გამზრდელის სიტყვების პრაგმატულ, რაციონალურ ნაწილს არ აქცევს ყურადღებას. მეორე პროტოკოლი - მივხვდი - კი ქვეცნობიერში მიმდინარე პროცესს ასახავს, შექმნილი ვითარების საიდენტიფიკაციოდ განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციური კონოტაციის მენტალური ხატი აქტიურდება: გამზრდელი განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის მთავარ საყრდენს წარმოადგენს, ყველაფერი, რაც მას დადებითი თვალსაზრისით უკავშირდება, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ავტომატურად, ქვეცნობიერად მისაღებთან იგივდება; მეორე მხრივ, *ქორობიას* განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ყოველთვის უარყოფითი ემოცია უკავშირდება, მისტიკურია, აქედან გამომდინარე, საფრთხესთანაც იგივდება. ამ ორი მენტალური ხატის თანაარსებობა განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში არასასურველ არავერბალურ ფიქრს წარმოშობს: რაკი გამზრდელი საკუთარი მწუხარების

საფუძვლის ახსნას *ქორობიას* პარადიგმით ცდილობს, ეს განმცდელ ავტობიოგრაფს მიანიშნებს, რომ მისი იდენტობისათვის რაღაც ძალიან სახიფათო ხდება.

როგორც უკვე აღინიშნა, პირველ ეტაპზე საფრთხე განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ იდენტიფიცირდა ქვეცნობიერ დონეზე. ვითარება შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ იცვლება: მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოდ გამომათხოვეს სოფელს და წამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო (იქვე). **თავისუფალი ირიბი ფიქრის** საშუალებით მხრობელი ავტობიოგრაფი აჩვენებს, რომ მეორე დღეს განმცდელი ავტობიოგრაფი გამზრდელის მეტაფორულ ნათქვამს ახსნას უძებნის: ქორისაგან წიწილას მოტაცება ნიშნავს განმცდელი ავტობიოგრაფის გამზრდელისაგან მოშორებას, სასახლეში გადაყვანას. აღნიშნული დაზუსტების მიუხედავად, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ცვლილებასთან დაკავშირებით გააქტიურებული ემოციები უკვალოდ ვერ გაქრებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცდელ ავტობიოგრაფს საყვარელი ადამიანის, გამზრდელის, დატოვება მოუწევს. რაც შეეხება *ქორობიას*, მართალია, ის, ერთი შეხედვით, აქტუალურ კონტექსტს მოშორდა, თუმცა განმცდელმა ავტობიოგრაფმა გამოცდილებით იცის, რომ ეს თამაში მისტიკურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოულოდნელად ისევ შეიძლება მისი გააქტიურება. მისტიკური თამაშის მოსალოდნელი გააქტიურება ქვეცნობიერად განმცდელი ავტობიოგრაფისათვის დასაშვებია, რადგან მის ცნობიერებაში უცნობი **კოგნიტური ნარატივი** ჩნდება - *სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო*. **თავისუფალი ირიბი ნათქვამის**, როგორც ნარატიული სტრატეგიის, გამოყენება განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმიდინარე დაძაბულობას წარმოაჩენს: განმცდელი ავტობიოგრაფის ვერბალიზებულ ფიქრში სიტყვები **სრულიად ახალი ცხოვრება** უცხო ელემენტებადაა შემოჭრილი. სიტყვებით არავერბალური ფიქრი კონკრეტდება, ითარგმნება, აღნიშნული სიტყვების გააზრება განმცდელ ავტობიოგრაფს საკუთარი გამოცდილებით არ შეუძლია.

სავანეში ცხოვრებისას განმცდელ ავტობიოგრაფს სოციალურ წესრიგში ჩართვა თითქმის არ უწევს, ამიტომ მისი იდენტობის ფუნქციონირება მარტივად რეგულირდება. სოციალური გამოწვევების არარსებობის გამო განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი ცხოვრება პერიოდულად არ განახლდება. ბავშვობაში განმცდელი ავტობიოგრაფის

სწრაფვა სიახლისაკენ, ერთფეროვნების ვერატანა იდენტობის ტრანსფორმაციას, განახლებას არ გულისხმობს. განახლება აუცილებლად სოციალური კონფლიქტის საფუძველზე ხდება, აქტუალური სამყაროს გარკვეული პარამეტრები პერსონაჟთა შინაგან სამყაროს უნდა დაუპირისპირდეს. არსებობს კონფლიქტის განვითარების ალტერნატიულ გზაც - თავად ალტერნატიული სამყაროები ვერ ეთავსება ერთმანეთს, კონფლიქტის წარმოშობის მეორე ფორმაც სოციალური ხასიათისაა. სოციალური კონფლიქტები პერსონაჟს ბიძგს აძლევს, რომ მან საკუთარი *იდენტობის მოდერნიზებაზე* იფიქროს. საანალიზო ეტაპზე განმცდელ ავტობიოგრაფს არ აქვს რა იდენტობის წრთობის გამოცდილება, სასახლეში საცხოვრებლად გადასვლას *ახალი ცხოვრების დაწყებას* ვერ უწოდებს. ეს სიტყვები იმ უფროსებს უნდა ეკუთვნოდეს, რომლებიც სავანიდან მის წასაყვანად მივიდნენ, ამიტომ ეს სიტყვები უნდა შეფასდეს *თავისუფალ ირიბ ნათქვამად*. სასახლიდან მოსული ადამიანები ეტყოდნენ, რომ სასახლეში საგანგებო დახვედრას უმზადებდნენ, აქვე დაუზუსტებდნენ სასახლეში გადასვლის მიზანს - მას *ახალი ცხოვრება* უნდა დაეწყო, ანუ თავადიშვილობა უნდა ესწავლა.

### *2.2.3. სასახლეში ცხოვრების პირველი დღე - ეპიზოდის სტრუქტურა და მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა*

განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის დესტაბილიზაციის წარმომშობი მენტალური პროცესები ასე შეიძლება შეჯამდეს: განმცდელ ავტობიოგრაფს გამოწვევებთან დაპირისპირების გამოცდილება არ აქვს, იდენტობის დესტაბილიზების სიგნალს იდენტობის მთავარი საყრდენის (გამზრდელის) გარშემო აკუმულირებული უარყოფითი ინფორმაცია იძლევა: განმცდელმა ავტობიოგრაფმა უნდა დატოვოს გამზრდელი, თავად გამზრდელი ამ ფაქტს მტკივნეულად განიცდის, რაც განმცდელ ავტობიოგრაფში საფრთხის განცდას ამძაფრებს. მოსალოდნელი ცვლილებისადმი შიშს ბადებს ისიც, რომ სასახლეში საცხოვრებლად გადასვლა ქორისაგან წიწილას გატაცებასთან იგივედება.

ბოლო ფაქტორი, რომელიც განცდელ ავტობიოგრაფს მოსალოდნელ რისკს უთვალისწინებს, უკვე გამოცდილებას კი არ უკავშირდება, არამედ განმცდელი ავტობიოგრაფის თანდაყოლილ ინსტინქტებს ააქტიურებს. აღნიშნული გარემოება ემოციურ დამაბულობას განსაკუთრებით ამძაფრებს. მიძასთან დაკავშირებული ემოციები განმცდელი ავტობიოგრაფისათვის შექმნილია, სოციალური ცხოვრების მინიმალურ გამოცდილებას ეფუძნება. აბსოლუტურად უცხო რეალობის წინაშე დგომით გამოწვეული შიში კი განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მენტალური ხატების გააქტიურებას არ გულისხმობს, მოვლენისადმი ინსტინქტურ მიმართებას აჩვენებს. მოცემულ სიტუაციაში განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური გამოცდილების ნაკლოვანებაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად სერიოზული საფრთხის იდენტიფიცირებისა, იგი არანაირ გეგმას არ ადგენს; სასახლეში მიდის ისე, რომ მოსალოდნელ რისკებთან გამკლავების არანაირი სტრატეგია არ აქვს შემუშავებული (იხ. დიაგრამა N3).

წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სავანიდან სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფი შინაგანად დამაბულია. საფრთხის განცდით ფორმირებული ემოცია, თავის მხრივ, ყურადღების მობილიზების საფუძველი ხდება: “სასახლეში ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ რომ გამომიყვანეს, ბევრი რამე მაინც მეუცხოვა“ (წერეთელი 2015, 19). განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გარემოს ფოკუსირებული აღქმა, მანამდე უცნობ დეტალებზე ყურადღების გამახვილება სწორედ მისი ემოციური დამაბულობითაა განპირობებული.<sup>63</sup> განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი მღელვარების ფონზე, მისთვის დამატებითი უსიამოვნების შემქმნელია სტუმრების უჩვეულო აქტიურობა („სტუმრებმა კი სწორედ გამაცეცეს“).

ეპიზოდის შემდგომი ანალიზისათვის გასათვალისწინებელია, რომ განმცდელ ავტობიოგრაფს უფროსებთან საუბრისას დამაბულობა არ ეტყობა. ის ხალისიანად, ლაღად უპასუხებს შეკითხვებს. აღნიშნული გარემოება, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება იმ წინასწარ მოცემულობას, რომ სასახლეში საცხოვრებლად მიმავალ


<sup>63</sup> ყურადღების მობილიზების კოგნიტური საფუძვლები იხ. მარკოვიჩთან და ველცერთან (2006, 63-66).

განმცდელ ავტობიოგრაფს თან მიჰყვება შინაგანი დამაბულობა. საანალიზო ეპიზოდში მოიძებნება გარკვეული ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ უფროსებთან საუბრისას განმცდელი ავტობიოგრაფის წინარე კოგნიტური (ჩართული) ნარატივი კვლავ აქტიურია. ახალ რეალობასთან კონფრონტაციისას განმცდელ ავტობიოგრაფში ორივე ემოცია (დადებითი და უარყოფითი) თანაარსებობს. რით უნდა აიხსნას მისი სილაღე?

უკვე აღინიშნა, რომ სასახლეში საცხოვრებლად გადასული ავტობიოგრაფი იქაურ გარემოს არაორდინალურად აღიქვამს („ბევრი რამ უცხოდ მეჩვენებოდა“). ეს დეტალი ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ის შინაგანად დამაბულია. ყურადღების მობილიზების მთავარ ფაქტორად სწორედ ემოციური რეგულატორის გააქტიურება მიიჩნევა. დამატებით, ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი მღელვარების სხვა დამადასტურებელი ინფორმაციაც მოიპოვება: „მეც, რაღაი კი სოფლის ამბავი მომაცოლეს, მზად ვიყავი, რომ სადამომდის მეტიტინა“ (წერეთელი 2015, 20). დამოწმებული სიტყვები მიანიშნებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი თავს უცხოდ გრძნობს. თანაც, ეს უცხო გარემო მისი მუდმივი ადგილსამყოფელი უნდა გახდეს. კავშირი რაღაი ემოციის ინტენსივობაზე მიანიშნებს: განმცდელ ავტობიოგრაფს ერთი სული აქვს, მისთვის მშობლიურ კონტექსტს დაუბრუნდეს, ამაში სავანეში მიღებული შთაბეჭდილებების გააქტიურება ეხმარება. მითითებული კავშირის მნიშვნელობის გაგება სხვაგვარადაც შეიძლება: განმცდელ ავტობიოგრაფს სურს, სასახლეში შეკრებილ ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობები აჩვენოს. ამიტომაც ჰყვება სოფლის ამბებს განსაკუთრებული მონდომებით. განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების სრულყოფილად დასანახავად ქმედების ორივე მოტივია გასათვალისწინებელი: კავშირით რაღაი მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის არავერბალურ ფიქრზე მიანიშნებს. მას მშობლიური კონტექსტი ენატრება, რადგან სასახლეში საცხოვრებლად გადმოსვლას ემოციური დამაბულობა უძლოდა, ცოდნისა და გამოცდილების დემონსტრირებას კი სოციალიზების საჭიროება აიძულებს, განმცდელ ავტობიოგრაფში ადაპტაციის ინსტინქტს ჰომეოდინამიკა ააქტიურებს.

მომდევნო აზვაციით ნაჩვენები იქნება ის სოციალური ქცევის წესები, რომლებთან კონფრონტაციაც განმცდელ ავტობიოგრაფს ცოდნის დემონსტრირების სურვილს უჩენს.

სასახლეში მისულ განმცდელ ავტობიოგრაფზე პირველ შთაბეჭდილებას სტუმრების აჟიტირებული ქმედება ახდენს („სტუმრებმა სწორედ გამაცეცეს“ (წერეთელი 2015, 19)). განმცდელ ავტობიოგრაფს წინასწარ გააფრთხილებდნენ, რომ სასახლეში მას თავადიშვილის შესატყვის დახვედრას უმზადებდნენ. აქედან გამომდინარე, მისთვის სტუმართა



დიაგრამა # 1 <sup>64</sup>

<sup>64</sup> დიაგრამა სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი სვეტი განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივას აჩვენებს, ცენტრალური სვეტი სიუჟეტის ელემენტებს წარმოადგენს, მარჯვენა კი მთხოვნი

ქმედების მოტივაცია გასაგები უნდა ყოფილიყო, თუმცა რაციონალური საფუძვლების გარდა, ახალი კონტექსტის შესახებ შთაბეჭდილებათა ფორმირების პროცესში მოვლენის გარეგნულ მხარეს თავისთავადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს გარემოება მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ განმცდელმა ავტობიოგრაფმა ახალი სოციუმის ქცევის სხვადასხვა დეტალი ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს. ამ პროცესში მოვლენის აღქმის ემოციური მხარე პრაგმატულზე მეტად დომინანტური იქნება. განმცდელი ავტობიოგრაფის შთაბეჭდილებათა ფორმირების დინამიკის გასააზრებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ მან, მართალია, იცის – თავადიშვილის შესატყვის დახვედრას უწყობენ, თუმცა თავად *თავადიშვილობა* რას ნიშნავს, მისთვის საკუთარი გამოცდილების მიხედვით უცნობია. განმცდელი ავტობიოგრაფი ეპისტემოლოგიური კომპეტენციის ნაკლოვანების გამო სასახლის წევრების ეტიკეტურ ქცევასა და მშობლების გულწრფელ დამოკიდებულებას პირველ ეტაპზე დაუნაწევრებლად აღიქვამს, მათ შორის თვისებრივ სხვაობას ვერ ამჩნევს. იმავდროულად, რასაც ხედავს, არავერბალური ფიქრის სახით ახალი ცხოვრების მახასიათებლებად კლასიფიცირდება.

შთაბეჭდილებათა მომდევნო ნაკადი მამის, როსტომ წერეთლის, ქცევას უკავშირდება. სასახლეში შეკრებილი სტუმრების ფუსფუსს სწორედ იგი წყვეტს; როსტომ წერეთელი

---

ავტობიოგრაფის პერსპექტივის ამსახველია. დახრილი ხაზი მიუთითებს იმაზე, რომ სიუჟეტის ესა თუ ის დეტალი სხვადასხვაგვარად აღიქმება განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მიერ. სასახლის წევრების ქცევის მიხედვით განმცდელი ავტობიოგრაფი ასკვნის, რომ ისინი მისდამი კეთილგანწყობილნი არიან, დადებითი განწყობის აღსანიშნავად დიაგრამაზე გამოყენებულია + ნიშანი. განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმის საპირისპიროდ, მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან სასახლის წევრების ქცევას განსხავებული ახსნა ეძებნება - ისინი რიტუალურ ქცევას აღასრულებენ, განმცდელი ავტობიოგრაფი პიროვნულად არ აინტერესებთ. მთხრობელი ავტობიოგრაფის უარყოფითი განწყობის აღსანიშნავად გამოყენებულია - ნიშანი. განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობასთან მიმართებით დიაგრამაზე წარმოდგენილი მომდევნო ორი სიუჟეტური დეტალიც განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მენტალური პროცესების დიაგრამირებისათვის გამოყენებულია პერსონაჟის ცნობიერების დიაგრამირების ის მოდელები, რომლებიც რიანმა შეიმუშავა (რიანი 2007).

შვილს უხსნის, რატომ გამოხატავენ მისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას: „**ეი, სოფლის ბიჭო!**“ - დამიძახა მამაჩემმა - **შენ ახლა ბატონობას უნდა მიეჩვიო;** რაც გითხრან, დაიჯერე და თორემ თუ ურჩობა დაიწყე, წაგიყვან და დაგამწყვდევ ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეულიო“ (წერეთელი 2015, 19); მიმართვა - „ეი, სოფლის ბიჭო“ - სტუმართა ქცევის გამო განმცდელი ავტობიოგრაფის გაოცებას უკავშირდება: როსტომ წერეთლისთვის აღნიშნული ქცევა სოფლის ბიჭს შეესაბამება. მოწოდებით - „შენ ახლა ბატონობას უნდა მიეჩვიო“ - განმცდელ ავტობიოგრაფს მიანიშნებს, რომ ხელქვეითების მიერ გამოვლენილი პატივისცემა ნორმად უნდა მიიღოს. რაც შეეხება მუქარას - თუ ურჩობა დაიწყე ... კონტექსტით აღარაა განპირობებული, განმცდელი ავტობიოგრაფის სტუმრებთან ქცევას არ უკავშირდება - იუმორი როსტომ წერეთლის პიროვნების (ბუნების) ნაწილია. მამის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სოციუმის ტიპურ ქცევასთან იგივდება, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მამის ბუნება ამ ეტაპზე უცნობია. ამიტომ ის ფიქრობს, რომ მამა ახალი ცხოვრების მახასიათებლების შესახებ მიანიშნებს ხუმრობით.

განმცდელი ავტობიოგრაფი ხვდება („სიცილი დავიწყე“), რომ მამა მას ეხუმრება, თავად ხუმრობის მოტივი კი მისთვის სოციალურ მოთხოვნაზე მიანიშნებს: ის ბატონი უნდა გახდეს, იმავდროულად თავადობის სასწავლად მას უნარიანობა მოეთხოვება. მომდევნო ეტაპზე განმცდელ ავტობიოგრაფთან დიალოგს დედა გამართავს. ტექსტის მიხედვით, დედასთან ყველაზე დიდხანს საუბრობს სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფი. თხრობის დროითი განზომილება, ტექსტის სხვა მონაცემების გათვალისწინების გარეშე, შეიძლება მკითხველმა მთხრობელი ავტობიოგრაფის აქცენტად მიიჩნიოს - მისთვის დედა განსაკუთრებით ძვირფასია და მასთან საუბარს ამიტომ აღწერს ვრცლად. ეს დასკვნა არასწორია, იგი მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის არასწორი ინტერპრეტაციაა და აი, რატომ:

საანალიზო ეპიზოდში დედისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენას მკითხველი თუ დასაშვებად მიიჩნევს, მაშინ ავტობიოგრაფი არასაიმედო მთხრობლად უნდა ჩათვალოს ან უნდა თქვას, რომ ტექსტი სტილისტურად გაუმართავია. სასახლეში მისულ ავტობიოგრაფს მშობლებთან პიროვნული ურთიერთობა არ აქვს; შესაბამისად,

შეუძლებელია, მან მშობელთა ქცევის მიღმა მათი პიროვნული მახასიათებლები ამოიკითხოს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე ყველას ერთი სტატუსი აქვს: ისინი სასახლის სოციუმს წარმოადგენენ, მათ უკავშირდება ის რელაობა, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ახალი ცხოვრების დაწყებას გულისხმობს. განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა სხვაობის საილუსტრაციოდ იხ. დიაგრამა #1.

განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმისათვის თანმხლები დინამიკის დასანახავად გასათვალისწინებელია მოურავის რეპლიკაც, რომელიც უძღვის დედასთან განმცდელი ავტობიოგრაფის საუბარს: “შენი რისხვა ნუ მომეცემა, წამოიძახა მოურავმა - [...] რო იტყვიან: კვიცი გვარზე წავაო, სწორედ მართალი ყოფილა“ (წერეთელი 2015, 19). მოურავის სიტყვები განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ამჟღავნებს განცდას, რომ მას, როგორც მომავალ აღსაზრდელს, აკვირდებიან. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის დასანახავად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ეპიზოდის ორგანიზებას: ის იშლება, მიმდინარეობს, ერთი მხრივ, სოციუმის ობიექტური მახასიათებლების, ქცევის წესების, წარმოჩენის ფონზე და მეორე მხრივ, მასთან სისტემატურად კონტრასტს ქმნის განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდული ეპისტემოლოგიური კომპეტენცია და ბავშვური თავგამოდება.

განმცდელი ავტობიოგრაფის სასახლეში დახვედრის ეპიზოდი მთხრობელი ავტობიოგრაფისაგან ისეა ორგანიზებული, რომ მასში სოციუმის ყველა ის მახასიათებელი ჩანს, რომლებიც ეპიზოდის (სასახლეში ვიზიტის პირველი დღე) დასრულების შემდეგ ვრცლადაა აღწერილი. აღნიშნული გარემოება მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივაზე მიანიშნებს. მთხრობელ ავტობიოგრაფში (ტექსტის შექმნის მომენტში) სინანულს შემდეგი გარემოება იწვევს: განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებისათვის შინაგანი მზაობა და სოციალური კონტექსტი, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება, ერთმანეთის შესატყვისი არ იყო. სინანულის განცდას ამჟღავნებს ის გარემოებაც, რომ ერთი მიკროსოციუმიდან მეორეში გადასვლისას ქცევის წესები იცვლებოდა, განმცდელი ავტობიოგრაფი ბავშვური შემართებით ცდილობდა მათ

ათვისებას, თუმცა ყოველ ახალ ეტაპზე გადასვლას თან სდევდა გამოუცდლობის განცდა - ის, რაც ადრე შეიძინა, ახალ კონტექსტში აღარ ფუნქციონირებდა.


მოურავის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის შესაქებად გაკეთებული რეპლიკა გულწრფელი რომ არაა, ქალბატონის ქცევა მიანიშნებს: „ეტყობოდა, მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ დედაჩემმა გააწყვეტინა სიტყვა, დამიძახა და მკითხა ...“ (წერეთელი 2015, 19). ქალბატონის ჩარევა ორი თვალსაზრისითაა საყურადღებო: ა) მან იცის, რომ მოურავი მლიქვნელობს, ამიტომაც აწყვეტინებს შეფასებას; ბ) სხვებისაგან განსხვავებით, მას გულწრფელად სურს შვილის შინაგანი სამყაროს (ინტერესებისა და მზაობის) გაცნობა. განმცდელი ავტობიოგრაფის აღზრდა სწორედ დედამ უნდა ითავოს. გარემოება, როსტომ წერეთლის ხუმრობაზე განმცდელი ავტობიოგრაფის პასუხი, დედას მასთან საუბრის დაწყების ხელსაყრელ პირობას უქმნის. დედის მიერ არაერთი დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა აღნიშნული ინტერესის ეკვივალენტურია, ანუ დედის ცნობიერებას მიემართება და არა - მთხრობელი ავტობიოგრაფისას. ეპიზოდის ფარგლებში ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, სასახლის წევრთა, მათ შორის, როსტომ წერეთლის, გარეგნული, ეტიკეტზე დაფუძნებული ქცევისა და მეორე მხრივ, გარეგნული ფუსფუსისაგან განზე გამდგარი, თუმცა სასახლეში მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ქალბატონი. განმცდელი ავტობიოგრაფის ქცევასთან მიმართებით კი საყურადღებოა, რომ ის ერთნაირი მონდომებით პასუხობს მამისა და დედის შეკითხვებს, ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სასახლის თითოეული წევრისადმი.

განხილული მონაკვეთის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები ასე შეიძლება შეჯამდეს: სასახლეში მისულმა განმცდელმა ავტობიოგრაფმა იცის, რომ თვისებრივად ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, თუმცა ახალი ცხოვრების შინაარსი მისთვის უცნობია. ამასთან, სასახლეში საცხოვრებლად გადასვლას შინაგანი დამაბულობა ახლავს, ამიტომ ახალი რეალობის აღქმისას განმცდელი ავტობიოგრაფი ემოციურად დამუხტულია, ყურადღება კი მაქსიმალურად მობილიზებული აქვს. სასახლეში შეკრებილი ადამიანების მოქმედებათა მიხედვით ის ამ სოციუმის ქცევის წესებზე წარმოდგენას იქმნის. იცის რა, რომ ეს სოციუმი მისი მუდმივი საცხოვრებელი

უნდა გახდეს, მენტალურ პროცესებში ჰომეოსტაზიასთან ერთად ჩართულია ჰომეოსტაზიკა: იგი სოციუმს პასიურად არ აკვირდება, ცდილობს, სოციალურ გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხოს. სასახლეში შეკრებილი სტუმრების განსაკუთრებული აქტიურობა და მამის ხუმრობით დამუქრება მისთვის სოციალური ადაპტაციის დაწყების პირველი სტიმული ხდება: განმცდელი ავტობიოგრაფი არავერბალური ფიქრით<sup>65</sup>, ქვეცნობიერად, ხვდება, რომ მისგან ახალი ცხოვრების ფარგლებში ბატონობის სწავლას ითხოვენ, რაც თავის მხრივ, მისგან უნარიანობას მოითხოვს, ამიტომაც ის ცდილობს, მონდომებით უპასუხოს ამ სოციალურ გამოწვევას, აჩვენოს, რომ მას დიდი გამოცდილება აქვს, უნარიანია. დედის მიერ შეკითხვების დასმა განმცდელი ავტობიოგრაფისათვის საერთო სოციალური დაკვეთის რეალიზების ფორმად აღიქმება. ამ ეტაპზე მას დედასთან, როგორც მშობელთან, პიროვნული, დედაშვილური, კომუნიკაცია არ აქვს, ის მხოლოდ და მხოლოდ ახალ სოციუმში ადაპტაციას ცდილობს. სასახლის წევრებთან შეხვედრისას განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების საილუსტრაციოდ იხ. დიაგრამა #2

---

<sup>65</sup> წინარე ეპიზოდების მიხედვით ჩანს, რომ განმცდელ ავტობიოგრაფს ვერბალიზებული ფიქტრის პრაქტიკა არ ჰქონდა, მას საკუთარ ქმედებებზე რეფლექსიის აუცილებლობა არ ედგა. ამიტომ ამ ეტაპზე გარერეალობის აღქმა არავერბალური ფიქრის სახით უნდა მომხდარიყო. ტექსტობრივ დონეზე, ქვეცნობიერი აღქმის იდენტიფიცირება განცდელი ავტობიოგრაფის ქმედებების მიხედვით ხდება.



დიაგრამა # 2 <sup>66</sup>

<sup>66</sup> დიაგრამა აჩვენებს გამცდელი ავტობიოგრაფის მიერ ახალი კონტექსტის იდენტიფიკაციის პროცესს. პირველ სვეტში, მუქ ფონზე, ნაჩვენებია სოციუმის წვერთა ქცევა, რომელიც სიუჟეტის განვითარებას შეესაბამება. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერება ცდილობს, აღნიშნული ქმედებების საფუძველზე გაარკვიოს ახალი სოციალური კონტექსტის მახასიათებლები. იდენტიფიკაციის მენტალური პროცესი დიაგრამაზე ქვემოთ მიმართული მოხრილი ისრითაა გამოსახული. მინუსი ამ პროცესის წარუმატებლად დასრულებაზე მიანიშნებს, პლუსი კი იდენტიფიკაციის წარმატებით განხორციელებას აღნიშნავს. მოხრილი ისარი, რომელიც ზემოთაა მიმართული, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მომხდარ იმ ცვლილებაზე მიანიშნებს, რომელსაც საფუძვლად დაედო იდენტიფიკაციის რომელიმე საფეხური. იდენტიფიკაციის პროცესი არავერბალურ ფიქრს წარმოშობს, რასაც წყვეტილი ხაზებით შემოვლებული წრეები შეესატყვისება. დიაგრამით ნაჩვენები მენტალური პროცესები პერსონაჟის/განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოდინამიკას ქმნის, იგი ცდილობს ახალ სოციუმში ადაპტირდეს. მამის ხუმრობის საფუძველზე სოციუმის გარკვეული მახასიათებლის იდენტიფიკაცია განმცდელ ავტობიოგრაფს

**პირობითი ნიშნები**

**ი.** - იდენტიფიკაცია

**რ.** - რეაქცია

**მ.** - მოტივაცია

**ც.** - ცვლელბა

**ჰ.დ.** - ჰომეოდინამიკა

**გ.** - გეგმა

**+** წარმატება

**-** წარუმატებლობა

**მოხრილი ისარი** - მენტალური

პროცესი

**წყვეტილი ხაზებით**

**წარმოდგენილი წრე** -

არავერბალური ფიქრი

**შავი კვადრატი** - იდენტიფიკაციის

პროცესის საბოლოოდ

წარუმატებელად

დასრულებული/ეპიზოდის დასასრული

ეპიზოდის მეორე სტრუქტურულ ერთეულს ქმნის სადილობის სცენა. ამ ნაწილში თავჩენილი სოციალური ქცევის წესები კიდევ უფრო გასაგებს ხდის, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის დასახვედრად შეკრებილი ადამიანების საზეიმო ქცევა და მათი შინაგანი სამყაროს რეალური მდგომარეობა არაერთგვაროვანია. ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივას აზუსტებს - განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გამოვლენილი ძალისხმევა არაადეკვატურია: ის დაბრკოლების შესატყვისი არაა. სასახლის სოციუმს შინაგანი დინამიკა არ ახასიათებს, თუმცა ამ ეტაპზე

---

სიტუაციას ხელსაყრელად წარმოუდგენს და მოტივაციას აძლევს, შეიმუშაოს გეგმა - სასახლის წევრებისათვის თავის მოწონების გზით აღიარება უნდა მოიპოვოს. სადილობისათვის მზადების დაწყება განმცდელ ავტობიოგრაფს მიანიშნებს, რომ სიტუაციის იდენტიფიკაცია არასწორად განახორციელა, რაც ჰომეოდინამიკის შემქმნელი მენტალური პროცესების შეწყვეტის საფუძველი ხდება. მენტალური აქტივობის შეწყვეტას დიაგრამაზე შავი კვადრატი აღნიშნავს.

განმცდელი ავტობიოგრაფის ყურადღების ცენტრში მხოლოდ მათი გარეგნული აქტიურობა ექცევა, ქმედების რეალური მოტივაცია კი მისთვის უცნობია. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ახალი სოციალური კონტექსტის მახასიათებლები არავერბალური ფიქრის შედეგად განისაზღვრება. განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ კონტექსტთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნა ასეთია: ამ სოციუმის ფარგლებში **გაზიარებულია ცოდნა**, რომ ადამიანი მიზნისაკენ თავგამოდებით უნდა მისწრაფვოდეს. ამასთან, ახალ სოციუმში აქტუალურია მიზნები, რომელთა მისაღწევადაც ადამიანს ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს იმასაც, რომ ეს გარემო მის მიმართ მტრულად განწყობილი არაა; ამასთან, გამოცდილების ტიპი, რომელსაც ეს საზოგადოება ითხოვს, მისთვის ნაცნობია: ამას მამასთან დიალოგი აჩვენებს. თავის მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ სამომავლო გეგმების შემუშავებაში ჩართულია მისი გამოცდილებაც - მიზნისაკენ მიმავალ გზაზე თავჩენილ დაბრკოლებებს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში უარყოფითი გამოცდილება არ უკავშირდება, სავანეში ყოფნისას მისთვის მთავარია მიზნის პოვნა; როგორც კი ის გამოჩნდება, მოსალოდნელი რისკების განსჯის გარეშე თავგამოდებით ცდილობს მის მიღწევას<sup>67</sup>: „დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩეჩვას: ორჯერ- სამჯერ საჩეჩელის ჩხირები მეჩხვლიტა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია“ (წერეთელი 2015, 14). ეს გამოცდილება სტიმულს აძლევს განმცდელ ავტობიოგრაფს, რომ მან საკუთარი გამოცდილება სასახლის წევრებს ომახიანად გააცნოს.

---

<sup>67</sup> სტუდენტობის წლების აღწერისას მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის მეტალური კომპეტენციის ნაწილად წარმოაჩენს იმას, რომ მიზნების განსაზღვრისას სავარაუდო რისკები გაზომოს. მაგალითად, ის ლექსებს ანონიმურად აქვეყნებდა, რადგან იცოდა, რომ მათი შინაარსის გამო შეიძლებოდა სერიოზული პრობლემები შექმნოდა. ტექსტის დასაწყისა და ბოლოში ნაჩვენები განმცდელი ავტობიოგრაფის მეტალური მდგომარეობა განსხვავებულია, მათ შორის ცხადად ჩანს დინამიკა.

განმცდელი ავტობიოგრაფის შემართება ეპიზოდის მეორე ნაწილში სუსტდება, რადგან სოციუმი თავის ჩვეულ ყოფას უბრუნდება. სოციუმის შინაგანი დინამიკა და განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების პოტენცია ერთმანეთის ტოლფარდი არაა. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან კი საყურადღებოა ის, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი შეკითხვას არ სვამს მომხდარ ცვლილებასთან დაკავშირებით: ის მექანიკურად ერთვება სოციუმის რუტინულ ყოფაში.

მოქმედების ახალ ეტაპზე გადასვლის მინიშნებას ტექსტში მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარი იძლევა: „[...] **მზად ვიყავი**, რომ საღამომდის მეტიტინა, მაგრამ სხვებმა გაგვაწყვეტინეს საუბარი. დასწყევლოს წმინდა გიორგიმო - დაიძახეს აქეთ-იქით - ტფუი!ტფუი! ვიღაც სწორედ ჩვენს ძვირში არისო და **გადავიდნენ სხვა საუბარზე**. ამასობაში სადილობამაც მოატანა (წერეთელი 2015, 20). დამოწმებული ამონარიდი განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების დინამიკაში ახალ ნიშნულს ქმნის: სოციუმის ქმედება განმცდელ ავტობიოგრაფს აჩვენებს, რომ მიზანი, რომელიც მან დაისახა, ახალ სოციუმში ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვანი არაა. მომხდარი ცვლილება განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში კომპლექსურ პროცესებს წარმოშობს: სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფი ოდენ ინტელექტუალური გამოწვევების წინაშე არ დგას; შესაბამისად, ის მოვლენებს მხოლოდ რაციონალურად არ განსჯის. სავანიდან სასახლეში საცხოვრებლად გადასვლა მისი იდენტობის მოდელის ფუნდამენტურ განახლებას მოითხოვს. ცვლილება, პირველ რიგში, არარსებული სოციალური ცნობიერების ფორმირებას გულისხმობს. ამდენად, სასახლის კონტექსტის აღქმაში, მოვლენათა რაციონალური გასჯის გარდა, განმცდელი ავტობიოგრაფის არაერთი მენტალური პროცესია ჩართული. მათ შორის გადამწყვეტია ემოციური რეგულატორის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებისათვის მიწოდებული სიგნალები. სავანეში ცხოვრებისას განმცდელი ავტობიოგრაფი მიჩვეული იყო მისი ინტერესების პრიორიტეტულობას; ყველაფერი ამ ინტერესების რეალიზებისათვის არსებობდა. სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფი თავს უფლებას აძლევს, ჩვეული სილაღე გამოავლინოს უფროსებთან ურთიერთობისას, რადგან მისდამი სასახლის წევრების დამოკიდებულება (გარეგნულად) აჩვენებს, რომ განმცდელი

ავტობიოგრაფი მათთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. სხვა მენტალურ პროცესებთან ერთად, განმცდელი ავტობიოგრაფისადმი გამოვლენილი ყურადღება საფუძველი ხდება იმისა, რომ ემოციური რეგულატორისაგან დადებითი სიგნალები წამოვიდეს. განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს, რომ ეს კონტექსტი, სიუცხოვის მიუხედავად, მისდამი კეთილგანწყობილია, სადილობის წინ განმცდელი ავტობიოგრაფის ყურადღების არეალში მოქცეული მოვლენები კი მის წარმოდგენებს ამსხვრევს: სოციალური ქცევა („გადავიდნენ სხვა საუბარზე“) მას აჩვენებს, რომ ამ სოციუმისათვის ის ისე მნიშვნელოვანი არაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. მთხრობელი ავტობიოგრაფის პროტოკოლით ნაჩვენები განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი მოტივაცია (მზად ვიყავი მეტიტინა) სასახლის წევრებისათვის გაუგებარია („გაგვაწყვეტინეს ... გადავიდნენ სხვა საუბარზე“).

უნდა აღინიშნოს, რომ სადილობის პროცესში განმცდელი ავტობიოგრაფი გარედამკვირვებლის პოზიციაშია წარმოდგენილი, ის მოვლენათა ეპიცენტრში აღარ დგას; ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ეს განმცდელი ავტობიოგრაფის სასახლეში მოსვლამდე ხდებოდა. განმცდელ ავტობიოგრაფს აღარავინ აქცევს საგანგებო ყურადღებას. ეპიზოდის დასაწყისში სასახლის წევრების მიერ განმცდელი ავტობიოგრაფისადმი გამოვლენილი ყურადღება ბატონის, როსტომ წერეთლის, მიმართ რიტუალური მსახურების ნაწილია. ეს სოციუმში მოქმედი სოციალური ქცევის კომპონენტია; შესაბამისად, როგორც კი ეტიკეტური ნაწილი განმცდელი ავტობიოგრაფის სასახლეში მიღებისა სრულდება, განმცდელი ავტობიოგრაფი სტუმართა ცნობიერებაში უკანა პლანზე ინაცვლებს. ერთადერთი, ვინც სადილობის პროცესში განმცდელ ავტობიოგრაფს ყურადღებას აქცევს, დედაა: ბევრმა თვალის ვერ მოაწრო ამ ჩვენი ხორციტ გაბურთავენას, მაგრამ დედაჩემმა შენიშნა და სიცილით მითხრა (წერეთელი 2015, 23). სადილობის პროცესში საზოგადოება ცდილობს, თვალი მიადევნოს სიტუაციის განვითარების ტრადიციულ ეტაპებს, ეს უკვე მისთვის ფორმალური ნაწილი არაა, სადილობის „რიტუალში“ მონაწილობა მათი შინაგანი მოთხოვნილებაა. განმცდელი ავტობიოგრაფის დედას არაოფიციალური ქცევის წესების არსებობა ყველაზე მეტად აქვს გაცნობიერებული, ის მათ ემიჯნება და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს მათ

შეცვლას. სოციალურ პროცებთან მიმართებით ამგვარი პოზიციის გამო მას საშუალება აქვს, საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედოს და პროცესებს მექანიკურად არ გაჰყვეს. მოცემულ შემთხვევაში, მისი მთავარი საფიქრალი შვილზე დაკვირვებაა. ტექსტის შემდგომი განვითარება აჩვენებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის აღზრდისას დედა ცდილობს, გაითვალისწინოს შვილის ინტერესები და მისწრაფებები.

როგორც უკვე აღინიშნა, განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმის პერსპექტივის ცვლილებაზე მთხრობელი ავტობიოგრაფის **პროტოკოლი** მიაჩნდება. აქ დაისმის კითხვა: რატომ უნდა აღიქვას მკითხველმა დამოწმებული სიტყვები („მზად ვიყავი მეტიტინა“) მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარად, რატომ ვერ იტყოდა მათ განმცდელი ავტობიოგრაფი? დამოწმებულ ფრაზაში მოცემული **ზმნის** შინაარსი მოქმედ სუბიექტსა და ადრესატს (სოციუმს) შორის არსებულ დისტანციაზე მიაჩნდება. აღნიშნული ზმნით განმცდელი ავტობიოგრაფის მოქმედება სოციუმის თვალთაა შეფასებული, ეს კი შეეძლო აღწერილი მოვლენებისგან დროითი დისტანციის მქონე მთხრობელ ავტობიოგრაფს. საანალიზო ეპიზოდის ფარგლებში განმცდელი ავტობიოგრაფი უფროსებისაგან დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას სერიოზულ საქმედ მიიჩნევს. მისთვის საკუთარი გამოცდილების, ცოდნის დემონსტრირება ახალ სოციუმში თავის დამკვიდრებას ემსახურება. ზმნა *მეტიტინა* კი ზრდასრული ავტობიოგრაფის მიერ სოციუმში მოქმედი ქცევის წესების, მათი ინტერესების ფონზე აფასებს განმცდელი ავტობიოგრაფის მოქმედებას, ხაზს უსვამს, რომ სოციუმს მისი ბავშვური თავგამოდების არ ესმის, მისთვის განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედების მოტივაცია უცნობია. დასაზუსტებელია ის გარემოებაც, რომ დამოწმებული კომენტარით მთხრობელი ავტობიოგრაფი აღწერილ მოვლენასთან მიმართებით მხოლოდ საკუთარ პოზიციას არ გამოხატავს. მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ სოციუმსა და განმცდელ ავტობიოგრაფს შორის არსებულ გაუგებრობაზე მითითება, ცალსახად, მნიშვნელოვანია, რათა მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუქციონირება მკითხველმა ადეკვატურად განსაზღვროს.

ამ ეტაპზე, ისევე როგორც ეპიზოდის დასაწყისში, განმცდელი ავტობიოგრაფი დამკვირვებლის პოზიციაში გადადის, მოვლენათა განვითარება ფოკალიზებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ. სოციუმის ქცევის წესების მისეული თავდაპირველი

ინტერპრეტაცია მცდარი აღმოჩნდა, ამიტომ განმცდელ ავტობიოგრაფს კვლავ ყურადღების მობილიზება სჭირდება. მისთვის ახალი სოციუმის რაგვარობა კვლავ შესამეცნებელი რჩება. სადილისათვის მზადებისას განმცდელი ავტობიოგრაფისათვის თვალშისაცემია სასახლის წევრების განსაკუთრებული აქტიურობა, მოვლენათა განვითარების ცერემონიული სახე, ყურადღებას იქცევს მოქმედებათა საფეხურეობრიობაც. სასახლის წევრების იერარქიული გადანაწილება და მოქმედების ინტენსივობა რაღაც განსაკუთრებულისათვის მზადების ილუზიას ქმნის. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერიოდული კომენტარებით კი აქცენტირებულია, რომ სასახლის სოციუმის ქცევა არაჯანსაღია, ეპოქის გამოწვევებს არ შეესაბამება. განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმა (საზოგადოებაზე შექმნილი წარმოდგენა) და ობიექტიური რეალობა ერთმანეთის შეუსაბამოა. სამზადისის გარეგნული სერიოზულობა განმცდელ ავტობიოგრაფს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ მასთან სასახლის წევრების დიალოგი მეორეხარისხოვანი იყო, მთავარი კი სწორედ ამ ეტაპიდან უნდა დაიწყოს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სადილისათვის მზადებისას და სადილობის დროს განმცდელ ავტობიოგრაფს საგანგებო ყურადღებას აღარ აქცევენ.

განმცდელ ავტობიოგრაფს იდენტობის ემოციური რეგულატორისაგან მიეწოდება ინფორმაცია, რომ სოციუმის ქცევის წესების გასააზრებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტი დგება; შესაბამისად, მისი ყურადღება კვლავ მობილიზებულია. განმცდელი ავტობიოგრაფის კონცენტრაციაზე თხრობის რაგვარობა მიანიშნებს: წინადადების **ერთგვარი წევრების** თავმოყრით, **მოკლე წინადადებების** გამოყენებით ნაჩვენებია, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში როგორ იქმნება სასახლის წევრთა მოქმედებასთან მიმართებით სერიოზულობის განცდა. გარდა ამისა, აღნიშნული რიტორიკული ხერხებით მთხრობელი ავტობიოგრაფი აჩვენებს, ემოციურად დაძაბული განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში სოციუმის ქცევის ამსახველი მრავალრიცხოვანი კადრები განსაკუთრებული სისწრაფით რომ **ილექება**.

საანალიზო სიტუაციაში განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების ადეკვატური ანალიზისათვის აუცილებელია, დაკონკრეტდეს, რომ ეს კადრები მექანიკურად **გროვდება** განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში: ქცევის ის

მოდელები, რომლებსაც განმცდელი ავტობიოგრაფი ხედავს, მისთვის უცნობია. ამასთან, არაერთი მოქმედება სწრაფად ენაცვლება რა ერთმანეთს, განმცდელ ავტობიოგრაფში გაუცნობიერებლად დაბნეულობის განცდას, არასასურველ კონტექსტში ყოფნის შთაბეჭდილებას ამძაფრებს.

განმცდელი ავტობიოგრაფი პასიურად იღებს ინფორმაციის ინტენსიურ ნაკადს. ამაზე ის გარემოება მიაჩნდება, რომ სადილობის ეპიზოდში მისი მენტალური პროცესები არაა ნაჩვენები. პასიურად დალექილი ინფორმაციის უარყოფითი შედეგები განსახოვნებულია ეპიზოდის ბოლოს, როცა განმცდელ ავტობიოგრაფს ოთახში დასაძინებლად მარტოს ტოვებენ. მთხრობელი ავტობიოგრაფი ამ ეტაპზე უკვე განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან მღელვარებას დეტალურად აჩვენებს. სადილობის პერიოდში განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების შესახებ ინფორმაცია ტექსტში რომ არაა მოცემული, ეს მოვლენათა აღქმის რაგვარობაზე მიაჩნდება (პასიურად აღიქვამდა). ეპიზოდის ბოლოს ნაჩვენები ემოციური მდგომარეობის განმაპირობებელი ფაქტორები მკითხველმა, ერთი მხრივ, სადილობისას ნანახს უნდა დაუკავშიროს, და მეორე მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების განგრძობითობას უნდა დააკვირდეს, ანუ უნდა გაითვალისწინოს ის ფსიქონარატივი<sup>68</sup>, რომელიც სავანიდან წამოსვლის შემდეგ ტექსტში ეტაპობრივად მოცემული (განალიზებული კომპლექსური ეპიზოდის დიაგრამა იხ. ქვემოთ (N3)).


---

<sup>68</sup> ფსიქონარატივი ალან პალმერმა პერსონაჟის წინარე გამოცდილების აღსანიშნავად შეიმუშავა, თავდაპირველად ამ ტერმინის ნაცვლად იგი იყენებდა *ჩართულ ნარატივს* (იხ. წინამდებარე დისერტაციის თეორიული ნაწილი).

განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა

სიუჟეტი

მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა



### **პ ი რ ო ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი**

**ფ.ნ.** - ფსიქონარაცია (ჩართული ნარატივი)

**რ.** - რეაქცია

**ც.** - ცვლელბა

**გ.** - გეგმა

**ს.პ.** - სამოქმედო პროგრამა

**ი.** - ინტეგრაცია

**მთხრობი ისარი** - მეტალური პროცესი

**წყვეტილი ნაშები** - ავტობიოგრაფის

ცნობიერებაში ერთდროულად თავჩენილი

ფსიქონარაცია

**ე.პ.** - ეპისტემოლოგიური კომპეტენცია

### **დიაგრამა #3<sup>69</sup>**

სადილობის ეპიზოდის ანალიზისას გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ განსახოვნებული მოვლენები ერთდროულად ფოკალიზებულია განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მიერ. ორივე პერსპექტივის თავისებურების

---

<sup>69</sup> დიაგრამა აჩვენებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის სივრცე, მთხრობლისასთან შედარებით, ბევრად დაქსელილია, რაც იმითაა განპირობებული, რომ მის ცნობიერებაში მეტალური პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს. ამის საპირისპიროდ, მთხრობელი ავტობიოგრაფის სივრცე მარტივია. განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებათა მოქმედების სხვაობა არსებითად მათი ეპისტემოლოგიური კომპეტენციის შესატყვისია. მთელი ის დამაბულობა, რომელიც განმცდელმა ავტობიოგრაფმა გამოიარა, მისი გამოუცდელობით იყო განპირობებული. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ტრაგიზმის განსახოვნებისას მთხრობელ ავტობიოგრაფს კიდევ ერთი გარემოება აქვს გათვალისწინებული - განმცდელ ავტობიოგრაფს ძლიერი შინაგანი მუხტი ჰქონდა, რომელიც განმცდელ ავტობიოგრაფს სისტემატურად ინტენსიურ ბიძგს აძლევდა, რომ განვითარებულიყო. ერთი მხრივ, შინაგანი სიმკვირცხლე, მეტალური პროცესების ინტენსივობა და მეორე მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის გამოუცდელობა დიდი შინაგანი ტკივილის საფუძველი ხდებოდა. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან, განმცდელი ავტობიოგრაფი შინაგანად მკვირცხლი რომ არ ყოფილიყო, მისი გამოუცდელობა ამდენად ტრაგიკული არ იქნებოდა.

გათვალისწინება აუცილებელია, რათა გასაგები გახდეს, სასახლეში ცხოვრების პირველი დღე რა საფეხურს ქმნის მთხრობელი ავტობიოგრაფის *ავტობიოგრაფიული მეს/იდენტობის* ფორმირებაში. ეპიზოდის ანალიზისას გამოიყოფა განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივაზე მიმანიშნებელი დეტალები; იმავდროულად ნაჩვენები იქნება, მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარები რამდენად სძენს დრამატიზმს განმცდელი ავტობიოგრაფის მდგომარეობას. განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარებისათვის თანხმლები დრამატიზმის განსახოვნება მთხრობელი ავტობიოგრაფის მთავარ ჰომეოსტაზიურ საჭიროებას წარმოადგენს: ეს ემოცია მთხრობელი ავტობიოგრაფის მენტალურ რუკაზე დატანილი წარსული მენტალური ხატების (მოგონებების) მთავარი ემოციური იარაღი.

სადილობისათვის მზადების დაწყებას განცდელი ავტობიოგრაფი დინამიკურად აღიქვამს:

**უცხად** ოცი-ოცდაათი მეტი ფარეში **შემოიჭრნენ** და გაჩერდნენ შუა ოთახში. ბატონები მივიდნენ, ჩამომწკრივდნენ ტახტზე: პირდაპირ, მეორე ტახტზე **აზნაურიშვილები დასხდნენ** და თავში მღვდელი დაუჯდათ. კიბეზე ვიღაცამ დაახველა, **სთქვეს - მოურავიაო** და მართლაც ის იყო, მოუძლოდა წინ სადილს, შემოვიდა და მიეყუდა სვეტს. იმას **შემოჰყვენ სხვებიც. ხელოსნებს პური მოჰქონდათ** ხელკალათებით, **მზარეულებს კი** ქოთნებით სხვადასხვა საჭმელები (წერეთელი 2015, 20-21).

როგორც უკვე აღინიშნა, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სასახლის წევრების ქცევა მოულოდენელი აღმოჩნდა: იგი აცნობიერებს, რომ მისი სათქმელი სტუმრებს არ აინტერესებს (სხვა თემაზე გადაიტანეს საუბარი). მოვლენათა შემდგომი განვითარება განმცდელ ავტობიოგრაფში ახალი რეალობის შესახებ დამატებით შთაბეჭდილებას ქმნის - **რადაც** გრანდიოზული იწყება. შთაბეჭდილების ამგვარ მოდიფიკაციაზე მიანიშნებს ფრაზა - **უცხად** ოცი-ოცდაათი მეტი ფარეში **შემოიჭრნენ**. მსახურების ქცევის აღქმისას განცდელ ავტობიოგრაფზე გავლენას ახდენს მათი მოულოდენელი გამოჩენა, თანაც, მათი განსაკუთრებული შემართება (შემოიჭრნენ) განცდას ტოვებს, რომ განსაკუთრებულისათვის ემზადებიან. ამის შემდეგ განმცდელი ავტობიოგრაფის ყურადღების არეალში ექცევა სამზადისის მონაწილე სუბიექტების ეტაპობრივი

გამოჩენა, მათ შორის იერარქიული სხვაობის არსებობა: „ბატონები ჩამომწკრივდნენ, აზნაურიშვილები დასხდნენ, თავში მღვდელი დაუჯდათ, ხელოსანებს პური მოჰქონდათ, მზარეულებს კი საჭმლები.“ მოქმედ სუბიექტებს შორის იერარქიული მიმართების გარდა, სიტუაციის განვითარებაზე დაკვირვება განმცდელ ავტობიოგრაფს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ რიტუალური ქმედებაა, რადგან ყველაფერი ეტაპობრივად და ყველასთვის ნაცნობი სცენარით ვითარდება. განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ტრადიციულ რიტუალურ სიტუაციაში ყოფნის განწყობას განამტკიცებს მოურავის გამოჩენის რაგვარობაც: კიბეზე ვიღაცამ დაახველა, **სთქვეს - მოურავიაო** და მართლაც ის იყო (იქვე, 21). სასახლეში შეკრებილმა სტუმრებმა იციან, რომ მსგავს სიტუაციაში მოურავი, **როგორც წესი**, სტანდარტულად ჩნდება. სუბიექტების ეტაპობრივად გამოჩენა და სიტუაციის განვითარების გაზიარებული სცენარი განმცდელ ავტობიოგრაფს განუმტკიცებს აზრს, რომ რაღაც ტრადიციული ხდება. სიტუაციის სერიოზულობასა და რიტუალურ ხასიათზე სასახლის წევრების სხვა არაერთი ქმედებაც მიანიშნებს განმცდელ ავტობიოგრაფს: „აბა, ჰე, ხელი დაგვაბანიეთო, ბრძანეს ბატონებმა. ერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ თუნგს და მესამემ ხელსაწმენდს.[...]. მერე ორმა ბიჭმა შემოიტანა გრძელი და ვიწრო ხის სუფრა ოთხფეხიანი ... (იქვე 21). აღნიშნული ეპიზოდი განმცდელი ავტობიოგრაფის მიერაა ფოკალიზებული, მისი აღქმის რაგვარობაა განსახოგნებული, ისევ მოქმედების ინტენსივობა, სიტუაციის სერიოზულობაა აქცენტირებული.

განმცდელი ავტობიოგრაფისათვის რა მნიშვნელობა აქვს ნანახ დეტალებს? მნიშვნელობის განსასაზღვრავად გასახსენებელია განმცდელი ავტობიოგრაფის წინარე **კოგნიტური ნარატივი**. სავანიდან სასახლეში საცხოვრებლად გადმოსული განმცდელი ავტობიოგრაფი ახალი ცხოვრების დასაწყებად ემზადებოდა, მას დაბალი სოციალური კომპეტენცია ჰქონდა. ამგვარი ეპისტემოლოგიური კომპეტენციით ის ცდილობდა, გაეგო, რა ტიპის სოციუმში მოუწევდა ცხოვრება. სამომავლო გეგმების შედგენისას არ იყო ჩართული განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური გამოცდილება, აქტივობათა დაგეგმვისას მთავარი მამომრავებელი ძალა მხოლოდ ინსტინქტია. ჰომეოსტაზიის უზრუნველსაყოფად იდენტობის რეგულატორი მის ცნობიერებას სოციალიზების

აუცილებლობის განცდას უაქტიურებს. სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფის ყურადღება მობილიზებულია: მას უნდა, გაიგოს, რა ტიპის სოციუმში მოხვდა, რას ითხოვს მისგან ეს საზოგადოება, რათა სოციალიზებისათვის საჭირო ქმედება დაიწყოს. სასახლეში შეკრებილი სტუმრების თავდაპირველი ნარატივი და ქმედება მას შთაბეჭდილებას უქმნის, რომ ეს სოციუმი მის მიმართ კეთილგანწყობილია, მისგან თავადიშვილობის სწავლას მოითხოვს, თავის მხრივ, თავადიშვილობის სასწავლად მას უნარიანობა სჭირდება. სიტუაციის ამ ტიპის იდენტიფიკაციას მოჰყვება მისი შესატყვისი ქმედება: იგი ცდილობს შეკრებილ სტუმრებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება აჩვენოს. განმცდელმა ავტობიოგრაფი მალევე აღმოაჩინა, რომ მის მიერ სოციუმის შესახებ შექმნილი შთაბეჭდილება არასწორია: ის ამ სოციუმისათვის მთავარი არაა, მის მიმართ გამოვლენილი ყურადღება დროებითი იყო. საკუთარი ქმედების ევალუაციის ამ ეტაპზე განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის ემოციური რეგულატორი კვლავ აქტიურდება, ისევ საფრთხის განცდა ჩნდება, რადგან განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ახალი სოციუმის რაობა ბუნდოვანი რჩება. ამას ემატება იმის გაცნობიერება, რომ ამ სოციუმისათვის ის მთავარი სულაც არაა.

აღნიშნული ეგზისტენციალური საფრთხის ფონზე განმცდელი ავტობიოგრაფის მღელვარებას ნანახი (სადილისათვის მზადება) რა თვალსაზრისით ამძაფრებს? პირველ ეტაპზე, როცა განმცდელი ავტობიოგრაფი უფროსებისაგან მისთვის დასმულ შეკითხვებს თამამად პასუხობს, იმითაა განპირობებული, რომ სოციუმის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის მზაობა და სოციუმის მოთხოვნა ერთმანეთის თანმხვედრი ჩანს: მისგან ცოდნის დემონსტრირებას ითხოვდენ. ამ ნაწილში განცდელი ავტობიოგრაფი თავს ლაღად გრძნობს. სოციუმის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის მიმართ გამოვლენილი კეთილგანწყობა და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის თავსებადობა განმცდელი ავტობიოგრაფის ინტერესებთან, მას სილაღეს ანიჭებს. როგორც უკვე აღინიშნა, მოგვიანებით განმცდელი ავტობიოგრაფის შთაბეჭდილება იცვლება, ირკვევა, რომ სოციუმისათვის ის პირველხარისხიანი არაა. სადილისათვის მზადების ყურებისას, განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს, რომ სწორედ ამ ეტაპზე მის წინაშე იშლება სოციუმის ავთენტური ქცევის წესები, რაზეც სასახლის წევრების სტანდარტული ქცევა

მიანიშნებს. შემფოთების საფუძველს კი ქმნის ის გარემოება, რომ გასაშიფრი სოციალური რეალობა **მრავალშრიანი, კომპლექსურია**. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალშისაცემია სოციუმის წევრთა ფუნქციური მრავალფეროვნება. განმცდელი ავტობიოგრაფისათვის გაუგებარია სიტუაციის განვითარების ლოგიკა. მას ახალი სოციუმის შემეცნება ამ ეტაპზე რთულად ეჩვენება, რადგან ხედავს, რომ სოციუმის კომპლექსურობა მის გამოცდილებასთან არათავსებადია. განმცდელი ავტობიოგრაფი ვერცერთ სამოქმედო პროგრამას ვერ ააქტიურებს, რადგან ნანახი აბსოლუტურად უცხოა მისთვის. აღნიშნულ შთაბეჭდილებებს ემატება ისიც, რომ *რიტუალის* პროცესი უსასრულოდ იწელება.

საანალიზო ეპიზოდის ფარგლებში ცალკე დაკვირვებას საჭიროებს მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა. თუ განმცდელი ავტობიოგრაფის ყურადღების არეალში, ძირითადად, სასახლის წევრთა ქცევის სერიოზულობა ხვდება, მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა სოციუმის ნაკლოვანებას წარმოაჩენს. აქვე წინასწარ უნდა დაზუსტდეს ისიც, რომ აღწერილი სოციუმი მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ნაწილია, ის მისგან დისტანცირებას არ ცდილობს. ასეთ შემთხვევაში ნაკლოვანებების განსახოვნებას ავტობიოგრაფიულ ნარატივში რა დანიშნულება აქვს? სოციუმის ხარვეზების თემატიზება განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების დრამატიზებას ემსახურება. თავის მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების ეს ასპექტი მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის სინანულის საფუძველს ქმნის, მას საკუთარი ნიჭის განვითარების საშუალება არ მიეცა, სოციალურმა კონტექსტმა შეუშალა ხელი.

სოციუმის ახირებულ ქცევას განაპირობებს ის ფაქტი, რომ პოლიტიკური კონტექსტი შეცვლილია, სოციუმის წევრებს კი სათანადო ცოდნა არ აქვთ, ახალი რეალობის შესატყვისად რომ იმოქმედონ. სოციალური ცხოვრების ფორმალიზება სოციუმის წევრების ქცევის დეგრადირების საფუძველი ხდება.<sup>70</sup> მთხრობელი ავტობიოგრაფის

---

<sup>70</sup> როგორც „ჩემი თავგადასავლის“ ბოლო მონაკვეთის ანალიზი აჩვენებს, მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის საკუთარი შესაძლებლობების, ნიჭის რეალიზების ერთადერთი კონტექსტი

პერსპექტივიდან ისტორიული კონტექსტის ფორმირება ბედისწერაზე დამოკიდებული არაა, მას გარკვეულ მოვლენათა კონსტელაცია და ადამიანების მიერ გაკეთებული არჩევანი განაპირობებს. სასახლის წევრებს არა აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება, მათთვის ახალი ცხოვრების ტიპი უცნობია, სწორედ ამის გამო მთხრობელი ავტობიოგრაფი მათ ბრალს არ სდებს.

განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდული პერსპექტივიდანაც კი თვალსაჩინოა, რომ სადილისათვის მზადება სასახლის წევრებისათვის ტრადიციულ საქმეს წარმოადგენს. ეს ასპექტი აქცენტირებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარებითაც. რისთვის სჭირდება ამ სოციუმს მსგავსი ტრადიციის დამკვიდრება? მთხრობელი ავტობიოგრაფი განსახოვნებულ ტრადიციას ახირებულობად მიიჩნევს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მისთვის სოციუმის ამგვარი ქცევა ეპოქისათვის, რეალური სოციალური საჭიროებებისათვის შეუსაბამოა. უფრო კონკრეტულად, ამ ტრადიციაში რა არის ისეთი, რის გამოც მთხრობელი ავტობიოგრაფი სოციუმის ქცევის წესს არარელევანტურად მიიჩნევს?

სადილობისათვის მზადების აღწერისას თემატიზებულია, რომ მოქმედების ცენტრში დგას ბატონი: სასახლის წევრები ცდილობენ, ყოველი ქმედების მოტივად ბატონისადმი ერთგულება წარმოაჩინონ: “უცბად ოცი-ოცდაათი მეტი ფარეში შემოიჭრნენ”. ეპიზოდის დასაწყისში მსახურების ენერგიულად შემოსვლა გამოხატავს მზაობას, რომ ბატონებს ემსახურონ. ტრადიციული სამზადისისას საგანაგებოდაა გათვალისწინებული ბატონისაგან ბრძანების გაცემა და მსახურებისაგან ბრძანების აღსრულება:

ხელი დაგვაბანიეთო, ბრძანეს ბატონებმა. ერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ თუნგს და მესამემ ხელსაწმენდს. [...] „შეუყენეთ ფეხიო“ - უბრძანა ბატონმა. ბიჭები სულ ერთიანად

---

სამშობლოსადმი მსახურებაა, სხვაგან ან სხვა ფორმით მას ვერ წარმოედგინა საკუთარი პიროვნული განვითარება, ამიტომაც იყო მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული, თანამემამულენი რომ ვერ უგებდნენ, მის შინაგან სამყაროში მიმდინარე ეს ფუნდამენტური მნიშვნელობის პროცესი უხილავი რჩებოდა. აღსანიშნავია, რომ მისი იდენტობის უცვლელი ნაწილი იყო არა მხოლოდ ქართველობა, არამედ საკუთრივ იმერლობაც.

გაცვივდნენ გარეთ და თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენინა ქვა, სხვებიც ისევ უკან მოსდევდნენ; [...] „შეუყენეთ ნაფოტი“-ო ბრძამა ბატონმა. გაცვივდნენ ბიჭები ნაფოტის მოსატანად. კიდევ ისევ ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხვები უკან მოსდევდნენ; შეუყენეს სუფრას და გაამაგრეს“ (წერეთელი 2015, 21).

სამზადისში კიდევ ერთი დეტალია გათვალისწინებული: მსახურებმა ბატონისადმი ერთგულება ბატონზე ქვემდგომი, ხოლო მსახურებზე ზემდგომი იერარქის დაკნინებით უნდა წარმოაჩინონ:

ერთი-ორი ძალი აზნაურების სუფრის ქვეშაც შემძვრალიყო. ბიჭებმა რომ იმათ ჯოხით ცემა დაუწყეს, ერთმა აზნაურმა იყვირა: „ვაიმე, წვივი, წვივი მომტეხე, შე ოჯახდაქცეულო! ბატონი-ჩემის რისხვა ნუ მომეცემა, ჩემი ჯინი სჭირს და განგებ მიყო ეს საქმეო!“ - მაგრამ ბიჭი დიდ უარზე იდგა და იძახოდა: „ღვთისა და ბატონის რისხვა მქონდეს, თუ უცაბედად არ მომსვლოდესო“. ამ შემთხვევამ დიდი სიცილი და ხარხარი გამოიწვია და ის აზნაურიშვილიც განგებ აზვიადებდა ტკვილს, ისვამდა წვივზე ხელს და იჭყანებოდა (იქვე 21).

აზნაურიცა და მსახურიც თავის გასამართლებლად ბატონს იფიცებენ. საყურადღებოა, რომ სამზადისის ეს ნაწილი სასახლის წევრებისათვის განსაკუთრებულად სახალისო და საინტერესოა („ამ შემთხვევამ დიდი სიცილი და ხარხარი გამოიწვია“). ეს გარემოება აჩვენებს, რომ სასახლის წევრებისათვის ბატონისადმი მსახურების **ინსცენირება** ქმედების ერთადერთი მოტივი არაა, მათ ასევე **ალტერნატიული სოციალური მოდელი** უნდა განასახიერონ - სოციუმის იერარქიული სტრუქტურა ნაკლოვანია: ერთი მხრივ, ბატონისადმი ერთგულების დემონსტრირება და მეორე მხრივ, სოციუმის იერარქიულობის უგულებელყოფა სოციალური იდენტობის კრიზისზე მიანიშნებს: სოციო-პოლიტიკური კონტექსტი შეცვლილია, რის გამოც სოციუმის ქცევის წესები (მათ შორის, იერარქიული მოწყობის მოდელი) **განახლებას საჭიროებს**. სოციალური ურთიერთობის სიმულირება აღნიშნული კრიზისის საკომპენსაციოდ უნდა იყოს სასახლეში დამკვიდრებული - მან სოციუმის იდენტობა ალტერნატიული ვარიანტის გამოჩენამდე სრული რღვევისაგან უნდა დაიცვას. ამ ეტაპისათვის მოქმედი მოდელი მოძველებული ჩანს, თუმცა ახალი ჯერ არაა შემუშავებული, შესაბამისად, იდენტობის მოდელის განახლება შეუძლებელი ხდება.

მსჯელობის მართებულობისათვის უნდა დაისვას კიდევ ერთი კითხვა: თუ იერარქიული ურთიერთობის სიმულირება სოციუმის იდენტობის სტაბილურობას ემსახურება, რატომაა მასში ერთ-ერთი იერარქიული რგოლი დისკრიმინირებული? წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში აღნიშულ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ და მხოლოდ მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან უნდა მოხდეს, ზოგადი სოციო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებს სცდება. აზნაურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება განახლების სურვილის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, ბატონისადმი ერთგულების დემონსტრირება კი დროებითი ბალანსის შენარჩუნების გარანტიად წარმოდგება.

საანალიზო ეპიზოდი ერთდროულად ფოკალიზებულია განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების მიერ. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა, რომელიც სოციუმის ავთენტურ სახეს აჩვენებს, განმცდელი ავტობიოგრაფის განცდების დრამატიზებას ემსახურება. განმცდელი ავტობიოგრაფის თავდადება, ჰომეოდინამიკის გააქტიურება არაადეკვატურია, აღნიშნულ სოციუმში თავის დამკვიდრება განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებისათვის არაფრისმომცემია, თუმცა მას სოციალური კომპეტენციის არქონის გამო ამის გაცნობიერება არ შეუძლია. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან სწორედ ეს გარემოება ჩანს გულდასაწყვეტი.

განმცდელ ავტობიოგრაფში ამ ეტაპზე მენტალური პროცესები ქვეცნობიერად მიმდინარეობს. მათი დინამიკის თავისებურებას განსაზღვრავს ისიც, რომ **მენტალობის თეორია**, რომელიც განმცდელ ავტობიოგრაფს ფორმირებული აქვს, ნაკლოვანია. მენტალური პროცესების ქვეცნობიერად მიმდინარეობა ქცევის რეგულიაციის, სოციალური კონტექსტისათვის ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას ართულებს, რაც, თავის მხრივ, განცდელი ავტობიოგრაფის მღელვარებას იწვევს: სოციალური კონტექსტი რადიკალურადაა შეცვლილი (სავანის კონტექსტთან შედარებით), მისი მახასიათებლების იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, რაც იდენტობის კრიზისს იწვევს. ასეთ შემთხვევაში ჰომეოსტაზიის დარღვევის გამო ემოციური რეგულატორი განმცდელ ავტობიოგრაფში უსიამოვნების განცდას ბადებს.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის მისწრაფებებისა და სასახლის სოციუმის ინტერესების სხვაობაზე მინიშნებას იძლევა მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარი. ის განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდულ პერსპექტივას განავრცობს. თავად განმცდელი ავტობიოგრაფის ყურადღების არეალში სასახლეში შეკრებილი სტუმრების ქცევის არაერთგვაროვნება არ ხვდება. მთხრობელი ავტობიოგრაფის ეს კომენტარი მკითხველს საშუალებას აძლევს, სადილობის ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის თავისუფალი ქცევის მიღმა შინაგანი მღელვარება დაინახოს.

განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ეპიზოდის ბოლოს. სადილობის შემდეგ განმცდელ ავტობიოგრაფს პირველად ეძლევა საშუალება, საკუთარი ქმედების სრული ევალუაცია მოახდინოს - იგი მოსასვენებელ ოთახში მარტო რჩება. თვითონ ქმედების ევალუაციის განხორციელება მის ცხოვრებაში ახალი ტიპის გამოცდილებას ქმნის. ეპიზოდის ბოლოს განმცდელი ავტობიოგრაფი ცდილობს, გაიაზროს, რამდენად მიაღწია მიზანს, რომელიც სასახლეში მისულმა განმცდელმა ავტობიოგრაფმა დაისახა: მას სასახლის სოციუმის იდენტიფიკაცია უნდა მოეხდინა და მასში დამკვიდრების სტრატეგიები უნდა შეემუშავებინა.

განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების ადეკვატურად გასაანალიზებლად კიდევ ერთხელ უნდა განისაზღვროს ავტობიოგრაფიული ჟანრის თავისებურება: მასში თანაარსებობს მთხრობელი და განმცდელი ავტობიოგრაფების პერსპექტივები. ტექსტი დიალოგურია<sup>71</sup>, ამიტომ მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა მკითხველისათვის გასგები ხდება მხოლოდ განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის ჩვენების ფონზე, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. საანალიზო ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის

---

<sup>71</sup> დიალოგურობა ავტობიოგრაფიულ ტექსტთან დაკავშირებით იმას ნიშნავს, რომ განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფი \_ ორივე წერის პროცესში ყალიბდება: მთხრობელი ავტობიოგრაფი თავის განვლილ ცხოვრებას რომელიმე წინასწარარსებულ შაბლონში (მაგ., რელიგიურში) კი არ სვამს, არამედ წარსულიდან იხსენებს მხოლოდ იმას, რაც მის დღევანდელ, აწმყო ჰომეოსტაზიურ საჭიროებებს უკავშირდება.

პერსპექტივა შეზღუდულია. ამდენად, ჯერ უნდა გაირკვეს, რა ზღუდავს პერსპექტივას, რომ შემდეგ განისაზღვროს, მთხრობელ ავტობიოგრაფს განმცდელი ავტობიოგრაფის ამგვარი შეზღუდული პერსპექტივის განსახოვნება რისთვის სჭირდება.

განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდულ პერსპექტივაზე შემდეგი ფრაზა მიანიშნებს: „მომიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემს სიცოცხლეში, რომ მარტო დავრჩენილიყავი, და ისიც კარდაკეტულ ოთახში, დავლონდი და დავიწყე ფიქრი“ (წერეთელი 2015, 24). თუ ამ წინადადების შინაარსს მკითხველი მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან გაიაზრებს, მაშინ იფიქრებს, რომ სავანიდან წამოსვლასა და საანალიზო ეპიზოდს შორის განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები ტექსტში არ განსახოვნებულა; სტუმრებთან ურთიერთობის შთაბეჭდილებები გაუთვალისწინებელი დარჩება, თითქოს განმცდელი ავტობიოგრაფის მწუხარებასთან სასახლის წევრების ქცევას არანაირი კავშირი არ აქვს. ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ეპიზოდის ბოლოს განმცდელი ავტობიოგრაფის მწუხარებას ასეთი ახსნა ეძებნება: ერთადერთი, რის გამოც განმცდელი ავტობიოგრაფი თავს ცუდად გრძნობს, მარტო დარჩენაა.

ზემოთ დეტალურად გაანალიზდა, სასახლის წევრებთან ურთიერთობისას განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში რა მენტალური პროცესები მიმდინარეობდა. დადგინდა, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალურ პროცესებს **განგრძობითობა** ახასიათებს. ეს გარემოება გამორიცხავს, ეპიზოდის ბოლოს განმცდელი ავტობიოგრაფის მწუხარების ზედაპირულად, სხვა წინარე გამოცდილებისაგან იზოლირებულად, ახსნას - ის მოწყენილი იყო, რადგან, უბრალოდ, მარტო დარჩენა არ უნდოდა, მისი ემოცია სასახლის წევრების ქცევით არაა განპირობებული. ამგვარი განმარტება მეთოდოლოგიურად პრინციპულად მიუღებელია: ავტობიოგრაფიულ ტექსტში აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული გამოცდილების განგრძობითობა. თუ მთხრობელი ავტობიოგრაფი საკუთარი განვლილი ცხოვრების აზრობრივად გამთლიანებას ვერ ახერხებს, ტრავმული გამოცდილებით უნდა აიხსნას. საანალიზო ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის ტრავმული გამოცდილება

არ ჩანს; შესაბამისად, გაუმართლებელია ამ ეპიზოდის წინარე კოგნიტური ნარატივისაგან განცალკევება.

როგორ აიხსნება საანალიზო ფრაზა განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან? ოთახში მარტო დარჩენა განმცდელი ავტობიოგრაფის მწუხარების ერთადერთი და მთავარი მიზეზი არაა. ის სხვა უარყოფით ფაქტორებს შორის ერთ-ერთია. იგი ახალი ცხოვრების, ახალი სოციუმის შესახებ განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ დაგროვებულ არაერთ უარყოფით წარმოდგენას ემატება.

მე კი სასტუმრო ოთახში შემიყვანეს და იქ დამტოვეს. იყავი მანდო და როცა ძილი მოგინდეს, წამოწეკი ტახტზე მუთაქა მანდე არიო, მიიდევი და დაიძინეო. სანამდის არ აგრილდება, კარში არ გაგიშვებ, ხომ ხედავ, რომ სიცხით დედამიწას აღმური ასდისო. ყოველი ცხოველი გაბოროტებულია, ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოსო. რო აგრილდება, მაშინ კი პატარა ბიჭებიც გამოიღვიძებენ და იხტუნეთ ერთად ეზოში, რამდენიც გინდოდეთო (წერეთელი 2015, 23-24).

დამოწმებულ ტექსტში მოცემულია არგუმენტები, რომლებითაც განმცდელ ავტობიოგრაფს შუადღეზე ოთახში მარტო დარჩენისა და ძილის აუცილებლობა დაუსაბუთეს. არგუმენტების ფორმულირებისას ჩანს, რომ ეს ცოდნა მთელ სოციუმში გაზიარებულია („ყველა ბავშვს ეძინა“). შესაბამისად, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ეს რეგულაცია ახალი სოციალური კონტექსტის კიდევ ერთ მახასიათებლად აღიქმება.

დამატებით გასათვალისწინებელია, რომ ოთახში მარტო დარჩენილი განმცდელი ავტობიოგრაფი კრიტიკულად განიხილავს უფროსების არგუმენტებს: „მართალია, ამისთანა სიცხეში, - ვიფიქრე გუნებაში, - მზეში ყოფნა და წანწალი არ ვარგა, მაგრამ მაგიერად სჯობია იმას, რომ ხის ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობიას ან კენჭობიას თამაშობდე! და აქ კი, არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო? ძილიო, რომ მეუბნებიან, განა ძილისგულდა ვარ, რომ დღევ ვიკოტრიალო?“ (იქვე). უფროსების არგუმენტების დამაჯერებლობის ანალიზისას განმცდელი ავტობიოგრაფი სოფლის გამოცდილებას ააქტიურებს, თუმცა საყურადღებოა, რომ ამ ეტაპზე ის უფროსებს არ ეწინააღმდეგება,

მათთან ერთად არ განიხილავს მარტო ოთახში დარჩენის მიზანშეწონილობას. ეპიზოდის დასაწყისში განმცდელი ავტობიოგრაფი განსხვავებულად იქცევა: მამის მუქარას სასახლეში ახალმისული ღიმილით შეხვდა და კონკრეტული არგუმენტების მოშველიებით აუხსნა, რატომ არ სჯეროდა მისი მუქარისა. მაშინ განმცდელი ავტობიოგრაფის ამგვარ ქმედებას გარკვეული სოციალური მოვლენები უძღოდა: მას აუხსნეს, რომ სასახლეში ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო, სტუმრები განსაკუთრებულ ინტერესსა და სიყვარულს ავლენდნენ მისდამი; შესაბამისად, მამის ხუმრობა დადებითად განწყობილი სოციუმის დაკვეთად აღიქვა, ამიტომ ჩვეული თავგამოდებით შეეჭიდა დაბრკოლებებს.

ეპიზოდის ბოლოს განმცდელი ავტობიოგრაფის დამოკიდებულება სოციუმისადმი შეცლილია; მისთვის ბუნდოვანია, რას ითხოვს ეს სოციუმი მისგან, სოციალური გამოწვევების იდენტიფიკაციის პირველი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, ამიტომ მას ამ სოციუმთან ინტერაქციის ენთუზიაზმი გაუქრა. აქედან გამომდინარე, ის, რაც შეიძლებოდა უფროსებისათვის ღიად ეთქვა, ეპიზოდის ბოლოს განმარტოებული ფიქრის საგნადაა ქცეული.

ოთახში მარტოდ დარჩენილი განმცდელი ავტობიოგრაფის საფიქრალის განსასაზღვრავად ყურადღებას საჭიროებს უფროსების დაპირებებზე დაკვირვებაც: „რო აგრილდება, მაშინ კი პატარა ბიჭებიც გამოიღვიძებენ და იხტუნეთ ერთად ეზოში, რამდენიც გინდოდეთო“. უფროსების ნათქვამი აჩვენებს, რომ განმცდელ ავტობიოგრაფს განსაკუთრებული მწუხარების საფუძველი არ აქვს, თუ მის მენტალურ პროცესებზე მსჯელობისას წინარე **ფსიქონარატივი** (სასახლეში სტუმრებთან ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი მენტალური პროცესები) არ იქნება გათვალისწინებული. უფროსების ნათქვამის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის თავისუფლება არ იზღუდება; უფრო მეტიც, ახალი ცხოვრება, თითქოს, მისთვის ძველი ცხოვრების იდენტური ხდება, მას ისევე შეეძლება თანატოლებთან ერთად მინდვრად თამაში, როგორც ეს სავანეში ყოფნისას ხდებოდა. განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციის ახსნა მხოლოდ წინარე ფსიქონარატივის საფუძველზეა შესაძლებელი: „ამგვარი ფიქრები სევდასავით მომაწვნენ გულზე და ყელში რაღაც ბურთივით გამეჭრა.“ ზმნის კონოტაციური მნიშვნელობით

მინიშნებულია ემოციის ინტენსივობაზე, ამასთან იდიომატურად აღნიშნულია, რომ დიდი ემოციისაგან განმცდელ ავტობიოგრაფს ტირილი უნდოდა. ეპიზოდის ბოლოს საგანგებოდაა ნაჩვენები, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური რეგულატორი, რომელიც იდენტობის ფუქციონირების მონიტორინგს ახორცილებს, მაქსიმალურად გააქტიურებულია. საანალიზო ეპიზოდში უარყოფითი ემოციის ინტენსივობა მთავარი განსასახივებელი მენტალური პროცესია.

განმცდელი ავტობიოგრაფის მწუხარება რომ სასახლის წევრებთან ურთიერთობითაა განპირობებული, ამაზე განმცდელი ავტობიოგრაფის მომდევნო ქმედებაც მიანიშნებს:

უცხად რაღაცამ გრიალი დაიწყო, მივიხედე კედლისკენ და შევნიშნე (თურმე კედლის საათი იყო), თითქოს კოლოფის მზგავსი შეიძრაო, გაიღო კარები, გამოხტა გუგული, სამჯერ დაიძახა „გუგუ, გუგუ“-ო და შეჰყო ისევ თავი, დაიძალა. **წამოვვარდი ზეზე, დამავიწყდა ჯავრიც, მწუხარებაც,** ვიფიქრე: „ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“, ის სოფელშიაც ვიცოდი, რომ გუგული ბუდეს არ იკეთებდა და სხვის ბუდეში სდებდა კვერცხებს. ვსთქვი: „სწორედ მერცხლის ბუდეა აქა და იქ ზის-მეთქი“ (წერეთელი 2015, 24).

დამოწმებული ციტატა აჩვენებს, რომ ამ მომენტისათვის განმცდელი ავტობიოგრაფისთვის სავანეში გატარებული პერიოდი განსაკუთრებით ძვირფასი გამხდარა. უნდა აღინიშნოს, რომ სასახლეში სავანიდან წამოსული განმცდელი ავტობიოგრაფი უკან არ იყურებოდა; იგი მზად იყო, ახალი ცხოვრება დაეწყო, თუმცა ნანახმა მას იმედი გაუცრუა. ამ იმედგაცრუებაზე მიანიშნებს ეპიზოდის ბოლოს **ნაცნობი სიტუაციის** ნახვით განმცდელ ავტობიოგრაფში მძაფრი ემოციის წარმოშობა.

განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების განსაკუთრებულ ინტენსივობასა და დინამიკაზე მიანიშნებს საანალიზო მონაკვეთის ბოლო ნაწილი:

[...] სკამი სკამზე დავდგი და ისე ვაპირებდი მიპარვას, შევპოტინდი. მაგრამ ამ დროს გამომისხლტა სკამი, გადმოვვარდი და გამხდა ბრეგვა იატაკზე. ხმაურობაზე გამოცვივდნენ მეორე ოთახიდან და, გაშხვართული რომ მნახეს იატაკზე, ჯერ შეეშინდათ, მაგრამ მერე კი, რომ მნახეს არა მჭირდა რა, **სიცილი აიტეხეს.** მე შემრცხვა და მოვრთე ტირილი. გული ამომიჯდა და

ველარაფრით ვეღარ გამაჩერეს, სანამ ჩემმა უფროსმა დამ არ მომკიდა ხელი და არ წამიყვანა სამოახლოში, სადაც ჩემი ძიძაც სტუმრად იყო (იქვე 24).

დამოწმებული ამონარიდის ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი სოციუმის წინაშე სხვადასხვაგვარად იქცევა ეპიზოდის დასაწყისსა და ბოლოში: პირველი შთაბეჭდილების მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფი კეთილგანწყობილი სოციუმის მიმართ, **თამამად** იქცეოდა, დროებით **სიუცხოვის განცდა** დაძლია. ეპიზოდის ბოლოს კი მარტოობის განცდა განსაკუთრებით გამძაფრებული ჰქონდა - „მე შემრცხვა და მოვრთე ტირილი“. უფროსებისაგან დაცინვის გამო თავი რომ უხერხულად ეგრძნო და ამიტომ ტირილი დაეწყო, ეს პატარა ბავშვისაგან ადეკვატური რეაქცია იქნებოდა და მისი ქცევა საგანგებო განმრატებასაც არ მოითხოვდა. მაგრამ მთხრობელი ავტობიოგრაფი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას, რომ ეპიზოდის ბოლოს თავჩენილი გარემოებები (მარტო დარჩენა ოთახში, უფროსებისაგან დაცინვა) მხოლოდ და მხოლოდ დამამძიმებელი ფაქტორები იყო ისედაც დღის შთაბეჭდილებებით დაძაბული განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებისათვის: „გული ამომიჯდა და ველარაფრით ვეღარ გამაჩერეს, სანამ ჩემმა უფროსმა დამ არ მომკიდა ხელი და არ წამიყვანა სამოახლოში, სადაც ჩემი ძიძაც სტუმრად იყო.“ ძიძასთან აღელვებული განმცდელი ავტობიოგრაფის გაყვანა და ამ სახით დამშვიდება აჩვენებს, რომ გუგულის ხილვით გამოწვეული სიხარული მშობლიურ კონტექსტთან მიახლოებას უკავშირდება. დამოწმებული ფრაზა, რომლითაც ეპიზოდი სრულდება, **კონტამინაციას** ქმნის - ფორმულირებით ჰგავს სავანეში გატარებული პერიოდის დასრულებას (“მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის რა - მეთქი და დავიწყე ტირილი ... ვიტირე, ვიტირე და ჩამემინა ძიძის კალთაში” (იქვე, 18)), ამით მთხრობელი ავტობიოგრაფი ლექსიკურ დონეზე მიაჩნებს, რომ ტექსტის ეს მონაკვეთი ერთ მთლიანობას წარმოადგენს; რაც მთავარია, ორივე ეპიზოდის დასასრულს იდენტობის დესტაბილიზებაზე მითითება იმას ნიშნავს, რომ მათ შორის აღწერილ მოვლენებში მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ფოკუსირებულია განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესები.

მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების თავისებურების განსასაზღვრავად მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ იგი დიდ ყურადღებას აქცევს განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე ძვრებს, რომლებიც განმცდელი ავტობიოგრაფის ახალ სოციალურ გარემოში ინტეგრირებას ახლდა. ტექსტში ამგვარი აქცენტების რეგულარულად დასმა მიანიშნებს იმაზე, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების ეს ასპექტი მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებებისათვისაა აქტუალური.

### **2.3. განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური კომპეტენციის ფორმირება**

როგორც წინა ეპიზოდის ანალიზით წარმოჩინდა, მთხრობელმა ავტობიოგრაფმა თანმიმდევრულად განასახოვნა განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მიმდინარე მენტალური პროცესების დინამიკა. გაირკვა, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური აქტივობები კომპლექსური იყო, ამით კი მთხრობელი ავტობიოგრაფი მიანიშნებდა, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის რეგულატორი აღნიშნულ სიტუაციას უკიდურესად სახიფათოდ აღიქვამდა. ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაციისათვის საანალიზო ეპიზოდიდან არაერთი მაგალითი იქნა წარმოდგენილი. განხილულ ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის კრიზისი რომ მთავარი განსასახოვნებელი მენტალური პროცესია, ამას მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ მომდევნო ეპიზოდების ციკლისათვის წამმდვარებული ინფორმაციაც ადასტურებს:

სანამ მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური ცნობიერების ფორმირებას წარმოაჩენს, მკითხველს შემდეგ ინფორმაციას აწვდის: „სასახლეში რომ გადმომიყვანეს, პირველ ხანებში ძალიან მოწყენელი ვიყავი, დედამ

შენიშნა ეს, მომიჩინა პატარა ბიჭები და მიმანება თავი. მე ამ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავრბოდი, მხოლოდ სადილად დამიძახებდნენ ხოლმე“ (წერეთელი 2015, 42). დამოწმებული ციტატა მთხრობელი ავტობიოგრაფის ინტერესს ცხადად აჩვენებს. პროტოკოლით მკითხველი იგებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი შინაგანად დამაბული იყო („მოწყენილი ვიყავი“), დედის ქმედება („თავი მიმანება“) სწორედ შვილისათვის ამ დამაბულობის მოხსნას ემსახურებოდა. ახალი სოციალური რეგულაციები განმცდელ ავტობიოგრაფს თრგუნავდა, მისი შინაგანი მდგომარეობის დასამშვიდებლად აუცილებელი იყო სავანის სიტუაციის სიმულირება, რათა იდენტობის ემოციურ რეგულატორს საგანგაშო სიგნალი აღარ მიეწოდებინა განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებისათვის („დილიდან საღამომდე სულ მინდორში ვიყავი“). დედა აცნობიერებდა შვილის შფოთვის საფუძველს, ამიტომ განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური ადაპტაცია ისე დაგეგმა, განმცდელ ავტობიოგრაფს არ დარჩენია განცდა, რომ მის თავს რაღაც აბსოლუტურად განსხვავებული ხდებოდა.

სასახლეში ცხოვრების განმავლობაში განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული გამოცდილება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ თვალსაზრისით ორი უმთავრესი ცვლილებაა გამოსაყოფი: ა) ფორმირდა განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალობის თეორია (Theory of Mind)<sup>72</sup> ბ) განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირებაში გაიზარდა ინტრამენტალური პროცესების ხვედრითი წილი.

მსჯელობის ამ ეტაპზე უნდა დაისვას კითხვა - რა ადგილი უჭირავს მენტალობის თეორიის ფორმირებას ადამიანის პიროვნულ განვითარებაში? პერსონაჟს (განმცდელ ავტობიოგრაფს) მენტალობის თეორია საშუალებას აძლევს, მიხვდეს მეორე ადამიანის, სოციალური ჯგუფის ქმედების საფუძველს. ამ ტიპის მინიმალური კომპეტენცია ნებისმიერი კომუნიკაციის წინაპირობაა. მენტალობის თეორიის დახვეწა და მისი პერიოდული განახლება კი ადამიანის პიროვნული განვითარების თანმხლები პროცესია. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური შეხედულებების, მისწრაფებებისა

---

<sup>72</sup> აღნიშნული ტერმინი აღებულია კოგნიტური მეცნიერებიდან. კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ამ ტერმინის სინონიმად ასევე იყენებენ ტერმინს mind-reading. იხ. ზანშაინი 2006


თუ ვალდებულებების ფორმირებას ყოველთვის სოციალური ინტერაქცია უძღვის.<sup>73</sup> სოციალური ინტერაქცია რომ შედგეს, აუცილებელია, ადამიანი იცნობდეს კონკრეტულ საზოგადოებაში მოქმედ ქცევის წესებს, რომლებიც საფუძვლად ედება სოციუმის წევრების შინაგან სამყაროთა ფორმირებას.

სასახლეში გატარებული წლების აღწერისას მთხრობელი ავტობიოგრაფის მიზანს წარმოადგენს, განასახოვნოს განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური კომპეტენციის (მენტალობის თეორიის) ფორმირება. განმცდელი ავტობიოგრაფი ეტაპობრივად სწავლობდა საკუთარი ქცევის რეგულირებას სოციალური ქცევის წესების გათვალისწინებით. თუ სავანეში განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედება ინსტინქტური იყო, სასახლეში ცხოვრებისას ის ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას ფიქრობდა, მეორე ადამიანს (უმეტესად დედას) რა რეაქცია ექნებოდა. ტექსტის ამ მონაკვეთში აღნიშნული გამოცდილების შეძენის საილუსტრაციოდ ხუთიოდე ეპიზოდია აღწერილი. მათ შორის საფეხურეობრივი მიმართება არ ფიქსირდება, აღნიშნული ეპიზოდების განსახოვნებისას მენტალური პროცესების განგრძობითობა არაა არსებითი, ტექსტის ეს მონაკვეთი


---

<sup>73</sup> ზანშაინი თავის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად ციტირებად სტატიაში (2007) ცდილობს, განსაზღვროს, კოგნიტური მეცნიერებების ცოდნა რამდენად ეხმარება ლიტერატურისმცოდნეს, შეისწავლოს ლიტერატურული პროცესების დინამიკა. საამისოდ ის კოგნიტური მეცნიერების ერთ კონცეპტს – მენტალობის თეორიას – განიხილავს. ზანშაინის აზრით, ოსტინი თავის წინამორბედებთან შედარებით (დეფო, რიჩარდსონი, ფილდინგი) სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მისი პერსონაჟების მენტალობის კონცეპტი კომპლექსურია. მის პერსონაჟებს შესწევთ უნარი, ერთმანეთის ქმედების მოტივაციის შეფასებისას გაითვალისწინონ პიროვნების მენტალური პროცესების განგრძობითობა. ამასთან, ოსტინის პერსონაჟებისათვის ცხადია ის გარემოებაც, რომ პიროვნების ქმედებაზე გავლენის მომხდენი ფაქტორი (ცვლადი) არაერთია. შესაბამისად, ოსტინის პერსონაჟთა ცნობიერების ფუნქციონირებაში ფსიქონარაციას (ჩართულ ნარატივს) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პერსონაჟთა ცნობიერების ფუნქციონირების განსახოვნების ამგვარი სტრატეგიით ოსტინი მიჩნეულია ინგლისური მოდერნისტული ლიტერატურის ფუძემდებლად. ვფიქრობ, აღნიშნული კონცეპტი მნიშვნელოვანია განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილების (ფლუდერნიკის ექსპერიმენტულობის) ფორმირების ეტაპების შესასწავლად. თუ ავტობიოგრაფიულ ტექსტში ჩანს განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალობის თეორიის ფორმირების პროცესი, ეს მის ერთ-ერთ გამოცდილებად უნდა გამოიყოს.

ეპიზოდების ერთგვარ კოლასქს ქმნის, რომლებიც განმცდელი ავტობიოგრაფის ახალი გამოცდილების ფორმირებას აჩვენებს.



დიაგრამა #4



განმცდელი ავტობიოგრაფის ცხოვრებაში გაჩენილი ახალი პრიორიტეტები პირველივე ეპიზოდშია აქცენტირებული: დედის დახმარებით განმცდელი ავტობიოგრაფი არაერთ საზეპიროს სწავლობს, მას წერა-კითხვის სწავლის სურვილიც უჩნდება. დედამ იცის, რომ შვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი პოზიცია, ამიტომ მეტი მოტივაციის შესაქმნელად შვილს ეუბნება, რომ ის წერა-კითხვის სასწავლად მზად არაა: ”ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშვენის წერა-კითხვაო; როცა დაჭკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექმნება, მაშინ გასწავლი, თორემ ჯერ შენ რა ღირსი ხარო!“ (იხ. ზევით დანართი N4.)

განმცდელი ავტობიოგრაფი, ჰომეოსტაზიური და ჰომეოდინამიკური საჭიროებიდან გამომდინარე, ცდილობს, ახალ სოციუმში (სასახლეში) აღიარების მოპოვებას. ეს სოციუმი ამ ეტაპზე მისთვის დედასთან ასოცირდება, შესაბამისად, დედას სიტყვები მის ცნობიერებაში მთავარ სოციალურ დაკვეთად **ითარგმნება**, აქედან გამომდინარე, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის განსაკუთრებით შემაწუხებელია, რომ მას დედამ წერა-კითხვის სწავლაზე უარი უთხრა - „ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას, რომ ჩემ ძმებივით მეც წერა-კითხვის ღირსი გავმხდარიყავი“ (წერეთელი 2015, 43).

განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში დედის როგორც ავტორიტეტის ფორმირება ეტაპობრივად ხდება. უკვე აღინიშნა, რომ სასახლეში საცხოვრებლად გადმოსული განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სასახლის თითოეულ წევრს თავდაპირველად ერთნაირი სტატუსი ჰქონდა. მოგვიანებით განმცდელი ავტობიოგრაფის ყოველდღიური ცხოვრების (მათ შორის, განმცდელი ავტობიოგრაფის აღზრდის) მეთვალყურეობას დედა ითავებს. ამასთან, განმცდელი ავტობიოგრაფი იმასაც აკვირდება, რომ დედა სასახლის ყოველდღიურ ყოფაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, ამიტომ მის ცნობიერებაში დედა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მისი ნარატივი განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მთავარ სოციალურ სტიმულს იძლევა. ეს თავის მხრივ, განმცდელ ავტობიოგრაფს საშუალებას აძლევს, ისწავლოს საკუთარი **ინსტინქტების** მართვა, რომლებიც განვითარების წინა საფეხურზე ქმედების განხორციელების მთავარ საფუძველს ქმნიდა.

საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევითაა მოტივირებული განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ ღორთან გამართული ბრძოლა და შინაური კურდღლის დაჭერის მცდელობაც. საზოგადოებრივი კომპეტენციის ფორმირების თვალსაზრისით საყურადღებოა კიდევ ერთი ეპიზოდი: ნესვისა და ყურძნის მოსაპარავად წასული განმცდელი ავტობიოგრაფს ძალიან შეაშინებს ნანახი. სიტუაციის ამგვარ იდენტიფიკაციას მის ცნობიერებაში გააქტიურებული სხვა ადამიანთა ნარატივი ედება საფუძვლად: „მე მაშინვე მომაგონდა ჩვენი მოსამსახურეების სიტყვები, რომ კუდიანები რაღაც უნდათ, გადაიქცევიანო; „ ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა: ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო“. (წერეთელი 2015, 46). განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მოვლენათა იდენტიფიცირებისას მუდმივად სხვა ადამიანთა ნარატივის გააქტიურება მკითხველს მის ჰომეოსტაზიურ და ჰომეოდინამიკურ საჭიროებებზე მიანიშნებს - განმცდელი ავტობიოგრაფი სხვათა აზრს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რადგან მისთვის უპირატეს ამოცანას წარმოადგენს ახალი სოციალური შემეცნება და მასში ინტეგრირება. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ სასახლეში გატარებული წლების ამსახველ თითოეულ ეპიზოდში მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ თემატიზებულია, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი სოციალური კომპეტენციის ამაღლებას ცდილობს.

#### ***2.4. გიმნაზიაში გატარებული წლები - განმცდელი ავტობიოგრაფის ინტრამენტალური სამყაროს ფორმირება და მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა***

მომდევნო მსჯელობით ნაჩვენებია, გიმნაზიაში გატარებული წლები როგორ ებმის განმცდელი ავტობიოგრაფის წინარე გამოცდილებას. ამასთან, დადგენილია, მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის ამავე წლებს რა მნიშვნელობა აქვს.

მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარები, რომლებითაც გიმნაზიაში გატარებული წლებია შეფასებული, განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივას აჩვენებს - განმცდელი

ავტობიოგრაფი სავანესა და სასახლეში გატარებული წლების შემდეგ გიმნაზიის ყოველდღიურ ყოფას *მტანჯველად და გამაუკუღმართებლად* სახელდება, ეს სიტყვები განმცდელ ავტობიოგრაფს ეკუთვნის. რაც შეეხება საანალიზო ეპიზოდთან მიმართებით მთხრობელი ავტობიოგრაფის **ცნობიერების ფუნქციონირების/მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის** განსაზღვრას, ის განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების **განგრძობითობაზე** დაკვირვების შედეგადაა შესაძლებელი.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდის განსახოვნებისას მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის კვლავ მნიშვნელოვანია, წარმოაჩინოს განმცდელი ავტობიოგრაფის დაუოკებელი **სწრაფვა** განვითარებისაკენ. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში აღნიშნული მენტალური პროცესის თემატიზება წარმოაჩენს მთხრობელი ავტობიოგრაფის **ჰომეოსტაზიურ საჭიროებას**. ამგვარი მიდგომის საფუძველზე გიმნაზიაში გატარებულ წლებს განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების იდენტობის ფუნქციონირებაში მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების განგრძობითობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სავანეში გატარებული წლებიდან მოყოლებული, განმცდელი ავტობიოგრაფი შინაგანად მიისწრაფის განვითარებისაკენ, საწყის ეტაპზე ეს მისწრაფება ბავშვური ცნობისმოყვარეობის სახით რეალიზდება, განვითარების სურვილი სასახლეში ცხოვრებისას ჰომეოსტაზიური გამოწვევების დაძლევის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, გიმნაზიაში სწავლისას კი ეს ბიოლოგიური საფუძვლების მქონე ფენომენი განმცდელი ავტობიოგრაფის ღირებულებითი სამყაროს ნაწილი ხდება - ამ დროისთვის განმცდელი ავტობიოგრაფისათვის პიროვნული განვითარების ერთადერთ ფორმად სამშობლოსადმი მსახურება განისაზღვრება.

განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მომხდარი ამ ფუნდამენტური ცვლილების (ბიოლოგიური საფუძვლების მქონე ფენომენი განმცდელი ავტობიოგრაფის ღირებულებითი სამყაროს ნაწილი ხდება) პროცესი აღწერილი არაა, მაგრამ საანალიზო ეპიზოდში დაზუსტებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის პროტოკოლით, შესაბამისად, მკითხველი პირდაპირ შედეგის მომსწრე ხდება. გიმნაზიაში სწავლის მერვე წელს,

როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი გადმოგვცემს, განმცდელი ავტობიოგრაფი საცხოვრებლად ფრანგულის მასწავლებელ მუსიე ტურენტან გადადის. ერთ დღეს მუსიე ტურენტან სტუმრად იმყოფება განმცდელი ავტობიოგრაფის მეორე ასევე საყვარელი პედაგოგი, ისინი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ საუბრობენ, განმცდელ ავტობიოგრაფს კი მათი საუბარი ოცნებისკენ უბიძგებს. სწორედ ოცნებაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ წინა ეპიზოდებში აღწერილი გამცდელი ავტობიოგრაფის ინტერმენტალური პროცესების (სოციალური ცნობიერება) პარალელურად ინტრამენტალური (ინდივიდუალური ცნობიერება) ინტენსიურად მიმდინარეობდა. აღნიშნული პროცესის შედეგად განმცდელი ავტობიოგრაფის უნიკალური შინაგანი სამყარო ფორმირდა, რომლის მთავარ ღირებულებით კომპონენტს სამშობლოს სიყვარული წარმოადგენს.<sup>74</sup> ამ ეტაპიდან განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების განსახოვნებისას მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის შინაგანი დამაბულობის შემქმნელი ხდება (სინანულის განცდას ბაძებს) ის გარემოება, რომ განვითარებისაკენ განმცდელი ავტობიოგრაფის ბიოლოგიური სწრაფვა მხოლოდ სამშობლოსადმი მსახურებაში შეიძლებოდა რეალიზებულიყო, ეს კი პრობლემა იყო იმდენად, რამდენადაც სამშობლოსადმი მსახურების საშუალება განმცდელ ავტობიოგრაფს არ ეძლეოდა.

წარმოდგენილი მსჯელობის დამაჯერებლობის უზრუნველსაყოფად უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარი, რომლითაც გიმნაზიაში გატარებული წლები მხოლოდ უარყოფითადაა დახასიათებული, განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმას, პერსპექტივას მიემართება და ის მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიურ საჭიროებებს საანალიზო ეპიზოდის განსახოვნებისას არ აჩვენებს: “აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა, ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქედანვე იწყება მეორეც: მტანჯველი, დამჩაგვრელი და

---

<sup>74</sup> განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი სამყარო ამ ნიშნით უნიკალურად უნდა განისაზღვროს, რადგან განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების შემდეგ ეტაპზე მისი შინაგანი სამყაროს მთავარი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც ის აქტუალურ სამყაროსა და სხვა ადამიანების ალტერნატიულ სამყაროებს ვერ ეთავსება, სწორედ სამშობლოს გულწრფელი სიყვარულია. აღნიშნული მენტალური პროცესის დეტალური ანალიზი იხილეთ მომდევნო ქვეთავში.

გამაუკუდმართებელი!“ (წერეთელი 2015, 47) საანალიზო სიტყვები („მტანჯველი, დამჩაგვრელი და გამაუკუდმართებელი“) განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდანაა ნათქვამი; ის აჩვენებს, სავანესა და სასახლეში გატარებული წლების შემდეგ გიმნაზიის ყოველდღიურ რეჟიმს როგორ აღიქვამდა განმცდელი ავტობიოგრაფი. მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ჰომეოდინამიკური საჭიროება (ეპიზოდის ავტობიოგრაფიულ ნარატივში შეყვანის მიზანი) კი განსხვავებულია: მას სურს, განასახოვნოს განმცდელი ავტობიოგრაფის სწრაფვა განვითარებისაკენ. **მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან** საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალურ პროცესებს მხოლოდ ბიოლოგიური საფუძვლები არ აქვს. განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ამ ეტაპზე უკვე ფორმირებულია **ღირებულებითი სამყარო**, რომელსაც მისი **მიზნები** და **მისწრაფებები** ეფუძნება. განმცდელი ავტობიოგრაფის თანდაყოლილი სწრაფვა განვითარებისაკენ ამ ეტაპზე ღირებულებით მიზანს (სამშობლოს მსახურებას) უნდა მიემართებოდეს.

სავანიდან მოყოლებული გიმნაზიაში გატარებული წლების ჩათვლით განმცდელი ავტობიოგრაფმა არაერთი ჰომეოდინამიკური გამოწვევა დაძლია, თუმცა მომავალში, რუსეთში გამგზავრებისას, მას იმედგაცრუება ელოდება: მან მანამდე ყველა სოციალური ამოცანა წარმატებით გადაჭრა, მაგრამ შემდეგ აღმოაჩინა, რომ არაადეკვატური სოციალური კომპეტენცია ჰქონდა. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან აღნიშნული გარემოება სინანულის საფუძველს წარმოადგენს.

სასახლეში გატარებულ წლებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დედის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის აღზრდა ისე იყო ორგანიზებული, რომ ახალი ცოდნა ბავშვის წინარე გამოცდილებასა და მის მისწრაფებებს უნდა დაფუძნებოდა. ასე, მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ განმცდელი ავტობიოგრაფს წერა-კითხვის სწავლა დააძალონ, დედა ითვალისწინებს შვილის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს; მან იცის, რომ განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მნიშვნელოვანია ახალ სოციალურ გარემოში აღიარების მოპოვება, ამიტომ წერა-კითხვისადმი ინტერესის გაჩენას მის ამ ჰომეოდინამიკურ საჭიროებებს უკავშირებს. დედის ამგვარი წინდახედულობის გამო განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარება უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. აღნიშნულის მიუხედავად, ტექსტის

არასწორი ინტერპრეტაცია იქნება, თუ მკითხველი მიიჩნევს, რომ სავანესა და სასახლეში გატარებულ წლებს მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი კონოტაცია აქვს.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ გიმნაზიის დასრულების შემდეგ რუსეთში სასწავლებლად მიმავალ განმცდელ ავტობიოგრაფს ერთი უმთავრესი სადარდებელი აქვს - მისი სოციალური კომპეტენცია ძალიან დაბალია. ეს დანაკლისი, მას, უპირველეს ყოვლისა, სასახლეში გატარებული წლებიდან მოჰყვება. შესაბამისად, წარმოუდგენელია, მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ამ პერიოდს მხოლოდ დადებითი კონოტაცია ჰქონოდა. ტექსტში ამ დასკვნის გამამყარებელი არაერთი არგუმენტი მოიპოვება. მეტი თვალსაჩინოებისათვის ეს არგუმენტები პუნქტობრივად იქნება წარმოდგენილი.

- ჯერ კიდევ სავანეში გატარებული წლების აღწერისას მთხრობელი ავტობიოგრაფი ყურადღებას ამახვილებს, რომ სამშობლოს სიყვარული იდუმალი სახით, *ქორობისას* თამაშით, გაჩნდა მის შინაგან სამყაროში. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ მთხრობელ ავტობიოგრაფს სავანეში გატარებული წლების აღწერისას მხოლოდ იდილიური კონტექსტის განსახოვნება არ აინტერესებს<sup>75</sup>. ამ ეტაპზე ფორმირდა ის გამოცდილება (დადებითი თუ უარყოფითი), რომელიც მოგვიანებით განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების (იდენტობის) ფუნქციონირებას განაპირობებს. მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირების, მისი ჰომეოსტაზიური საჭიროებებისათვის ფრაგმენტული მოგონებების განსახოვნება არაფრის მომცემია. მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების განგრძობითობის შექმნა. თავის მხრივ, მენტალური

---

<sup>75</sup> ტექსტში მხოლოდ ბავშვის თვალთ დანახული სამყარო რომ იყოს აღწერილი, ის ძალიან ბანალური იქნებოდა. სავანეში გატარებული წლები შინაარსს იძენს მთხრობელი ავტობიოგრაფის გამოცდილებაში ინტეგრირების შედეგად/ტექსტში ეს ტექნიკურად სხვადასხვა ნარატიული სტრატეგიის გამოყენებითაა უზრუნველყოფილი.

პროცესების ის საერთო მახასიათებლები, რომლებიც განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების ყოველ საფეხურზე ფიქსირდება (ამ შემთხვევაში, სამშობლოს სიყვარული), მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიურ საჭიროებებზე მიმანიშნებელია. სავანეში გატარებული წლების აღწერისას მთხრობელი ავტობიოგრაფისაგან სამშობლოს ფენომენის, როგორც ღირებულებითი ოპერატორის<sup>76</sup>, გააქტიურება განმცდელი ავტობიოგრაფის ბავშვური ცნობისმოყვარეობის განსახოვნების ფონზე მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივას აჩვენებს - მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის საკუთარი ცხოვრების კოჰერენტული ისტორია ამ პერიოდიდან (სავანეში გატარებული წლებიდან) იწყება, მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

- ერთი შეხედვით, უდარდელი ბავშვური ყოფის მიღმა ფუნდამენტური მნიშვნელობის პროცესები რომ მიმდინარეობდა, ამაზე განმცდელი ავტობიოგრაფის სავანიდან სასახლეში საცხოვრებლად გადასვლის ეპიზოდიც მიანიშნებს: მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ეს ცვლილება ერთი პერიოდის მექანიკური დასასრული და ახლის დასაწყისი არ იყო. მთხრობელი ავტობიოგრაფი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციურ დაძაბულობაზე, რომელიც მის ახალ სოციუმში ინტეგრაციას ახლდა. შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა - რა დანიშნულება აქვს მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირებისათვის განმცდელი ავტობიოგრაფის იმ მენტალური პროცესების განსახოვნებას, რომლებიც სასახლეში საცხოვრებლად გადასვლას უკავშირდება?

პასუხის დასაზუსტებლად კიდევ ერთხელ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ტექსტის ამ მონაკვეთში განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური დაძაბულობა და მოვლენათა სერიოზული აღქმა ნაჩვენებია სასახლის წევრების ირონიზებული რიტუალური ქცევის ფონზე. როგორც უკვე აღინიშნა, განმცდელი

---

<sup>76</sup> ეს ტერმინი ალტერნატიული სამყაროების თეორიის ფარგლებში შეიქმნა. იხ. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

ავტობიოგრაფის შინაგანი სამყაროს დინამიკა და სოციალური კონტექსტის სტატიკურობა (ურთიერთობათა სიყალბე) კონტრასტს ქმნის. ეს კონტრასტი კი მთხრობელი ავტობიოგრაფის სინანულის გამომხატველი უნდა იყოს: მიუხედავად განმცდელი ავტობიოგრაფის მზაობისა, რომ განავითაროს საკუთარი სოციალური კომპეტენცია, გარშემო მყოფი ადამიანების ერთობა საამისოდ ხელსაყრელ გარემოს არ უქმნის. ეს ერთობა **სოციუმს ვედარ ქმნის**, აღნიშნულ კოლექტივში ადამიანური ურთიერთობები ფორმალურია, შესაბამისად, იქ არ არსებობს ადამიანური **ურთიერთობების ის მოდელები**, რომლებიც სამომავლოდ განმცდელ ავტობიოგრაფს რეალური სოციალური გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება.

- განმცდელი ავტობიოგრაფის დაბადების თანმხლები მოვლენების აღწერისას ასევე ნაჩვენებია სოციუმში მოქმედი არაჯანსაღი ქცევის წესები. თუ მკითხველი გაითვალისწინებს, რომ გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ ჰიპოთეტური ფოკალიზაციით მთხრობელი ავტობიოგრაფი კრიტიკულად განიხილავს იმ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც გაიზარდა, ცხადი გახდება, რომ ასაკოვანი მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ბავშვობის პერიოდს მხოლოდ დადებითი მნიშვნელობა არ აქვს. მართალია, დედა განმცდელ ავტობიოგრაფს გონივრულად ზრდიდა, მას სტრესს აცილებდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ სასახლეში ცხოვრებისას განმცდელი ავტობიოგრაფი იმ ტიპის გამოცდილებას იღებდა, რომელიც მას სამომავლოდ გამოადგებოდა.

საანალიზო ტექსტის მიხედვით, სასახლეში მიღებული გამოცდილება განმცდელ ავტობიოგრაფს მხოლოდ გიმნაზიაში სწავლისას ეხმარება, მომდევნო ეტაპზე განმცდელი ავტობიოგრაფის წინარე გამოცდილება სოციალური კონტექსტის იდენტიფიცირებისას ტექსტში აღარაა გააქტიურებული. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ახალი კონტექსტის შესატყვისი გამოცდილება განმცდელ ავტობიოგრაფს არ აქვს. განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობა კვლავ კრიზისშია, იგი თავს კვლავ უცხოდ გრძნობს; შესაბამისად, მისი ცნობიერების მიერ სიტუაცია კვლავ სახიფათოდ აღიქმება.

მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის განსაზღვრისას კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ის საკუთარი წარსულისაგან დისტანცირებას არ ცდილობს; მისთვის სოციალური კონტექსტი, რომელშიც გაიზარდა, მნიშვნელოვანია, სიცოცხლის ბოლომდე იმერლად რჩება, ეს მისი ავტობიოგრაფიული მეს (იდენტობის) უცვლელი კომპონენტია, მისი სინანული მხოლოდ იმას უკავშირდება, რომ ისტორიული გარემოფაქტორების გამო განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მნიშვნელოვანი სოციალური კონტექსტი იმ სახით ვერ ფორმირდა, რომ მისი ნიჭის განსავითარებლად სათანადო პირობები შეექმნა.<sup>77</sup>

მსჯელობის ამ ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი გარემოება: განმცდელი ავტობიოგრაფი გიმნაზიაში სწავლას მტანჯველად აღიქვამს; მთხრობელი ავტობიოგრაფი ერთ-ერთი კომენტარით განმარტავს, რომ გიმნაზიაში სწავლამ მოუშუშებელი ტრავმა დაუტოვა. აღნიშნული ინფორმაციის მიუხედავად, როგორც უკვე განიმარტა, ტექსტის სწორი ინტერპრეტაცია იქნება, თუ მკითხველი მიიჩნევს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ცხოვრების ეს ეტაპი მთხრობელ ავტობიოგრაფს სხვა კუთხით აინტერესებს; მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირების თვალსაზრისით ავტობიოგრაფიულ ნარატივში საანალიზო ეპიზოდის შეტანას სხვა დანიშნულება აქვს.

მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის დასადგენად განსაკუთრებით საყურადღებოა ეპიზოდის ის ნაწილი, რომელშიც განმცდელი ავტობიოგრაფის სწავლაში წარმატებაა ნაჩვენები (გახარებული მამასთან მიიღბენს). აქვე უნდა დაისვას კითხვა: როცა ეპიზოდში სხვა ინფორმაციაცაა მოცემული (განმცდელი ავტობიოგრაფი

---

<sup>77</sup> ადამიანის პიროვნული განვითარება მხოლოდ ნიჭიერებაზე რომ არაა დამოკიდებული, მთხრობელ ავტობიოგრაფს ტექსტში თემატიზებული აქვს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მისი ჰომეოსტაზიური საჭიროებებისათვის აღნიშნული ასპექტი არსებითად მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, როგორ ახასიათებს მთხრობელი ავტობიოგრაფი მამას, როსტომ წერეთელს. იგი მიიჩნევს, რომ მამა უაღრესად ნიჭიერი ადამიანი იყო, მისი ახირებულობა კი მხოლოდ იმ სოციალური კონტექსტით იყო განპირობებული, რომელშიც ის გაიზარდა. პიროვნების განვითარებაში სოციალური კონტექსტის მნიშვნელობაზე საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული განმცდელი ავტობიოგრაფისა და პეტრე ბაგრატიონის დიალოგშიც (იხ. მომდევნო ქვეთავი).

მტანჯველად აღიქვამს გიმნაზიაში სწავლას), რის საფუძველზე უნდა დაადგინოს მკითხველმა, რომელი მოვლენის განსახოვნებაა მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის მაჩვენებელი?

წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ამოცანის გადაჭრა, უპირველეს ყოვლისა, იმ სამეცნიერო საფუძვლების გათვალისწინებას მოითხოვს, რომლებიც ადამიანის ცნობიერების ფუნქციონირების კანონზომიერებას აჩვენებს. *ავტობიოგრაფიული მეს* ფორმირებაში უმთავრეს როლს თამაშობს ადამიანის ტვინი, საანალიზო საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა მისი ერთი ფუნქცია - **გახსენება**. ტვინის აღნიშნული ქმედება იზოლირებულად არ წარიმართება, მისი მთავარი დანიშნულებაა, რომ პიროვნების ცნობიერების ფუნქციონირება უზრუნველყოს. თავის მხრივ, ცნობიერების მექანიზმი ადამიანს სჭირდება იმისთვის, რომ ევოლუციურ გამოწვევებს გაუმკლავდეს (დამასიო 2002, იკინი 2008). შესაბამისად, ცნობიერების თითოეულმა ელემენტმა (მათ შორის, ტვინმა) ორი უმთავრესი პროცესი უნდა განახორციელოს: ჰომეოსტაზია და ჰომეოსტაზიკა. ორივე შემთხვევაში **ავტობიოგრაფიული მეს ფორმირება** გადამწყვეტია.

*ავტობიოგრაფიული მეს* ფორმირება ადამიანს წარმოდგენას უქმნის, რომ გარკვეულ კონტექსტში მას უნიკალური ადგილი უკავია. აღნიშნული მენტალური პროცესის საფუძველზე მას ორიენტაცია და გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ნაწილში აღინიშნა, რომ ემოცია ცნობიერების ფუნქციონირებაში მონიტორინგის როლს ასრულებს. სოციალური სიტუაციის იდენტიფიკაციისას ტვინის მენტალურ რუკაზე აქტიურდება გარკვეული ხატები, რომელთაც, *ავტობიოგრაფიული მეს (იდენტობის)* განსაზღვრული მოდელიდან გამომდინარე, დადებითი ან უარყოფითი იარლიყი აქვს მინიჭებული. ამდენად, კონკრეტული სიტუაციის **იდენტიფიკაციისას** ადამიანში წარმოშობილი ემოციები ორ პოლუსს \_ სასიამოვნოსა და უსიამოვნოს \_ შორის ნაწილდება. მას შემდეგ, რაც ტვინს უარყოფითი ინფორმაცია მიეწოდება, იგი იდენტობისათვის გარკვეულ საფრთხედ ითარგმნება და ტვინში აქტიურდება შესაბამისი **სამოქმედო პროგრამები**, რომლებიც აღმქმელის რეაქციას ედება საფუძვლად. აღნიშნული ქმედებით პიროვნებამ საფრთხე უნდა აღმოფხვრას და უზრუნველყოს *ჰომეოსტაზია*, ანუ *იდენტობის (სიცოცხლის) სტაბილურობა*. თუ ადამიანის გადარჩენისათვის

აუცილებელია იდენტობის მოდელის განახლება, ადამიანს ამის რესურსი აქვს, ამ შემთხვევაში, იწყება ჰომოდინამიკური პროცესი. შეიძლება ითქვას, ორივე პროცესის თანაარსებობა პიროვნების განვითარების განუყოფელი ნაწილია. ადამიანის წინაშე არსებული ჰომეოსტაზიური საჭიროებები უზრუნველყოფს იმას, რომ ჰომოდინამიკური პროცესი იყოს რაციონალური და გამართლებული.

გახსენების პროცესი დაქვემდებარებულია პიროვნების ჰომეოსტაზიურ და ჰომოდინამიკურ საჭიროებებს. ამდენად, მისი ფუნქციონირება აუცილებლად გასახსენებელი ინფორმაციის გაფილტვრას გულისხმობს. დამახსოვრება და გახსენება იდენტური პროცესები არაა.<sup>78</sup> გახსენების პროცესი ამავე ფორმით ფუნქციონირებს ავტობიოგრაფიული მეს ფორმირებისას - ასეთ დროს ადამიანი იხსენებს მხოლოდ იმას, რაც მისი აწმყო ჰომეოსტაზიური საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელია.

*ავტობიოგრაფიული მეს /იდენტობის* ფორმირებაში გახსენების პროცესის ადეკვატურად წარმოსადგენად, ინფორმაციის გაფილტვრის გარდა, სხვა გარემოებაცაა გასათვალისწინებელი: ავტობიოგრაფიული მეს ფორმირებისას პიროვნებას სხვადასხვა დროს მომხადარი ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთისადმი **იერარქიული დაქვემდებარება** უწევს. ავტობიოგრაფიული მეხსიერება, როგორც ნაიზერი განსაზღვრავს, იერარქიული ხასიათისაა (Nested structure):

The study of any Kind of Memory should begin with a description of the material that is to remember. In the case of autobiographical memory that material consists of events that we have personally experienced – or, to put it another way, of our personal experiences of events. But what is an event? How are events experienced? [...] I shall focus on the fact that the events defined at one level of analysis may themselves

---

<sup>78</sup> გახსენების ფუნქციონირების თავისებურების შესახებ მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია დანიელ შაქტერის ავტორიტეტი. იგი მიიჩნევს, რომ გახსენების პროცესი არასანდოა, ის ყოველთვის პიროვნების აწმყო საჭიროებებით არის მოტივირებული. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას არაა გასათვალისწინელი. კოგნიტური ფსიქოლოგია მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის ლიტერატურულ პერსონაჟთა ანალიზისათვის. ამ თვალსაზრისით იხ. დოროთე ბირკეს საყურადღებო ნაშრომი *Memory's Fragile Power: Crises of Memory, Identity and Narrative in Contemporary British Novels*.

be constituents of other, larger events. This “nested” structure appears not only in the events Themselves but also in the way they are experienced and remembered. [...]Recalling an experienced event is matter not of reviving a single record but of moving appropriately among nested levels of structure.

ნორმალურ შემთხვევაში, გახსენების ნებისმიერი ტიპის შესწავლა უნდა დაიწყოს გასახსენებელი მასალის აღწერით. ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში ასეთ მასალას ქმნის ის მოვლენები, რომლებიც სუბიექტურად განვიცადეთ ან სხვაგვარად რომ ითქვას, შედგება მოვლენების სუბიექტური გამოცდილებისაგან. მაგრამ რა არის მოვლენა? როგორ განიცდება მოვლენები? [...] მე ყურადღება უნდა გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ ერთი საანალიზო მოვლენა შეიძლება სხვა უფრო დიდი მოვლენის ნაწილი იყოს. „ერთმანეთში ჩალაგება“ ეხება არა მოლოდ მოვლენების სტრუქტურას, არამედ ამავე სახით ხდება მოვლენების განცდა და დამახსოვრება. [...] განცდილი მოვლენის გახსენება იმდენად მეხსიერების ცალკეული ჩანაწერის გაცოცხლებას არ გულისხმობს, რამდენადაც - გახსენებული მოვლენისათვის ჩალაგებულ სტრუქტურაში ადგილის მოძებნას (ნაიზერი 1986, 71).

**ავტობიოგრაფიული მეს/იდენტობას** ფორმირებისას გახსენებულ მოვლენებს თანაბარი ღირებულება არ აქვს. ერთი მოვლენა მეორის მნიშვნელობის განმსაზღვრელია, მოვლენათა დაქვემდებარების ჯაჭვი კი მთხრობელი ავტობიოგრაფის აწმყო საჭიროებებამდე მიდის.<sup>79</sup> ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფუნქციონირების ამგვარი კანონზომიერება მკითხველს უყურადღებოდ დარჩება იმ შემთხვევაში, თუ ავტობიოგრაფიულ ტექსტში აღწერილი მოვლენების მნიშვნელობას ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიხილავს. აღნიშნული საფრთხე განსაკუთრებით ფაქტუალური ავტობიოგრაფიის კითხვისას წარმოიშობა. ამ ტიპის ტექსტში ავტობიოგრაფი თავს ვალდებულად თვლის, ავთენტური თხრობის ილუზია შექმნას. მკითხველზე ამგვარი შთაბეჭდილების მოსახდენად კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ტექსტში აღწერილ მოვლენებს შორის კონცეპტუალურის ნაცვლად, ქრონოლოგიური თანმიმდევრულობა ჩანდეს. თუმცა ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფუნქციონირების ზოგადი თავისებურების გათვალისწინებით, ტექსტის ადეკვატური

---

<sup>79</sup> აღნიშნული დაქვემდებარების ეკვივალენტად ბრუნერი იყენებს *მეტამოვლენის* ცნებას : selfhood is a Kind of meta-event that gives coherence and continuity to the scramble of experience (Bruner 2003: 73)

ინტერპრეტაციისათვის ისტორიული დროის მიღმა მკითხველმა ავტობიოგრაფის *ფსიქოლოგიური დრო* (პერი 1979) უნდა ამოიკითხოს (ლოშნიგი 2010).

ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფუნქციონირების ზოგადი საფუძვლების განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია, დაზუსტდეს, გიმნაზიაში სწავლის პერიოდის განსახოვნებისას მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებების დასადგენად რატომ არაა საკმარისი აღწერილი მოვლენების თემატიკის გათვალისწინება. მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ტრავმული გამოცდილების ხსენება განმცდელი ავტობიოგრაფის ერთ-ერთ მენტალურ პროცესს მიემართება, თუმცა ტრავმული გამოცდილების განსახოვნება ეპიზოდის ფარგლებში განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების დინამიკის საჩვენებლად პრიორიტეტული არაა. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან განმცდელი ავტობიოგრაფის ცხოვრების სხვა მენტალური პროცესებია უპირატესი.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდის განსახოვნებისას აღწერილ მოვლენათაგან **კონცეპტუალური ვარიანტების** გამოსავლენად აუცილებელია, დადგინდეს, რომელი აჩვენებს/ რომელი ასრულებს **მეტამენტალური ხატის (დამასიო) ფუნქციას**. ამ თვალსაზრისით გიმნაზიაში დამკვიდრებული აღზრდის სასტიკი მეთოდების აღწერა **სტერილურია**, მთხრობელი ავტობიოგრაფი გააზრებულად არსად არ ცდილობს საგანმანათლებლო სისტემის ან რუსეთის, როგორც სოციუმის, ნაკლოვანებებზე გაამახვილოს ყურადღება. რუსეთში სწავლის პერიოდის განსახოვნებისას მთხრობელი ავტობიოგრაფი მხოლოდ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობაზე წერს. შესაბამისად, გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან უნდა გამოიყოს განმცდელი ავტობიოგრაფის სხვა მენტალური პროცესი, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების განგრძობით ჯაჭვში ერთ-ერთ რგოლად წარმოდგება. სანამ ტექსტში განსახოვნებული ამგვარი მენტალური ხატი დადგინდება, დასაზუსტებელია, ამ ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის ტრავმულ გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილებას რა დანიშნულება აქვს.

გიმნაზიაში არსებული აღზრდის არაადამიანური მეთოდების წარმოდგენა ორ ფუნქციას ასრულებს: ა) თხრობის ავთენტურობის ილუზიას ქმნის; ამ რეჟიმის შესახებ წერა თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრულობის შექმნას ემსახურება, სასახლიდან რუსეთში სასწავლებლად წასვლამდე განმცდელ ავტობიოგრაფს ამ სისტემაში მოუხდა განათლების მიღება. ბ) რეჟიმის სისასტიკის აღწერა განმცდელი ავტობიოგრაფის ინტრამენტალურ პროცესებს (პიროვნულ მისწრაფებებს) მეტ ღირსებას სძენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნული მენტალური ხატი (ტრავმული გამოცდილება) **დაქვემდებარებულია მეორე კონცეპტუალურ მენტალურ ხატს<sup>80</sup> - განმცდელი ავტობიოგრაფი თავგამოდებით მიისწრაფვის განვითარებისაკენ.**

გიმნაზიაში გატარებული წლების აღწერისას რატომ არაა გააქტიურებული ტრავმული გამოცდილება? რატომ შეიძინა ამ მენტალურმა ხატმა მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში დაქვემდებარებული ფუნქცია? უპირატესი რატომ გახდა განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებისაკენ სწრაფვის განსახოვნება? დასადგენია, რამდენადაა ეს ემპირიულად შესაძლებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაიზერის განმარტების მიხედვით, გახსენების აქტს დაქვემდებარებული სტრუქტურა აქვს. ამ დროს შესაძლებელია უპირატესი მენტალური ხატის ზემოქმედების შედეგად რომელიმე სხვა, ადამიანის აწმყო საჭიროებებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი მენტალური ხატი დროებით ან სრულიად გაუქმდეს (ნაიზერი 1989). საანალიზო ეპიზოდშიც, როგორც ჩანს, მთხრობელი ავტობიოგრაფის ტრავმული გამოცდილება დაბლოკილია მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებისათვის უპირატესი მენტალური ხატით - განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების დინამიკის განსახოვნებით. ტრავმული გამოცდილება საანალიზო ეპიზოდში **სტატუსშეცვლილია**, გიმნაზიაში გატარებული წლების აღწერას დაქვემდებარებული ფუნქცია აქვს - იგი იმ დაბრკოლებას წარმოადგენს, რომლის დაძლევიტ განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებისაკენ სწრაფვის ინტენსივობა უნდა

---

<sup>80</sup> ნაიზერის თეორიის მიხედვით, რომელიმე ნარატივი საინტერპრეტაციო ჩარჩოს ქმნის ყველა დანარჩენი მენტალური ხატებისათვის (1986, 71-80).

წარმოჩინდეს. საანალიზო ეპიზოდში სასტიკი საგანმანათლებლო რეჟიმი დროებით დაბრკოლებას წარმოადგენს, რომელიც შინაგანად მკვირცხლ განმცდელ ავტობიოგრაფს ცხოვრების ერთ-ერთ საფეხურზე შეხვდა.

გიმნაზიაში სწავლისას განმცდელი ავტობიოგრაფი ცდილობს, წარმატებული იყოს, თუმცა ეს თვითმიზანს არ წარმოადგენს. გიმნაზიაში წარმატებული სწავლა მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად. ეს კი მას სჭირდება იმისათვის, რომ სამშობლოს ემსახუროს. ესაა სწორედ მთავარი ნიშნული, სადაც განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების განვლილი გზა და ახალი გამოცდილება ერთმანეთს ებმის და ქმნის უწყვეტ ჯაჭვს.

საანალიზო ავტობიოგრაფიულ ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის ინტარამენტალური პროცესების აღწერის პარალელურად ნაჩვენებია განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული სამყაროს (ღირებულებები, მისწრაფებები) ეტაპობრივი ფორმირება. მთხრობელ ავტობიოგრაფს სინანულის განცდა ეუფლება იმის გაცნობიერებით, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული სამყარო და აქტუალური სამყარო/სხვა ადამიანთა (ალტერნატიული) სამყაროები არათავსებადია.

ჩემი თავგადასავლის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროს ორი მთავარი თანდაყოლილი მახასიათებელი აქვს: ერთია ღირებულებითი/ვალდებულებითი - სამშობლოს სიყვარული, მეორე კი ხასიათის ნაწილია - განვითარებისაკენ დაუღკობელი სწრაფვა. ორივე ეს მახასიათებელი განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების ოთხსავე საფეხურზე ფიქსირდება, განსახოვნებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ მათი რეალიზების მცდელობა. ეს ორი მახასიათებელი ტექსტში ეტაპობრივად ერთმანეთს ერწყმის და მათი არსებობა მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან ცალ-ცალკე წარმოუდგენელი ხდება.

მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების თავისებურების განსასაზღვრავად გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: შინაგანი სამყაროს ეს მახასიათებლები განმცდელი ავტობიოგრაფის მისწრაფებებისა და გეგმების ფორმირების მთავარ ბიძგის მიმცემ ფაქტორებს წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნული

მოთხოვნების რეალიზების სურვილი უკიდურესად ძლიერია, ამიტომ მოხრობელი ავტობიოგრაფის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების თითოეულ ეტაპზე თემატიზებულია, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედება თავდაუზოგავი იყო. თავის მხრივ, მოხრობელი ავტობიოგრაფის მიერ დასმული აქცენტები აჩვენებს იმასაც, რომ განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე გადასვლა (ეს საფეხურები ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ სოციალური კონტექსტის შეცვლას თანხვედება) განმცდელ ავტობიოგრაფს უღვივებს განცდას, რომ ის გამოუცდელია, რაც მისი მისწრაფებების განხორციელებას ხელს უშლის.

## ***2.5. მოხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ტექსტში დატოვებული დაუზუსტებელი ინფორმაცია (gaps)<sup>81</sup>***

სამხედრო სამსახურის დაწყების მიზნით „ჩემი თავგადასავლის“ განმცდელი ავტობიოგრაფი ქუთაისიდან პეტერბურგისკენ გაემურება. აღნიშნული მიზნის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამშობლოს ფენომენი, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიციას დიდწილად განაპირობებს: სამშობლოს განმცდელი ავტობიოგრაფისათვის, ერთი მხრივ, მისტიკური შინაარსი აქვს და მეორე მხრივ, მის დისპოზიციაზე დიდ გავლენას ახდენს. ავტობიოგრაფის პირად სამყაროში იგი ოცნებებსა და სურვილებს აყალიბებს. 1) პეტერბურგში ჩასული განმცდელი ავტობიოგრაფი გადაწყვეტილებას იცვლის – სამხედრო კარიერაზე უარი ამბობს და სტუდენტი ხდება. თავის მხრივ, 2) სწავლის დასრულებისთანავე სასწრაფოდ ტოვებს

---

<sup>81</sup> სადისერატციო ნაშრომის წინამდებარე თავში წარმოდგენილი ანალიზი მკითხველის მიერ ტექსტის წაკითხვის, მისი სემანტიკის რეკონსტრუირების პროცესის ჩვენებას გულისხმობს. კითხვის პროცესის თავისებურებთან დაკავშირებით იხ. ეკო (1981)

უნივერსიტეტს და მოსკოვში მიდის. აღნიშნული ცვლილებები განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე კომპლექსურ პროცესებზე მიანიშნებს. სამშობლო, სწავლისადმი განსაკუთრებული მისწრაფება მისი პიროვნული სამყაროს მთავარ მაფორმირებელ ფაქტორებს წარმოადგენდა – აყალიბებდა როგორც ვალდებულებით, ისე ფუნდამენტურ მისწრაფებებს. შესაბამისად, მკითხველმა, ტექსტის მონაცემების მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის გადაწყვეტილებებს აუცილებლად ახსნა უნდა მოუძებნოს. განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალობის დინამიკის კოჰერენტულობა მკითხველმა უნდა შექმნას, საამისოდ მან მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ დატოვებული ინფორმაციული ნაპრალები უნდა ამოავსოს.<sup>82</sup>

პეტრე ბაგრატიონთან განმცდელი ავტობიოგრაფის ვიზიტი შედეგიანი აღმოჩნდა, განმცდელი ავტობიოგრაფის მიზნის მიღწევა რეალისტური გახდა. ბაგრატიონი დაჰპირდა, რომ სამხედრო განათლების მიღებაში დაეხმარებოდა, კერძოდ, მას განმცდელი ავტობიოგრაფი თავად შეხავსკოისთვის უნდა ჩაებარებინა, რომელიც გვარდიის მსროლელი ბატალიონის უფროსი იყო. აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ხელს მხოლოდ ერთი დეტალი უშლიდა – პეტრე ბაგრატიონისა და თავად შეხავსკოის შეხვედრა შემოდგომაზე უნდა შემდგარიყო, მანამდე კი ორი-სამი თვე რჩებოდა. ამის გამო განმცდელ ავტობიოგრაფს დროებით ძმასთან ერთად პეტერბურგში გამგზავრება მოუწია, სადაც ის ქართველ სტუდენტებს შეხვდა. სტუდენტებთან შეხვედრამ მისი მიზნები შეცვალა: „მაშინდელი სტუდენტობა **სულ სხვანაირი იყო** საზოგადოდ და ქართველებსაც, მათთან ერთდ **სხვა ფერი ედვა ...** მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და **ძალაუნებურად** მათ წრეში ამოვყავი თავი“ (წერეთელი 2015, 80).

---

<sup>82</sup> კოგნიტური ნარატოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საკითხის დააზუსტება: რატომ და როგორ კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას. მიიჩნევა, რომ ტექსტის გააზრებისათვის მკითხველი კოგნიტურ ჩარჩოებს ააქტიურებს. ეს ჩარჩოები მკითხველის იმ გამოცდილებას უკავშირდება, რომელიც ტექსტში აღწერილი სიტუაციის ანალოგიურია. მკითხველის გამოცდილებისა და ტექსტში მოცემული ინფორმაციის თავსებადობა მკითხველს საშუალებას აძლევს, გამოტოვებული ინფორმაცია აღადგინოს და შექმნას ტექსტის კოჰერენტული შინაარსი (ჰერმანი 2003).

დამოწმებული ციტატა აჩვენებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები ერთი ეპიზოდის ფარგლებში არ ჩანს. გამუქებული სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ მიანიშნებს გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, თუმცა მათი რეალური მნიშვნელობის დეკოდირება შესაძლებელია მხოლოდ სხვა ეპიზოდების ინფორმაციათა გათვალისწინებით. გარდა ამისა, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სააანალიზო ეპიზოდი ადეკვატურად ვერ აირეკლავს განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებს. შესაბამისად, თუ მკითხველი მიღებულ გადაწყვეტილებას მთხრობელი ავტობიოგრაფის წინარე ნარატივის კონტექსტში არ გააანალიზიებს, იგი ვერ შეძლებს ტექსტის სწორ ინტერპრეტაციას.

მომდევნო მსჯელობა ორ ეტაპად განივრცობა: ა) თავდაპირველად დაზუსტდება, რატომ არაა აღნიშნული გადაწყვეტილება მეორეხარისხოვანი. წინარე თხრობის გათვალისწინებით, განისაზღვრება განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური და ვალდებულებითი სამყაროები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების ეგზისტენციალურ ღირებულებას წარმოაჩენს. ბ) მსჯელობის მეორე ეტაპზე გაანალიზდება მთხრობელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე ის დრამატული პროცესი, რომელსაც დამოწმებული ნაკლოვანი (წარმოდგენილი ინფორმაციის თვალსაზრისით) პასაჟი აირეკლავს.

## ***2.6. განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური სამყარო: სამშობლოსთან დაკავშირებული ვალდებულებები, მისწრაფებები და მიზნები***

სავანესა და სასახლეში გატარებული წლების აღწერისას, გიმნაზიაში სწავლის შთაბეჭდილებათა გახსენებისას, განმცდელი ავტობიოგრაფის ღირებულებათა სისტემაში სამშობლო, როგორც განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიციის განმსაზღვრელი ფენომენი, არ ფიგურირებს: სავანის იდილიური ყოფა შეპირისპირებულია სასახლის

ყოფას: სასახლის სოციუმი, რომლის მენტალურ წესრიგს, არსებითად, ორი ინდივიდი, ავტობიოგრაფის დედ-მამა, ქმნიდა, სპეციფიკური იყო და მთლიან ქართულ რეალობას არ მოიცავდა. გარდა ამისა, აღნიშნული სოციუმის განსახოვნებისას არაა გათვალისწინებული სხვა ქვეყანა, როგორც ალტერნატიული დიდი სოციუმი. შესაბამისად, ტექსტის აღნიშნულ ნაწილში იქმნება შთაბეჭდილება, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ინტერაქცია განსახოვნებულ სოციალურ ჯგუფებთან დროებითი იყო, მას განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალობაზე ფუნდამენტური გავლენა არ მოუხდენია. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: განვითარების კონკრეტულ ეტაპზე განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური მენტალობის განსახოვნებისას მთხრობელი ავტობიოგრაფი წინარე სოციალურ გამოცდილებას არ ააქტიურებს; თითქოს, ის ადამიანები, რომლებთანაც განმცდელ ავტობიოგრაფს მანამდე ჰქონდა ურთიერთობა, გაქრნენ მისი ცნობიერებიდან.

განსახოვნებული მოვლენების ინტერპრეტაციის აღნიშნული ვარიანტი მკითხველისათვის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გაითვალისწინებს ტექსტის დასაწყისში გამოვლენილ არასაიმედო თხრობის ელემენტებს. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ არასაიმედო თხრობის ნაწილი სწორედ სამშობლოს ფენომენს უკავშირდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სამშობლო განმცდელი ავტობიოგრაფის იმ მისწრაფებებს, გეგმებს უკავშირდება, რომლებიც აქტუალურ სამყაროს ვერ უთავსდება და აქედან გამომდინარე, მასში უკონტროლო ემოციების წარმოშობის საფუძველი ხდება.<sup>83</sup>

სავანეში გატარებული წლების აღწერისას ყურადღებას იქცევს განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნულ და აქტუალურ სამყაროებს შორის არსებული ჰარმონია:

---

<sup>83</sup> არასაიმედო თხრობის განსასაზღვრავად უნდა დადგინდეს შიდაეპიზოდური მონაცემების ერთმანეთთან თავსებადობა. დამატებით, მთხრობლის შეფასებათა რელევანტურობა უნდა გაიზომოს ამავე მთხრობელი ინსტანციის მიერ მთლიანი ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოდგენილ ინფორმაციასთან მიმართებით. არასაიმედო თხრობის საიდენტიფიკაციო ნიშნები იხ. ნიუნინგთან (1998) განსახილველი ეპიზოდის ანალიზისას დასკვნები ეფუძნება ტექსტის ერთი სტრუქტურული ერთეულის (სავანეში გატარებული წლები) ფარგლებში მთხრობლის მიერ წარმოდგენილ მონაცემთა ანალიზს.

ავტობიოგრაფის გარშემო შექმნილი ფაქტობრივი კონტექსტი პერსონაჟის მისწრაფებათა (დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა, განვითარებისაკენ სწრაფვა) რეალიზების საშუალებას იძლევა. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ აქტუალურ სამყაროს ადამიანური სოციუმის ნაცვლად ბუნების წიაღი ქმნის. საანალიზო ეპიზოდი ფოკალიზებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ, რომელიც ამ დროს ბავშვია. მისი შეზღუდული პერსპექტივა განვრცობილია მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარებით. განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური ქმედებები კომპლექსური არაა, ძირითადად, მთხრობლის პროტოკლით ნაჩვენებია განმცდელი ავტობიოგრაფის სხვადასხვა ბუნებრივი რეაქცია, ის, რაც ბავშვური ხასიათის ნაწილი იყო. განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდული პერსპექტივის განსავრცობად დართული მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარები მკითხველს უთვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურ სამყაროს განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროსთან თავსებადს ხდის:

ა) ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და **სწავლობს...** ბ) ყმაწვილის გრძნობა გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხმოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთგვარობა და ერთფერობა მალე ჰბეზრდება [...] სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში და იქ დარჩენა ჩემთვის **სამოთხეში შესვლა იყო** (წერეთელი 2015, 13-15).

დამოწმებული კომენტარის მსგავსი მონაკვეთი ტექსტში სხვაც მოიძებნება, თუმცა მსჯელობის საფუძვლის საჩვენებლად ეს ორიც საკმარისია. გამუქებული სიტყვები მიანიშნებს პერსონაჟის რეალიზებულ მისწრაფებებზე. მომდევნო ეპიზოდების შინაარსი დაზუსტებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის შემდეგი კომენტარით:

„ქართველის ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგიტვლით აქ, რადგანაც **შემდეგ კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განასაკუთრებით**, და დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას?“ (იქვე, 16)

გამუქებული სიტყვები მიანიშნებს, რომ „ბურთაობის“ შემდეგ აღსაწერ თამაშსაც („ქორობია“) სოფლის იდილიური ყოფის ჩვენების ფუნქცია ექნება. „ქორობიას“ შესახებ

მსჯელობა კი მკითხველისათვის შექმნილ ამ მოლოდინს არ შეესაბამება: „ზემოთაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმცა ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის.“ (იქვე,17)

საანალიზო კომენტარი, მართალია, აჩვენებს, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს აღსაწერი ეპიზოდის რაგვარობას („სახალისო არაა“), თუმცა არადამაჯერებელია მისი განსახოვნების ის მოტივი, რომელსაც მკითხველს სთავაზობს. სიტყვები „ზემოთაც მოვიხსენიე“ მკითხველისათვის წარმოადგენს გზავნილს, რომ „ქორობია“ წინარე ეპიზოდების ლოგიკური გაგრძელებაა, ანუ აჩვენებს პერსონაჟის პირადი და აქტუალური სამყაროების თავსებადობას. აღნიშნული ეპიზოდის ფარგლებში მთხრობლის არასაიმედოობას ორი რამ ავლენს: ა) ეპიზოდის შინაარსი და ბ) მისი *განსახოვნების ფორმა*.

*„ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამითი ვაბოლოვებდით ხოლმე [...] არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოდ დიდი არა არის რა, განზრახ იყო გამოგონილი რაიმე სამნიშვნელოდ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოდ, მაგრამ დღეს რომ ვაკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს [...] მაშინ მეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია.“ (წერეთელი 2015, 18)*

1) შინაარსობრივად დამოწმებულ ეპიზოდში წინარე ეპიზოდების თემატიკას, უპირველეს ყოვლისა, არ ესადაგება განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული და აქტუალური სამყაროების შეუთავსებლობა, რაზეც მიაანიშნებს სიტყვები **არ მიყვარდა**. მკითხველისათვის დამატებით კითხვის ნიშანს აჩენს ის გარემოება, რომ „ქორობია“ ბავშვის სავარჯიშოდ გამოუსადეგარი იყო. მთხრობელმა ქართული თამაშების შესახებ მსჯელობა დაიწყო, რათა ეჩვენებინა, რომ მათში ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებები მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული, რაც, თავის მხრივ, ქალაქური აღზრდის სისტემისათვის უცხოდ წარმოდგებოდა.

2) ეპიზოდის განსახოვნების თავისებურებასთან მიმართებით რამდენიმე გარემოება იქცევს ყურადღებას:

- a) წინა ეპიზოდების ფარგლებში, მთხრობლის კომენტარებს პოლემიკური ხასიათი აქვს, ამასთან, მთხრობლის შეფასებები ხისტია: *„სოფელში გაზრდილსა და ქალაქში მყოფს შორის ისეთი განსახვევებაა როგორც ნამდვილსა და მის აზრდილს შორის“ (იქვე, 16-17)*. „ქორობიას“ აღწერისას მთხრობელი თავდაჯერებას კარგავს („არ ვიცი... უბრალოდ“). როგორც უკვე აღინიშნა, სოფელში გატარებული წლების აღწერისას განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები მარტივია, დაიყვანება მხოლოდ ბავშვის ხასიათზე, რომელიც გამჭვირვალე და ადვილად დასანახავია დაკვირვებული თვალისათვის. „ქორობიას“ ეპიზოდი კი აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ბავშვის შინაგან სამყაროს იდუმალი შრეებიც აქვს, რომლებიც რაციონალური მსჯელობით ვერ აიხსნება. საანალიზო ავტობიოგრაფიის სწორად გასააზრებლად საყურადღებოა, რომ ამ იდუმალ შრეს სამშობლოსთან განმცდელი ავტობიოგრაფის დამაკავშირებელი უხილავი ძაფები ქმნის.
- b) „ქორობიას“ აღწერას რამდენიმე ეპიზოდი უძღვის. ეს ეპიზოდები ერთმანეთისაგან გამიჯნულია და მთხრობლის კომენტარებით მონიშნულია ახალი ეპიზოდის დაწყება. ამასთან, ყოველი ახალი ეპიზოდი წინარეს ლოგიკურად ებმის. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია საანალიზო მონაკვეთი: „ქორობიას“ თამაშით გამოწვეული ემოცია განმცდელი ავტობიოგრაფისათვის შემაწუხებელი იყო ხოლმე, ამიტომ ბავშვური მიამიტობით ძიძასთან ცდილობდა ქორის აგრესიის საფუძვლების ახსნას. როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, ძიძა აღსაზრდელის შფოთვის უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, განმცდელი ავტობიოგრაფის კითხვას - *„რა დაუშავა კრუხმა ქორს?“* - ბანალურად უპასუხებდა ხოლმე - *„ჭამ უნდაო“*. ეპიზოდის შემდგომი განვითარება აჩვენებს, რომ „ქორობიას“ მისტიკური მხარე მხოლოდ გამოუცდელი ბავშვის ყურადღებას არ იქცევდა. ძიძამ, რომელიც „ქორობიას“ თანმხლებ ბავშვურ რეაქციას სეროიოზულად არ აღიქვამდა, მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ „ქორობიას“ მინიშნებები მის ცხოვრებასაც უკავშირდებოდა:

ერთხელ სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: “რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშიათო.” ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა მეთქი! - ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: რა გატირებს მეთქი“ - ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწლასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო! [...] მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოდ გამომათხოვეს სოფელს და წამიყვანეს სასახლეში (წერეთელი 2015, 18).

დამოწმებული ამონარიდის მიხედვით, როლები შეცვლილია: განმცდელი ავტობიოგრაფის დაკვირვება განპირობებულია ძიძის რეაქციით. იგი კვლავ მოელოდა, რომ აღმზრდელი აღსაზრდელის გულისტკივილს ჩვეული გულდამშვიდებით შეხვდებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე უკვე მისთვისაც საცნაური გახდა „ქორობიას“ იდუმალი ბუნება. ქორობიას ეპიზოდით მთავრდება სავანეში გატარებული წლების აღწერა და იწყება ახალი ეტაპი („სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყოს“). თხრობის საიმედოობის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შემდეგი: „ქორობიას“ შესახებ თხრობა ისე სრულდება, რომ მისი სტრუქტურული დანიშნულება მთხრობელი ავტობიოგრაფისაგან განუსაზღვრელი რჩება. ეს გარემოება დაკვირვებას საჭიროებს იმდენად, რამდენადაც წინარე თხრობის ფარგლებში ყოველი ეპიზოდი ერთმანეთს შინაარსობრივად ებმის, ერთი მეორის შესახებ თხრობის დაწყების საფუძველს ქმნის. მკითხველისათვის დასაფიქრებელია ისიც, რატომ დაასრულა მთხრობელმა ავტობიოგრაფმა ტექსტის პირველი ნაწილი მოულოდნელად.

არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის ცხოვრებაში მომხდარ გარდამტეხ მოვლენას ბუნებრივ კანონზომიერებას (დღეს თუ ხვალ ბავშვი მშობლებთან უნდა დაბრუნებულიყო) არ უკავშირებს. მთლიანი ტექსტის მონაცემების მიხედვით, სამშობლოსთან დაკავშირებული ვალდებულებები განმცდელ ავტობიოგრაფს აიძულებს, მოვლენათა განვითარების ბუნებრივი, ლოგიკური მდინარება შეწყვიტოს ხოლმე და არაორდინალური გზა აირჩიოს.

განხილულ ეპიზოდზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სამშობლოზე ფიქრი მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ტრავმული გამოცდილების ნაწილია, რის გამოც მის შესახებ

მსჯელობა ტექსტში ხშირად გაუთვალისწინებელ ადგილას იჩენს ხოლმე თავს. ეს გარემოება კი მას პერიოდულად არასაიმედო მთხრობლად წარმოაჩენს.

განმცდელი ავტობიოგრაფის პირად სამყაროში რომ სამშობლოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ამაზე მიმანიშნებელი ინფორმაცია ტექსტში სხვაც არაერთი დასტურდება. მათგან საყურდღებოა, თუნდაც, განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება: იგი უარს ამბობს გიმნაზიის დასრულების შემდეგ საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე. ჯერ კიდევ სავანიდან სასახლეში გადასული განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული სამყაროს ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს კითხვისადმი, სწავლისადმი განსაკუთრებული ინტერესის ეტაპობრივად ჩამოყალიბება. როცა პეტრე ბაგრატიონი მას ეკითხება, რამდენად გამოცდილი მხედარია, განმცდელი ავტობიოგრაფი უპასუხებს: „მე ცხენებისათვის კი არ მიდევნია! წიგნები მეჭირა ხელში!“ (წერეთელი 2015, 79). განმცდელი ავტობიოგრაფის ეს სიტყვები აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის სწავლა. აღნიშნულის მიუხედავად, მან გიმნაზიის დასრულებაზე უარს ამბობს და სამხედრო კარიერაზე ოცნებას იწყებს. შესაბამისად, გასათვალისწინებელია, რა სიტუაციაში იღებს იგი ამ გადაწყვეტილებას.

გიმნაზიაში სწავლის ბოლო წლებში განმცდელი ავტობიოგრაფი ფრანგულის მასწავლებელთან ცხოვრობს. ერთხელ ამ უკანასკნელთან სტუმრად მიდის განმცდელი ავტობიოგრაფის საყვარელი მასწავლებელი როდზიევიჩი. მასპინძლისა და სტუმრის საუბარს განმცდელი ავტობიოგრაფი ჩუმად უგდებს ყურს. ისინი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ საუბრობენ, თანაც ამ პროცესთან მიმართებით როდზიევიჩი საკუთარი სამშობლოს, პოლონეთის, კონტექსტსაც აანალიზებს. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ეს დიალოგი მთავრდება (დიალოგის მენტალური ხატი მას ამგვარად ამახსოვრდება) როდზიევიჩის სევდანარევი, სინანულის გამომხატველი სიტყვებით: „ახლა რაღა დროს ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივი სამსახური გამეწია“ (იქვე, 69).

საყვარელი მასწავლებლის სიტყვების მიხედვით, სამშობლოზე ქმედითად ზრუნვა მხოლოდ სამხედრო სამსახურითა შესაძლებელი. გამცდელი ავტობიოგრაფისათვის მოსაუბრეთა მსჯელობა აბსურდად აღიქმება და იმავდროულად განსაკუთრებულ ემოციას იწვევს: “იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი“ (იქვე). მოცემულ შემთხვევაში, შეფასება „აბდაუბდა“ არ გულისხმობს იმას, რომ მოსაუბრეთა მსჯელობა უშინაარსო, არაადეკატურია, არამედ აჩვენებს განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმას. განვითარების ამ ეტაპზე მის პირად შინაგან სამყაროს დიდწილად ოცნებები განსაზღვრავს („ოცნებით გაბერილი დავადექი რუსეთის გზას“). შესაბამისად, დიალოგის მოსმენისას ის მსჯელობის ლოგიკას არ აკვირდება, მის ყურადღებას იქცევს ცალკეული სიტყვები და ფრაზები, რომელთაგან საკვანძო დაფიქსირებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ. ეს ფრაზა იმაზე მიანიშნებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ოცნებები მისი პიროვნებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მიზნის (სამშობლოსადმი მსახურების) განხორციელებას უტრიალებს. მიზნის სიდიდე განაპირობებს იმას, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი სხვა მნიშვნელოვან ორიენტირზე, საფუძვლიანი საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე, უარს ამბობს.

საანალიზო ავტობიოგრაფიის კოჰერენტული შინაარსის დეკოდირებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მთლიანი ტექსტის ფარგლებში სამშობლოსთან დაკავშირებული განმცდელი ავტობიოგრაფის წარმოდგენები მუდმივად ოცნების, სამომავლო გეგმების ნაწილია. ამასთან, სამშობლო განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მოცემულობა კი არ არის, არამედ მას შექმნა სჭირდება.

სამშობლო (საქართველო) როგორც სოციალური სივრცე, პირველად რელატივირებულია საანალიზო ეპიზოდის ფარგლებში. აღნიშნული მიზნით მთხრობელი ავტობიოგრაფი ჰიპოთეტური ფოკალიზების სტრატეგიას ირჩევს<sup>84</sup>. ვორონცოვის ქვრივი და მისი

---

<sup>84</sup> სოციალური მენტალობის საანალიზო კატეგორიები აღებულია პალმერის ნაშრომიდან (2010). ჰიპოთეტურ პერსპექტივაზე, როგორც ნარატორის მიერ შექმნილ კონცეპტუალურ ჩარჩოზე, პირველად ყურადღება გაამახვილა

გარემოცვა წარმოდგენილი არიან ჰიპოთეტურ ფოკალიზატორებად; ისინი, როგორც დამკვირვებლები, აფასებენ ქართულ რეალობას, მათი მსჯელობა გაჯერებულია ქართული ყოფის სავარაუდო, ალტერნატიული ვარიანტების წარმოჩენით. სანიმუშოდ შესაძლებელია ქვრივის ერთ-ერთი კომენტარის მოხმობა:

ნუ დაივიწყებთ. რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგიშრეები აკეთებენ იმერეთში. ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ, გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიებში: მათი სამხატვრო გალერა, მათი სკოლა - მარტო ბუნებაა საქართველოსი [...] ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თავისის საკუთარი რაფაელები და მიქელანჯელოები ეყოლებოდათ” (წერეთელი 2015, 70).

ჰიპოთეტური ფოკალიზების გამოყენებით მთხრობელი ავტობიოგრაფი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ სამშობლო განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს, ის კონკრეტულ მოცემულობად მომავალში უნდა იქცეს.

ჰიპოთეტური ფოკალიზება მთავარი ნარატოლოგიური სტრატეგიაა განმცდელი ავტობიოგრაფის პეტრე ბაგრატიონთან ვიზიტის განსახოვნებისასაც. ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ მისი სამხედრო კარიერა გარემოებით განპირობებული იყო, რომ არა ბარათაშვილის აყლა და ხელისუფალთა ლანძღვა, მისი მომავალი, სავარაუდოდ, საუნივერსიტეტო განათლებას დაუკავშირდებოდა. იგი განმცდელ ავტობიოგრაფთან საუბრისას იმასაც აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო ქიმიკოსიც გამოსულიყო, უამრავი საქმე რომ არ ჰქონოდა. ბაგრატიონი დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართველ ცხენოსათა წარუმატებლობას ასევე გარემოებით განპირობებულად მიიჩნევს. ბაგრატიონის ჰიპოთეტური მსჯელობა მის გამოცდილებაზე მიანიშნებს, რომელთან მიმართებითაც, თავის მხრივ, რელატივირებულია განმცდელი ავტობიოგრაფის პირადი სამყარო.

სამშობლოსთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე მკითხველისათვის სტილისტურ დეტალად წარმოდგება პეტრე ბაგრატიონის ხსენება. ქართული სახელი და გვარი მკითხველს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში

---

ჰერმანმა (1994), მაგრამ საკუთრივ ავტობიოგრაფიული ნარატივის საკვლევად ის პირველად სწორედ წინამდებარე დისერტაციაშია გამოყენებული.

მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ახალი დეტალების დაზუსტების განცდას უქმნის.<sup>85</sup> ბაგრატიონთან შეხვედრისას განმცდელი ავტობიოგრაფის გაოცებას იწვევს ის, რომ ქართულად საუბრობს. თხრობის ამ ეტაპზე თემატიზებულია ჰიპოთეტური ფოკალიზების მნიშვნელობა. ბაგრატიონი განმცდელ ავტობიოგრაფს საგანგებოდ უთვალისწინებს, რომ ორივენი ქართველნი არიან და თუ მათ შორის სხვაობა არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ გარემოებებით არის განპირობებული. ბაგრატიონის მსჯელობა მწყობრია და მთლიანად გამოცდილებას ეფუძნება, განმცდელი ავტობიოგრაფის მსჯელობა კი წინააღმდეგობრივია, თუმცა ეს უკანასკნელი მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ გააზრებულია და არასაიმედო თხრობას არ ქმნის. განმცდელი ავტობიოგრაფის პირადი და რეალური სამყაროების გარდაუვალ დაპირისპირებაზე მიანიშნებს არაპრაგმატული, იდუმალი, მისტიკური მიზნების ქონა, რომლებიც ისევ და ისევ სამშობლოსთანაა დაკავშირებული.

პეტრე ბაგრატიონისათვის, საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, განმცდელი ავტობიოგრაფის დაჟინებული სურვილი, სამხედრო კარიერა გაიკეთოს და თან ისწავლოს, არადამაჯერებელი ჩანს, სანამ განმცდელი ავტობიოგრაფისაგან რეალურ ქვეტექსტს არ გაიგებს: „ეგ ყოლიფერი ცხადია, მაგრამ მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!...აქ დაწვრილებიტ გავუზიარე მას, რა განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურშინ შესვლის. რომ მომისმინა გადამეხვია და მაკოცა: - „ღმერთმა ჰქნას რომ სურვილი შეგსრულებოდეს“ (წერეთელი 2015, 80).

ბაგრატიონის ემოციური ქმედება („გადამეხვია და მაკოცა“) მიანიშნებს, რომ ამჯერად განმცდელი ავტობიოგრაფი მას პრაგმატულის ნაცვლად ღირებულებით არგუმენტს სთავაზობს (სამშობლოს ბედზე ზრუნვა), რომელიც ლოგიკურ გააზრებას აღარ ექვემდებარებოდა რა, ბაგრატიონს ისღა დარჩენია, საკუთარი გამოცდილება გვერდზე გადადოს; ამიტომაც განმცდელი ავტობიოგრაფის მომავალს, რომელსაც ის გულშემატკივრობს, ღმერთს მიანდობს.

---

<sup>85</sup> დეტალების ხელოვნება, რაც მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად ითვლება, აკაკისთან ერთჯერადია. ის ტექსტობრივი მახასიათებელი არაა.

## 2.7. განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური მენტალობა: სტუდენტობის წლები

მსჯელობის ამ ეტაპზე ტექსტიდან კვლავ გასააქტიურებელია ის ამონარიდი, რომელთან მიმართებითაც დაიწყო ტექსტის ანალიზი:

მაშინდელი სტუდენტობა **სულ სხვანაირი იყო** საზოგადოდ და ქართველებსაც, მათთან ერთდ **სხვა ფერი ედვა ...** მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და **ძალაუნებურად** მათ წრეში ამოვყავი თავი (იქვე).

მოცემულ ამონარიდში საგანგებო ყურადღებას საჭიროებს სიტყვა *ძალაუნებურად*, კერძოდ, დასაზუსტებელია, ამ შეფასების მიხედვით, ვინ არის ფოკალიზატორი. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ფოკალიზატორი ერთი ადამიანი არაა, ესაა სოციუმი (სტუდენტობა). საანალიზო მონაკვეთის მიხედვით, სტუდენტობა ცალკე მოქმედი სუბიექტია, მისი მენტალური ქმედებები არ უდრის ამ სოციუმის წევრთა მენტალური ქმედებების ჯამს, ის თვისებრივად ახალი კონსტრუქტია.<sup>86</sup>

მაინც როგორია სტუდენტობის, როგორც სოციუმის, მენტალური პროცესები, რომლებიც განმცდელ ავტობიოგრაფს, ძალაუნებურად, პრინციპულ გადაწყვეტილებას აცვლევინებს?

სტუდენტებში მთავარ განცხადებულ ქცევით წესს სიახლისაკენ, განვითარებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს. ამ ცოდნას ჯგუფში ყველა იზიარებს. იგი უნდა იყოს სტუდენტობის მიზნებისა და გეგმების განმსაზღვრელი. დასახული მიზნისაკენ სტუდენტობის სწრაფვა განსაკუთრებული ემოციურობით ხასიათდება, რადგან სიახლისა და განვითარებისაკენ სწრაფვას პირადი მისწრაფებები არ დასდებია საფუძვლად. ქართველ სტუდენტებს სწამთ, რომ მათი აქტიურობა მოტივირებულია სამშობლოზე ზრუნვით.

---

<sup>86</sup> მიკრო და მაკრო ჯგუფების მენტალური პროცესების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავების დადგენა ცალკე გასაანალიზებელი საკითხია. ასევე დასკვნების გამოტანისას გასათვალისწინებელია ინტერ- და ინტრამენტალური პროცესების ერთმანეთთან მიმართება.

აღნიშნულ ინფორმაციას მკითხველს მთხრობელი ავტობიოგრაფი ტექსტის მეორე ნაწილში აწვდის. იგი იმ დროისათვის რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესების საფუძვლად მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიიჩნევს: გარიბალდი, მამინი და კომუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ ამ დროს გამოვიდა სტაროველი სემინარიელი ჩერნიშევსკი ... და დასცა რუსეთს კიჟინა (წერეთელი 2015, 81). ქართველი სტუდენტობა აღნიშნული მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება და რევოლუციური იდეები მათი დისპოზიციის (ქვეცნობიერის) ნაწილადაა ქცეული. მთხრობელი ავტობიოგრაფი აზუსტებს იმასაც, რომ რუსეთში მიმდინარე პროცესები ინტენსიური და აქტიურია, ქართველი სტუდენტობის ნებისმიერი მოქმედებაც ამ სულისკვეთებას აირეკლავს.

როგორც უკვე აღინიშნა, პეტრე ბაგრატიონისაგან წამოსული განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ სამხედრო კარიერაზე უარის თქმის საფუძველი ტექსტში დაუზუსტებელია, მხოლოდ ზოგადი მინიშნებებია მოცემული - „მაშინდელ სტუდენტობას სხვა ფერი ედვა.“ მთხრობელი ავტობიოგრაფის ეს მინიშნება სწორედ სამშობლოს ბედზე ზრუნვით მოტივირებული სტუდენტობის რევოლუციურ მისწრაფებებს უნდა გულისხმობდეს. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტობა აქტიურია, გასაგები გახდება, თუ *ძალაუნებურად* რატომ აღმოჩნდა განმცდელი ავტობიოგრაფი სტუდენტთა რიგებში და რატომ გადაწყვეტს საუნივერსიტეტო განათლების მიღება: განმცდელი ავტობიოგრაფისათვის თანამედროვე რეალობაში სამშობლოზე ზრუნვის ადეკვატურ ფორმად იდეოლოგიური ორიენტირების დაზუსტება განისაზღვრება, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს ემოციური ფონიც, რომელიც ქართველი სტუდენტების რევოლუციურ მოძრაობას ახლავს.

ანალიზის ამ ეტაპზე დაზუსტდა, რატომ რჩება განმცდელი ავტობიოგრაფი პეტერბურგში, თუმცა ჯერ კიდევ განმარტებას საჭიროებს, რა უბიძგებს მას, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ქართველ სტუდენტობასთან ურთიერთობა შეეწყვიტოს. ჰიპოთეტური დასკვნა ასეთია: გადაწყვეტილების მიღების მომენტში განმცდელმა ავტობიოგრაფი ქართველი სტუდენტობის მენტალობას არასწორად აფასებს. უნივერსიტეტში სწავლისას ჩამოყალიბებულმა ინტერმენტალურმა პროცესებმა

(სოციუმთან ინტეგრაციამ) მას მოგვიანებით აჩვენებს, რომ აღნიშნული მიკროჯგუფის დეკლარირებული ქცევითი წესები და რეალური ქმედება ერთმანეთს არ შეესაბამება. შესაბამისად, იქ დარჩენა განმცდელ ავტობიოგრაფს შესაძლებლობას არ აძლევს, საკუთარი მისწრაფების თანახმად იმოქმედოს, საკუთარი მიზნები (სამშობლოსადმი მსახურება) განახორციელოს. ამდენად, როგორც კი საშუალება ეძლევა, იგი ამ სოციუმს ტოვებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გარემოების გაცნობიერება მტკივნეულია და მის შინაგან სამყაროში მიმდინარე მენტალური პროცესების დრამატიზებას იწვევს.

ქართველ სტუდენტთა შორის მოქმედი არაოფიციალური ქცევითი წესები განსხვავებულია. უნდობლობა, გვერდით მყოფ ადამიანში პოტენციური მტრის ძიება სოციუმის წევრთა ქმედების ერთ-ერთი მთავარ მარეგულირებელ წესს წარმოადგენს. ამ დროისთვის ქართველი სტუდენტობის დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალ ნიშნულს უტოლდება, მასში დამკვიდრებული ქცევითი წესების უმეტესობა უფრო მასშტაბური სოციუმის (რუსეთის) ტოტალიტარულ მოთხოვნებს აირეკლავს („იმ ხანებში თავისი საკუთარი აზრით მოქმედება სახიფათო იყო“). მოსალოდენილი საფრთხის გათვალისწინებით, ქართველ სტუდენტებს შორის ურთიერთობა დამაბულია. ცხოვრების გამოცდილებით მიღებული მათი მენტალობის თეორია ჩანაცვლებულია შეთქმულების თეორიით, რაც ხელს უშლის ამ სოციუმის წევრებს მოვლენების ადეკვატურად აღქმაში. ამ სოციუმის ფარგლებში სამშობლოზე ფიქრს დამატებით ისიც ართულებს, რომ სამშობლოზე ზრუნვის ლოზუნგით ბევრი ქართველი სტუდენტი საკუთარი ეგოისტური მიზნების მიღწევას ცდილობს.

სტუდენტობაში მოქმედი რეალური და ფორმალური ქცევითი რეგულაციები განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესების დრამატიზების საფუძველი ხდება: განმცდელი ავტობიოგრაფი, ერთი მხრივ, აცნობიერებს, რომ საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალება მას ამ სოციუმში არ მიეცემა და მეორე მხრივ, უსამართლობის განცდა ეუფლება. ტექსტში თემატიზებულია, რომ ქართველ სტუდენტობას საკუთარი წევრებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს:

სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი. ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდსა და საზოგადოსათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია. მწერლობაშიც შემეძლო, რომ სხვების აყოლით დიდი სახელი მომეპოვებია, მაგრამ რწმენას ვერ ვუღალატე [...] ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად (წერეთელი 2015, 82-83).

აღნიშნული კომენტარით მთხრობელი ავტობიოგრაფი აზუსტებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გადადგმული ნაბიჯები გააზრებულია. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განმცდელი ავტობიოგრაფის პირად სამყაროში არსებულ იდუმალ ვალდებულებებს ეფუძნება („რწმენას ვერ ვუღალატე“). თავის მხრივ, ეს ვალდებულებები საზოგადოსადმი (სამშობლოსადმი) მსახურებას გულისხმობს. მოცემულ ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის ქცევას მისი დისპოზიცია განაპირობებს და ქართველი სტუდენტების უმეტესობის მოქმედება კი ბუნებრივ ინსტინქტებს (ეგოისტურ მისწრაფებებს) ექვემდებარება. აღნიშნული გარემოების აქცენტირებით მთხრობელი ავტობიოგრაფი ცდილობს, აჩვენოს, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის რამდენად მტკივნეულია ქართველი სტუდენტობის სულისკვეთების რეალური საფუძვლების დადგენა.

*სამშობლოს, მეგობრობის* ინდივიდუალური ხედვა განმცდელ ავტობიოგრაფს განსხვავებული ქცევითი წესების შემუშავებას აიძულებს. განმცდელი ავტობიოგრაფისა და სოციუმის ეპისტემოლოგიურ კომპეტენციათა სხვაობა კი სოციუმს უბიძგებს, გაორებული დამოკიდებულება ჰქონდეს განმცდელი ავტობიოგრაფისა და ყველა დანარჩენი წევრისადმი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს საანალიზო ტექსტში გამოვლენილი არაერთგვაროვნება: საკუთარი აზრის მიხედვით სოციუმში მოქმედება აკრძალულია, თუმცა განმცდელი ავტობიოგრაფის საზოგადო საქმისადმი ერთგულება, არაეგოისტური ქმედება ისჯება. განმცდელი ავტობიოგრაფის მეგობრის, ნიკო ნიკოლაძის, პირველობისაკენ სწრაფვა ყველასთვის თვალსაჩინოა, თუმცა მას საზოგადოება არ რიყავს მაშინ, როცა განმცდელი ავტობიოგრაფის არამბიციურობა („ჩემი გზა მქონდა და მივდიოდი წყნარად“) საგმობად მიიჩნევა (იქვე).

როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, მან თავიდანვე საკუთარი „გზა აირჩია“, რომელიც სამწერლო საქმიანობასაც ეხებოდა და საუნივერსიტეტო განათლებისადმი დამოკიდებულებასაც. აღნიშნულმა გარემოებამ მაშინათვე ქართველ სტუდენტთა უკმაყოფილება გამოიწვია:

ეს იყო მიზეზი, რომ ჩემ მწერლობას პატივი ჰქონდა ახდელი და ამხანაგობა ჩამომშორდა. ერთ საღამოს შემოვიდნენ ჩემთან [...] და გადმომცეს ამხანაგობის მაგიერ: შენის მწერლობით გვარცხვენ და ლექსების წერაზე აიღე ხელი და ან ჩვენს ნაცნობობაზეო“ [...] ეს მათი შემოთვლილი სიტყვა ისარივით მეცა გულზე. ბუნებათანაზიარს, ყველას მეგობრობა და განწყობილობა მსურდა და ერთთავად მთელი ამხანაგობის მოშორება ჩემთვის სიკვდილი იყო. ჩავვარდი საგონებელში (წერეთელი 2015, 83).

ქართველი სტუდენტებს შემონათვალში სიტყვა გვარცხვენ განმცდელი ავტობიოგრაფის შემოქმედების ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში შეფასებას არ გულისხმობს. ის მთლიანად სოციალური დაკვეთის ანარეკლია და განმცდელი ავტობიოგრაფის შემოქმედებაში სოციალური მოტივების არარსებობას ითვალისწინებს. ეს იმდროინდელი დიდი კოლექტივის ქცევით ნორმებს ეწინააღმდეგება და ავტომატურად ამ ტექსტების ავტორისა და მასთან ასოცირებული სოციალური მიკრო ჯგუფის, ქართველი სტუდენტობის, ღალატში დადანაშაულებს.

განმცდელი ავტობიოგრაფის გულისტკივილი მოსალოდნელი საფრთხის წარმოდგენით არაა განპირობებული. იგი იმ ემოციური დისპოზიციის მორღვევას უკავშირდება, რომელიც მას ბავშვობაში ჰქონდა შექმნილი და აქედან გამომდინარე, მისი იდენტობისათვის მნიშვნელოვანია. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვობის ეს გამოცდილება ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების სხვა ეტაპის ჩვენებისას არაა გააქტიურებული. მას თანატოლები გიმნაზიაშიც უპირისპირდებიან, თუმცა ამ დროს თანამოაზრის არარსებობა კი არ წარმოადგენს პრობლემას, არამედ ცოდნის მიღების შესაძლებლობის შეზღუდვაა განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მტკივნეული. სტუდენტებთან ურთიერთობისას თავჩენილი შინაგანი მოთხოვნილება (თანაზიარობის სურვილი) უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ სტუდენტობის წლებში გასაკეთებელი საქმე ღირებულების თვალსაზრისით მისთვის ისეთივე

ეგზისტენციალური მნიშვნელობისაა, როგორც ბავშვისათვის თავისუფლების, ცნობისმოყვარეობის დაკმყოფილების შესაძლებლობის ქონა. ამასთან, საანალიზო ტექსტში არსად არაა აღნიშნული, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი რუსული საზოგადოების წევრებთან დაახლოებას ცდილობს. იგი მხოლოდ ქართველ სტუდენტებში რომ ეძებს თანამოაზრეს, დამატებით, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ გასაზიარებელი ემოციები, ფიქრები სამშობლოს (საქართველოს) უკავშირდება.

წინამდებარე მსჯელობაში მთავარი ხაზის გამოსაკვეთად კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგში განმცდელი ავტობიოგრაფის დარჩენა და იქიდან უკანმოუხედავად წასვლა მის შინაგან სამყაროში მიმდინარე მენტალური პროცესების დრამატულობაზე მიანიშნებს. მსჯელობის ამ ეტაპისათვის დრამატულობის განმაპირობებელი ორი ინტერმენტალური ფაქტორი გამოვლინდა: ა) განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს, რომ ქართველ სტუდენტთა შორის ყოფნა მას საკუთარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას არ აძლევს, ბ) სტუდენტობა, როგორც სოციუმი, უსამართლოა. პირველი გარემოება მის ვალდებულებით სამყაროს ეწინააღმდეგება, მეორე კი - მისწრაფებებს. მათი თანაარსებობა განმცდელი ავტობიოგრაფის ყოფას აუტანელს ხდის. განმცდელ ავტობიოგრაფში მიმდინარე ინტერმენტალური პროცესები სხვა თვალსაზრისითაცაა პრობლემური: საანალიზო ეპიზოდში მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულყოფილია, ის კარგად აცნობიერებს სოციუმის ქცევით რეგულაციებს, თუმცა მათ მორჩილებაზე შეგნებულად ამბობს უარს. გარდა ამისა, ტექსტში ნაჩვენებია ისიც, რომ ნების არსებობის შემთხვევაში, განმცდელ ავტობიოგრაფს შესწევს ძალა არა მხოლოდ გაითვალისწინოს მოქმედი სოციალური რეგულაციები, არამედ წარმატებულად იყოს: „შემეძლო, რომ სხვების აყოლით დიდი სახელი მომეპოებია, მაგრამ [...] შუა ადგილი მეჭირა“ (წერეთელი 2015, 82).

განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენციის წარმოსაჩენად შესაძლებელია შემდეგი გარემოების გათვალისწინება: განმცდელი ავტობიოგრაფი საკუთარ ლექსებს ანონიმურად აქვეყნებებს; იგი აცნობიერებს, ლექსების შინაარსის გამო შეიძლება ქართველი სტუდენტობის რიგებიდან გაირიცხოს და ყველაფერთან ერთად

დიდი სოციუმის მიერ დაისაჯოს. ტექსტში აღნიშნულია ისიც, რომ სოციუმთან არსებული გაუცხოების მოშლა მისთვის ძალიან მარტივია:

იმ ხანებში ერთი ლექსი დავწერე [...] ჩემმა ამხანაგებმა კი კიჟინა დასცეს მაშინ: აი აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რაო! [...] მირჩიეს, ერთი რამ მისთანა მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო [...] მეც ავიღე და ბოლოში ერთი ხანა ჩავამატე [...] ეს რომ ნახეს მომიწონეს და კიდევ ამ მიკერებულ ნამალადევი ლექსით დაიბეჭდა (იქვე, 84).

ამგვარ სოციალურ დაკვეთას განმცდელი ავტობიოგრაფი ერთჯერადად ასრულებს, მთლიანობაში ის საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებს. სოციუმის მოთხოვნა განმცდელ ავტობიოგრაფს აჩვენებს, რომ ქართველი სტუდენტობის ქმედების განცხადებული მოტივაცია და რეალური ქმედება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ქართველ სტუდენტობას შენარჩუნებული აქვს ის შემართება, რომელიც ჩერნიშევსკის გამოსვლას ახლდა - „კიჟინა დასცა რუსეთს“. დამოწმებულ ციტატაში ამაღლებული სულისკვეთების მარკერია სიტყვა კიჟინა („ჩემმა ამხანაგებმა კიჟინა დასცეს მაშინ“), თუმცა იმ ეტაპისათვის მათი შემართება და საკეთებელი საქმე ერთმანეთს აღარ შეესაბამება. საანალიზო ციტატის მიხედვით, ქართველი სტუდენტები გამალებით ითხოვენ იმას, რაც, მთხრობელი ავტობიოგრაფის აზრით, ბანალური და არადირებულია, მხოლოდ სოციალური დაკვეთის შესრულებას გულისხმობს, არადა მათთვის საპირწონე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების განხორციელების იდეა უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით კი პროცესის საწყის და მომდევნო ეტაპებს შორის სხვაობა დიდია. აღნიშნულ გარემოებას განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს და მიმდინარე სოციალურ პროცესებს შეგნებულად ემიჯნება.

## *2.8. განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული სამყაროს ძირითადი მახასიათებლები: სტუდენტობის წლები*


სტუდენტობის წლებში განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულყოფილია. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს ორი გარემოება იძლევა:

- განმცდელი ავტობიოგრაფის მიზნების ფორმირებაზე, სამომავლო გეგმების დასახვაზე დიდ გავლენას ახდენს სამშობლოს წინაშე ვალდებულების ქონის განცდა. ეს პროცესი განმცდელი ავტობიოგრაფისაგან გაუცნობიერებლად არ მიმდინარეობს. პირიქით, აღნიშნული ვალდებულებისადმი ერთგულების ადეკვატური ფორმის ძიება მისი ყოველდღიური ფიქრის ნაწილია.
- განმცდელ ავტობიოგრაფს თავისი მენტალობის თეორია საშუალებას აძლევს, სწორად განსაზღვროს ცალკეული ინდივიდისა თუ სოციალურ ჯგუფთა ქმედების მოტივაცია.

განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია საკმარისი იყო, რომ სოციუმში წარმატებისთვის მიეღწია, თუმცა სამშობლოსადმი ერთგულების გამო ამაზე უარი თქვა. სოციუმთან გაუცხოება, თავის მხრივ, განმცდელ ავტობიოგრაფში მტანჯველ ემოციებს იწვევს: მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია იმდენად სრულყოფილიც არაა, რომ საკუთარი ინდივიდუალური სამყარო შექმნას, სადაც ის თავს მშვიდად იგრძნობდა. თვითონ სამშობლოს ცნებასაც კი, რომლისადმი ერთგულებასაც პირად ცხოვრებას სწირავს, არ აქვს ნათელი შინაარსი: განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში თანამედროვე კონტექსტისათვის შეუსაბამოა ყველაფერი ქართული; იმავდროულად ზოგადია ის, რასაც გაფრთხილება სჭირდება. სამშობლო მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს, ყოველდღიური ცხოვრება კი კონკრეტული გამოწვევების წინაშე აყენებს. საანალიზო ტექსტის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური სამყარო ვერ ეთავსება აქტუალურ სამყაროს.

განმცდელი ავტობიოგრაფი

განმცდელი ავტობიოგრაფი



### დიაგრამა # 5<sup>87</sup>

<sup>87</sup> მოცემული დიაგრამა ასახავს ეპიზოდის დასაწყისსა და დასასრულს, დიდი მუქი წრით აღნიშნულია აქტუალური სამყარო, ღია ფერის პატარა წრეებით კი პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს მახასიათებლებია წარმოდგენილი. დიაგრამა აჩვენებს, რომ ეპიზოდის დასაწყისში აქტუალურ სამყაროში (უნივერსიტეტში სწავლა) განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების მხოლოდ ერთი კომპონენტი (ვალდებულება) არის რეალიზებული. განმცდელი ავტობიოგრაფი ფიქრობს, რომ სწავლით სამშობლოს ემსახურება. ამ ეტაპზე განმცდელი ავტობიოგრაფის ეპისტემოლოგიური კომპეტენცია (ცოდნა) ნაწილობრივ შეესატყვისება აქტუალურ სამყაროს: განმცდელი ავტობიოგრაფი საკმარისად გამოცდილია საიმისოდ, რომ სოციუმის ქმედებათა დეკოდირება შეძლოს (სოციალური კომპეტენცია ფორმირებული აქვს), თუმცა მას არასწორი წარმოდგენა აქვს ქართველ სტუდენტთა შეხედულებებსა და ფასეულობებზე. თავის მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის ვალდებულების (სამშობლოს მსახურება) აქტუალურ სამყაროსთან თავსებადობა საფუძველი ხდება იმ გეგმის შემუშავების, რომლის განხორციელებით მიზანს უნდა მიაღწიოს (სამშობლოს თანამედროვე სამყაროში ღირსეული ადგილი მოუპოვოს) და სურვილების (სამშობლოს მსახურებით პიროვნულად განვითარდეს) რეალიზება უნდა მოახდინოს. ეპიზოდის დასაწყისში განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების აღნიშნული მახასიათებლების (გ., მ., ს., ) აქტუალურ სამყაროში

**პირობითი ნიშნები**

- ს. - სურვილი
- მ. - მიზანი
- გ. - გეგმა
- ეპკ - ეპისტემოლოგიური კომპეტენცია
- ვ. - ვალდებულება
- მარცხენა წრე - ეპიზოდის დასაწყისი
- მარჯვენა წრე - ეპიზოდის დასასრული

განხორციელება სამომავლო საქმეა. განმცდელი ავტობიოგრაფისაგან განსხვავებით, ქართველი სტუდენტების ეპისტემოლოგიური კომპეტენცია სრულადაა მორგებული აქტუალურ სამყაროს, მათ ზუსტად იციან, რა ტიპის სოციუმში იმყოფებიან, მათი სურვილებიც რეალიზებულია, შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან პირად სარგებელს ნახულობენ. ერთადერთი, რაც მათი შინაგანი სამყაროდან აქტუალურს არ შეესატყვისება, ვალდებულებაა, მათ პირადი ინტერესები სამშობლოს მსახურებაზე მაღლა დააყენეს.

დიაგრამის მარჯვენა წრეზე დაკვირვება (ეპიზოდის დასასრული) აჩვენებს, რომ ცვლილება ეხება მხოლოდ და მხოლოდ განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებას. კერძოდ, მისი ეპისტემოლოგიური კომპეტენცია (ცოდნა) სოციუმთან მიმართებით სრულყოფილი გახდა. განმცდელი ავტობიოგრაფი აცნობიერებს, რომ ქართველი სტუდენტების განცხადებული მიზნები და რეალური ქმედებები ერთმანეთის შესატყვისი არაა. თავის მხრივ, აღნიშნული გამოცდილების შექმნა განმცდელ ავტობიოგრაფს არწმუნებს, რომ ამ სოციუმში მისი მიზნებისა და მისწრაფებების განხორციელება შეუძლებელია. ქართველი სტუდენტობის დატოვებით იგი კვლავ თავისი ვალდებულების (სამშობლოსადმი მსახურების) ერთგული რჩება, განმცდელი ავტობიოგრაფი ფიქრობს, რომ მათთან დარჩენით ის დროს კარგავს, აცნობიერებს, რომ სამშობლოს მსახურების სხვა ფორმა უნდა მოძებნოს.

დასკვნის სახით უნდა დაზუსტდეს, რომ მოცემული დიაგრამის მიხედვით, არათავსებადია არა აქტუალური სამყარო (უნივერსიტეტში სწავლა) და განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერება (შინაგანი სამყარო), არამედ პრინციპულად შეუთავსებელია ერთმანეთთან განმცდელი ავტობიოგრაფისა და ქართველი სტუდენტობის შინაგანი სამყაროები. აღნიშნული ასპექტი მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მისი აზრით, განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებას ხელი შეუშალა, პირველ რიგში, მის გარშემო მყოფმა ადამიანებმა. ტრაგიკულია ის, რომ აქტუალური სამყარო განმცდელი ავტობიოგრაფის მიზნის მისაღწევად (სამშობლოსადმი ეპოქის გამოწვევების შესაბამისი სამსახურის გაწევა) ოპტიმალურ პირობებს იძლეოდა, ამ შესაძლებლობას კი მას მისი თანამემამულენი ართმევდნენ.

## 2.9. საქართველოში დაბრუნება - განმცდელი ავტობიოგრაფის მისწრაფებები და აქტუალური კონტექსტი

ბოლო მონაკვეთის ანალიზისას მკვლევარი/მკითხველი კვლავ იმ გამოწვევის წინაშე დგას, რომ ქრონოლოგიურად დალაგებული ბიოგრაფიული მონაცემების მიღმა მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირების კანონზომიერებები დაადგინოს, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების განვითარების უწყვეტი პროცესი დაინახოს. ქრონოლოგიური თანმიმდევრულობის გარდა, აღნიშნული დაბრკოლების დაძლევა მკვლევრისათვის ფაქტუალური ავტობიოგრაფის სკრიპტის კიდევ ერთი მახასიათებელი ართულებს: მთხრობელი პერიოდულად ცდილობს, მკითხველთან ექსპლიციტური კომუნიკაცია დაამყაროს (“ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ აქ ჩემს შინაურობაზე ამდენს ვწერ”). ამგვარი მიმართვები ავტობიოგრაფის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ავთენტურობის ილუზიას ქმნის<sup>88</sup>. მკითხველზე ასეთი შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი ავტობიოგრაფიულ ჟანრთან დაკავშირებით მხოლოდ საზოგადოების მოლოდინს აჩვენებს, რეალურად კი ავტობიოგრაფიული ტექსტის შექმნის მთავარი დანიშნულება ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებების დაკმაყოფილებაა. შესაბამისად, ტექსტის სწორი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია, მკვლევარმა მთხრობელი ავტობიოგრაფის მსგავსი კომენტარები არასაიმედოდ მიიჩნიოს, კონკრეტული ბიოგრაფიული დეტალის შერჩევა და მისი განსახოვნების სტრატეგია კი მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირებას უნდა დაუკავშიროს.

თავის მხრივ, კონკრეტული ეპიზოდის მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობასთან დაკავშირება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა მკვლევარი/მკითხველი ცალკეულ ეპიზოდს განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების პროცესში ლოგიკურ ადგილს მოუძებნის. თუ განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების (პიროვნული განვითარების) განგრძობითობა ვერ დგინდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მთხრობელ ავტობიოგრაფს იდენტობის კრიზისი აქვს. მე-19 საუკუნის ქართველ

---

<sup>88</sup> თხრობის ავთენტურობის მტკიცება ფაქტუალური ავტობიოგრაფიის სკრიპტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

მოღვაწეთა ავტობიოგრაფიულ ტექსტებში იდენტობის ამგვარი კრიზისი წარმოუდგენელია (რაც მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება, მაგალითად, ჭოლა ლომთათიძის პროზაში); შესაბამისად, მოსალოდენელია, რომ აკაკი წერეთლის “ჩემი თავგადასავლის” ბოლო მონაკვეთი წინა სამს ლოგიკურად უნდა ებმოდეს, მათთან ერთად მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნქციონირებას კოჰერენტულობას უნდა ანიჭებდეს. მომდევნო მსჯელობით ტექსტის ბოლო მონაკვეთის სწორედ ეს ასპექტი იქნება გაანალიზებული.

პეტერბურგში სწავლის დასრულებისთანავე განმცდელი ავტობიოგრაფი მოსკოვში გადადის, სადაც, როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, მაშინათვე ოჯახდება. საკუთარი ცხოვრების ამ მონაკვეთის აღწერის მოტივს მთხრობელი ავტობიოგრაფი ასე განმარტავს:

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ აქ ჩემ შინაურობაზე ამდენს ვლაპარაკობ, მაგრამ იძულებული ვარ: ჩემმა მტრებმა და მათმა ამყობებმა, სხვა რომ ვეღარა მოახერხეს-რა [sic] დაჰყარეს ხმა, რომ აკაკიმ ცოლის მზითევი მილიონები აიღო და გაფლანგაო! მაშინ როდესაც თვალთ არა მინახავს რა. ეს ცილისწამება დრესაც ბევრს მართალი ჰგონია ჩვენში და სიკვდილის შემდეგ სხვების საგულისხმოდ არ მინდა სიმართლის დაკარგვა და მიტომ ვამბობ. (წერეთელი 2015, 88).

დამოწმებული ციტატის მიხედვით, მთხრობელმა ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის დაქორწინების ამბავს იხსენებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გავრცელებული ცილისწამება გააქარწყლოს. უნდა დაისვას კითხვა - რამდენად დამაჯერებელია მთხრობელი ავტობიოგრაფის ეს კომენტარი?

გიმნაზიაში სწავლის პერიოდის ანალიზისას აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი სამყარო ფორმირებული ჩანს, ინტრა- და ინტერმენტალური პროცესების თანაფარდობა შეცვლილია ინტრამენტალური პროცესების სასარგებლოდ, განმცდელი ავტობიოგრაფის გეგმების ფორმირება მთლიანად პიროვნული მისწრაფებით მოტივირებული ჩანს. განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი სამყაროს დომინანტური მოდალური ოპერატორი გახდა სამშობლოსადმი მსახურება, რომელიც, თავის მხრივ, განმცდელი ავტობიოგრაფის

თანდაყოლილ მისწრაფებას (განვითარებისაკენ სწრაფვას) შეერწყა. ამ ეტაპიდან მოყოლებული მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის წარმოუდგენელი ჩანს განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარება, თუ მას სამშობლოსადმი მსახურების საშუალება არ მიეცემა. ამასთან, მისთვის სამშობლოს ნაწილია ქართული საზოგადოება, სწორედ ამის გამოა მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის თანამემამულეთა ცილისწამება ასეთი მტკივნეული. ქართველებისაგან განმცდელი ავტობიოგრაფის მისწრაფებების, ზოგადად, მისი პიროვნების არასწორი აღქმა განმცდელ ავტობიოგრაფს არ აძლევს საშუალებას, ბავშვური გულწრფელობით განსაზღვრულ მიზანს (სამშობლოს მსახურებას) მიაღწიოს. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება მისი ავტობიოგრაფიული მეს ფორმირების ნაწილია, ანუ აღნიშნული კომენტარი მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიურ საჭიროებას აჩვენებს და არა - საზოგადოების დაკვეთას, რომელიც ტექსტის შექმნას საფუძვლად შეიძლება დასდებოდეს.

განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების დინამიკასთან საანალიზო ეპიზოდის მისასადაგებლად გასათვალისწინებელია დამატებითი გარემოებებიც: განმცდელი ავტობიოგრაფის დაოჯახების ისტორიის აღწერისას ერთადერთი აქცენტი მეუღლის მზითვის დაკარგვაზე არაა გაკეთებული. მთხრობელი ავტობიოგრაფი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძვლებზე - თემატიზებულია, რომ ცოლის შერთვისა თუ მეუღლის მემკვიდროების გადაბარებისას განმცდელი ავტობიოგრაფი **ბავშვური გულუბრყვილობითა და გულწრფელობით** მოქმედებდა. რატომაა ეს ასპექტი განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების დინამიკის განხილვისას საყურადღებო? საანალიზო ეპიზოდი, როგორც უკვე აღინიშნა, უშუალოდ ებმის პეტერბურგში გატარებული სტუდენტობის წლების აღწერას, მისი იმედგაცრუების დეკლარირებას – ქართველ სტუდენტობასთან მიმართებით განმცდელი ავტობიოგრაფის მოლოდინი არ გამართლდა: მისთვის ცხადი გახდა, რომ ქართველ სტუდენტობას სამშობლოს მსახურება არ აინტერესებდა. თანამემამულეთაგან გარიყვა და მარგინალიზება ელოდა განმცდელ

ავტობიოგრაფს საქართველოში დაბრუნების შემდეგაც.<sup>89</sup> აქედან გამომდინარე, მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის დაოჯახების აღწერისას ცდილობს, აჩვენოს, რომ თანამემამულეთ მისი არ ესმოდათ, არასწორად აღიქვამდნენ მის პიროვნებას: მაშინ, როცა განმცდელ ავტობიოგრაფს შეთქმულებას, ანგარებას, ამბიცურობას აბრალებდნენ, მისი რეალური შინაგანი მდგომარეობა აბსოლუტურად განსხვავებული იყო - ის ბავშვივით გულუბრყვილო და მიამიტი რჩებოდა. ამ კონტრასტის შექმნით მთხრობელი ავტობიოგრაფი საკუთარ გულისტკივილს გამოხატავს: თანამემამულენი მის ნამდვილ მისწრაფებებს ვერ ხედავდნენ და შესაბამისად, განმცდელი ავტობიოგრაფის მიზანს განხორციელების საშუალებას არ აძლევდნენ.

*ჩემს თავგადასავალში* მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის მთავარ მახასიათებელს ქმნის სინანული იმის გამო, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ნიჭი ვერ განხორციელდა. აღნიშნული გარემოების თავალისწინებით, განმარტებას საჭიროებს ტექსტის ბოლოს მოცემული მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარი:

იმ გაკერპებულ წინსვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ, რადგანაც ღმერთმა იმდენ ხანს მაცოცხლა, რომ, რასაც მაშინ ვფიქრობდი, ასრულდა და მტრები მოყვარედ გადამექცნენ, არას ვიტყვი აღარც ჩემ თავზე და აღარც მათზე. დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივისცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოსი! ...მართალია მტრები დღესაც მყავს, მაგრამ უმეტესობაზე ვამბობ და ღრმა მოხუცი სამარისაკენ მივდივარ ჩემის სამშობლოს ლოცვ-კურთხევით (წერეთელი 2015, 91).

დამოწმებული ციტატის მიხედვით, მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობას წერის მომენტში არაფერი უქმნის საფრთხეს, მისი მისწრაფებები რეალიზებული ჩანს, მწერლის შინაგანი სამყარო ეთავსება აქტუალურს. შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა: მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივას სინანული რატომ ქმნის?

---

<sup>89</sup> მკითხველისათვის ამ მოლოდინს ქმნის ტექსტის მომდევნო მონაკვეთში მთხრობელი ავტობიოგრაფის ნარატივი: ის წუხს, რომ თანამემამულენი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც უსამართლოდ ექცეოდნენ.

მართალია, სიბერეში მოხუცი მთხრობელი ავტობიოგრაფის მიზნების განხორციელებას არაფერი უშლის ხელს, თუმცა მისი ცხოვრების იმ პერიოდში (ბავშვობისას, ახალგაზრდობისას), როცა მისი ნიჭის გასამრავლებლად საუკეთესო პერიოდი იდგა, განმცდელ ავტობიოგრაფს გარშემო მყოფმა სოციუმმა განვითარების საშუალება არ მისცა. ამდენად, მკითხველმა უნდა დაასკვნას, რომ მთხრობელმა ავტობიოგრაფმა აღწერა თავისი ცხოვრების მხოლოდ ის პერიოდი, რომელიც მის ცნობიერებაში სინანულის საფუძველს იძლეოდა. როგორც მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, ცხოვრების შემდეგ ეტაპზეც ჰყავდა მტრები, მაგრამ მათ არ შესწევდათ ძალა, მთხრობელი ავტობიოგრაფი სამშობლოს მსახურებისათვის ჩამოეცილებინათ. შესაბამისად, ავტობიოგრაფიული თხრობაც ამ ეტაპზე წყდება. ამ დროიდან მოყოლებული, მთხრობელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები იყო შექმნილი - ის თავის ხალხს უყვარდა და მას სამშობლოსადმი მსახურების საშუალება ეძლეოდა. „ჩემი თავგადასავალი“ პასუხია მოხუცი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში დასმულ მთავარ ჰომეოსტაზიურ კითხვაზე - მოვახერხე კი პიროვნული რეალიზება, ავითვისე კი სათანადოდ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის მოცემული დრო?

### III თავი. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფია

#### 3.1. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივა

მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, მისი ჰომეოსტაზიური საჭიროებების დადგენას გულისხმობს: განმცდელ ავტობიოგრაფთან მიმართებით მთხრობელი ავტობიოგრაფი იხსენებს მხოლოდ იმას, რაც მისი იდენტობის სტაბილურობას უზრუნველყოფს. საანალიზო ტექსტში ამ თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაცია მოცემულია ტექსტის **დასაწყისსა და ბოლოში**.

როცა ავტობიოგრაფი საკუთარი განვლილი ცხოვრების ნარატიულ მოდელს ქმნის, მოხუცია. ამ დროს მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს შეკითხვას - იცხოვრა კი მან ღირებულად? მთხრობელი ავტობიოგრაფის ხანდაზმულობა, თავისთავად ცხადია, ავტომატურად ამგვარი ეგზისტენციალური კითხვების წარმოშობის საფუძველი ვერ იქნებოდა, მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესები თავად მთხრობლის **კომენტარებითაა** დაზუსტებული. ამასთან, ტექსტში განსახილველი განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების პროცესი კიდევ უფრო გასაგებს ხდის მისი შფოთვის საფუძველებს.<sup>90</sup> სწორედ ამ ორი

---

<sup>90</sup> მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ადამიანის სიცოცხლეს, ერთი მხრივ, განვითარების ვრცელი დიაპაზონი აქვს და მეორე მხრივ, აღნიშნული დიაპაზონის დანახვასა და მის ათვისებას ცხოვრებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება სჭირდება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ეს დიაპაზონი მაინც და მაინც საზოგადოებრივ ასპარეზზე ადამიანის გარჯას არ უკავშირდება. უფრო მეტიც, მარიამისათვის ის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან პიროვნული ურთიერთობის ისტორიის შექმნას გულისხმობს. ეს ისტორია წარმოადგენს ავტობიოგრაფის ცხოვრებას, მას ეფუძნება მისი იდენტობა. შემოქმედებითი ცხოვრების შექმნა ავტობიოგრაფისათვის ფილოსოფიური განსჯის საგანი არაა, ის მისი **იდენტობის/ავტობიოგრაფიული მეს** განმსაზღვრელია. ამდენად, ყველაფერი, რაც ამგვარი ცხოვრების შექმნას ხელს უწყობს, მის ცნობიერებაში დადებითი ემოციების წარმოშობის საფუძველი ხდება და პირუკუ: რაც მას ეწინააღმდეგება, განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური რეგულატორისათვის განგაშის ატეხის საფუძველს ქმნის. განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის ამ თავისებურების გათვალისწინებით,

ტიპის ტექსტობრივი მონაცემის საფუძველზეა შესაძლებელი მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის განსაზღვრა. წინამდებარე ქვეთავში მხოლოდ მთხრობლის კომენტარები იქნება განხილული. განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარება მომდევნო ქვეთავში გაანალიზდება.

მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებები სიცოცხლის მიწურულს წარმოშობილ ეგზისტენციალურ გამოწვევას უკავშირდება. ამდენად, უნდა დაისვას კითხვა - რატომ/ვის წინაშე გრძნობს მთხრობელი ავტობიოგრაფი თავს ანგარიშვალდებულად? მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიული ტექსტი სეკულარულია, მასში განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების ინდივიდუალური მოდელია ნაჩვენები, ავტობიოგრაფი პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე გრძნობს.

მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. შემოქმედებითი ცხოვრების საფუძველზე მთხრობელ ავტობიოგრაფს მდიდარი გამოცდილება ჰქონდა, თუმცა, როგორც ჩანს, მოხუცებულობისას, რომელსაც ავადმყოფობაც ერთვოდა, მეხსიერებაში დალექილი გამოცდილების ამსახველი კოგნიტური ხატების (მოგონებების) არავერბალური გაერთიანება, მათ საფუძველზე *ავტობიოგრაფიული მეს* რეკონსტრუირება რთული იყო; ამიტომ საკუთარი ცხოვრების, უფრო სწორად, ავტობიოგრაფიული *მეს* ნარატიული მოდელის შექმნა, ასაკოვანი და ავადმყოფი ავტობიოგრაფისათვის ერთგვარი **კოგნიტური ყავარჯნის** ფუნქციას ასრულებდა: „ვინ იცის რამდენჯერ გადავდე და მერე ისევ ავიღე ხელში ეს რვეული, ჩემთვის ნამდვილ მეგობრად ქცეული. ახლაც ასე მგონია, ერთი საუკუნეა გასული მას აქეთ, რაც ჩემი რვეული უკანასკნელად ვნახე - მეთქი”. (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 105). მთხრობელი ავტობიოგრაფის კომენტარების ანალიზისას

---

გასაგები ხდება, მოხუცი ავტობიოგრაფი საკუთარ თავს ეგზისტენციალურ შეკითხვას რატომ უსვამს. მას ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდში (პერიოდებში) გამოცდილი აქვს, რამდენად ღირებული, საინტერესოა საკუთარი ცხოვრების შექმნა. მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის ადამიანურად მნიშვნელოვანი იყო დარწმუნებულიყო, რომ ამხელა შესაძლებელობების ფონზე მისმა ცხოვრებამ მთლიანობაში ფუჭად რომ არ ჩაიარა.

გასათვალისწინებელია, რომ ისინი ხშირად არასაიმედოა. საკუთარ ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების არასწორად შეფასების მიზეზების დადგენა, თავის მხრივ, მკითხველს ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ანალიზისას მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური გამოწვევების შესახებ დამატებით ინფორმაციას აწვდის. ეს გარემოება მარიამის ავტობიოგრაფიული ტექსტის გააზრებისასაც გასათვალისწინებელია.<sup>91</sup>

მთხრობელი ავტობიოგრაფის ერთ-ერთი კომენტარის მიხედვით, საანალიზო ტექსტი ავტობიოგრაფიული პრაქტიკის საწარმოებლად არ იყო ჩაფიქრებული. მთხრობელი ავტობიოგრაფის ეს მითითება განმარტებას საჭიროებს, ტექსტის დანარჩენი მონაცემების მიხედვით უნდა დადგინდეს, რამდენად სანდოა ის:

*ავად ვარ, ვწევარ და როცა მარტო ვრჩები, ათასი მოგონება იღვიძებს ჩემს თავში. როცა წერა დავიწყე ამ რვეულში, რომელსაც არც თავი აქვს და აღარც ბოლო, აზრად მქონდა: მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ამბები აღმენიშნა, რომელთა მოწმე მე ვიყავ, მაგრამ ახლა ვატყობ, რომ ზოგჯერ წერას გავუტაცნივარ და მე თვითონ არ შემიმჩნევია, ისე გადამიტანია ქალაქზე ჩემის გულის ნაფიქრ-ნააზრების ნამეტნობა. (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 105)*

საანალიზო ტექსტზე დაკვირვება აჩვენებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების განსახოვნებისას თანამედროვეთა ფაქტორი არაა არსებითი. განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური გამოწვევები საზოგადოებრივ პროცესებზე არასდროს ყოფილა დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ პროცესებს არ შესწევდა ძალა, განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის კრიზისი გამოეწვია. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, მკითხველს არ აქვს საფუძველი, იფიქროს, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი საზოგადოებრივ აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. წარმოდგენილი შეფასება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტუალური საზოგადოებაში გავრცელებულ კონვენციურ გაგებას აირეკლავს, რომელიც ავტობიოგრაფიული ტექსტის

---

<sup>91</sup> დანიელ შაქტერი მიიჩნევს, რომ მეხსიერების ფუნქციონირების კანონზომიერებები დაქვემდებარებულია ადამიანის (მისი იდენტობის) აწმყო საჭიროებებს; შესაბამისად, ავტობიოგრაფიულად იგულისხმება, რომ გახსენებული ინფორმაცია იცვლება. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში შექმნილი ეს ფუნდამენტური განსაზღვრება ავტობიოგრაფიული ტექსტის ანალიზის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველსაც ქმნის: თუ მკითხველი დაადგენს მთხრობელი ავტობიოგრაფის არასაიმედო თხრობის საფუძველს, მას შეეძლება განსაზღვოს ამავე პიროვნების (მთხრობელი ავტობიოგრაფის) თხრობის პერსპექტივა.

შექმნის მოტივის უკავშირდება, მისი შინაარსი კი ასეთია: პიროვნებისაგან ავტობიოგრაფიული ჩანაწერების გაკეთება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში ისტორიული რეალობაა აღწერილი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორია (იხ. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის თავი) წარმოაჩენს, რომ ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების რეალური საფუძველი ადამიანის ჰომეოსტაზიური საჭიროებებია; სხვაგვარად რომ ითქვას, *ავტობიოგრაფიული მეს ნარატიული მოდელის შექმნა* ადამიანის ფსიქოლოგიური სტაბილურობისათვისაა აუცილებელი.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიულ ტექსტში არაერთი ინფორმაციაა მოცემული იმასთან დაკავშირებით, რომ განმცდელ ავტობიოგრაფს ავტობიოგრაფიული პრაქტიკის (იდენტობის წრთობის) წარმოების გამოცდილება აქვს. ამ ტიპის მენტალური აქტივობა მხოლოდ და მხოლოდ მის პიროვნულ საჭიროებებს უკავშირდება და არამც და არამც საზოგადოებრივი ვალის მოხდას (ისტორიული ინფორმაციის საკუთარი ბიოგრაფიული დეტალებით შევსებას) არ გულისხმობს. განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების განსახოვნებისას მთხრობელი ავტობიოგრაფი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამგვარი პრაქტიკის წარმოება განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. ავტობიოგრაფიული პრაქტიკის მნიშვნელობის თემატიზება მიანიშნებს, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის *ავტობიოგრაფიული მეს* კონსტრუირება აქტუალურია, ჰომეოსტაზიურ საჭიროებას ქმნის; შესაბამისად, არასაიმედოა მის მიერ ექსპლიციტურად წარმოდგენილი წერის დაწყების მოტივი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერების წარმოება მას შემთხვევით არ დაუწყია. საანალიზო ტექსტის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების განუყოფელი ნაწილი იყო ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოება, მთხრობელი ავტობიოგრაფი აზუსტებს, რომ ერთი წლის განმავლობაში განმცდელ ავტობიოგრაფს ჯერ დედა გარდაეცვლება, შემდეგ კი – ბიძაშვილი, დარიკო. ამ დროიდან მოყოლებული უბედური შემთხვევები თითქოს მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. ასეთ ვითარებაში განმცდელ ავტობიოგრაფს შინაგან მოთხოვნილებად ექცევა საკუთარ თავთან მარტო დარჩენა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერების წარმოება:

ამის შემდეგ ჩვეულებად გადამექცა სადამოკებით სახლში ვმჯდარიყავ და ქალაქზე აღმნიშნა ჩემი შთაბეჭდილებები და ეს ჩემს თავთან ბაასის მასალად გამეხადნა. შემდეგში ეს ჩანაწერები, სადაც ჩემი პირადი ცხოვრება მქონდა აღწერილი, დავხიე. კიტამ მისაყვედურა: "რაც უნდა უმნიშვნელო იყოს მოგონება, შეუძლებელია შიგ საინტერესო არ ერიოსო (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 103).

საანალიზო ტექსტის სხვადასხვა დეტალი აჩვენებს, რომ წერილობით ავტობიოგრაფიულ პრაქტიკას განმცდელი ავტობიოგრაფი პირადი, ჰომეოსტაზიური საჭიროებებისათვის აწარმოებს. იმავე მიზნით უნდა იყოს მოტივირებული მთლიანი ავტობიოგრაფიული ტექსტის შექმნაც - მან მოხუცი მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის კოგნიტური ყავარჯნის ფუნქცია უნდა შეასრულოს, რაც იმავდროულად მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივად უნდა შეფასდეს. აღიშნული პერსპექტივა კი ტექსტში აღწერილი ბიოგრაფიული მონაცემების საინტერპრეტაციო ჩარჩოს ქმნის.

### **3.2. განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიცია - ოჯახური ისტორია**

საანალიზო ტექსტი იწყება განმცდელი ავტობიოგრაფის ოჯახის ისტორიის აღწერით. უფრო ზუსტად, მთხრობელი ავტობიოგრაფი თეკლე ბატონიშვილისა და მისი ვაჟის, ვახტანგ ორბელიანის (მთხრობელი ავტობიოგრაფის მამის), შესახებ ინფორმაციას წარმოადგენს. ფაქტუალური ავტობიოგრაფიის სკრიპტის გათვალისწინებით, მკითხველისათვის ამ ფაქტში არაჩვეულებრივი არაფერია - ავტობიოგრაფი, როგორც წესი, საკუთარი ცხოვრების ნაწილად მიიჩნევს მშობლებთან გატარებულ წლებს. მშობლების შესახებ ვრცლად მოუთხრობს მკითხველს აკაკი წერეთელიც (იხ. წინა თავი). გარეგნული მსგავსების მიუხედავად, წინამდებარე სადისერტაციო კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ერთი და იგივე ბიოგრაფიული დეტალი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს ამა თუ იმ ავტობიოგრაფიულ ნარატივში. შესაბამისად, მომდევნო მსჯელობით უნდა

განისაზღვროს, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ტექსტში მთხრობელი ავტობიოგრაფის მენტალურ რუკაზე ბეზიასა და მამასთან დაკავშირებული ინფორმაცია რა ტიპის მენტალურ ხატებადაა კლასიფიცირებული.

ლიტერატურისმცოდნეობითი პერსპექტივიდან ფორმულირებული მიზნის მისაღწევად ორი გარემოება უნდა დადგინდეს: ა) მთხრობელი ავტობიოგრაფი დასახელებული პერსონაჟების (ბეზიას და მამის) როგორ ხასიათებს ქმნის და რა ნარატიულ სტრატეგიებს ირჩევს საამისოდ. ბ) უნდა გაირკვეს ისიც, მიღებულ დასკვნებს რა მნიშვნელობა აქვს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუქციონირების კოჰერენტული ანალიზისათვის.<sup>92</sup>

ა) ბეზიასთან, თეკლე ბატონიშვილთან, დაკავშირებით მთხრობლის მიერ ინფორმაცია, ძირითადად, ქრონოლოგიის დაცვითაა მოწოდებული - თეკლე ბატონიშვილის ცხოვრება აღწერილია ბავშვების აღზრდიდან მოყოლებული თეკლეს გარდაცვალებამდე. აქვე დასაზუსტებელია ერთი გარემოება: თეკლეს პიროვნება ვახტანგ ორბელიანთან (ავტობიოგრაფის მამასთან) ურთიერთობის კონტექსტშია ნაჩვენები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის მას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. რის საფუძველზე შეიძლება ამგვარი დასკვნის გამოტანა?

1. ტექსტის საანალიზო მონაკვეთში (თეკლე ბატონიშვილის მიერ შვილის აღზრდა) განსახოვნებულია თეკლეს პიროვნების/თეკლეს ცნობიერების დინამიკურობა; წამოწეულია თეკლე ბატონიშვილის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესები. ვახტანგ ორბელიანის მენტალურ პროცესებს კი მთხრობელი მხოლოდ იმისთვის აღწერს, რომ აჩვენოს დედა-შვილს შორის არსებული პიროვნული მსგავსება. მამის

---

<sup>92</sup> თუ საანალიზო ავტობიოგრაფიულ ტექსტში ვერ ხერხდება კოჰერენტული ავტობიოგრაფიული პრაქტიკის დადგენა, ეს იმას ნიშნავს, რომ განსახოვნებულია ავტობიოგრაფის იდენტობის კრიზისი ან ტექსტში წარმოდგენილია მთხრობლის ტრავმული ცნობიერება. იდენტობის ამგვარი კრიზისი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს არ ახასიათებს, ამიტომ მეთოდოლოგიურად ტექსტის სწორი ანალიზისათვის აუცილებელია წარმოდგენილი ბიოგრაფიული დეტალების სემანტიკური გაერთიანება, ანუ ავტობიოგრაფის იდენტობის/ავტობიოგრაფიული მეს კოჰერენტული მოდელის ჩვენება.

შესახებ თხრობას საგანგებოდ მთხრობელი ტექსტის მომდევნო მონაკვეთში უბრუნდება. ტექსტის საანალიზო მონაკვეთი ბებია თეკლეს პიროვნების (პერსონაჟის) შექმნას ეძღვნება. მამა მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფუნდამენტურ საყრდენს წარმოადგენს, ამიტომ მის შესახებ მთხრობელი ავტობიოგრაფი ტექსტის სხვა მონაკვეთებშიც წერს.

2. თეკლე ბატონიშვილის განსახოვნებული შინაგანი სამყარო თვისებრივ მსგავსებას ავლენს მთხრობელი ავტობიოგრაფის ცნობიერებასთან: ორივესთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა შინაგანი სწრაფვა განვითარებისაკენ, ორივე მიისწრაფოდა, სიცოცხლის მრავალფეროვნება/შესაძლებლობები აეთვისებინა და საკუთარი უნიკალური ცხოვრება შეექმნა. მთხრობელი ბებიასადმი განსაკუთრებულ სიყვარულს კომენტარითაც წარმოადგენს ტექსტში - *თეკლე ბებიას პიროვნება ჩემთვის რაღაცა არაჩვეულებრივი შარავანდედით იყო მოსილი* (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 67). აღნიშნული გარემოებები აჩვენებს, რომ ბებია თეკლეს შესახებ ხსოვნა (მენტალური ხატები) მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის ნაწილია.

როგორც უკვე აღინიშნა, მთხრობელი ავტობიოგრაფი ტექსტში ბებია თეკლეს ცნობიერების ფუნქციონირების დინამიკურობას წარმოაჩენს. ეს იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟის (თეკლეს) ქცევა, მისი მენტალური პროცესების ამსახველი მთხრობლის პროტოკოლები ფრაგმენტული არაა, ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს; სხვაგვარად, ტექსტში განსახოვნებულია თეკლეს ცნობიერების განგრძობითობა, რომელიც, თავის მხრივ, ტექსტში განსახოვნებული განმცდელი ავტობიოგრაფის მოქმედებებისათვის დისპოზიციას ქმნის.

ბებიის შესახებ თხრობას ავტობიოგრაფი ასე იწყებს: *”ბატონიშვილი თეკლე მის სამივე ვაჟიშვილს ძლიერ უყვარდათ და თანაც მათ მისი უმინოდათ. ბებიის სიტყვა მათთვის კანონი ყოფილა”* (იქვე 63). გამუქებული სიტყვები მთხრობლის პროტოკოლია, იგი აღწერს თეკლე ბატონიშვილისადმი შვილების დამოკიდებულებას. შვილების მენტალური პროცესის ჩვენებით კი მთხრობელი თეკლეს შინაგან სამყაროს ახასიათებს: ის იყო მოსიყვარულე და იმავდროულად მკაცრი ადამიანი. თეკლეს ეს ორი თვისება

მთხრობლისათვის პერსონაჟის შინაგანი სამყაროს **დიაპაზონზე** მიმანიშნებელია.<sup>93</sup> ბეზიას შინაგანი სამყაროს მასშტაბურობა და სიცოცხლის სიყვარული იყო ის, რაც მთხრობელ ავტობიოგრაფს თეკლესადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას უჩენდა. მეორე ბეზიასაც, მისი თქმით, მრავალი ღირსება ჰქონდა, თუმცა თეკლეში ის რაღაც განსხვავებულს ხედავდა: “მე მეორე ბეზიაც მყვადა - დედის დედა, კეთილი, მოსიყვარულე და სიბერეშიაც იშვიათი სილამაზისა იყო, იგიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ თეკლე ბეზიას პიროვნება ჩემთვის რაღაცა არაჩვეულებრივი შარავანდედით იყო მოსილი და რატომღაც მეორე ბეზია არ მიზიდავდა ძალიან” (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 67).

**ზმნა - მიზიდავდა** - იდენტობისათვის რელევანტურს უნდა ნიშნავდეს, თეკლს პიროვნება მისთვის ახლობელია. მომდევნო მსჯელობით წარმოჩინდება, როგორ განავრცობს მთხრობელი თეკლეს შინაგანი სამყაროს მასშტაბურობის შესახებ მკითხველის წარმოდგენას. არგუმენტების ნაწილი კი თეკლეს მენტალური პროცესების განგრძობითობის ჩვენებას დაეთმობა.

1825 წელს ბეზიაჩემს მამა პაჟების კორპუსში გაუსტუმრებია სასწავლებლად, ვინაიდან იმ ხანად პეტერბურგის პაჟთა კორპუსი საუკეთესო სასწავლებელი იყო. მამა ტყუპის ცალი ყოფილა, თანაც სუსტი და ნაზი, რის გამოც დედამისი შვილს ზედ დაჰკანკალებდა და მისი გაგზავნა ცივ რუსეთში გულს უკლავდა, თვითონ ბავშვის მწუხარებასაც საზღვარი არა ჰქონია (იქვე 103).

როგორც უკვე აღინიშნა, მთხრობელ ავტობიოგრაფს თეკლეს პიროვნების **კონსტრუირებისას**<sup>94</sup> ცნობიერების მასშტაბურობის ჩვენების პარალელურად თეკლეს

---

<sup>93</sup> მოცემულ შემთხვევაში, პერსონაჟის შინაგანი სამყაროს/ცნობიერების მასშტაბურობა იმაზე მიმანიშნებელია, რომ მისი იდენტობა კომპლექსურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდენტობისათვის რელევანტურ კითხვებზე (ვინ ვარ, რა მინდა, რაა ჩემთვის წარმატების მომტანი, რას უკავშირდება საფრთხე) ცნობიერებაში პასუხები სწორხაზოვნად არ განისაზღვრება. გარეგნული ნიშნის მიხედვით მსგავსი მოვლენა ხან საფრთხეს მოასწავებს და ხან კიდევ წარმატების საწინდარია.

<sup>94</sup> შაქტერის მითითების მიხედვით, გახსენების აქტი მოვლენათა კონსტრუირებას გულისხმობს, ის ინფორმაციის მექანიკურ გამოხმობას გამორიცხავს (შაქტერი 1996) საანალიზო ტექსტში წარმოდგენილია მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის იდენტობისათვის რელევანტური თეკლე ბატონიშვილის სახე, მარიამის

ცნობიერების ფუნქციონირების განგრძობითობის განსახიზვნებაც აინტერესებს. ამ თვალსაზრისით დამოწმებული ტექსტიდან გასათვალისწინებელია თეკლეს ქმედების **მოტივი და შემართება**: მან პეტერბურგში შვილი გაგზავნა, რადგან იმ დროს უკეთესი არჩევანი არ არსებობდა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება თეკლესათვის ადვილი არ იყო (შვილს ზედ დაჰკანკალებდა), თუმცა მიზნის მიღწევის სურვილი იმდენად დიდი იყო, უკან არ დაუხევია. უნდა დაისვას კითხვა: რატომ სურდა თეკლეს, რომ შვილს საუკეთესო განათლება მიეღო? პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივი უნდა იყოს - თეკლეს, ისევე როგორც ნებისმიერ დედას, სურდა შვილის წარმატება. თეკლეს ქმედების მოტივის ამგვარად განსაზღვრის შემთხვევაში, მისი თავდადება ან მხოლოდ დედური ინსტინქტის სიძლიერით უნდა აიხსნას, ან მის ამბიციურობას უნდა მიეწეროს - თეკლესთვის წარმოუდგენელი იყო, რომ მისი შთამომავალი გამორჩეული არ ყოფილიყო.<sup>95</sup>

წინამდებარე დისერტაციაში განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, ფაქტუალური ავტობიოგრაფიული ტექსტი ისტორიული წყაროს არ წარმოადგენს; ის მხატვრული ტექსტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში მოვლენეთა ფაქტობრივი სიზუსტე არაა მნიშვნელოვანი, ფაქტუალურ ავტობიოგრაფიაში კონსტრუირებულია **ისტორიული პირის იდენტობა/ავტობიოგრაფიული მე. ავტობიოგრაფიული მეს** ფორმირება ობიექტური ვერასდროს იქნება, ის ყოველთვის ადამიანის ინდივიდუალურ საჭიროებებსა დაქვემდებარებული, ავტობიოგრაფიულ ტექსტში პიროვნების ინდივიდუალური გამოცდილებაა განსახიზვნებული.

აღნიშნული თეორიული დებულების საფუძველზე, თეკლეს ქმედების (პეტერბურგში შვილის გაგზავნა სასწავლებლად) რეალური მოტივი მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ტექსტობრივი მასალის წარმოდგენამდე

---

ავტობიოგრაფია ბატონიშვილის შესახებ მშრალ ისტორიულ ცნობებს არ შეიცავს, თეკლეს შესახებ მოცემული ინფორმაცია ავტობიოგრაფიული ნარატივის ნაწილია.

<sup>95</sup> გასათვალისწინებელია, რომ *გამორჩეულობა* თავად მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობისათვის მნიშვნელოვანი არაა; იგი ჩართული იყო საზოგადოებრივ საქმეებში, თუმცა ეს მისთვის პირველხარისხოვანი არასდროს ყოფილა. ამგვარი ინტერესების გათვალისწინებით, ლოგიკური უნდა იყოს, რომ თეკლეს პორტრეტის კონსტრუირებისას თეკლეს ამბიციურობა არაა მისთვის ღირებული.

წინასწარ შეიძლება აღინიშნოს, რომ თეკლეს შვილზე ზრუნვისას მხოლოდ დედობრივი ინსტინქტი არ ამოდრავებს და არც ამბიციურია. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან მის ქმედებას ბევრად სერიოზული საფუძვლები აქვს - თეკლე ბატონიშვილი ფიქრობს, ადამიანი არ შეიძლება პასიური იყოს, დასანანია, ადამიანმა ამქვეყნიური ცხოვრება პიროვნული განვითარებისათვის ვერ გამოიყენოს. ამგვარი დანაკარგისათვის არ ემეტება არც საკუთარი შვილის სიცოცხლე, ამიტომაც დიდი ტკივილის მიუხედავად, უშვებს მას რუსეთში.

*იმპ/ალექსანდრე პირველის დასაფლავების დროს (1825წ.) პაყებს და მათ შორის მამაჩემსაც (ყველაზე პატარას თავის კლასში) რეგალიები მიჰქონებიათ. დიდი ყინვა ყოფილა. მამაჩემს თავისი ცხვირსახოცი, რომლის ერთ კუთხეში თავისი ორი გასაღები იყო შებმული, ქუდექვეშ ამოუდვია. სიარულში გასაღები გამოსხლეტილა ქუდიდან და თურმე იმ უშველებელ გზაზე შიგ ცხვირში სცემდნენ. ხელები ვერ გაეთავისუფლებინა, რადგანაც რაღაცა რეგალიები სჭერია და ისეთ ტანჯვაში ჩავარდნილა, რომ სიცივისაგან აკანკალებულსა და თვალცრემლიანს საფლავამდე ძლივს მიულწევია (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 63-64).*

დამოწმებული ამონარიდის მიხედვით, ვახტანგი სუსტი და ფიზიკურად მოუქნელი ადამიანია. რაში დასჭირდა ავტობიოგრაფს მამის ამგვარი ნაკლოვანების საგანგებოდ წარმოჩენა? მთხრობელი ავტობიოგრაფი წუხს იმის გამო, რომ მამის ნიჭის რეალიზება ვერ მოხერხდა, აქტუალური კონტექსტი ვახტანგ ორბელიანის პიროვნულ სამყაროსთან არათავსებადი იყო. ამ თვალსაზრისით ტექსტიდან საყურადღებოა კიდევ ერთი ეპიზოდი:

მარიამი სინანულით აღნიშნავს, რომ ჩაიშალა მამას ჩაფიქრებული პროექტი - ვახტანგ ორბელიანს შვილისათვის (მარიამისათვის) საკუთარი წარსულის შესახებ უნდა ეამბნა, ამ უკანასკნელს კი უნდა ჩაეწერა ვახტანგის ისტორია. მამა ატენში ჩასვლისთანავე ცუდად გამხდარა და მთელ ზაფხულს უავადმყოფია, ამის შემდეგ კი მალევე გარდაცვლილა. მთხრობელი ავტობიოგრაფის ეს მოგონება ტექსტში უშუალოდ ებმის ზემოთ დამოწმებულ პასაჟებს. თუ წინა ეპიზოდით მთხრობელმა აჩვენა, რომ პაყთა კორპუსში სწავლა ვახტანგ ორბელიანის განვითარების შესატყვისი გზა არ იყო, მამის პროექტის შესახებ თხრობით ავტობიოგრაფი მამას და მასთან ერთად თეკლეს შინაგანი სამყაროს

თავისებურებას განსაზღვრას ცდილობს: “აქეთ რომ მომყავდა (ეტლით გორის სადგურამდე), ხარბად შეჰყურებდა ატენის ხეობის მშვენიერ ბუნებას, ალტაცებაში მოდიოდა და თან ამოიოხრებდა და იტყოდა:” ვედარ გნახავ მშვენიერო ატენო” (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 64).

მუქი შრიფტით წარმოდგენილია მთხრობლის პროტოკოლი, რომელიც ვახტანგ ორბელიანის მენტალური პროცესების შესახებ მკითხველს უქმნის წარმოდგენას: პროტოკოლი - *ხარბად შეჰყურებდა, ალტაცებაში მოდიოდა*, ერთი მხრივ, აჩვენებს ინტერესს (ესთეტიკურს) და მეორე მხრივ, ძლიერ სურვილს, ეს რეალობა მისი ცხოვრების ნაწილი გამხდარიყო. მთხრობელი მომდევნო ეპიზოდშიც მიაწინებს, რომ ვახტანგს შემოქმედებითი სიცოცხლის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა: „მახსოვს, ერთხელ მე და მამა არსენალის აღმართზე ავდიოდით, ძველი ერთსართულიანი შენობა მიჩვენა და მითხრა: - “აი, აქ, ცალკე საკანში თერთმეტი თვე ვიყავ დაპატიმრებულიო”. რა საშინელება უნდა ყოფილიყო ეს პატიმრობა 20 წლის სიცოცხლით სავსე ჭაბუკისათვის (იქვე 65).

ვახტანგ ორბელიანი დაპატიმრებული იყო 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო. საყურადღებოა, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი არაფერს წერს პოლიტიკური კონტექსტის შესახებ. ერთადერთი, რაც მისთვის პრობლემური ჩანს, ისაა, რომ ახალგაზრდა ადამიანს განვითარების, სიცოცხლით ტკბობის შინაგან მუხტს უხშობდნენ. ვახტანგ ორბელიანის მენტალური პროცესების განსახოვნებისას, მთხრობელი ავტობიოგრაფი სისტემატურად აღნიშავს, რომ დედა, თეკლე ბატონიშვილი, თანაუგრძნობდა შვილს, მისი თანამოაზრე იყო: “თეკლე ბატონიშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ შვილისათვის ციხეში ყოფნის პირობები შეემსუბუქებინა” (იქვე 65).

თეკლეს შესახებ თხრობას მარიამი ასრულებს ისეთი ამბის გახსენებით, რომელიც, ერთი შეხედვით, წინარე თხრობას ლოგიკურად არ აგრძელებს, პერსონაჟის შინაგან სამყაროში მიმდინარე მენტალური პროცესების დინამიკიდან თითქოს ამოვარდნილია. საანალიზო ტექსტისათვის კი არაკონცეპტუალური თხრობა უჩვეულოა; შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტს ახსნა უნდა მოეძებნოს.

ქეთევანის ნაამბობიდან მაგონდება [...] ერთხელ სოლოლაკის ბაღში მწვანეზე გაშლილ ხალებსა და დორებზე წამოწოლილიყვნენ უფროსები და ჩუმად ბაასობდნენ. ამ დროს [...] ქეთევან ერისთავმა [...] მაშინ ცელქმა და სხვებზე უფრო გამბედავმა გოგომ, დაუჩოქა პაპიდას (ბატონიშვილ თეკლეს) და ყველას სახელით შეეხვეწა, ეჩვენებენა თუ როგორ ისროდა თოფს. ბატონიშვილი თეკლე ჯერ ძალიან უარზე იყო, მაგრამ მერე რომ ვერ მოიშორა ყმაწვილები, უბრძანა ქეთევანს: მამ კარგი, წადი და ჩემ ოთახში მომიძებნე ჩემი თოფი და ჩამომიტანეო [...]

(ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 66-67).

დამოწმებული ეპიზოდის მიხედვით, ერთი მხრივ, ჩანს თეკლეს საბრძოლო ოსტატობა - თოფს კარგად ისვრის მეორე მხრივ, ნაჩვენებია სხვებისადმი დამოკიდებულება - მათ ინტერესს ითვალისწინებს, ცდილობს, ისინი გაახაროს. ამასთან, ცხადია ისიც, რომ თავის გამოჩენის სურვილი მას არ აქვს. თეკლეს ამ თვისებების წარმოჩენა მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება გამოჩნდეს წინარე თხრობისაგან მოწყვეტილად; ტექსტის დეტალური ანალიზის მიხედვით, ის ამ პერსონაჟის შესახებ თხრობას ლოგიკურად ასრულებს.

დამოწმებულ ეპიზოდამდე მთხრობელი ავტობიოგრაფი აღწერს ბატონიშვილ თეკლეს ოჯახის კალუგაში გადასახლებას. მარიამის თქმით, გადასახლების შესახებ ინფორმაციის მიღებამ თეკლეს გარშემო მყოფი ადამიანები ძალიან შეაშინა, თავად თეკლე კი მშვიდად შეხვდა ამ ცნობას: "კალუგაში გადასახლების ამბავმა ბატონიშვილ თეკლეს ამაღას თავზარი დასცა, ყველას თავშიცემა და ტირილი დაუწყია. თვითონ თეკლე ბატონიშვილი და მისი შვილები თურმე არ იმჩნევდნენ მწუხარებას და სხვებს ამხნევებდნენ" (იქვე 65-66). მთხრობელი ხაზს უსვამს, რომ ამ თავშეკავების უკან იმავდროულად დიდი ტკივილი იდგა: "ამგვარად ვახტანგმა და მისმა სახელოვანმა დედამ ასეთ ტანჯვაში ოთხი წელიწადი გაატარეს და ბოლოს თავიანთი სამშობლოს მშვენიერი ცა იხილეს." (იქვე 66)

მთხრობელი ავტობიოგრაფის თვალსაწიერიდან თეკლე ბატონიშვილის პიროვნულ სიდიადეს განსაკუთრებით ის გარემოება წარმოაჩენს, რომ მისი ქმედითუნარიანობა, სიცოცხლის სიყვარული და სხვა არაერთი ნიჭი არასახარბიელო სოციალურ კონტექსტშიც არ ჩამკვდარა.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ბეზიას ამგვარ ხასიათს მთხრობელი ავტობიოგრაფი იმიტომ ქმნის, რომ მას ღირებულებითი თვალსაზრისით ბევრი რამ აქვს საერთო მთხრობლის იდენტობასთან. ბეზიასთან დაკავშირებული მენტალური ხატები სხვა მნიშვნელობითაც იტვირთება: ბეზია თეკლე მთხრობელი ავტობიოგრაფის ოჯახური ისტორიის ნაწილია, ეს ოჯახური ისტორია კი მოხუცი მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზის (ფსიქოლოგიური სტაბილურობის) გარანტიაა. ოჯახური ნარატივი მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის მოსაბეზრებელი ყოველდღიური ყოფის ალტერნატივას წარმოადგენს.

*3.3. განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური გამოცდილება - განმცდელი ავტობიოგრაფის ავტობიოგრაფიული მეს ფუნქციონირება: პიროვნული იდენტობა vs კოლექტიური იდენტობა*

ინდივიდუალური ცნობიერების ფორმირების დამადასტურებელ მყარ არგუმენტს იძლევა ტექსტში ნაჩვენები სამშობლოსადმი ავტობიოგრაფის დამოკიდებულება. ზოგადად, სამშობლო ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში საუკუნეების განმავლობაში ფუნდამენტური ღირებულება იყო. შესაბამისად, მასზე დაკვირვება იდენტობის რაგვარობის დასადგენად რელევანტურია. ავტობიოგრაფის სამშობლოსადმი მიმართება რამდენიმე ეპიზოდში ჩანს, რაც დასკვნას კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის.

მარიამი, რეალურ სიტუაციასთან მიახლოებულად, არასქემატურად განასახოვნებს ეპიზოდს, რომელიც მის გულში სამშობლოს სიყვარულის წარმოშობის მომენტს ასახავს. ავტობიოგრაფი აღნიშნავს, რომ დედასთან ერთად პირველად ცხრა წლისამ იმოგზაურა ევროპაში, ნახა იტალიაც, სადაც ის ამ ქვეყნის ჯარის სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებას შეესწრო. მარიამს ევროპაში მოგზაურობისას ახლდა ბიძა – ირაკლი ბატონიშვილიც. იმის საჩვენებლად, თუ როგორ სიხარულს განიცდიდნენ ჯარისკაცები

სამშობლოს გათავისუფლების გამო, ბიძამ მარიამს ურჩია, მისულიყო მატარებლის ფანჯარასთან და ჯარისკაცებისათვის დაეყვირა – გაუმარჯოს იტალიას! ამ შეძახილს ჯარისკაცების ისეთი შთამბეჭდავი რეაქცია მოჰყოლია, რომ ავტობიოგრაფის ცნობიერებაში წარუშლელი კვალი დაუტოვებია:

მეც რა ძალი და ღონე მქონდა, დავიყვირე ეს სიტყვები (გაუმარჯოს იტალიას). პასუხად მათ (ჯარისკაცების) ვაგონებში იმისთანა ძლიერმა ვაშამ დაიგრიალა, რომ ჩვენ მატარებელში ყველა მგზავრი ფანჯრებს ეცნენ. მაშინ პირველად დიდი სიძლიერით გაიღვიძა ჩემში პატრიოტულმა გრძნობამ. მანამდე ვიცოდი, რომ ყველა ჩემიანი საქართველოს შავ ბედს დასტიროდა და რაც ჩემი თავი მახსოვს, სულ მესმოდა კვენესა ვაება ნამეტნავად კი ბიძაჩემის ალექსანდრესი“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 70).

მოცემულ ციტატაში განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივაზე მიანიშნებს თავისუფალი ირიბი აღქმა, რომელიც ზმნით ეცნენ არის გამოხატული. მთლიანობაში ციტატაში მთხრობელი ავტობიოგრაფის ნარატივი ჭარბობს, განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფები ერთდროულად არაა ნაჩვენები<sup>96</sup>. თავისუფალი ირიბი აღქმა მოცემულ

---

<sup>96</sup> თავისუფალი ირიბი ფიქრი და აღქმა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ავტობიოგრაფიაში ხშირად გვხვდება. აღნიშნული ნარატიული სტრატეგიის ფუნქციის ანალიზს მარიამის ტექსტის ფარგლებში ქვემოთ საგანგებოდ დაეთმოება ადგილი. არსებითად, თავისუფალი ირიბი დისკურსი მთხრობლის მიმართებას აჩვენებს პერსონაჟისადმი, რაც უფრო დომინანტურია თავისუფალი ირიბი დისკურსი, მით უფრო თვითმყოფადნი, მთხრობლის მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებელნი არიან პერსონაჟები. საყურადღებოა, რომ ეს კატეგორია განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილების ფორმირების განსახოვნებისას აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიულ ტექსტში არ ფიქსირდება. აღნიშნული ფაქტი უდავოდ საყურადღებო უნდა იყოს. ქართული ავტობიოგრაფიული დისკურსის განვითარების ეტაპების შესწავლას ცალკე კვლევები უნდა მიემდგნას. ეს, როგორც შესავალში აღინიშნა, ამოცანის მასშტაბურობიდან გამომდინარე, წინამდებარე დისერტაციის შესწავლის საგანი ვერ გახდებოდა.

რატომაა ასე საყურადღებო თავისუფალი ირიბი ფიქრისა და აღქმის ფორმირების დინამიკაზე დაკვირვება? ჯეიმს ვუდი, ამერიკელი ლიტერატურის ავტორიტეტული კრიტიკოსი, ფიქრობს, რომ რომანის, როგორც ჟანრის ფორმირება თავისუფალი ირიბი დისკურსის ფორმირების პროპორციულია, მოდერნულობის მთავარ ნიშნადაც ამ ნარატიული კატეგორიის გამოყენებას მიიჩნევს (ვუდი 2008, 8-38). მისი აზრით, მწერალთათვის შედეგის შექმნისას მთავარ საჯილდაო ქვას სწორედ თავისუფალი ირიბი დისკურსის ოსტატურად გამოყენება ქმნის (იქვე 10).

შემთხვევაში აღწერილ ეპიზოდს ბუნებრიობის ელფერს სძენს, ამგვარი ბუნებრიობა კი მარიამისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პიროვნული იდენტობის ისტორიას აჩვენებს, ამ ისტორიის ხელშესახებად ქცევა, მასთან სიახლოვე კი მთხრობელ ავტობიოგრაფს აწმყოში ფსიქოლოგიურ სტაბილურობას სძენს, ჰომეოსტაზიას უზრუნველყოფს. მარიამის კონცეპტუალურ თხრობაში, რომელიც დამოწმებულ ციტატაში განსაკუთრებით ზმნით *ეცნენ* არის წარმოდგენილი, იდენტობის საკითხებთან მიმართებით საყურადღებოა, რომ *ცოდნა და პიროვნული ემოციური გამოცდილება* ერთმანეთსაა შეპირისპირებული. მიუხედავად იმისა, რომ მარიამს არაერთხელ სძენია სამშობლოს ღირებულების შესახებ, ბევრჯერ მომსწრე გამხდარა გარშემომყოფთაგან სამშობლოს ბედზე ფიქრისა და საუბრისა, სამშობლო უყვარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი პიროვნული გამოცდილების ნაწილი ხდება. პიროვნული გამოცდილება იმას ნიშნავს, რომ სამშობლოს ფაქტორი განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური რეგულატორისათვის *აღქმადი* გარემოება ხდება, იტალიაში მოგზაურობის დღიდან სამშობლოს სიყვარული განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებების ნაწილია.

ავტობიოგრაფის ინდივიდუალური გამოცდილება აქცენტირებულია და შეპირისპირებულია სხვისას (მამისას) კიდევ ერთ ეპიზოდში. საფრანგეთიდან დაბრუნებულ მამას მარიამი რკინიგზის სადგურზე ხვდება. სახლისაკენ გზად კი ვახტანგი უზიარებს ქალიშვილს შთაბეჭდილებებს, ხარბად ათვალიერებს მიდამოს და

---

როგორც ვუდი აღნიშნავს (ვუდი 2008, 10), თავისუფალი ირიბი დისკურსი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როცა ის ავტორის მიერ ექსპლიციტურად არაა მარკირებული; ძნელი დასადგენია კონკრეტული სიტყვა, ფიქრი თუ აღქმა ავტორს ეკუთვნის თუ პერსონაჟს. აქედან გამომდინარე, თავისუფალი ირიბი დისკურსის ანალიზისათვის აუცილებელია კონტექსტის, ფსიქონარაციის, ცნობიერების განგრძობითობის (ალან პალმერი) გათვალისწინება. თავისუფალი ირიბი დისკურსის ამგვარი ვარიანტი მოცემულია მარიამის ავტობიოგრაფიულ ტექსტში (იხილეთ ვარშავაში ვიზიტის ანალიზი ქვემოთ). ცნობიერების განსახოვნების ნარატიული სტრატეგიების შესწავლის ისტორია ქართულ სამეცნიერო სივრცეში იხილეთ კვანტალიანთან (2015). თავისუფალი ირიბი ფიქრი პირველი პირის ნარატივში იხ. კონთან 1969, 1978.

აღნიშნავს, რომ მისი საბზოზლოს მსგავსი სილამაზე არსად უნახავს. მარიამი დასძენს, რომ მამის ესმის, რადგანაც **თავადაც** ამგვარი გამოცდილება აქვს:

*მთელი გზა კასპიდან ლამისყანამდე მამა გატაცებით მიზიარებდა მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და თუ სიტყვას შესწევდა, მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო გულდასმით მიმოეხედა ირგვლივ და მერე დავერწმუნებინე, რომ საქართველოსთანა ლამაზი მას მაინც არაფერი უნახავს. მე ძალიან კარგად მესმის მისი გულისცემა. მრავალგზის მოგზაურობის შემდეგ მეც ყოველთვის ამ აზრით ვიყავი გამსჭვალული (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 78).*

დამოწმებული ციტატა აჩვენებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის **სამოქმედო პროგრამები** (ანტონიო დამასიო) პირადი გამოცდილების მიხედვითაა ფორმირებული, იგი კოლექტიურ ცნობიერებას არ ეფუძნება. დასკვნების დამაჯერებლობისათვის საჭიროა, განიმარტოს საანალიზო ტექსტის ერთი პასაჟი, რომელიც, ერთი შეხედვით, წარმოდგენილი მსჯელობის საწინააღმდეგო გარემოებაზე მიანიშნებს. საკუთარი მამის გენდერული მსოფლმხედველობის საჩვენებლად მარიამი აღნიშნავს, რომ ქალებისადმი მისი პატივისცემა განპირობებული იყო იმით, რომ მას ბავშვობიდან დიდი ქართველი ქალების პატივისცემას ასწავლიდნენ:

*იგი დიდ პატივს სცემდა ქალებს და ეს არცაა საკვირველი, რადგან ბავშვობიდანვე შეჩვეული იყო ქედი მოეხარა თავისი დედისა სათნოებისა და ღირსების წინაშე, თამარ მეფის ქეთევან დედოფლის, საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის, ლეონიძის ცოლისა და მრავალი სხვა ისტორიული ქალის წინაშე (იქვე 77).*

გენდერული თანასწორობა განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის შემადგენელი მენტალური ხატია. ამდენად, განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური ცნობიერების საჩვენებლად აუცილებელია დაზუსტდეს, როგორ ფორმირდა ის განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში. დამოწმებულ ციტატაში ჩანს, რომ მარიამი იცნობს იდენტობის ფორმირების (წრთობის) იმდროინდელ პრაქტიკას (*შეჩვეული იყო*) - განმეორებითი ქმედებით ბავშვს გარკვეული ქცევის რეფლექსს უყალიბებდნენ. ამის მიუხედავად, ტექსტში არსადაა აღნიშნული, რომ მარიამის იდენტობის ფორმირებაზე ამგვარი პრაქტიკით მიღებულმა ეროვნულმა ფასეულობებმა რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინა. საანალიზო ციტატაში ისტორიული პირები, კოლექტიური მეხსიერების

მნიშვნელობასთან მიმართებით, ირიბადაა ნახსენები. ამ ისტორიული პირების ავტორიტეტს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფორმირებაზე გავლენა არ მოუხდენია. ისინი ტექსტში ნახსენები არიან იმდენად, რამდენადაც განმცდელი ავტობიოგრაფის მამისათვის იძლეოდნენ მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ორიენტირებს. გენდერული საკითხებისადმი განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციური რეგულატორი მწვავედ იმიტომ რეაგირებს, რომ მამისაგან განმცდელი ავტობიოგრაფი მიჩვეული იყო ქალებისადი, მათ შორის, თავად ავტობიოგრაფისადმი, ნაზ დამკვიდრებულებას. წარმოდგენილი ციტატის შინაარსი არ გამოდგება კონტრარგუმენტად. ტექსტის მიხედვით, ავტობიოგრაფის დისპოზიციის ფორმირება დაკავშირებულია მამასთან ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილებებთან, ისტორიული მაგალითები ამ პროცესში არაა ჩართული.

განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური ცნობიერება თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი კიდევ ერთ ეპიზოდში; ამ შემთხვევაშიც, ავტობიოგრაფი სამშობლოსადმი დამოკიდებულებას აჩვენებს. დასაზუსტებელია, რომ კომპოზიციური თვალსაზრისით, ეს ეპიზოდი განთავსებულია ტექსტის იმ მონაკვეთში, რომელიც მარიამის ცხოვრებაში დაქორწინების შემდგომ პერიოდს მოიცავს. განსახოვნების ნარატიული სტრატეგიები ოდნავ განსხვავებულია: **თავისუფალი ირიბი ფიქრი** შედარებით ვრცელია, ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებს უფრო დეტალურად გვაცნობს, შესაბამისად, ეს პასაჟი *შინაგან მონოლოგად* უნდა კლასიფიცირდეს. საანალიზო ეპიზოდში განმცდელ და მთხრობელ ავტობიოგრაფებს შორის დისტანცია მაქსიმალურად შემცირებულია - მთხრობელ ავტობიოგრაფთან შედარებით, დომინანტურია განმცდელი ავტობიოგრაფი. შინაარსობრივად ეპიზოდი ქმარსა და დედამთილთან ერთდ საზღვარგარეთ მოგზაურობისა და სამშობლოს ხელახლა ხილვით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს ასახავს.

მომდევნო მსჯელობით უნდა წარმოჩინდეს, რომ სამშობლო განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ის სივრცეა, რომელშიც მისი პიროვნული გამოცდილება ფორმირდა. მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ, პირად გამოცდილებასთან ასოცირებული ღირებულებაა, ის არაა მემკვიდრეობით მიღებული

ნორმების, ვალდებულებების მექანიკური ერთობლიობა, იგი არც ისტორიული მეხსიერების სივრცეა. აღნიშნული დასკვნის საიმედოობის დასამტკიცებლად გაანალიზდება ორი ეპიზოდი: ვარშავაში ლიზასთან (ბიძაშვილთან) ვიზიტი და ვარშავიდან სამშობლოში დაბრუნება.

პირველი ეპიზოდი განმცდელი ავტობიოგრაფის ინდივიდუალური გამოცდილების ფორმირების პროცესს ასახავს (ბიძაშვილთან ურთიერთობა), მეორე ეპიზოდში კი განსახოვნებულია სამშობლოს ხელახლა ხილვით გამოწვეული ფიქრები და ემოციები. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირება აირეკლავს ლიზასთან ურთიერთობის გამოცდილებას.<sup>97</sup>

სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე თავის უმთავრესი მიზანი სწორედ ისაა, რომ დადასტურდეს საანალიზო ტექსტში **ექპერიმენტულობის** მაღალი ხარისხი; მთხრობელს არ აინტერესებს, საკუთარი განვლილი ცხოვრება საზოგადოებაში მოქმედი ნორმებისა და ფასეულობების მიხედვით წაიკითხოს, მისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საკუთარი **უნიკალური** ცხოვრების მოდელის შექმნას. ამგვარი მიდგომა კი ცხადად იკითხება სამშობლოსადმი დამოკიდებულებაში. სამშობლო ის კოლექტიური ღირებულებაა, რომელიც ისტორიული ეტაპის გათვალისწინებით ყველა სხვა ღირებულებასთან შედარებით იმდროინდელ ქართველებს შორის გაზიარებული უნდა ყოფილიყო<sup>98</sup>. მარიამთან სამშობლო ეროვნულ-კოლექტიური მეხსიერების სივრცე არაა,

---

<sup>97</sup> ავტობიოგრაფიული დისკურსი განასახოვნებს გარერეალობასთან, ძირითადად, სოციუმთან ავტობიოგრაფის ინტერაქციას. შესაბამისად, მთხრობელი ავტობიოგრაფი ხშირად გარშემო მყოფ ადამიანთა პორტრეტებს ქმნის. ამ შემთხვევაში, მესამე პირის თხრობისაგან განსხვავებით, მთხრობელი ინსტანციის ფუნქცია არაა, ახალი პერსონაჟი შემოიყვანოს ფიქციურ სამყაროში და მისი ინტეგრირება მოახდინოს დიეგეზისში. მთხრობელი ინსტანციის ნარატივი განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილებას განასახოვნებს. ავტობიოგრაფიული ტექსტის კითხვისას განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმის გასააზრებლად მკითხველს მისი წინარე გამოცდილების გათვალისწინება სჭირდება. ეს გამოცდილება კი ხშირად ჩანს იქ, სადაც მთხრობელი ავტობიოგრაფი სხვა ადამიანებს ახასიათებს.

<sup>98</sup> გასათვალისწინებელია, რომ აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიულ ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული განვითარების ერთადერთ გზად სამშობლოსადმი მსახურებაა წარმოდგენილი (იხ. წინა თავი)

ის პიროვნული გამოცდილების ფორმირების ადგილია და სწორედ ამ ნიშნითაა ღირებული.

საანალიზო ეპიზოდი ვარშავაში განმცდელი ავტობიოგრაფის მოგზაურობას ეთმობა; კერძოდ, მთხრობელი ავტობიოგრაფი მკითხველს აღუწერს, როგორი შთაბეჭდილება დარჩა განმცდელ ავტობიოგრაფს საკუთარ ნათესავზე, რომელიც პირველად ნახა. ეს ნარატივი, როგორც **ავტობიოგრაფის გამოცდილების ნაწილი**, მომდევნო ეპიზოდში, განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის წარმოდგენისას, აქტუალიზდება; კერძოდ, განმცდელი ავტობიოგრაფის დისპოზიციას ქმნის, მის ფიქრსა და აღქმას აკვალიანებს. დასახელებული ეპიზოდი დეტალურად მხოლოდ ამის გამო არაა გაანალიზებული; ის, ცალკე აღებული, ნათლად აჩვენებს, **პროტოკოლის** გამოყენებით როგორ შეუძლია მთხრობელს, პერსონაჟის მენტალური აქტივობების კომპლექსურობა წარმოაჩინოს.

*მეტად ალერსიანად დაგვიხვდნენ ცოლ-ქმარი ბარიატინსკები; ჩემი ბიძაშვილი ლიზა სიხარულისაგან ტიროდა. მე ის პატარაობიდანვე არ მენახა და თითქმის არც ვიცნობდი, მაგრამ ერთმანეთს მაშინათვე დავუახლოვდით [...] ლამაზი თვალები ჰქონდა, **ჭკუიანობის გამომხატველი**, ცოცხალი ერთი ბეწო სიტლანქე არ ეტყობოდა. მასაც ჩვენი ოჯახის სხვა წევრებივით მეტად უყვარდა ჩემი ძმა ნიკოლოზი და უნდოდა მისი ცხოვრების ამბები დაწვრილებით გაეგო; გამომკითხა ამბავი ჩემი და თავისი ნათესავ-მეგობრებისა, ვინც საქართველოში დასტოვა და ვისი ნახვის იმედიც **სამუდამოდ** დაჰკარგოდა. როცა ის ლაპარაკობდა, ეტყობოდა **საშინლად ნაღვლობდა** ყველა იმ წარსულისათვის, რომლის უკან **დაბრუნება ყოვლად** შეუძლებელი იყო; ქმართან თავს **ბედნიერად ვერ გრძნობდა**, იმ ქმართან, რომელიც ქალების მუსუსად ითვლებოდა და თითქო თავს ევლებოთ თავის ცოლსო და მაინც მოხუცებულების დროსაც კი თავისას არ იშლიდა, ლამაზ ქალებს არ ეშვებოდა. ვგრძნობდი რომ ლიზა უბედური იყო, სრულიად **გულგრილად** უცქეროდა იმ ფუფუნებას, რომელიც მას გარს ეხვია და მეც **უმეტესად შემეყვარდა** (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 92).*

დამოწმებულ პასაჟში პერსონაჟის მენტალურ აქტივობას, ძირითადად, ქცევითი დისპოზიცია ქმნის, რომელსაც პერსონაჟის ცნობიერებაში **ვერბალიზებული** სახე არ აქვს, მის შესახებ ინფორმაციას **პროტოკოლის** გამოყენებით მთხრობელი გვაწვდის. ამ სტრატეგიით მთხრობელ ავტობიოგრაფს სურს, წარმოაჩინოს ის სიღრმისეული შინაგანი

პროცესები, რომლებიც საფუძვლად დაედო ლიზას ემოციას განმცდელ ავტობიოგრაფთან შეხვედრისას - „ჩემი ბიძაშვილი ლიზა სიხარულისაგან ტიროდა“.

საანალიზო ფრაზასთან მიმართებით დასაზუსტებელია, ვის ეკუთვნის სიტყვა *სიხარულისაგან*. თუ მას განმცდელ ავტობიოგრაფს მივაკუთვნებთ, მაშინ პასაჟის შინაარსი ასე უნდა იქნეს გააზრებული: განმცდელი ავტობიოგრაფი აქტიურია, ლიზა კი პასიურად ცხოვრობს, მისთვის უცხოა საკუთარ ცხოვრებაზე სისტემატური რეფლექსია. ის მძიმე ვითარებაშია, თუმცა ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები მისთვის გაუგებარია. ლიზასთან სტუმრად მისული განმცდელი ავტობიოგრაფი, აქვს რა მას დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, ახერხებს, ლიზას მდგომარეობას ახსნა მოუძებნოს. განმცდელი ავტობიოგრაფი ფიქრობს, რომ მასთან შეხვედრისას ლიზა, მართალია, ტიროდა, თუმცა ამგვარი ქცევის საფუძველი მწუხარების ნაცვლად დიდი სიხარული იყო.

ამგვარი წაკითხვა არ შეესაბამება პასაჟის მთლიან შინაარსს - მთხრობელი დიდ დროს უთმობს ლიზას დისპოზიციის ჩვენებას - „უნდოდა დაწვრილებით გაეგო“; „... თვალები ცოცხალი...“. ავტორისეული პროტოკოლით (პირველ შემთხვევაში, ზმნითა და ზმნიზედითაა გამოხატული, ხოლო მეორეში - ეპითეტით.) ნაჩვენებია, რომ ლიზა აქტიური, სიცოცხლით სავსე პიროვნება იყო. საანალიზო ფრაზის წასაკითხი კონტექსტის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ეპიზოდის ბოლოს წარმოდგენილი მთხრობლის კომენტარიც, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმას აზუსტებს - „და მეც უმეტესად შემეყვარდა“. მთელი წინარე თხრობა აჩვენებს ლიზას შინაგანი სამყაროს დინამიკას, სწორედ ლიზას ის სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც მთხრობელი ავტობიოგრაფის პროტოკოლების ერთობლიობითაა აღწერილი, ედება საფუძვლად განმცდელი ავტობიოგრაფის დამოკიდებულებას \_ მას ლიზა შეუყვარდა; ამდენად, არალოგიკურია, საანალიზო ფრაზაში ლიზა პასიურ ადამიანად იყოს დანახული.

თუ გამოვრიცხავთ, რომ ლიზა პასიურია, სიტყვა *სიხარულით* უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ლიზას; შესაბამისად, ამ ლექსიკური ერთეულით წინადადებაში თავისუფალი ირიბი ფიქრის იმპლიციტური მარკირება მოხდება. ფიქრი, რომელიც ამ სიტყვით

დაკუმშულადაა წარმოდგენილი, განვრცობის შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებს: **როგორ მიხარია**, რომ მომეცა საშუალება ჩემს წარსულთან მიბრუნების, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დროებითია.

მარიამთან შეხვედრისას ლიზას ემოციური რეაქციის ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ **„თავს ბედნიერად არ გრძნობდა“**. თუმცა ამგვარი შინაგანი მდგომარეობა მხოლოდ ერთ გარემოებაზე (თუნდაც ქმრის ქცევაზე) არ იყო დამოკიდებული. ქმრის დამოკიდებულება და, ზოგადად, საკუთარი ყოფა აბსოლუტურად მიუღებელი ჩანდა იმ გამოცდილებასთან მიმართებით, რომელიც ლიზას გათხოვებამდე ჰქონდა დაგროვებული. საანალიზო ეპიზოდში ძველი გამოცდილების თვისებრივი სხვაობის შესახებ ისევ მთხრობლის პროტოკოლითაა მინიშნებული. უსიყვარულო, მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ყოფის მიმართ ლიზა **გულგრილი** იყო. ამგვარ განწყობასთან კონტრასტს ქმნის ლიზას განსაკუთრებული სურვილი (**დაწვრილებით უნდოდა, უყვარდა**), რომ საკუთარი ნათესავების შესახებ გაეგო რამე.

მენტალური პროცესები, რომლებიც საფუძველად დაედო ლიზას სიხარულიან ცრემლებს, საანალიზო პასაჟში კიდევ უფრო განტოტებულია. მთხრობელი ავტობიოგრაფი აღნიშნავს, რომ ლიზა **საშინლად ნაღვლობდა** საკუთარი წარსულის გამო, რომლის დაბრუნება შეუძლებელი იყო, მას ამის იმედი **სამუდამოდ დაჰკარგოდა**. ერთი შეხედვით, მთხრობელი ავტობიოგრაფის პროტოკოლი ლიზას სასოწარკვეთილ მდგომარეობაზე მიანიშნებს, თუმცა მათი მნიშვნელობა იცვლება ლიზას სხვა მენტალურ პროცესებთან შეპირისპირებისას: **თვალები ჰქონდა ჭკუიანობის გამომხატველი, ცოცხალი, ერთი ბეწო სიტლანქე არ ეტყობოდა**. მთხრობლის პროტოკოლში არეკლილია ის დინამიკა, რომელიც ლიზას მენტალურ ქმედებებს წლების განმავლობაში ახასიათებდა. მთხრობელი ყურადღებას ამახვილებს, რომ ლიზამ ყოფითობის შემოტევას (მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებას) გაუძლო (**„ერთი ბეწო სიტლანქე არ ეტყობოდა“**). ამის მთავარი დამადასტურებელი ნიშანი მისი **ცოცხალი** თვალები იყო. მთხრობელი ავტობიოგრაფის დაკვირვებით, ლიზა თავის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს პასიურად არ მიჰყვებოდა, არ აძლევდა საშუალებას, მისი შინაგანი სამყარო

დაეშალა. ამაზე მიანიშნებს ის, რომ მისი თვალეები *ცოცხლის* გარდა, *ჭკუიანობის გამომხატველიც* იყო.

ლიზას თვალეებში არეკლილი ქმედითუნარიანობა (სიცოცხლე) დადებით კონოტაციას იძენს მისსავე სხვა მენტალურ ქმედებასთან მიმართებით (*ბედნიერი არ იყო, სამუდამოდ დაჰკარგვოდა იმედი*). ამ ინფორმაციათა შეპირისპირებით გამომდინარეობს დასკვნა, რომ მან თავი არსებული ყოფისაგან მისდამი მხოლოდ გულგრილობით, ერთგვარად მექანიკურად კი არ დაიცვა, არამედ მისი თვალეებისათვის შერჩენილი სიცოცხლე გააზრებული შინაგანი ბრძოლის შედეგი იყო.


მთხრობლის პროტოკოლით („უნდოდა ... *დაწვრილებით* გაეგო“) გადმოცემულია, რომ ლიზას ძალიან უნდოდა საკუთარი ნათესავეების შესახებ ინფორმაციის მიღება. აქვე პასაჟის სწორად წასაკითხად ლოგიკურია დაისვას კითხვა: სამუდამოდ წარსულში დარჩენილი რეალობით დაინტერესება ლიზას სასოწარკვეთილებების გამოვლინება იყო თუ ლიზას იდენტობის სიჯანსაღის მაჩვენებელი? მართალია, ლიზას საკუთარი ცხოვრების დაბრუნების იმედი გადაწურული ჰქონდა, თუმცა, როგორც ჩანს, ქორწინებამდელი გამოცდილება, მისი იდენტობისათვის საყრდენის ფუნქციას ასრულებდა; ამდენად, შეიძლება მკითხველმა ივარაუდოს, რომ სწორედ ეს გამოცდილება იყო, აუტანელ ყოფაში სიცოცხლისუნარიანობას რომ უნარჩუნებდა. ლიზას დისპოზიციის ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, როგორ რთულ მენტალურ პროცესებს აირეკლავს სიტყვები - „*ლიზა სიხარულისაგან ტიროდა*“. მასში ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ლიზას ტრაგიკული ყოფა და მეორე მხრივ, მისი პიროვნული სიძლიერე.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ტექსტში ვარშავაში ვიზიტს ებმის სამშობლოში დაბრუნების ამსახველი ეპიზოდი, უფრო კონკრეტულად, ნაჩვენებია, სამშობლოს ხილვამ განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში რა მენტალური პროცესები წარმოშვა:

*მალე გზას დავადექით. სწორი მოგახსენოთ მომბეზრდა წოწიალი ... ვინც გამოცდილებით არ იცის რა არის სამშობლოს დაშორების დარდი, თავისდღეში ვერ მიხვდება იმ საშინელ ტანჯვას იმ საცოდავ არსებათა, ვისაც დაკარგული აქვთ იმედი როდისმე იხილონ თავიანთი სამშობლო*

*ქვეყნის კერა ... უკვე კავკასიისაკენ მომავალს დამებადა იმედი, რომ საცაა ბოლო მოედება სამშობლოს გარეშე ჩემს ყოფნას-მეთქი. ამან დამიბრუნა ძალ-ღონე, დამიბრუნა ფერი და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე სიხარულის ცრემლებით მევსებოდა თვალები ჩვენი მთების დანახვაზე. ყაზბეგში უკვე შინა ვგრძნობდი თავს. მაგრამ ცათაფრენა შემიდგა, როცა გამოვედი იმ ხეობაში, სადაც ფასანაურია, ესოდენ მდიდარი ძველი და სამწუხარო ისტორიული ამბებითა (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 93).*

დამოწმებულ მონაკვეთი ფოკალიზებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ. ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირებაზე არაერთი დეტალი მინიშნებს: ლექსიკური ერთეულის **წოწიალი** კონოტაცია უაზრო, არასაჭირო აქტივობას უკავშირდება. ჯერ კიდევ ლიზასთან ყოფნისას უცხოველდებოდა მარიამს სამშობლოს ღირებულების განცა. შესაბამისად, **წოწიალით** მთხრობელი ავტობიოგრაფის წლების შემდგომი შეფასება კი არაა მოცემული, არამედ ეს ემოციური კონოტაციის მქონე სიტყვა განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ვერბალიზებულ ფიქრს ასახავს. იგი თავისუფალი ირიბი ფიქრის მარკირებას ახდენს. ეს ფიქრი დაკვალიანებულია წინარე გამოცდილებით, ლიზასთან სტუმრობისას მიღებული შთაბეჭდილებით.



დიაგრამა N6<sup>99</sup>

<sup>99</sup> დიაგრამაზე ნაჩვენებია ლიზას მენტალური ხატები და ცნობიერების განგრძობითობის (უწყვეტობის) შემქმნელი მენტალური პროცესები. დიაგრამამ პერსონაჟის ცნობიერების ფუნქციონირება რომ ცხადად ასახოს, მასზე მხოლოდ **ციფრებია** დატანილი, მათი შესატყვისი მენტალური ხატები და მენტალური პროცესები ცალკეა წარმოდგენილი. ორი ციფრი \_ 3-იანი და 5-იანი \_ გამუქებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ტექსტში ექსპლიციტურად არაა მოცემული და მკითხველმა ცნობიერების განგრძობითობის **სკრიპტის** გააქტიურებით უნდა აღადგინოს. დიაგრამის ცენტრალურ წრეში ჩასმული **შავი წერტილი** ანალიზის ამოსავალ წერტილს აჩვენებს, იგი შეესატყვისება ტექსტიდან ფრაზას - “ლიზა სიხარულისაგან ტიროდა.” დიაგრამით ათვისებული **გვერდის სივრცე** სემანტიზებულია: იგი ორ ნაწილად იყოფა, შავი წერტილის **ზემოთ** წარმოდგენილი სივრცე აერთიანებს პერსონაჟის ყველა იმ მენტალურ ხატსა და მენტალურ პროცესს, რომლებიც უძღოდა საანალიზო ფრაზის წარმოთქმას, შავი წერტილის **ქვემოთ** მოცემული სივრცე კი მკითხველის ცნობიერებას განასახიერებს, უფრო ზუსტად, საანალიზო

## მენტალური ხატები-მენტალური პროცესები

1. სურვილი - უნდოდა, დაწვრილებით გაეგო
2. ცოცხალი - თვალები
3. სიცოცხლისუნარიანი
4. უბედური - თავს ბედნიერად არ გრძნობდა (ქმრის გამო)
5. მოგონება - საქართველოში გატარებული წლები
6. დამწუხრებული - წარსულის დაბრუნება არ შეეძლო
7. შინაგანად ფაქიზი - “ერთი ბეწო სიტლანქე არ ეტყობოდა”
8. გონიერი - თვალები ჭკუიანობის გამომხატველი
9. უანგარო - გულგრილი უცქერდა ფუფუნებას
10. სასოწარკვეთილია
11. თავისუფალი ირიბი თხრობა - **როგორ მიხარია**, რომ მომეცა საშუალება ჩემს წარსულთან მიბრუნების, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დროებითია.
12. ინდიფერენტულია.

---

ინტერპრეტაციის ვარიანტებს აჩვენებს. დიაგრამის წასაკითხავად გასათვალისწინებელია კიდევ ერთი დეტალი: თითოეული მენტალური ხატი და პროცესი **წყვეტილი ხაზებით** უკავშირდება ანალიზის ამოსავალ წერტილს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მათგანი საფუძვლად უდევს მის წარმოქმნას; წყვეტილი ხაზების გარდა, დიაგრამაზე ნაჩვენებია **უწყვეტი შავი ხაზიც**, ეს კი ასახავს, რომელი მენტალური ხატები და მენტალური პროცესები ქმნის პერსონაჟის ცნობიერების განგრძობითობას. შავი წერტილის ქვემოთ მოცემული წყვეტილი და უწყვეტი ხაზების სემანტიკური დატვირთვა ასეთია: წყვეტილი ხაზებით მოცემული ციფრები წარმოადგენს საანალიზო ფრაზის **არასწორ ინტერპრეტაციას**, რომელიც იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ მკითხველი მის განმარტებას ცალკეული მენტალური ხატის ან მენტალური პროცესის საფუძველზე შეეცდება. შავი წერტილის ქვემოთ მოცემული უწყვეტი შავი ხაზი ფრაზის **სწორ ინტერპრეტაციაზე** მიმანიშნებელია. ფრაზის სწორი ინტერპრეტაცია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მკითხველი მთხრობელი ავტობიოგრაფის პროტოკოლებით წარმოდგენილ მენტალურ ხატებსა და პროცესებს **გააერთიანებს** ცნობიერების განგრძობითობის სკრიპტის გააქტიურებით. ამგვარი სკრიპტის გააქტიურება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რადგან მენტალური ხატებისა და პროცესების გამაერთიანებელი რგოლები (3, 5) ტექსტში ექსპლიციტურად არაა მოცემული.

როგორც წინა ეპიზოდის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, მთხრობელი ავტობიოგრაფისათვის მნიშვნელოვანი იყო ლიზას შინაგანი სამყაროს სიღრმის ჩვენება. ეს მნიშვნელობა, თავისთავად ცხადია, ავტობიოგრაფიული დისკურსის ფარგლებში განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირებას უნდა ებმოდეს, სწორედ ამიტომ ტექსტში ლიზასთან სტუმრობის ამსახველი ნარატივი **დაქვემდებარებულია** ავტობიოგრაფიულ თხრობას. ტექსტში დაქვემდებარებაზე ექსპლიციტურად ორჯერაა მინიშნებული. ეპიზოდის დასაწყისში მარიამი აღნიშავს, რომ ლიზას თითქმის არ იცნობდა, თუმცა მალევე დაუახლოვდა. შეიძლება ითქვას, ლიზას ცნობიერების განსახოვნება სწორედ ამ **დაახლოების საფუძვლის** ჩვენებას ისახავს მიზნად. ამგვარ მიზანდასახულობას ადასტურებს პასაჟის ბოლოს მოცემული მთხრობელი ავტობიოგრაფის რეპლიკა - „**და მეც შემიყვარდა იგი**“. ამ ფრაზის შინაარსი შეიძლება ასე განვირცოვოთ: ლიზას უკვე ნაჩვენები ღირსებების გამო შეუყვარდა იგი განმცდელ ავტობიოგრაფს.

ტექსტში ნახსენები ემოციური კონოტაციის სიტყვები **სამშობლო კერა** ასევე განმცდელ ავტობიოგრაფს უნდა ეკუთვნოდეს. კერა \_ ეს ის ადგილია, სადაც ადამიანი ყველაზე მშვიდად გრძნობს თავს. ამდენად, არასწორი ინტერპრეტაცია იქნება, დასახელებული სიტყვა მთხრობელ ავტობიოგრაფს დაუკავშირდეს, რომელიც ხანგრძლივი დროის შემდეგ აფასებს მოვლენას. როგორც ჩანს, სამშობლოს საზღვართან მოსული განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერება მთლიანად **მოცულია** ლიზასთან სტუმრობისას მიღებული შთაბეჭდილებით (ლიზას ხომ სწორედ სიმშვიდე აკლდა).

საანალიზო პასაჟში ასევე წერია, რომ ავტობიოგრაფს **სიხარულის ცრემლებით** ევსებოდა თვალეები, როცა სამშობლოში ბრუნდებოდა. ამ ფრაზის ანალიზისას ასევე უნდა დაისვას კითხვა - ვის ეკუთვნის სიტყვები **სიხარულის ცრემლებით**, მთხრობელ ავტობიოგრაფს თუ განმცდელს? თუ აღნიშნული ფრაზით მთხრობელი თავის განვლილ ცხოვრებას აფასებს, თხრობა აქტორიალურობისაკენ გადაიხრება. ასეთ შემთხვევაში, სიხარული **კონტექსტით** განპირობებულ ემოციად აღარ წარმოჩნდება, იგი ავტობიოგრაფის ხასიათის/ბუნების ნაწილად აღიქმება; შესაბამისად, მკითხველმაც **ლოგიკურად** და

გარდაუვლად უნდა მიიჩნიოს ავტობიოგრაფის რეაქცია - ნებისმიერ შემთხვევაში სამშობლოს ხელახლა ხილვა მასში მომეტებულ სიხარულს გამოიწვევდა.

იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო სიტყვები განმცდელ ავტობიოგრაფს მიეწერება, მაშინ ისინი თავისუფალ ირიბ ფიქრად კლასიფიცირდება და რაც მთავარია, ტევადი გახდება, წინა ეპიზოდს აირეკლავს. ეს თხრობის ექსპერიმენტულობის მაღალ ხარისხზე მიმანიშნებელია, რადგან აჩვენებს, რომ ავტობიოგრაფისათვის მნიშვნელოვანია ცნობიერების ფორმირების დინამიკის ჩვენება. ასეთ შემთხვევაში, სიხარულის ცრემლებით დაკუმშულად წარმოაჩენს იმ ფიქრებსა და ემოციებს, რომლებიც განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში წარმოიშობა. თუკი ეს სიტყვები განივრცობა, განმცდელი ავტობიოგრაფის ფიქრები პირობითად ასეთ სახეს მიიღებს: მართალია, ჩემთვის მტკივნეული, მტანჯველი იყო სამშობლოსაგან შორს ყოფნა (საწყალი, ღიზა, მას რა ეშველება), მაგრამ, საბედნიეროდ, მე კვლავ სამშობლოში ვარ.

დამატებით, ყურადღება უნდა მიექცეს პასაჟის ბოლოს წარმოდგენილ განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმის კიდევ ერთ დეტალს: „*ცათაფრენა შემიდგა, როცა გამოვედი იმ ხეობაში, სადაც ფასანაურია, ესოდენ მდიდარი ძველი და სამწუხარო ისტორიული ამბებითა*“. საანალიზო ფრაზაც წინა ეპიზოდს აირეკლავს, ვარშავიდან დაბრუნებული განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სამშობლო იმ ღირებულებებთან ასოცირდება, რომლებიც ყველაზე მეტად აკლდა ღიზას ყოველდღიურ ყოფას. ამგვარი დასკვნის გამოტანისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთხრობელი ავტობიოგრაფი ტექსტში არსად საგანგებოდ საქართველოს წარსულს არ იხსენებს. ამ ტექსტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, ლოგიკურია მკითხველმა მიიჩნიოს, რომ წარმოდგენილი ასოციაცია საანალიზო კონტექსტითაა განპირობებული, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ღიზას მდგომარეობაზე ფიქრი ააქტიურებს მას.

### 3.4. ექსპერიმენტულობის ხარისხი

ავტობიოგრაფიული ჟანრის განვითარება ინდივიდუალური ცნობიერების ფორმირების პირდაპირპროპორციულია. წერილობითი ავტობიოგრაფიული პრაქტიკის წარმოების საჭიროება ადამიანს უდგება მაშინ, როცა სოციუმის წევრობა გარანტირებული არაა, მემკვიდრეობით არ ეძლევა ადამიანს. კონფლიქტების წარმოშობის საფუძველი სოციალური ნორმებისა და პიროვნების შინაგანი სამყაროს მახასიათებლების (მიზნების, მისწრაფებებების, ღირებულებების) შეუთავსებლობა ხდება. წინამდებარე დისერტაციაში ინდივიდუალური გამოცდილების ფორმირება შეესატყვისება კონიტურ ნარატოლოგიაში გამოყენებულ ტერმინ ექსპერიმენტულობას. მარიამ ჯამბაკურ ორბელიანის ნაწერში ექსპერიმენტულობის ხარისხის დადგენა შესაძლებლს ხდის განისაზღვროს, რამდენად არის საანალიზო ტექსტი ავტობიოგრაფიული. ექსპერიმენტულობის მაღალი ხარისხის გამო იგი არ შეიძლება ისტორიულ წყაროდ იქნეს განხილული.

*ჩვენ შურაში ცოტახანს დავრჩით. აქ ჩვენთვის ყველაზე მახლობელი იყვნენ ივანე ორბელიანი და მისი მეუღლე - ერისთავის ქალი, რომელიც მე მთელი ჩემი ახალგაზრდული გრძნობით შევიყვარე. მას ქართული კაბა ეცვა, მოხდენილად ატარებდა ტანსაცმელს, ღრმა, ხავერდოვანი თვალები, მომხიბლავი ღიმილი და დამატყვევებელი საუბარი, სიმშვენიერეს ჰმატებდნენ და იგი თანდათანობით ხდებოდა ჩემი იდეალი. ხოლო ის მეღანქოლია, რომელიც გამოკრთოდა მასში, კიდევ უფრო მხიბლავდა მე. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქმარი, დარდიმანდი, მუდამ გარშემორტყმული მხიარული მოქეიფე ახალგაზრდებით, სმა-ჭამისა და უფრო კი ომის მოყვარული; იგი ყოველთვის უდროოდ დროს ბრუნდებოდა შინ და სულ შეზარხოშებული იყო, მიუხედავად ამისა ის კარგი კაცი იყო, მაგრამ თავის ცოლთან არაფერი ჰქონდა საერთო. ცოლს კი უყვარდა იგი, როგორც ქმარი, და ძალიან ხშირად ტიროდა, ვინაიდან ივანე ორბელიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუდამ საფრთხის წინაშე იდგა. სოფიოს მეც ვუყვარდი და ამით ძალიან ვამაყობდი (ჯამბაკურ-ორბელიანი 2009, 85).*

მოცემული ეპიზოდი ფოკალიზებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ. ამ პასაჟის წარმოდგენით მთხრობელი ავტობიოგრაფის თვითმიზანი არაა სოფიოს პორტრეტის შექმნა, საანალიზო ეპიზოდში განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების დინამიკა

განსახოვნებული (თანდათან ხდებოდა ჩემი იდეალი), კერძოდ, ნაჩვენებია, როგორ შეუყვარდა სოფიო, ამასთან მთხრობელი ავტობიოგრაფი წარმოაჩენს, აღნიშნული დამოკიდებულების ფორმირებაში განმცდელი ავტობიოგრაფის ტექსტში განსახოვნებული წინარე გამოცდილება როგორაა ჩართული.

სოფიოს გარეგნობა აღწერილია მასთან სტუმრად მისული განმცდელი ავტობიოგრაფის პერსპექტივიდან, მისი დახასიათება აირეკლავს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესს. თუკი ტექსტის ამგვარ წაკითხვას მართებულად მივიჩნევთ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პორტრეტის შტრიხების დაზუსტება თავისუფალ ირიბ აღქმასთან ერთად თავისუფალ ირიბ ფიქრსაც განასახოვნებს. ეს შეთანხმება პასაჟის ანალიზისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სოფიოს დახასიათებისას განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებზე ობიექტურად დაკვირვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ გამოყოფილი თითოეული შეფასების შინაარსი წაკითხული იქნება მთხრობელი ავტობიოგრაფის წინარე ნარაციის კონტექსტში (embedded Narrative). წინასწარ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცნობიერების კოჰერენტულობის და განგრძობითობის უზრუნველყოფაში თანაბრად მონაწილეობს ვერბალური და არავერბალური ფიქრი.

ერთ-ერთი შთაბეჭდილება (საანალიზო პასაჟის მიხედვით პირველი), რომელსაც განმცდელი ავტობიოგრაფი სოფიოსთან ყოფნისას იღებს, ამ უკანასკნელის მიერ ქართული კაბის ტარებას უკავშირდება. ქართული კაბის ხილვისას განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ყველა ის დადებითი შთაბეჭდილება აქტიურდება, რომლებიც საქართველოს უკავშირდება. მთხრობელი ავტობიოგრაფი იქვე აზუსტებს კიდევ ერთ გარემოებას: სოფიოს ქართული კაბა აცვია, ის მას *მოხდენილად* ატარებს. გამუქებული ზმნიზედა განმცდელი ავტობიოგრაფის თავისუფალ ირიბ ფიქრს წარმოაჩენს: დიდებული ქართული სამოსის ტარების ღირსია სოფიო, მას შეეფერება.

სოფიოსადმი სიყვარულს ბევრად აღრმავებს მისი შინაგანი სამყაროს დამატებითი მახასიათებელი. პორტრეტის შემდეგ შტრიხად გამოყოფილია სოფიოს გამოხედვა - *ღრმა*

და ხავერდოვანი თვალები. ამ დეტალებით სოფიოს შინაგანი სამყარო დაკავშირებულია ავტობიოგრაფის სხვა გამოცდილებასთან - პიროვნული შემოქმედებითი ცხოვრება ლამაზია. სოფიოს თვალების დასახასიათებლად გამოყენებული ეპითეტები კონოტაციური მნიშვნელობით რელატიურ სინონიმებად უნდა იქნეს გააზრებული. *ბარბატოვანი* კონტექსტის მიხედვით ზედაპირულს, გლუვს, უინტერესოს უპირისპირდება და მნიშვნელოვნის, ღირებულის, ღრმას შინაარსს იძენს.

მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ წარმოდგენილი სოფიოს დახასიათება, დამატებით აჩვენებს განმცდელი ავტობიოგრაფის იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც სოფიოსა და მისი მეუღლის ყოველდღიური ყოფის აღქმისას შეექმნა. ამ ურთიერთობის აღწერით მხოლოდ სოფიოს შინაგანი სამყაროს დინამიკაა განსახოვნებული. სოფიოს შესახებ აღნიშნულია, რომ მას მეუღლე *თავდავიწყებით* უყვარდა. ცალკე აღებული ხაზგასმული ზმნიზება, მკითხველს მიანიშნებს, რომ სოფიო ემოციური ადამიანია. ემოციურობა შეიძლება დადებითადაც შეფასდეს და უარყოფითადაც, ამიტომ ამ სიტყვის კონოტაციის განსასაზღვრად გასათვალისწინებელია ეპიზოდის დანარჩენი დეტალები: ავტობიოგრაფი არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მეუღლეს სოფიოსადმი. ეს უთქმელობა ინდიფერენტულ დამოკიდებულებად შეიძლება ჩაითვალოს, მთელ დროს მეგობრებთან ერთად ატარებდა. ქმრის ამგვარი დამოკიდებულების ფონზე ლოგიკურია თუ არა, რომ სოფიოს თავდავიწყებით სიყვარული განმცდელ ავტობიოგრაფს უცნაურად მიეჩნია? ამგვარ აღქმას ზღუდავს მთხრობელი ავტობიოგრაფის შეფასება - „*მიუხედავად ამისა* (დარდიმადული ცხოვრებისა) *ის კარგი კაცი იყო*“. ამ შეფასებაში მოცემულია სოფიოს ქმედების საფუძველი. იგი თავის მეუღლეში პოტენციალს ხედავდა და **მიზანმიმართულად** ცდილობდა მის რეალიზებას, თუმცა უშედეგოა რა აღნიშნული ქმედება, მცდელობა, დრო ეწურება (მეუღლის ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა), ის ადეკვატურ რეაქციას გამოხატავს \_ ტირის.

დასკვნის სახით მსჯელობა ასე შეიძლება განზოგადდეს: ერთ-ერთი ნარატივი (განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილება), რომელიც საფუძვლად უდევს სოფიოს თვალეში დიდი სიღრმის დანახვას, არის ის, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი

აცნობიერებს, სოფიო პიროვნულად როგორი დიდია, დიდსულოვანია, ფართო გული აქვს, მასში ეტევა მეუღლის მრავალგზისი მიუღებელი საქციელი, ქმრის უყურადღებობის მიუხედავად, სოფიო მეუღლეში ადამიანურ პოტენციალს ხედავს. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში თავჩენილი ეს ფიქრები მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ თავისუფალი ირიბი დისკურსითაა გასახოვნებული, თავის მხრივ, აღნიშნული დისკურსის შესაქმნელად მთხრობელი ავტობიოგრაფი ინტენსიურად იყენებს პროტოკოლს: სიტვა ან სიტყვათა შესიტყვება დაკუმშულად წარმოადგენს განმცდელი ავტობიოგრაფის ვრცელ ფიქრს.

## დასკვნა

**კვლევის ამოასავლი მდგომარეობის აღწერა.** წინამდებარე სადიერტაციო ნაშრომში კვლევის ჩატარების წინაპირობად განსაზღვრული იყო ის ფუნდამენტური პროცესები, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში მიმდინარეობს: აღნიშნული დარგი კოგნიტური ნარატოლოგიის ქვედისციპლინად ყალიბდება, პარადიგმის ცვლილებას განსაკუთრებულ ბიძგს აძლევს კოგნიტური ნარატოლოგიის განვითარება. ლიტერატურის კვლევის საფუძვლების მოდიფიკაცია ცვლის როგორც საკვლევ ტექტობრივ მონაცემებს, ისე - კვლევის მეთოდოლოგიას. სადისერტაციო კვლევის დაგეგმვის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა იმ კვლევებს, რომლებიც პერსონაჟის ცნობიერებას შეეხებოდა. ერთი მხრივ, ამ თვალსაზრისით დაგროვებული ცოდნის მასშტაბურობა და მეორე მხრივ, ავტობიოგრაფიული პრაქტიკის კოგნიტური მეცნიერებების პერსპექტივიდან შესწავლის ერთეული შემთხვევების არსებობა, ერთგვარ პარადოქსს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, თვალშისაცემი იყო ის გარემოებაც, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში საკუთრივ ავტობიოგრაფიული ჟანრის თავისებურების

განმსაზღვრელი კვლევა არ იყო ჩატარებული. სწორედ ამ ცარიელი ადგილის ნაწილობრივ შესავსებად დაიგეგმა სადიერტაციო ნაშრომით წარმოდგენილი კვლევა.

სამეცნიერო სივრცეში არსებული გეგმის შესავსებად კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფაქტუალური ავტობიოგრაფის თავისებურების დადგენა. საამისოდ დაგეგმილი იყო ინტერდისციპლინური ცოდნის საფუძველზე შემდგარიყო საანალიზოდ რელევანტური ტექსტობრივი მონაცემების მაქსიმალურად სრულყოფილი დატაბაზა, რომელიც მომდევნო ეტაპზე უნდა დამუშავებულიყო, გაანალიზებულიყო კოგნიტური ნარატოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით. აქვე საანალიზო მონაცემების კომპლექსურობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო დიაგრამირების მეთოდის გამოყენება, რომელსაც მთხრობელი და განმცდელი ავტობიოგრაფების ცნობიერების ფუნქციონირების დინამიკა და არასწორხაზობრიობა უნდა ეჩვენებინა.

წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში მეთოდოლოგიური საფუძვლების დასაზუსტებლად ავტობიოგრაფიის თეორია შევავსე იმ საკვლევ კატეგორიებით, რომლებიც კოგნიტურ ნარატოლოგიაში რომანის პერსონაჟთა ცნობიერების შესასწავლად შემუშავდა.. ამდენად, კვლევის განხორციელებისას საგანგებო დაკვირვების საგანს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიის ამგვარი განვრცობა.

საკვლევ კორპუსის შედგენისას შეირჩა ორი ავტობიოგრაფიული ტექსტი, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში სეკულარული ავტობიოგრაფიის ფომირების პირველ ეტაპს აჩვენებს. განისაზღვრა ისიც, რომ ეს ორი ტექსტი გენდერული ნიშნით განსხვავებული ყოფილიყო. კვლევის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ტექსტების დეტალური ანალიზი, რათა გამოყენებული მეთოდოლოგიის ვალიდობა და ღირებულება წარმოჩენილიყო. ასევე ერთი კვლევის ფარგლებში უნდა გამოვლენილიყო ისიც, რამდენად უნივერსალურია გამოყენებული კოგნიტური მიდგომა, კერძოდ, უნდა დადგენილიყო, რამდენად რელევანტურია იგი განსხვავებული ავტობიოგრაფიული ნარატივის შესასწავლად.

აქვე უნდა დაზუსტდეს კვლევის ჰიპოთეზაც: პერსონაჟის ცნობიერების კვლევის გამოცდილებიდან გამომდინარე, კვლევის ჩატარებისას ივარაუდებოდა, რომ ფაქტუალური ავტობიოგრაფია ავტობიოგრაფის იდენტობის ფორმირებისა და ფუნქციონირების მაჩვენებელია, ფაქტუალური ავტობიოგრაფია არაა ბიოგრაფიული დეტალების მექანიკური ნაზავი, ისინი კოჰერენტულ ნარატივს ქმნის.

### **კვლევის შედეგები:**

- კვლევის ერთ-ერთ შედეგად განისაზღვრა ის ფაქტი, რომ ნარატოლოგიური კატეგორიების გამოყენება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ფაქტუალური ავტობიოგრაფიის გასაგებად. ასე მაგალითად, გაირკვა, რომ ორივე ავტორთან, ერთი მხრივ, აუცილებელი იყო მთხრობელი და განმცდელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა მონაცვლეობაზე სისტემატური დაკვირვება, მეორე მხრივ, მთხრობელი ავტობიოგრაფის ნარაციის პროცესში განმცდელად წარმოდგენამ რადიკალურად შეცვალა ბიოგრაფიული დეტალების საინტერპრეტაციო ჩარჩო. აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალში“ აღნიშნული მეთოდოლოგიური წანამდგრის საფუძველზე პირველ ეტაპზე დაზუსტდა მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა, გამოყოფილიყო განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების სხვადსხვა ეტაპი. მთხრობელი და განმცდელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა მონაცვლეობაზე დაკვირვების შედეგად ასევე განისაზღვრა ავტობიოგრაფიული მონაცემების სემანტიზების ლოგიკა.
- საანალიზო ტექსტის მიხედვით, მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროება ასეთი იყო: იგი სინანულს განიცდიდა იმის გამო, რომ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობის სათანადოდ რეალიზების საშუალება არ მიეცა, რაშიც მას ხელი იმ სოციალურმა კონტექსტმა შეუშალა, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება. რაც შეეხება ბიოგრაფიული მოვლენების სემანტიზებას, ის ასე შეიძლება შეჯამდეს: განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების ყოველ ეტაპზე თემატიზებულია განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ სოციალური კოპეტენციის შეძენისა და მომდევნო ეტაპზე მისი ევალუაციის პროცესი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად

ტექსტში გამოყენებულია ჰიპოთეტური ფოკალიზება. განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარების დინამიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვალდებულებას, რომელიც მას სამშობლოს მიმართ აქვს. საწყის ეტაპზე სამშობლოს ფაქტორი იდუმალი სახით (ქორობიას თამაშში) იჩენს თავს, მომდევნო ეტაპზე კი, გიმნაზიაში სწავლისას, როცა მისი ინტრამენტალური სამყარო ყალიბდება, სამშობლო მისი *ავტობიოგრაფიული მეს* განუყოფელი ნაწილი ხდება. განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზური საჭიროებები მუდმივად განგაშის სიგნალის გააქტიურების მიზეზი ხდება შემდეგი გარემოების გამო: განმცდელ ავტობიოგრაფს განვითარება სურს, რაც მხოლოდ სამშობლოსადმი მსახურებით წარმოუდგენია, სოციალური კონტექსტი კი მას ამის საშუალებას არ აძლევს.

მეორე საანალიზო ავტობიოგრაფიული ტექსტის დეტალურმა შესწავლამაც აჩვენა, რომ მთხრობელი და განმცდელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა მონაცვლეობაზე დაკვირვება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ფაქტუალური ავტობიოგრაფიის თავისებურების დასადგენად. მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ბეზიას და მამის პორტრეტების შექმნა, მოგზაურობის დეტალების აღწერის საფუძველი, მხოლოდ მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროების გათვალისწინებით ხდება გასაგები.

- ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა ფაქტუალური ავტობიოგრაფიის შესასწავლად რომელი ნარატოლოგიური კატეგორიები და ტექსტობრივი მონაცემებია მნიშვნელოვანი. განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფების პერსპექტივათა დადგენის გარდა, გასათვალისწინებელია შემდეგი კატეგორიები: არასაიმედო თხრობა, ფსიქონარაცია, თავისუფალი ირიბი თხრობა/აღქმა, მთხრობლის პროტოკოლი, ნაწარმოების ეპიზოდური სტრუქტურა, პერსონაჟის მოქმედება, მხატვრული ტექსტის კაუზალობა, პერსონაჟის მენტალური პროცესების საანალიზოდ შაბლონებისა და სკრიპტების გამოყენება.
- ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დასკვნას წარმოადგენს ისიც, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის გამოცდილების ფორმირების დინამიკის შესასწავლად ემოციის გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა, აღნიშნული

მენტალური პროცესი მე-19 საუკუნის ქართულ ავტობიოგრაფიულ ტექსტებში განმცდელი ავტობიოგრაფის ვერბალურ ფიქრთან შედარებით დომინანტურია.

- სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ავტობიოგრაფიული ტექსტების საანალიზოდ პირველად იქნა გამოყენებული დიაგრამირების მეთოდი. კვლევის შედეგად ამგვარი მიდგომის ღირებულება ასე განისაზღვრა: იგი კვლევის სიზუსტის წინაპირობაა, გამორიცხავს ტექსტობრივი მონაცემების ფრაგმენტულ ანალიზს; კვლევის საწყის ეტაპზე განცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების მაჩვენებელი დიაგრამების სამუშაო ვარიანტების შექმნა და მათი ეტაპობრივი განახლება მკვლევარს ეხმარება საანალიზო ტექსტის კოჰერენტული ანალიზის წარმოდგენაში.
- წინამდებარე დისერტაციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თეზას წარმოადგენს, რომ ფაქტუალური ავტობიოგრაფიის განუყოველი ნაწილია ფიქცია, ამ ტიპის ტექსტები ბიოგრაფიული მონაცემების მექანიკურ კრებულს არ წარმოადგენს, მასში აღწერილი თითოეული მოვლენა დაქვემდებარებულია მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიურ საჭიროებას. დიაგრამები ნათლად აჩვენებს, რომ ტექსტში ქრონოლოგიურად დალაგებული მოვლენები განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების არასწორხაზოვან ფუნქციონირებას აირეკლავს. ამგვარი დასკვნის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ დიაგრამირება ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზის უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უნდა განისაზღვროს.
- დაბოლოს, კვლევის შედეგად უნდა განისაზღვროს ისიც, რომ განხორციელდა მე-19 საუკუნის ორი ტექსტის დეტალური ანალიზი, რაც ახალ ცოდნას ქმნის როგორც უშუალოდ ამ ტექსტების შესახებ, ისე აზუსტებს მე-19 საუკუნის ქართველი ადამიანის სოციალური თუ ინდივიდუალური იდენტობის ცალკეულ ასპექტს.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა:** სადისერტაციო კვლევის შედეგები შესაძლებლობას იძლევა, ავტობიოგრაფიული ჟანრის კვლევისას გამოყენებულ იქმნეს ისეთი ნარატოლოგიური კატეგორიები, რომლებიც მანამდე მხოლოდ რომანის შესასწავლ

ინსტრუმენტებად იყო განსაზღვრული (მთხრობლის პროტოკოლი, ემოცია, დიაგრამირება და ა. შ.) წარმოდგენილი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს იმ ფართო სამეცნიერო დისკუსიას, რომელიც იდენტობის კვლევის მეთოდოლოგიის განახლებას ეთმობა. *ავტობიოგრაფიული მეს* ნარატიული მოდელის ფორმირება არსებითად იდენტობის ფორმირებას გულისხმობს, შესაბამისად, მიღებული შედეგები ექვემდებარება განზოგადებას.

როგორც სადისერტაციო ნაშრომის შესავალში აღინიშნა, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ქართულ სალიტერატურო სივრცეში არაერთი ფაქტუალური თუ ფიქციონალური ავტობიოგრაფია შეიქმნა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის ავტობიოგრაფიული ტექსტები, რომლებიც საბჭოთა გამოცდილებას ასახავს. ამგვარი ტექსტი ბევრია. დისერტაციის შედეგები აღნიშნული საკვლევი კორპუსის შესასწავლად მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საფუძველს შექმნის.

## ბიბლიოგრაფია

### მხატვრული ლიტერატურა

1. წერეთელი 2015 წერეთელი, აკაკი. ავტობიოგრაფიული პროზა, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2015.
2. ჯამბაკურ-ორბელიანი 2009 ჯამბაკურ-ორბელიანი, მარიამ. მოგონებანი. წიგნში *XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი*, რედ. ზაზა აბზიანიძე. თბილისი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2009.

### სამეცნიერო ლიტერატურა

1. ასმანი 1999 Assmann, Aleida. *Erinnerungsräume: Formen und Wandlungen des kulturellen Gedächtnisses*. München: Beck. 1999.
2. ასმანი 1992 Assmann, Jan. *Das kulturelle Gedächtnis: Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen*. München: Beck. 1992.
3. ბალი 1983 Bal, Mieke. The Narrating and the Focalizing: A Theory of the Agents in Narrative, *Style* 17, 2: 234-269. 1983.
4. ბარკლაი 1986 Barclay, Craig R. Schematization of autobiographical memory. in: *Autobiographical memory*. Ed. David C. Rubin Cambridge, London, New York, Cambridge University Press. 82-100. 1986.
5. ბართლეტი 1932 Bartlett, Frederick. *Remembering: A Study in Experimental and Social Psychology*, Cambridge University Press. 1932
6. ბარტი 2000 Barthes, Roland: Der Tod des Autors. In: *Texte zur Theorie der Autorschaft*. Hg. Fotis Janndis/Gerhard Lauer/Matias Martinez/Simone Winke Stuttgart. 2000.
7. ბართლეტი 1932 Bartlett, Frederick. *Remembering: A Study in experimental and Social Psychology*. Cambridge: Cambridge University Press. 1932.
8. ბელი ... 2019 Bell, Alice and Marie-Laure Ryan. *Possible Worlds Theory and Contemporary Narratology*. Lincoln and London: University of Nebraska Press. 2019
9. ბერნტსენი ... 2012 Berntsen Dorothe and David C. Rubin. Introduction. In *Understanding Autobiographical Memory: Theories and approaches*. ed. Dorothe Berntsen and David C. Rubin. 1-9 New York, Cambridge University Press.
10. ბირკე 2008 Birke, Dorothee. *Memory's Fagile Power: Crises of Memory, Identity and Narrative in Contemporary British Novels*. Trier. Wissenschaftlicher Verlag Trier. 2008
11. ბოლქვაძე 2010. ბოლქვაძე, თინათინ. *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“*. თბილისი: უნივერსალი. 2010.
12. ბრევერი 1986 Brewer, William F. What is autobiographical memory? in: *Autobiographical memory*. (ed.) David C. Rubin. Cambridge, London, New York, Cambridge University Press. 25-49. 1986
13. ბრევერი 1999 Brewer, William F. Schemata. In *The MIT Encyclopedia of the Cognitive Sciences*. edited by Robert A. Wilson and Frank C. Keil. Cambridge: MIT Press. 1999.

14. ბროიერი 2000 Breuer, Ulrich. *Bekenntnisse: Diskurs – Gattung – Werk*. Frankfurt a.M.: Peter Lang. 2000
15. ბრუინი 1995 Bruyn, Günter: *Das erzählte Ich. Über Wahrheit und Dichtung in der Autobiographie*. Frankfurt a. M.1995.
16. გუსდორფი 1998 Gusdorf, Georges. Voraussetzungen und Grenzen der Autobiographie, in: *Die Autobiographie. Zu Form und Geschichte einer literarischen Gattung*, Hg. Günter Niggel, 2., um ein Nachw. zur Neuausg. Und einen Bibliogr. Nachtr. erg. Aufl. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 121- 147. 1998.
17. დამასიო 2000: Damasio, Antonio. *The Feeling of What Happens: Body, Emotion and the Making of Consciousness*. London: Heinemann. 2000.
18. დამასიო 2018: Damasio, Antonio. *The Strange Order of Things: Life, Feeling, and the Making of Cultures*. New York: Pantheon books. 2018.
19. დეივისი 1999 Davis, Martin. Consciouness. In *The MIT Encyclopedia of the Cognitive Sciences*. edited by Robert A. Wilson and Frank C. Keil. Cambridge: MIT Press. 1999.
20. დე მანი 1984 De Man, Paul. *Autobiography as Defacement. The Rhetoric of Romanticism*. New York: Columbia UP, 67-81. 1984.
21. დენეტი 1996 Denett, Daniel. *Kinds of Minds: Towards an Understanding of Consciousness*. London: Weidenfeld and Nicholson.1996.
22. დილთაი 1927 Dilthey, Wilhelm. Die Selbstbiographie in: *Der Aufbau der geschichtlichen Welt in den Geisteswissenschaften*; Wilhelm Diltheys Gesammelte Schriften, Bd. 7, Hg. Bernhard Groethuysen, Leipzig, Berlin: Teubner. 1927.
23. დობორჯგინიძე 2010 დობორჯგინიძე, ნინო. *ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები: რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა ინტერპრეტაციის ცდა*. თბილისი: ნეკერი. 2010
24. დოლეჯი 1967 Dolezel, Lubomir. The Typology of the Narrator: Point of View in Fiction. In: *To Honor Roman Jakobson. Essayson the Occasion of His Seventieth Birthday*, Bde. Den Haag, Paris: Mouton, Bd. I, 541-552. 1967.

25. დოლეჟიცი 1988 Dolezel, Lubomir. "Mimesis and Possible Worlds", *Poetics Today* 9,3: 475-496.1988.
26. ეგანი 1984 Egan, Susanna. *Patterns of Experience in Autobiography*, Chapel Hill, NC: University of North Carolina Press. 1984.
27. ედმისტონი 1989 Edmiston F. William. Facalization and First-Person Narrator: A Revision of the Theory *Poetics Today*. Vol.10, No. 4, pp.729-744.1989.
28. ეკო 1981 Eco, Umberto. *The Role of the Reader: Explorations in the Semiotics of Text*. London: Hutchinson.1981.
29. ემოტი 1997 Emmott, Catherine. *Narrative Comprehension: A Discourse Perspective*. Oxford: oxford University Press. 1997.
30. ენენკელი 2008 Enenkel. Karl. A. E. *Die Erfindung des Menschen: Die Autobiographik des Frühneuzeitlichen Humanismus von Petrarca bis Lipsius*. Berlin. Walter de Gruyter. 2008.
31. ვაგნერ-ეგელჰაფი 2005 Wagner-Egelhaaf, Martina. *Autobiographie*. Stuttgart/Weimar: Metzler. 2005.
32. ვილსონი ... 1999 Wilson, Zrobert A., and Frank C. Keil. eds. 1999. *The MIT Encyclopedia of the Cognitive Sciences*. Cambridge: MIT Press. 1999.
33. ვილსონი 2002 Wilson, Timothy. *Strangers to Ourselves: Discovering the Adaptive Unconscious*. Cambridge, MA: Harvard University Press, 2002.
34. ვეტცლერი ... 1986 Wetzler Scott E. and John A. Sweeney. Childhood amnesia: an empirical demonstration. In *Autobiographical Memory*. Hg. David C Rubin, 191-202. Cambridge, London, New York u.a.: Cambridge University Press. 1986.
35. ვუდი 2008 Wood, James. *How Fiction Works*. New York: Farrar, Straus and Giroux. 2008.
36. ზანშაინი 2007 Zunshine, Lisa. Why Jane Austen Was Different, And Why We May Need Cognitive Science to See It. *Style* 41.3 (2007): 273-297 2007.
37. ზანშაინი 2006 Zunshine, Lisa. 2006. *Why We Read Fiction: Theory of Mind and the Novel*. Columbus: Ohio State University Press. 2006.

38. ოანი 1997 Jahn, Manfred. Frames, Preferences, and the reading of the Third-Person Narratives: Towards a Cognitive Narratology, *Poetics Today* 18, 4: 441-468.1997.
39. ოანი 1999 Jahn, Manfred. More Aspects of Focalization: Refinements and Applications, in: *Recent Trends in Narratological Research. Papers from the Narratology Round Table ESSE 4 – September 1997 – Debrecen, Hungary, and Other contributions*, Hg. John Pier, Tours: Universite Francoic Rebelais. 1999.
40. ობერი 1978 Iser, Wolfgang. *The Act of Reading*. London: Routledge.1978.
41. ოკინი 1985 Eakin, Paul John. *Fictions in Autobiography: Studies in the Art of Self-Invention*, Princeton, NJ: Princeton University Press.1985.
42. ოკინი 1992 Eakin, Paul John. *Touching the World: Reference in Autobiography*, Princenton: Princeton University Press.1992.
43. ოკინი 1999 Eakin, Paul John. *How our Lives Become Stories: Making Selves*. Ithaca and London: Cornell University Press. 1999.
44. ოკინი 2008 Eakin. Paul J. 2008. *Living Autobiographically. How We Create Identity in Narrative*. Ithaca: Cornell UP. 2008.
45. კვანტალიანი 2015 კვანტალიანი, ნინო. მეტყველებისა და ფიქრის პრეზენტაციის როლი ნარატიული პერსპექტივის გამოხატვაში (თანამედროვე ინგლისურენოვანი მოკლე მოთხრობების მაგალითზე)(სადოქტორო ნაშრომი), თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2015.
46. კონი 1978 Cohn, Dorrit. *Transparent Minds. Narrative Modes for Presenting Consciousness in Fiction*. Princenton: Princenton University Press.1978.
47. კონი 1969 Erlebte Rede im Ich-Roman, *Germanisch-Romanische Monatsschrift*. N.F.19: 303-313. 1969
48. ლანსერი 1981 Lanser, Susan Sniader. *The Narrative Act: Point of View in prose Fiction*, Princeton, NJ: Princeton University Press. 1981.
49. ლანსერი 1992 Lanser, Susan Sniader. *Fictions of Authority: Women Writers and Narrative Voice*. Ithaca, NY: Cornell University Press, 1992.

50. ლეჟონი 1994 Lejeune, Philippe. 1994. *Der autobiographische Pact*. Übers. v. Wolfram Bazer u Dieter Hornig, Frankfurt a. M.: Suhrkamp. 1994.
51. ლინტონი 1986 Linton, Marigold. Ways of searching and the contents of memory. In: *Autobiographical Memory*. Ed. David C. Rubin. Cambridge. Cambridge UP. 1986.
52. ლოშნიგი 1999 Löschnigg, Martin. Narratological Categories and the (Non-) Distinction between Factual and Fictional Narratives”, in: *Recent Trends in Narratological Research. Papers from the Narratology Round Rable ESSE 4 – September 1997 -Debrecen, Hungary, and Other Contributions*, Hg. John Pier, Tours: Universite Francois Rabelais, 31-48. 1999.
53. ლოშნიგი 2006 Löschnigg, Martin. 2006. *Die englische fictionale Autobiographie: Erzähltheoretische Grundlagen und historische Prägnanzformen von den Anfängen bis zur Mitte des neunzehnten Jahrhunderts*. Trier: WVT. 2006.
54. ლოშნიგი 2010 Löschnigg, Martin. Postclassical Narratology and the Theory of Autobiography. J. Alber & M. Fludernik (eds.). *Postclassical Narratology. Approaches and Analyses*. Columbus: Ohio State UP, 255-74. 2010.
55. მაისტერი 2003 Meister, Christoph. 2003. *Computing Action: A Narratological Approach*. Trans. Alastair Matthews. Berlin, New York. Walter de Gruyter. 2003.
56. მარგოლინი 2003 Margolin, Uri. Cognitive Science, the Thinking Mind, and Literary Narrative. In *Narrative Theory and the Cognitive Sciences*, edited by David Herman. Stanford cA: CSLI Publications. 2003.
57. მარგოლინი 1986 Margolin, Uri. The Doer and the Deed: Action as a Basis for Characterization zation in Narrative. *Poetics Today* 7(2): 205-25.1986.
58. მარკოვიზი ... 2006 Markowitsch, Hans. J. und Harald Welzer. *Das autobiographische Gedächtnis: Hirnorganische Grundlagen und biosoziale Entwicklung*. Stuttgart: Klett-Cotta. 2006.
59. მარტინეცი ... 2003. Martinez, Matiaz und Michael Scheffel. Narratology and Theory of Fiction: Answers Remarks on a Complex Relationship, in: *What is Narratology? Questions and Answers Regarding the Status of a Theory*, Hgg. Tom Kindt u. Hans-Harald Müller, Berlin, New York: de Gruyter, 221-237. 2003.

60. მარტინეცი ... 2016 Martinez, Matias and Michael Scheffel. *Einführung in die Erzähltheorie*. München: Verlag C.H. Beck. 2016.
61. მენჰარდი 2009 Menhard, Felicitas. *Conflicting Reports: Multiperspektivität und unzuverlässiges Erzählen im englischsprachigen Roman seit 1800*. Trier: WVT.2009.
62. მიში 1949 Misch, Georg. Begriff und Ursprung der Autobiographie, Bd. 1: Das Altertum. I. Hälfte, 3., stark vermehrte Aufl. Frankfurt a. M.: Schulte-bulmke, 2-2. 1949.
63. მოსერი 2006 Buchgestützte Subjektivität: Literarische Formen der Selbstsorge und der Selbsthermeneutik von Platon bis Montaigne. Tübingen: Max Niemeyer Verlag. 2006
64. ნაიზერი 1986 Neiser, Ulrich. Nested structure in autobiographical memory. In: *Autobiographical Memory*. Ed. David C. Rubin. Cambridge. Cambridge UP. 1986
65. ნალბანტიანი 2003 Nalbantian, Suzanne. *Memory in Literature. From Rousseau to Neuroscience*, Houndsmills Basingstoke: Palgrave Macmillian. 2003
66. ნალბანტიანი ... 2010 Nalbantian, Suzanne, Paul M. Matthews and James L. McClelland ed. *The Memory Process: Neuroscientific and Humanistic Perspectives*. Cambridge, Massachusetts: The MIT Press. 2010
67. ნილსონი ... 2016 Nilsson, Lars-Göran and Nobuo Ohta ed. *Memory and Society: psychological perspectives*. London and New York. Routledge. 2016.
68. ნირაგდენი 1996 Nieragden, Göran. Who sees when I“ speak? : Neuvorschläge zur Relation von homodiegetischer Erzählung und Fokalisierung mit einer Beispielanalyse von Ian McEwans The Child in Time. *Literatur in Wissenschaft und Unterricht* 29, 3: 207-223. 1996.
69. ნიუნინგი 1989 Nünning, Ansgar. Grundzüge eines kommunikationstheoretischen Modells der erzählerischen Vermittlung. Die Funktion der Erzählinstanz in den Romanen George Eliots, Trier: Wissenschaftlicher Verlag Trier. 1989.
70. ნიუნინგი 1998 Nünning, Ansgar. Unreliable Narration zur Einführung einer kognitiv-narratologischen Theorie und Analyse unglaubwürdigen Erzählens. In *Unreliable Narration. Studien zur Theorie und Praxis unglaubwürdigen Erzählens in der englischsprachigen Erzählliteratur*. Hg. Ansgar Nünning. Trier: WVT. 1998.

71. ნომანი 2005 Neumann, Birgit. *Erinnerung – Identität – Narration: Gattungstypologie und Funktionen kanadischer Fictions of Memory*. Berlin/New York: de Gruyter. 2005
72. ოგატა ... 2019 Ogata, Takashi.Taisuke Akimoto. *Post-narratology Through Computational and Cognitive Approaches*. 2019.
73. ოლსონი 2003 Olson, Greta.Reconsidering Unreliability: Fallible and Untrustworthy Narrators. In: *Narrative* 11. 1: 93-109. 2003.
74. ოლნეი 1998 Olney, James. 1999. *Memory and Narrative: The Weave of Life-Writing*. Chicago: University of Chicago Press.
75. ოლნეი 1972 Olney, James. *Metaphors of self: The Meaning of Autobiography*. Princenton, NJ: Princenton University Press. 1972.
76. პაველი 1986 Pavel, Thomas G. *Fictional Worlds*. Cambridge: Harvard University Press. 1986.
77. პალმერი 2004 Palmer, Alan. *Fictional Minds*. Lincoln: University of Nebraska Press. 2004.
78. პალმერი 2010 Palmer, Alan. *Social Minds in the Novel*. Columbus: Ohio State University Press. 2010.
79. პინკერი 1997 Pinker, Steven. *How the Mind Works*. Harmondsworth, England: Penguin. 1997.
80. პერი 1979 Perry, Menakem. Literary Dynamics: How the Order of a Text Creates Its Meanings. *Poetics Today* 1.1–2: 35–64, 311–61.1979.
81. ჟენეტი 1992 Genette, Gerard. Fiktionale Erzählung, Faktuale Erzählung. in: ders., *Fiktion und diction*. übers. V. Heinz Jatho, München: Fink. 65-94. 1992.
82. რაისნერი 2004 Reisner, Oliver. *Die Schule der georgischen Nation. Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern“ (1850-1917)*. Wiesbaden: Dr. Ludwig Reichert Verlag. 2004.
83. რაიხელი 2005 Reichel, Michael. Hg.*Antike Autobiographien. Werke – Epochen – Gattungen*. Köln: Böhlau Verlag. 2005.

84. რატიანი 2008 რატიანი, ირმა. ჰერმენევტიკა. წიგნში *XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლ. კონცეფციები და მიმდინარეობები*. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართ. ლიტ. ინ-ტი. 2008.
85. რატიანი 2010 რატიანი, ირმა. „კავკასია“ და „კავკასიელის“ ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში. *კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი* 2: 65-171. 2010.
86. რიანი 1991 Ryan, Marie-Laure. *Possible Worlds, Artificial Intelligence, and Narrative Theory*. Bloomington: Indiana University Press. 1991.
87. რიანი 2007 Ryan, Marie-Laure. *Diagramming Narrative*. *Semiotica* 165, 1-4, 11-40. 2007.
88. რიმონ-ქენანი 2002 [1983] Rimmon-Kenan, Shlomith. *Narrative Fiction: Contemporary Poetics*, London: Routledge. 2002 [1983].
89. რობინსონი 1986 Robinson, John A. Temporal reference systems and autobiographical memory. In *Autobiographical Memory*. Hg. David C Rubin, 191-202. Cambridge, London, New York u.a.: Cambridge University Press. 1986.
90. რონენი 1994 Ronen, Ruth. 1994. *Possible Worlds in Literary Theory*. Cambridge: Cambridge UP. 1994.
91. რუბინი 1986 Rubin, David C. (ed.) 1986. *Autobiographical Memory*. Cambridge. Cambridge UP. 1986.
92. სერლი 1992 Searle, John. *The Rediscovery of the Mind*. Cambridge: MIT Press. 1992.
93. სერლი 1980 Searle, John R. "Minds, Brains, and Programs." *Behavioural and Brain Sciences* 3.3: 417-57. 1980.
94. სმიტი 1995 Smith, Robert. *Derrida and Autobiography*, Cambridge: Cambridge University Press. 1995.
95. ფლუდერნიკი 1996 Fludernik, Monika. *Towards a "Natural" Narratology*. London. Routledge. 1996.
96. ფლუდერნიკი 2001 Fludernik, Monika. "New Wine in Old Bottles? Voice, Focalization, and New Writing", *New Literary History* 32, 3: 619-638. 2001.

97. ფორსტერი 2000 Forster, E. M. 2000. Aspects of the Novel. Harmondsworth, England: Penguin. 2000.
98. შაქტერი 1997 Schacter, D. 1996 Searching for memory: The brain, the mind, and the past. New York: basic Books. 1996.
99. შაქტერი 2002 Schacter, D. 2002. The seven sins of memory: how the mind forgets and remembers. Boston and New York: Houghton Mifflin. 2002.
100. შტანცელი 2001[1979] Stanzel, Franz Karl. *Theorie des Erzählens*, 7. Auflage Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht. 2001 [1979].
101. ჩხარტიშვილი 2006 ჩხარტიშვილი, მარიამ. *თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი. ქართული წყაროთმცოდნეობა* 11: 204-218. 2006.
102. ცაგარელი 2008 ცაგარელი, ლევან. *არნო შმიტის გვიანდელი პროზა, როგორც მეტაფიქცია* (სადოქტორო ნაშრომი). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2008.
103. წიფურია 2010 წიფურია, ზელა. ქართული ლიტერატურა: კოლონიზაცია, ახალი პარადიგმები. *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი* 2: 183 – 195. 2010.
104. ხარბედია 2008 ხარბედია, მალხაზ. პოსტსრუქტურალიზმი და დეკონსტრუქცია. წიგნში *XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლ. კონცეფციები და მიმდინარეობები*. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართ. ლიტ. ინ-ტი. 2008.
105. ჰაბერმასი 2012 Habermas, Tilmann. Identity, emotion, and the social matrix of autobiographical memory: a psychoanalytic narrative view. In *Understanding Autobiographical Memory: Theories and approaches*. ed. Dorothe Berntsen and David C. Rubin. 1-9 New York, Cambridge University Press. 2012.
106. ჰალბვაქსი 1967 Halbwachs, Maurice. *Das Kollektive Gedächtnis*. Übers. Von Holde Lhoest Offermann. Stuttgart: Ferdinand Enke. 1967.
107. ჰელბეკი ... 2004 Hellbeck Jochen and Klaus Heller. Eds. *Autobiographical Practices in Russia – Autobiographische Praktiken in Russland*. Göttingen: V&R unipress GmnH. 2004.

108. ჰერმანი 1997 Herman, David. “Scripts, Sequences and Stories: Elements of a Postclassical Narratology”, *Publications of the Modern Language Association of America (PMLA)* 112: 1046-1059. 1997.
109. ჰერმანი 2013 Herman, David. 2013. *Storytelling and the Sciences of Mind*. The MIT Press. 2013.
110. ჰერმანი 1994 Herman, David. Hypothetical Focalization. *Narrative* 2.3: 230–53. 1994.
111. ჰერმანი 1997 Herman, David. *Scripts, Sequences, and Stories: Elements of a Postclassical Narratology*. PMLA 112.5 1046–59. 1997.
112. ჰერმანი 1999 Herman, David. Introduction. In *Narratologies: New Perspectives on Narrative Analysis*, ed. David Herman, 1-30. Columbus: Ohio State University Press. 1999.
113. ჰერმანი 2002 Herman, David. *Story Logic: Problems and Possibilities of Narrative*. Lincoln: University of Nebraska Press. 2002.
114. ჰერმანი 2007 Herman, David. Cognition, Emotion and Consciousness.”In *The Cambridge Companion to Narrative*, ed. David Herman, 245–59. Cambridge: Cambridge University Press, 2007.
115. ჰოგანი 2003 Hogan, Patrick Colm. *The Mind and Its Stories: Narrative Universals and Human Emotion*. Cambridge: Cambridge University Press, 2003.
116. ჰოლდენრიდი 2000 Holdenried Michaela, *Autobiographie*, Stuttgart: Reclam. 2000.